კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია
Georgian Comparative Literature Association (GCLA)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

XVIII საერთაშორისო სიმპოზიუმი

ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები

ომისა და მშვიდობის თემა თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურასა და კულტურაში

XVIII International Symposium

Contemporary Issues of Literary Criticism
The Theme of War and Peace in Contemporary World Literature and Culture

თეზისები • Theses

ეძღვნება შოთა რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის
90-ე წლისთავს

Dedicated to the 90th anniversary of the
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

რედაქტორი
ირმა რატიანი

სარედაქციო კოლეგია
მაკა ელბაქიძე
თათია ობოლაძე
მირანდა ტყეშელაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თინათინ დუგლაძე

Editor
Irma Ratiani

Editorial Board:
Maka Elbakidze
Tatia Obiladze
Miranda Tkeshelashvili

Computer Software
Tinatin Dugladze

© თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2026
© TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, 2026

შინაარსი
Contents

25 Tamar Abramishvili
თამარ აბრამიშვილი
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Poetics of the Everyday – as a Strategy for Representing War Trauma – in Tamri Pkhakadze's Story "A Garden in a Conflict Zone"
ყოველდღიურობის პოეტიკა – როგორც ომის ტრავმის რეპრეზენტაციის სტრატეგია – თამრი ფხაკაძის მოთხრობაში „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში"

27 Medea Abulashvili
მედეა აბულაშვილი
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Fear as an Anthropological Code of War, Trauma and Identity Crisis in Antonis Samarakis' „Sign of Danger"
შიში, როგორც ომის ანთროპოლოგიური კოდი, ტრავმა და იდენტობის კრიზისი ანტონის სამარაკისის „საფრთხის ნიშანში"

28 Zaza Abzianidze, Ketevan Elashvili
ზაზა აბზიანიძე, ქეთევან ელაშვილი
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
The Fate of Forgiveness – "War With Oneself "
(Jemal Karchkhadze's Publicism)
მიტევების ბედისწერა – „ომი საკუთარ თავთან"
(ჯემალ ქარჩხაძის პუბლიცისტიკა)

30 Ksenia Afonina
UK
Art of the Second World War: Agents of Memory and History

30 Etsuko Aoyagi (Dr., Ms.)
Japan, Tsukuba
Introduction to the Algerian Litterature: a Tradition Cultivated by Wars and Conflicts, Focusing on Boualem Sansal

31 Nana Arakhamia, Dariko Pipia
ნანა არახამია, დარიკო ფიფია
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Reflections on the Abkhazian War in Contemporary Georgian Poetry
აფხაზეთის ომის რეფლექსია თანამედროვე ქართულ პოეზიაში

33 Gia Arganashvili
გია არგანაშვილი
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
The Responsibility of Georgian Literature in the Deheroization of War, and in the Establishment of Ethics and Humanism
ქართული ლიტერატურის პასუხისმგებლობა ომის დეჰეროიზაციაში, ეთიკისა და ჰუმანიზმის დამკვიდრებაში

35 Maia Arveladze
მაია არველაძე
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Nikoloz Baratashvili in the Grips of Military Bureaucracy
ნიკოლოზ ბარათაშვილი სამხედრო ბიუროკრატიის მარწუხებში

37 Nino Balanchivadze
ნინო ბალანჩივაძე
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Pain Turned into Words: The Ritual of Weeping in Georgian Folklore
სიტყვად ქცეული ტკივილი: დატირების რიტუალი ქართულ ფოლკლორში

38 Nunu Balavadze
ნუნუ ბალავაძე
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Fear and Play in 21st Century Poetry
შიში და თამაში 21-ე საუკუნის პოეზიაში

39 Tamar Barbakadze
თამარ ბარბაქაძე
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
On Galaktion Tabidze's Poem "***And Now *Adieu! See You Again!"*
გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „***ეხლა კი მშვიდობით! ნახვამდის!" გარშემო

41 Lia (Liana) Basheleishvili
ლია(ლიანა) ბაშელეიშვილი
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Topos of the Enemy in the "Timekeeper". Mongolian Context
მტრის ტოპოსები „ჟამთააღმწერელთან". მონღოლური კონტექსტი

43 Tetiana Basniak
Ukraina, Chernivtsi
A Postmodernist Interpretation of the Famous Metaphor in Relation to the Theme of the Origins of War

44 Dalila Bedianidze
დალილა ბედიანიძე
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Female Heroes of the Era of Erekle II
ერეკლე მეორის ეპოქის გმირი ქალები

45 Naira Beridze
ნაირა ბერიძე
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Alternative Narratives of War in Tamta Melashvili's Works
ომის ალტერნატიული ნარატები თამთა მელაშვილის შემოქმედებაში

47 Nino Beridze
ნინო ბერიძე
Georgia, Batumi
საქართველო, ბათუმი
The Construction of Trauma and Collective Memory in Literature –
War in the Literary Word and Beyond
ტრავმისა და კოლექტიური მეხსიერების კონსტრუირება ლიტერატურაში –
ომი მხატვრულ სიტყვაში და არამხოლოდ

48 Konstantine Bregadze
კონსტანტინე ბრეგაძე
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Battle of Waterloo (War) and the *Congress of Vienna* (Peace), or the Reflection of Modern Global Politics in Goethe's "Faust"
ვატერლოოს ბრძოლა (ომი) და *ვენის კონგრესი* (მშვიდობა), ანუ მოდერნული გლობალური პოლიტიკის უკუფენა გოეთეს „ფაუსტში"

50 Levan Bregadze
ლევან ბრეგაძე
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Titsian Tabidze's Pacifism
ტიციან ტაბიძის პაციფიზმი

52 Rūta Brūzgienė
Lithuania, Vilnius
E. Balsis's Oratorio "Do not Touch the Blue Globe" (1969, Verses by V. Palčinskaitė) as a Form of Resistance to Violence in Post-Soviet Lithuania

52 Mzisa Buskivadze
მზისა ბუსკივაძე
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
The Theme of War in Modern World Literature
ომის თემა თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში

54 Dr. Seda Coşar-Çelik
Türkiye, Bolu
The Language of Trauma: Phatic vs. Mythic Discourse in Salinger's
"A Perfect Day for Bananafish"

55 Olha Chervinska
United Kingdom
Captivity as a Transgressive Component of the Phenomenon of War (Military Conflict) in Literary Interpretations

56 Nino Chikhladze, Nino Gvenetadze
ნინო გვენეტაძე, ნინო ჩიხლაძე
Georgia, Kutaisi
საქართველო, ქუთაისი
Publius Ovidius Naso's Soldiers in War and Love
პუბლიუს ოვიდიუს ნაზონის ჯარისკაცები ომსა და სიყვარულში

57 Marika Chitanava-Lobzhanidze
მარიკა ჭითანავა-ლობჟანიძე
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Peace Narratives in Literature; The Depiction of Post-war Society in Literary Texts
მშვიდობის ნარატივები ლიტერატურაში; ომის შემდგომი საზოგადოების ასახვა ლიტერატურულ ტექსტებში

59 Natela Chitauri
ნათელა ჩიტაური
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Personal Trauma and Alternative Identity Paradigms - The War Narrative
in Georgian Diasporic Literature
ინდივიდუალური ტრავმა და იდენტობათა ალტერნატიული მოდელები –
ომის ნარატივი ქართულ დიასპორულ მწერლობაში

60 Eka Chkheidze
ეკა ჩხეიძე
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
World War II Reflected in Oral Tradition
ზეპირსიტყვიერებაში ასახული მეორე მსოფლიო ომი

62 Rostom Chkheidze
როსტომ ჩხეიძე
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Fatherland and Freedom
(A Spiritual Encounter Between Nikoloz Baratashvili and Giacomo Leopardi)
სამშობლო და თავისუფლება
(ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ჯაკომო ლეოპარდის სულიერი შეხვედრა)

64 Dodo Cumburidze
დოდო ჭუმბურიძე
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
The Historical Narrative and the Perception of Collective Memory in Literary Texts on War
ომის თემაზე დაწერილი მხატვრული ტექსტების საისტორიო ნარატივი
და კოლექტიური მეხსიერების პერცეფცია

66 Ekaterine Chumburidze-Shetsiruli
ეკატერინე ჭუომის თემატიკა XIX საუკუნის ქართულ დრამატურგიაში
მბურიძე-შეწირული
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
George Orwell's *Nineteen Eighty-Four*: Language, Power and the Destruction of Human Freedom
ჯორჯ ორუელის „1984“: ენა, ძალაუფლება და ადამიანის თავისუფლების განადგურება

67 Sofiko Chumburidze
სოფიკო ჭუმბურიძე
Georgia, Kutaisi
საქართველო, ქუთაისი
Literary Reflection of the August 2008 War in Giorgi Sosiasvhili's „*The Switched-off Moon*“
2008 წლის აგვისტოს ომის მხატვრული რეფლექსია გიორგი სოსიაშვილის „გამორთულ მთვარეში“

69 Suren Danielyan, Knarik Abrahamyan
Armenia, Yerevan
Perception of Time and History in the Poetry of Zaren Khrakhuni

70 Gocha Davitadze
გოჩა დავითაძე
Georgia, Batumi
საქართველო, ბათუმი
Collective Trauma and the Deformation of Memory in Eugène Ionesco's Theatre of the Absurd Play "The Chairs"
კოლექტიური ტრავმა და მეხსიერების დეფორმირება ეჟენ იონესკოს აბსურდის დრამაში „სკამები“

71 Tamila Davitadze
თამილა დავითაძე
Georgia, Batumi
საქართველო, ბათუმი
Remythologization and the Apocalypse of War in Michel Tournier's Postmodern Novel „The Ogre"
რემითოლოგიზაცია და ომის აპოკალიფსი მიშელ ტურნიეს პოსტმოდერნისტულ რომანში „ტყის მეფე"

74 Temur Doiashvili
თემურ დოიაშვილი
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
On the Genre Specificity of Galaktion Tabidze's „The Book of Peace"
გალაკტიონ ტაბიძის „მშვიდობის წიგნის" ჟანრობრივი სპეციფიკისათვის

75 Biljana Dojčinović
Serbia, Belgrade
Pro et Contra the Vietnam War in the Works of John Updike

76 Nino Dolidze
ნინო დოლიძე
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Representation of Trauma in Darwish's Poetry
ტრამვის რეპრეზენტაცია მაჰმუდ დარვიშთან

77 Bela Durglishvili
ბელა დურგლიშვილი
Georgia, Kutaisi
საქართველო, ქუთაისი
The Fable Contexts of Cannibalism, or the Road to Nowhere
(Based on Misha Bakhsoliani's "Cannibalism")
კანიბალიადას იგავური კონტექსტები ანუ გზა არსაით
(მიშა ბახსოლიანის „კანიბალიადას" მიხედვით)

77 Inna Dvorecka
Latvia, Daugavpils
Experience of Refugeehood and Its Overcoming in Poetic and Ego-Writing of Igor Chinnov

79 Tinatin Dzodzuashvili
თინათინი ძოძუაშვილი
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Humanism as a Form of Resistance: Narratives of Peace and Ethical Resistance in the Prose of Shio Aragvispireli
ჰუმანიზმი, როგორც წინააღმდეგობის ფორმა: მშვიდობისა და ეთიკური წინააღმდეგობის ნარატივები შიო არაგვისპირელის პროზაში

80 Roman Dzyk, Liliia Shutiak
Ukraine, Chernivtsi
Key Concepts in the Study of Language Shift in Ukrainian Literature in Times of War

81 Maka Elbakidze
მაკა ელბაქიძე
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
War Trauma and the Narrative Forms of Collective Memory in Contemporary Literature
(Based on works by Ismail Kadare, Aka Morchiladze, and Lasha Tabukashvili)
ომის ტრავმული მეხსიერება და კოლექტიური მეხსიერების ნარატიული ფორმები თანამედროვე ლიტერატურაში
(ისმაილ კადარეს, აკა მორჩილაძისა და ლაშა თაბუკაშვილის ტექსტების მიხედვით)

82 Maria Filina
მარიამ ფილინა
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Letters of Polish Exile Vladyslav Yurkowski about the Caucasian War and Leo Tolstoy's „Hadji Murat“
პოლონელი დევნილი ვლადაისლავ იურკოვსკის წერილები კავკასიის ომის შესახებ და ლევ ტოლსტოის „ჰაჯი-მურატი“

84 Hikaru Fujii
Japan, Tokyo
Generations After, Still in the Aftermath: The Memory of War in Contemporary Asian American Fiction and Poetry

85 Nana Gabadadze
ნანა გაბადაძე
Georgia, Kutaisi
საქართველო, ქუთაისი
An Ideological Study of Absolute Freedom and Mutual Opposition Between Existing Worlds and Languages
არსებულ სამყაროებსა და ენებს შორის აბსოლიტური თავისუფლებისა და ურთიერთდაპირისპირებულობის იდეური კვლევა

86 Julieta Gabodze
ჯულიეტა გაბოძე
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Akaki Tsereteli's Final Poem War: The Real and Formal Motives Behind Its Creation
აკაკი წერეთლის უკანასკნელი პოემა „ომი“ – პოემის შექმნის რეალური და ფორმალური მიზანი

88 Nugesha Gagnidze
ნუგეშა გაგნიძე
Georgia, Kutaisi
საქართველო, ქუთაისი
War and Peace in the Life and Work of Givi Margvelashvili
ომი და მშვიდობა გივი მარგველაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაში

89 Darejan Gardavadze
დარეჯან გარდავაძე
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Gassan Kanafani's Experimental Literary Laboratory
ღასან ქანაფანის ექსპერიმენტული ლიტერატურული ლაბორატორია

90 Lesia Generealiuk
Ukraina,
War in the Reception of Maximilian Voloshin: Absurdity, Civilizational Chaos, Apocalypse

91 Merab Ghaghanidze
მერაბ ღაღანიძე
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Phil Klay's "Prayer in the Furnace": A Marine Between Military Duty and Religious Demands During the Iraq War
ფილ კლეის „ლოცვა ღუმელში“: საზღვაო ქვეითი ერაყის ომისას სამხედრო მოვალეობასა და სარწმუნოებრივ მოთხოვნას შორის

93 Tamar Ghughunishvili
თამარ ღუღუნიშვილი
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
From the Heroization of War to Traumatic Experience
(Based on a Short Story by Jamshid Khanian)
ომის ჰეროიზაციიდან ტრავმულ გამოცდილებამდე
(ჯამშიდ ხანიანის მოთხრობის მიხედვით)

94 Rebecca Gigli
Bulgaria, Sofia
Narratives on Postmemory and the Reworking of Postwar Traumas in Russian and Italian Contemporary Literature

95 Nino Gogiashvili
ნინო გოგიაშვილი
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Reflections of Interstate, Interclass, Interpersonal and Internal Conflicts
in Mikheil Javakhishvili's Novel *Jako's Lodgers*
ქვეყანათაშორისი, კლასთაშორისი, ადამიანთაშორისი და შინაგანი ომების რეფლექსიები
მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „ჯაყოს ხიზნები“

97 Ana Gogilashvili
ანა გოგილაშვილი
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
The Micro-World of War in Contemporary Georgian Literature and Cinema
ომის მიკროსამყარო ქართულ თანამედროვე ლიტერატურასა და კინოში
(თამრი ფხაკაძის „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ და მისი კინემატოგრაფიული ვერსია)

98 Nana Gonjilashvili
ნანა გონჯილაშვილი
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
The Russian Empire Against the Morning Star
რუსეთის იმპერია ასპიროზის წინააღმდეგ

100 Natalia Gulua
ნატალია გულუა
Georgia, Kutaisi
საქართველო, ქუთაისი
Historical Memory and Collective Responsibility in Otar Chkheidze's Novel The Artistic Coup
ისტორიული მეხსიერება და კოლექტიური პასუხისმგებლობა ოთარ ჩხეიძის რომანში „არტისტული გადატრიალება“

101 Galiba Hajiyeva
Azerbaijan, Baku
Theme of War and Peace in Azerbaijan Literature and Music

102 Maia Jaliashvili
მაია ჯალიაშვილი
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
The Aestheticization of War and the Metaphysics of the Defeat of Death in Mirza Gelovani's Poetry
ომის ესთეტიზაცია და სიკვდილის დამარცხების მეტაფიზიკა მირზა გელოვანის პოეზიაში

104 Mzia Jamagidze
მზია ჯამაგიძე
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Narratives of Silence in Contemporary Georgian Fiction
დუმილის ნარატივები თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში

105 Grigol Jokhadze
გრიგოლ ჯოხაძე
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
The War of Poets
(World War II. Anna Akhmatova. Marina Tsvetaeva)
პოეტების ომი
(მეორე მსოფლიო ომი. ანა ახმატოვა. მარინა ცვეტაევა)

106 Maka Jokhadze
მაკა ჯოხაძე
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
War and Peace in George Orwell's Perspective
ომი და მშვიდობა ჯორჯ ორუელის რომანის მიხედვით

107 Manana Kajaia
მანანა ქაჯაია
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Georgian and European Women Authors in the Context of Alternative War Narratives
ქართველი და ევროპელი ქალი ავტორები ომის ალტერნატიული ნარატივების კონტექსტში

109 Salome Kapanadze
სალომე კაპანაძე
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
War as a Common Space of Spiritual Experience – Narratives of Georgian and Transcaucasian Writers
ომი როგორც სულიერი გამოცდილების საერთო სივრცე – ქართველი და ამიერკავკასიის მწერლების ნარატივი

110 Lia Karichashvili
ლია კარიჭაშვილი
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
The Deconstruction of War and the Artistic Conception of Reconciliation in Guram Odisharia's Short Story „The Nephew"
ომის დეკონსტრუქცია და შერიგების მხატვრული კონცეფცია გურამ ოდიშარიას მოთხრობაში „ძმისშვილი"

112 Yuri Kato
Japan, Tsukuba
Frailty of Widows in Law and in Society

112 Gulnoz Iskandarovna Khalliyeva
Uzbekistan, Tashkent
The Theme of War in Modern Uzbek and World Literature: A Comparative Perspective

113 Tamar Khetashvili
თამარ ხეტაშვილი
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Historical Trauma and the Deheroization of the Hero in the Works of Marguerite Yourcenar and Otar Chiladze
ისტორიული ტრავმა და გმირის დეჰეროიზაცია მარგერიტ იურსენარისა
და ოთარ ჭილაძის შემოქმედებაში

114 Mary Khukuneishvili-Tsiklauri
მერი ხუხუნაიშვილი-წიკლაური
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Heroic Themes in Georgian Folklore
საგმირო თემატიკა ქართულ ფოლკლორში

116 Ritsuko Kidera
Japan, Kyoto
Endo Shusaku and White Russians

116 Maia Kiknadze
მაია კიკნაძე
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
"War" On the Stage of Modern Georgian Theater
„ომი" უახლესი ქართულ თეატრის სცენაზე

118 Zeinab Kikvidze
ზეინაბ კიკვიძე
Georgia, Kutaisi
საქართველო, ქუთაისი
War Narratives of Girls: Gender Perspective and the De-heroization on Heroic Discourse
გოგონათა ომის ნარატივები: გენდერული პერსპექტივა და გმირული დისკურსის
დეჰეროიზაცია

119 Andrey Korovin
Russia, Moscow
Remembrance of the War as a Way to Self-Identification in the Olaf Olafsson's Novel
"The Journey Home" (1999)

120 Gocha Kuchukhidze
გოჩა კუჭუხიძე
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
"The Last Enemy"
(The Ontology of Overcoming Death and the Poetics of Resurrection)
„უკანასკნელი მტერი"
(სიკვდილის დამარცხების ონტოლოგია და აღდგომის პოეტიკა)

121 Nona Kupreishvili
ნონა კუპრეიშვილი
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Two Authors and Two Different Comprehensions of the War Concept
(Based on "The Escaped from Paradise" by B. Kurkhuli and "The War" by A. Kikodze)
ორი ავტორი და ომის კონცეპტის ორი განსხვავებული ხედვა
(ბ. ქურხულის „სამოთხიდან გაქცეულებისა" და ა. ქიქოძის „ომის" მიხედვით)

123 Nestan Kutivadze
ნესტან კუტივაძე
Georgia, Kutaisi
საქართველო, ქუთაისი
The Memory of War as Trauma and Adventure
(Lado Sulaberidze's *Tskhadsizmariana* / *Between Dream and Reality*)
ომის მეხსიერება როგორც ტრავმა და თავგადასავალი
(ლადო სულაბერიძე „ცხადსიზმარიანა")

124 Natia Kvachakhidze
ნათია ქვაჩახიძე
Georgia, Kutaisi
საქართველო, ქუთაისი
Representing War Trauma: Ernest Hemingway's Short Fiction and Its Georgian Translations

125 Manana Kvataia
მანანა კვატაია
Tbilisi, Georgia
საქართველო, თბილისი
Death of a Hero: Requiem for a Lost Generation of All Time
„გმირის სიკვდილი" – ყველა დროის დაკარგულ თაობათა რექვიემი

127 Nino Kvirikadze
ნინო კვირიკაძე
Georgia, Kutaisi
საქართველო, ქუთაისი
Details of War and Peace in Saša Stanišić's Novel "Origin"
ომისა და მშვიდობის დეტალები საშა სტანიშიჩის რომანში „წარმოშობა" („Herkunft")

128 Nino Kvitashvili
ნინო კვიტაშვილი
Tbilisi, Georgia
საქართველო, თბილისი
Main Aspects and Tendencies in International Media Discourse on the Russo-Ukrainian War
(According to Rustavi 2 Broadcasting Company, the American television channel The Fox News, and the Russian-language independent TV channel Dozhd)
რუსეთ-უკრაინის ომის შესახებ საერთაშორისო მედიადისკურსის ძირითადი ასპექტები და ტენდენციები (საქართველოს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2"-ის, ამერიკული სატელევიზიო არხის, Fox News-ის და რუსულენოვანი დამოუკიდებელი ტელეკომპანია „დოჟდის" მიხედვით)

130 Jurate Landsbergyte-Becher
Lithuania, Vilnius
Betwen War and Peace: Contwmporary Reflections About "After War" in Lithuanian Literary and Political Context

131 Salome Lomouri
სალომე ლომოური
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
The Perception of War and Peace in Mirza Gelovani's Front-line Poetry
ომისა და მშვიდობის განცდა მირზა გელოვანის ფრონტის ლირიკაში

132 Kakhaber Loria
კახაბერ ლორია
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
War and its Attendant Problematics in Rezo Cheishvili's Work – „Music in the Wind"
ომი და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა რეზო ჭეიშვილის თხზულებაში – „მუსიკა ქარში"

134 Yordan Lyutskanov
Bulgaria, Sofia
The Aesthetic Relevance of Processing, Experiencing and Anticipating War:
Russian Anti-Bolshevik Émigrés in Bulgaria, 1919-1943

134 Khvtiso Mamisimedishvili
ხვთისო მამისიმედიშვილი
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Mechanisms of Sacred Regulation of Armed Conflicts in the Oral Tradition of the Eastern Georgian Mountains
შეიარაღებული კონფლიქტების საკრალური რეგულირების მექანიზმები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ზეპირსიტყვიერ ტრადიციაში

136 Esma Mania, Ketevan Khitarishvili
ესმა მანია, ქეთევან ხითარიშვილი
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Retrospective Reflections of the World Wars in the Personal Archives of Public Figures
მსოფლიო ომების რეტროსპექტული ანარეკლი საზოგადო მოღვაწეთა პირად არქივებზე

138 Irene Manizhashvili
ირინე მანიჟაშვილი
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Linguistic Representation of War and Psycholinguistic Markers in Tamta Melashvili's Novel *Counting Out*
ომის ენობრივი რეპრეზენტაცია და ფსიქოლინგვისტური მარკერები თამთა მელაშვილის რომანში „გათვლა"

140 Yanis Manukyan
Russia, Saint Petersburg
Olfactory Poetics of War
(Cognitive-Semiotic Approach)

140 Tehmina Marutyan
Armenia, Yerevan
Between Memory and Alienation: The Existential Experience of Exile in Lebanese-Armenian Prose of the 1960s–1980s

141 Davit Maziashvili
დავით მაზიაშვილი
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
The War Children – Stoppard and Ballard
ომის შვილები - სტოპარდი და ბალარდი

142 Nona Maziashvili
ნონა მაზიაშვილი
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Fragmented Identities and Unstable Memory: Trauma and Displacement in Ishiguro and Vardiashvili
დანაწევრებული იდენტობა და არასტაბილური მეხსიერება – ტრავმა და კულტურული დისლოკაცია იშიგუროსა და ვარდიაშვილის რომანებში

143 Tataana Megrelishvili
Georgia, Tbilisi
The Trauma of War and Modalities of Overcoming It in Lyudmila Ulitskaya's Novel *Daniel Stein, Interpreter*

144 Darejan Menabde
დარეჯან მენაბდე
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
War Against War – Bertha von Suttner for Peace
ომი ომის წინააღმდეგ – ბერტა ფონ ზუტნერი მშვიდობისათვის

146 Lili Metreveli, Tata Oboladze
ლილი მეტრეველი, თათა ობოლაძე
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Conflict, Dialogue, and Literature: Guram Odisharia's Narrative of Peace
კონფლიქტი, დიალოგი და ლიტერატურა: გურამ ოდიშარიას მშვიდობის ნარატივი

147 Nino Mindiashvili
ნინო მინდიაშვილი
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Representation of War in the Literary Texts of Georgian and Ossetian Women Writers
ომის რეპრეზენტაცია ქართველ და ოს ქალ ავტორთა მხატვრულ ტექსტებში

148 Mariam Miresashvili
მარიამ მირესაშვილი
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
The Abkhazian Paradigm: Woman as a "Witness" in the Literary Discourse of the Abkhazian War
აფხაზეთის პარადიგმა: ქალი, როგორც „მოწმე“ აფხაზეთის ომის ლიტერატურულ დისკურსში

150 Irine Modebadze
ირინე მოდებაძე
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
A Lost Childhood: Features of Transmutation
(Nugzar Shataidze. “Traveling in Africa” → “*The Other Bank*”)
წართმეული ბავშვობა: ტრანსმუტაციის თავისებურებანი
(ნუგზარ შატაიძე. „მოგზაურობა აფრიკაში“ → „გაღმა ნაპირი“)

152 Ketevan Nadareishvili, Manana Pkhakadze, Giorgi BarnabiSvili
ქეთევან ნადარეიშვილი, მანანა ფხაკაძე, გიორგი ბარნაბიშვილი
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Reimagining East-West Conflict: The Modern Theatrical Receptions of Aeschylus' “Persians”
აღმოსავლეთისა და დასავლეთის კონფლიქტის გადააზრება: ესქილეს „სპარსელების“ თანამედროვე თეატრალური რეცეფციები

154 Aleksandra Naróg
Poland , Krakow
Is There a Hot War in the Tap?”: A Comparative Reading of a Poem by Iya Kiva

154 Avtandil Nikoleishvili
ავთანდილ ნიკოლეიშვილი
Georgia, Kutaisi
საქართველო, ქუთაისი
Russia’s Annexation of Georgia in 1921 and Georgian Literature of the Time
რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია 1921 წელს და იმდროინდელი ქართული მწერლობა

156 Dr Zorica Bečanović Nikolić
Serbia, Belgrade
War, Media, Dystopia and Utopia in Peter Handke's Works *Journey in Dugout Canoe or a Script for Film on War* (1999) and *Crossing the Sierra de Gredos* (2002)

156 Tatiana Nikolskaya
Russia, St. Petersburg
The Reflection of the Balkan War and Post-war Syndrome in the Life and Work of Dubravka Ugrešić

157 Nataliia Nikoriak, Aliona Matiychak
Ukraina, Chernivtsi
The Discourse of War in Contemporary Ukrainian Cinema: A Genre-Thematic Perspective

158 Khatuna Nishnianidze
ხათუნა ნიშნიანიძე
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
War, Battle, Peace, and Unity in Ancient Georgian Literature: Theological-Philological Meaning and Cultural Memory
ბრძოლა, ომი, მშვიდობა და ერთობა ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში: თეოლოგიურ-ფილოლოგიური საზრისი და კულტურული მეხსიერება

160 Manana Nizharadze
მანანა ნიჟარაძე
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Trauma, Transnational Memory, and Women's Voices: Interpreting Hybrid Narratives of Political Repression in Post-Soviet Literature
ტრავმა, ტრანსნაციონალური მეხსიერება და ქალთა ხმები: ომისა და პოლიტიკური რეპრესიების ჰიბრიდული ნარატივების ინტერპრეტაცია პოსტსაბჭოთა ლიტერატურაში

161 Ilze Olehnovica
Latvia, Daugavpils
War in the Prose of Friedrich Gorenstein

162 Gül Mükerrem Öztürk
გიულ მუქერრემ ოზთურქი
Turkey, Rize
თურქეთი, რიზე
The Experience of Meskhetian Turks in Georgian Literary Discourse: Exile, Cultural Memory and Identity
მესხი თურქების გამოცდილება ქართულ ლიტერატურულ დისკურსში: გადასახლება, კულტურული მეხსიერება და იდენტობა

163 Salome Pataridze, Tea Talakvadze
სალომე პატარიძე, თეა თალაკვაძე
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Gendered Signs of Silence in Georgian Literature of the 1990s
დუმილის გენდერული ნიშნები 90-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში

165 Nino Popiashvili
ნინო პოპიაშვილი
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
The Deheroization of War and Women's Memory: Representations of Human War Experience in Literature and Oral Histories
ომის დეჰეროიზაცია და ქალთა მეხსიერება: ომის ადამიანური გამოცდილების რეპრეზენტაცია ლიტერატურასა და ზეპირ ისტორიებში

167 Ana Rakovec
Slovenia, Ljubljana
Hidden Aspects of War in Selected Contemporary Slavic Narratives by Maruša Krese and Slavenka Drakulić

167 Shorana Shamanadze
შორენა შამანაძე
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
The Reception of War and Exile in the New 'Weltliteratur'
"The Book of Exodus" by Irakli Kakabadze and "City of Jasmine Gott ist nicht schüchtern" by Olga Gryaznova
ომისა და დევნილობის რეცეფცია ახალ „Weltliteratur"-ში
ირაკლი კაკაბაძის „გამოსვლის წიგნი" და ოლგა გრიაზნოვას „ღმერთი არაა ხათრიანი"

169 Tamar Sharabidze, Tamar Tsitsishvili
თამარ შარაბიძე, თამარ ციციშვილი
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
The Theme of War in 19th Century Georgian Drama
ომის თემატიკა XIX საუკუნის ქართულ დრამატურგიაში

170 Alla Sazhyna
Ukraine, Chernivtsi
The Theme of War in Media Texts: Case Studies of Micro-poetry and Video Advertisements

171 Dr Ben Screech
UK
Of Butterflies and Bombs: Children's Literature and the Ukraine War

172 Ketevan Sikharulidze
ქეთევან სიხარულიძე
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
The War of the Gods as a Necessary Stage in the Establishment of Cosmic Order
ღვთაებათა ომი როგორც კოსმოგონიური წესრიგის დამყარების აუცილებელი ეტაპი

173 Natia Sikharulidze
ნათია სიხარულიძე
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
The Theme of War and Peace in Galaktion Tabidze's Poetic Reception
ომისა და მშვიდობის თემა გალაკტიონ ტაბიძის პოეტურ რეცეფციაში

175 Mari Simonishvili
მარი სიმონიშვილი
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Biographical Context as the Basis of the Story – Givi Margvelashvili's "Captain Vakushi"
ბიოგრაფიული კონტექსტი, როგორც სიუჟეტის საფუძველი – გივი მარგველაშვილის „კაპიტანი ვაკუში“

176 Marine Sioridze
მარინე სიორიძე
Georgia, Batumi
საქართველო, ბათუმი
Narrative Construction of the Post-War Existential Crisis in European and Georgian Literature: Representations of Trauma, Memory and Identity
ომის შემდგომი ეგზისტენციალური კრიზისის ნარატიული კონსტრუქცია ევროპულ და ქართულ ლიტერატურაში: ტრავმის, მეხსიერებისა და იდენტობის რეპრეზენტაცია

178 Hayate Sotome
Japan, Tsukuba
The Theme of the Road in Aleksandre Qazbegi's *Elguja*

178 Vladislav Surkov
Russian Federation, Moscow
War and Violence in Göran Sonnevi's Poetics of Light and Darkness: *Sequences Against Omega*

179 Nino Surmava
ნინო სურმავა
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Narratives of Peace Between Two Worlds: The Literary Legacy of Ameen Rihani
მშვიდობის ნარატივები ორ სამყაროს შორის: ამინ არ-რეიჰანის ლიტერატურული მემკვიდრეობა

181 Maka Susareishvili
მაკა სუსარეიშვილი
Georgia, Kutaisi
საქართველო, ქუთაისი
Traumatic Memory and the Erosion of Moral Identity in Hakan Günday's Novel "Daha" (More)
ტრავმული მეხსიერება და მორალური იდენტობის რღვევა ჰაკან გუნდაის რომანში „მეტი"

182 Solomon Tabutsadze
სოლომონ ტაბუცაძე
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
The Narrative Transformation of War: From Lived Experience to the Construction of Memory and Myth
(Based on Beka Kurkhuli's texts Ukrainian Days and Notes of the Sightless Kipchak, or Desht-i Kipchak)
ომის ნარატიული ტრანსფორმაცია – გამოცდილებიდან მეხსიერებისა და მითის კონსტრუირებამდე
(ბექა ქურხულის ტექსტების – „უკრაინული დღეებისა" და „თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანაწერები ანუ დეშთი-ყიფჩაღის" მიხედვით)

183 Miranda Tkeshelashvili
მირანდა ტყეშელაშვილი
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
The Literary Representation of the Experience of War in 21st-Century Georgian Short Fiction
ომის გამოცდილების მხატვრული რეპრეზენტაცია 21-ე საუკუნის ქართულ მოთხრობაში

184 Nana Tonia
ნანა ტონია
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Between War and Human Dignity
(The Ancient Myth in Heiner Müller's Play "Philoctetes")
ომსა და ადამიანურ ღირსებას შორის
(ანტიკური მითი ჰაინერ მიულერის პიესაში „ფილოქტეტესი")

186 Lia Tsereteli
ლია წერეთელი
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
The Construction of the Enemy and the Teleology of War in The Knight in the Panther's Skin and the Historiography of the Georgian Chronicles (Kartlis Tskhovreba)
ომის საზრისი და მტრის ხატი „ვეფხისტყაოსანსა" და „ქართლის ცხოვრების" მემატიანეთა თხრობაში

187 Maia Tsertsvadze
მაია ცერცვაძე
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Wars and Warriors in the Works of Nikoloz Baratashvili
ომები და მეომრები ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში

189 Tengiz Tsimnaridze
თენგიზ ციმნარიძე
Georgia, Batumi
საქართველო, ბათუმი
Georges Bataille's *The Accursed Share*: General Economy and War
ჟორჟ ბათაის „წყეული წილი“ : ზოგადი ეკონომიკა და ომი

191 Zoia Tskhadaia
ზოია ცხადაია
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Concepts of War and Peace in the Poetic Narratives of Georgian War Poets
(I. Noneshvili, M. Lebanidze, L. Sulaberidze)
ომისა და მშვიდობის კონცეპტები ომგადახდილთა პოეტურ ნარატივში
(ი. ნონეშვილი, მ. ლებანიძე, ლ. სულაბერიძე)

193 Koba Tsurtsumia
კობა წურწუმია
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
The Reception of War in Anthony Doerr's novel "All the Light We Cannot See"
ომის რეცეფცია ენტონი დოერის რომანში „ნათელი, რომელსაც ვერ ვხედავთ“

194 Marina Turashvili
მარინე ტურაშვილი
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
The Abkhazian War from the Perspective of Internally Displaced Women
(Based on Oral Histories)
აფხაზეთის ომი იძულებით გადაადგილებული ქალების პერსპექტივიდან
(ზეპირი ისტორიების მიხედვით)

196 Marina Turava
მარინა ტურავა
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Contemporary Woman Writers about War
თანამედროვე ქალი ავტორები ომზე

197 Manana Turiashvili
მანანა ტურიაშვილი
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
მიხეილ თუმანიშვილის სპექტაკლის „ამფიტრიონ 38“ დადგმის მიზეზები
The Reasons Behind Mikheil Tumanishvili's Staging of *Amphitryon 38*

199 Rusudan Turnava
რუსუდან თურნავა
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
Georgian Translations of the Works by Hervé Bazin and Emmanuel Roblès on the Theme of War and Violence
(“A Fire Devours Another Fire”, "On the Heights of the City")
ერვე ბაზენისა და ემანუელ რობლესის ომისა და ძალადობის თემაზე შექმნილი ნაწარმოებები ქართულად
(„ერთ ცეცხლს გაანელებს მეორე ცეცხლი“, „ქალაქის აღმართებზე“)

201 Alyona Tychinina
Ukraina, Chernivtsi
The Therapeutic Potential of Prayer in the Postwar Narratives of Ernest Hemingway’s Short Fiction

201 Nino Vakhania
ნინო ვახაია
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
The Deheroization of War in Bertha Von Suttner's Novel "Down with the Guns!"
ომის დეჰეროიზაცია ბერტა ფონ ზუტნერის რომანში „ძირს იარაღი!“

203 Mariam Vashsakmadze
მარიამ ვაშაყმაძე
Georgia, Batumi
საქართველო, ბათუმი
Negative Peace as a Collective Psychosis: The Suppression of Moral Conflict in George Saunders’s "The Semplica Girl Diaries"
ნეგატიური მშვიდობა, როგორც კოლექტიური ფსიქოზი: მორალური კონფლიქტის ჩახშობა ჯორჯ სონდერსის მოთხრობაში „დღიურის ჩანაწერები სემპლიკა გოგონებზე“

204 Elina Vasiljeva
Latvia, Daugavpils
The Holocaust and World War II in Contemporary Latvian Literature: Māris Bērziņš’ Novel “Taste of Lead”

205 Lali Zakaradze
Georgia, Batumi
საქართველო, ბათუმი
The Metaphysics of War and the Crisis of Culture: The Origins of the Philosophy of War in Early 20th-Century Georgian Thought (Grigol Robakidze and Dimitri Uznadze)
ომის მეტაფიზიკა და კულტურის კრიზისი: ომის ფილოსოფიის საწყისები XX საუკუნის დასაწყისის ქართულ აზროვნებაში (გრიგოლ რობაქიძე და დიმიტრი უზნაძე)

206 Elizabed Zardiashvili
ელისაბედ ზარდიაშვილი
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
The Unpublished Writings of Akaki Tsereteli and Aleksandre Kazbegi as a Sharp Weapon Against the Enemy
აკაკი წერეთლისა და ალექსანდრე ყაზბეგის გამოუქვეყნებელი თხზულებები – მტერთან ბრძოლის ბასრი იარაღი

208 Natia Zoidze, Bacho Shurghaia
ნათია ზოიძე, ბოჩო შურღაია
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი
War as an Enabler of Societal Deconstruction, Reconstruction and the Threat of Ultimate Decay in the Creations of Contemporary Georgian Artists
ომი როგორც საზოგადოების დეკონსტრუქცია, რეკონსტრუქცია და საბოლოო დაცემის საფრთხე თანამედროვე ქართველი ხელოვანების შემოქმედებაში

Tamar Abramishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

Poetics of the Everyday – as a Strategy for Representing War Trauma – in Tamri Pkhakadze's Story "A Garden in a Conflict Zone"

In contemporary research, understanding the experience of war increasingly goes beyond the boundaries of military history and political discourse and focuses on the everyday experience of the individual. The real impact of conflict is most clearly manifested in the disruption of everyday life, the semantic transformation of space, and the change in everyday practice. In this context, Tamri Pkhakadze's story "A Garden in a Conflict Zone" is of particular interest, in which the theme of war is presented not through a direct description of military actions, but through the poetics of the everyday.

The aim of the study is to reveal how the poetics of the everyday functions as a strategy for representing war trauma, and through what artistic means the author manages to convey the experience of conflict.

It is noteworthy that the conflict in the story is not presented in the form of a military chronicle. Special attention is paid to the poetics of space. The author focuses on the microcosm where people try to maintain the daily routine of life. In the story, the village, house, and vegetable garden appear as symbols of the homeland, cultural memory, and national identity. In wartime, tending the vegetable garden and connecting with the land become symbolic acts that express the continuity of human existence and the desire to survive.

The analysis of the story reveals that trauma in the text is mostly manifested indirectly, through changes in daily practice and transformations in the perception of space. The war zone is presented as a liminal space where peaceful life is constantly under threat. In this situation, everyday actions acquire special significance, becoming forms of resistance and self-identification. This is how the author manages to humanize the war experience and shift attention from political discourse to the emotional and existential state of the individual.

The story "A Garden in a Conflict Zone" echoes the trend in contemporary world literature that places fragments of everyday life, rather than heroic narratives, at the center of the representation of war. In the work, everyday life becomes a mechanism for expressing trauma, preserving memory, and protecting cultural identity.

Keywords: poetics of everyday life, war, trauma, representation

თამარ აბრამიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

ყოველდღიურობის პოეტიკა – როგორც ომის ტრავმის რეპრეზენტაციის სტრატეგია – თამრი ფხაკაძის მოთხრობაში „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“

თანამედროვე კვლევებში ომის გამოცდილების გააზრება სულ უფრო მეტად სცილდება სამხედრო ისტორიისა და პოლიტიკური დისკურსის საზღვრებს და ყურადღებას ამახვილებს პიროვნების ყოველდღიურ გამოცდილებაზე. კონფლიქტის რეალური გავლენა ყველაზე მკაფიოდ სწორედ ყოფითი ცხოვრების რღვევაში, სივრცის სემანტიკურ ტრანსფორმაციასა და ყოველდღიური პრაქტიკის ცვლილებაში ვლინდება. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თამრი ფხაკაძის მოთხრობა „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“, რომელშიც ომის თემატიკა წარმოდგენილია არა სამხედრო მოქმედებების უშუალო აღწერის, არამედ ყოველდღიურობის პოეტიკის მეშვეობით.

კვლევის მიზანია, გამოავლინოს, როგორ ფუნქციონირებს ყოველდღიურობის პოეტიკა, როგორც ომის ტრავმის რეპრეზენტაციის სტრატეგია, და რა მხატვრული საშუალებებით ახერხებს ავტორი კონფლიქტის გამოცდილების გადმოცემას.

ნიშანდობლივია, რომ მოთხრობაში კონფლიქტი არ არის წარმოდგენილი სამხედრო ქრონიკის სახით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სივრცის პოეტიკას. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ მიკროსამყაროზე, სადაც ადამიანები ცდილობენ ცხოვრების ყოველდღიური რუტინის შენარჩუნებას. მოთხრობაში სოფელი, სახლი, ბოსტანი სამშობლოს, კულტურული მეხსიერებისა და ეროვნული იდენტობის სიმბოლოებად გვევლინება. ომის პირობებში ბოსტნის მოვლა და მიწასთან კავშირი იქცევა სიმბოლურ აქტად, რომელიც ადამიანის არსებობის უწყვეტობასა და გადარჩენის სურვილს გამოხატავს.

მოთხრობის ანალიზი ცხადყოფს, რომ ტრავმა ტექსტში უმეტესად ირიბად, ყოველდღიური პრაქტიკის ცვლილებითა და სივრცის აღქმის ტრანსფორმაციით ვლინდება. ომის ზონა წარმოდგენილია როგორც ლიმინალური სივრცე, სადაც მშვიდი ცხოვრება მუდმივად საფრთხის ქვეშ დგას. ამ ვითარებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ყოველდღიური ქმედებები, რომლებიც წინააღმდეგობისა და თვითიდენტიფიკაციის ფორმებად იქცევა. სწორედ ამ გზით ახერხებს ავტორი ომის გამოცდილების ჰუმანიზაციას და ყურადღების გადატანას პოლიტიკური დისკურსიდან პიროვნების ემოციურ და ეგზისტენციალურ მდგომარეობაზე.

მოთხრობა „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ ეხმიანება თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის იმ ტენდენციას, რომელიც ომის რეპრეზენტაციის ცენტრში აყენებს არა გმირულ ნარატივს, არამედ ყოველდღიური ცხოვრების ფრაგმენტებს. ნაწარმოებში ყოველდღიურობა იქცევა, ტრავმის გამოხატვის, მეხსიერების შენარჩუნებისა და კულტურული თვითმყოფადობის დაცვის მექანიზმად.

საკვანძო სიტყვები: ყოველდღიურობის პოეტიკა, ომი, ტრავმა, რეპრეზენტაცია

Medea Abulashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Georgia, Tbilisi

Fear as an Anthropological Code of War, Trauma and Identity Crisis in Antonis Samarakis' „Sign of Danger“

The interpretation of the novel extends beyond a purely psychological approach and offers a cultural and political understanding of fear and trauma. In the text, trauma is not presented only as a consequence of past violence; rather, it emerges as anticipation – an event that has not yet occurred but is already experienced psychologically. This can be understood as a “future trauma,” a feared catastrophe that destabilizes the individual before it becomes reality.

An important aspect of the novel is the contagious nature of trauma. Fear spreads from one individual to another, creating a collective psychological condition that resembles an emotional epidemic. In this process, the media plays a crucial role. The radio, as the main source of information in the novel, is not a neutral medium; it actively participates in shaping reality by accelerating the circulation of fear and intensifying its effects. In this respect, Samarakis anticipates contemporary discussions about the relationship between media, fear, and trauma.

For the protagonist, the possibility of war becomes so real that he behaves as if the war has already begun. Fear is no longer a reaction to an event but a condition that precedes it. This creates a hyperreal state in which anticipation becomes more powerful than reality itself. As a result, fear functions as an alternative mode of reality and raises important ethical questions.

Therefore, *Danger Signal* offers a distinctive model of trauma narrative in which the focus shifts from lived experience to anticipation, fear, and the psychological realities they produce.

Keywords: Trauma, Fear, Anticipation, Media, Collective Consciousness.

მედეა აბულაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

შიში, როგორც ომის ანთროპოლოგიური კოდი, ტრავმა და იდენტობის კრიზისი ანტონის სამარაკისის „საფრთხის ნიშანში“

ახალი ბერძნული ლიტერატურის გამორჩეული წარმომადგენლის, მსოფლიო ომების შემდგომი თაობის მწერლის, UNICEF-ის კეთილი ნების ელჩის, 30-ზე მეტ ენაზე თარგმნილი ანდონის სამარაკისის პირველი რომანი „საფრთხის ნიშანი“ წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტექსტს, რომელიც განსაკუთრებული სიმწვავით იკითხება თანამედროვე გლობალური კრიზისების ფონზე. მოსალოდნელი ომის შიში თუ პოსტტრამვული ფობია, მედიის მიერ გავრცელებული კრიზისული ნარატივები და კოლექტიური შიშის ზრდა ქმნის კონტექსტს, სადაც ტექსტი ახალ სემანტიკურ დატვირთვას იძენს. ნაწარმოების ინტერპრეტაცია სცდება ფსიქოლოგიურ ჩარჩოს და გვთავაზობს შიშისა და ტრავმის კულტურულ-პოლიტიკურ გააზრებას. აქ ტრავმა არ არის მხოლოდ წარსულში განცდილი ძალადობის შედეგი; იგი წარმოიქმნება როგორც მოლოდინი, როგორც ჯერ არ მომხდარი, მაგრამ უკვე ფსიქიკურად რეალიზებული კატასტროფა. ეს არის „მომავლის ტრავმა“, რომელიც ჯერ არ განხორციელებულა, მაგრამ უკვე ახდენს სუბიექტის ფსიქიკური სტრუქტურის დესტაბილიზაციას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ტრავმა ტექსტში იძენს ინფექციურ ხა-

სიათს. იგი არ შემოიფარგლება ერთი პერსონაჟით, ვრცელდება, გადადის სხვა სუბიექტებზე და ქმნის კოლექტიურ ფსიქიკურ მდგომარეობას – ერთგვარ ემოციური ეპიდემიას.

ამ პროცესში მედიის როლი გადამწყვეტია. რადიო, როგორც ინფორმაციის გამავრცელებელი ინსტრუმენტი, არ არის ნეიტრალური; იგი აქტიურად მონაწილეობს რეალობის კონსტრუირებაში. ტექსტში იგი მოქმედებს, როგორც მექანიზმი, რომელიც აჩქარებს შიშის გავრცელებას და აძლიერებს მის ზემოქმედებას. ამგვარად, სამარაკისი წინ უსწრებს თანამედროვე დისკუსიებს მედიის, შიშისა და ტრავმის ურთიერთობის შესახებ.

რომანის მთავარი პერსონაჟისთვის ომის შესაძლებლობა იმდენად რეალურია, რომ იგი უკვე მოქმედებს, თითქოს ომი დაწყებულია. შიში აღარ არის რეაქცია; იგი არის წინმსწრები ნიშანი. ეს ქმნის „ჰიპერრეალურ“ მდგომარეობას, სადაც მოლოდინი უფრო ძლიერია, ვიდრე ფაქტი. ამგვარად, შიში ფუნქციონირებს, როგორც რეალობის ალტერნატიული რეჟიმი და მჭიდროდ უკავშირდება ეთიკურ დილემებს. ამრიგად, სამარაკისის რომანი გვთავაზობს ტრავმის ნარატივის ახალ მოდელს, სადაც მთავარი აქცენტი გადადის არა მხოლოდ გადატანილ გამოცდილებაზე, არამედ მოლოდინზე, შიშზე და მათ მიერ წარმოქმნილ ფსიქიკურ რეალობაზე.

საკვანძო სიტყვები: ტრავმა, შიში, მოლოდინი, მედია, კოლექტიური ცნობიერება

Zaza Abzianidze, Ketevan Elashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

The Fate of Forgiveness – “War With Oneself ”
(Jemal Karchkhadze’s Publicism)

Within a formal academic framework, forgiveness is analyzed as a manifestation of religious consciousness that serves as a socio-psychological stabilizer, mitigating the escalation of conflict toward systemic collapse. The Georgian socio-political crisis of the 1990s – characterized by the Tbilisi Civil War and subsequent collective trauma – serves as a primary case study in the publicist works of Jemal Karchkhadze.

Karchkhadze’s discourse is defined by an analytical introspection and intellectual autonomy that allows for the examination of existential national crises through the lens of self-critique rather than external denunciation. Jemal Karchkhadze believed that the national or civic spirit of a writer has its own “cross to bear.” But at the end of the 20th century, unfortunately for us, most Georgian writers did not have such a responsibility or the charisma to save the nation from a fatal confrontation. However, the author notes a critical deficit in this moral leadership among late-20th-century Georgian writers, which contributed to the nation’s inability to avert fratricidal violence.

Thematic analysis suggests that civil war represents the most destructive form of human conflict, perpetuating the archetypal Cain-Abel cycle and institutionalizing a culture of "unforgiveness." For Karchkhadze, this serves as an ethno-moral critique of the nation's spiritual disorientation. He identifies the writer as the "moral backbone" of civil society, asserting that the trajectory of a nation's literature is inextricably linked to its political fate.

Ultimately, Karchkhadze argues that the collapse into civil war resulted from a deficit in "moral ecology" and a propensity for historical revisionism specifically, the tendency to externalize blame and obscure reality through rhetoric. He concludes that national reconciliation is unattainable without an

introspective "war with oneself," which he identifies as the essential prerequisite for the mechanism of forgiveness.

Key words: Civil War, Nation, Society, Forgiveness, Writer

ზაზა აბზიანიძე, ქეთევან ელაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

მიტევების ბედისწერა – „ომი საკუთარ თავთან“
(ჯემალ ქარჩხაძის პუბლიცისტიკა)

მიმტევებლობა რელიგიური ცნობიერების ერთგვარი გამოვლინებაა, რომელიც ანელებს სულიერ ამბოხს, რათა დაპირისპირების საბედისწერო სტიქიის წინაშე არ აღმოვჩნდეთ. გასული საუკუნის 90-იან წლებში სწორედ ეს გზა გაიარა ჩვენმა ქვეყანამ (თბილისის სამოქალაქო ომი, ძმათამკვლელი სისხლისღვრა და სულიერად დასახიჩრებული მთელი ერი...), რაც მთელი სიმძაფრით აისახა ჯემალ ქარჩხაძის პუბლიცისტიკაში.

საერთოდ, ამ ავტორისათვის დამახასიათებელია იმგვარი შინაგანი კულტურა და თვითკმარობა, რომ სავსებით თამამად შეუძლია თვითბრალდებით საუბარი ყველაზე საბედისწერო პრობლემებზეც კი, ოღონდ ყოველგვარი მამხილებელი პათოსის გარეშე. ალბათ იმიტომ, რომ ისტორიულ დისკურსში „ზნეობრივ გაკვეთილებს“ ხედავს. ჯემალ ქარჩხაძე თვლიდა, რომ მწერლის ეროვნულ თუ სამოქალაქო სულისკვეთებას თავისი „საზიდი ჯვარი“ აქვს. მაგრამ XX საუკუნის მიწურულს, ჩვენდა სამწუხაროდ, ქართველ მწერალთა უმეტესობას არ აღმოაჩნდა მსგავსი პასუხისმგებლობა და არც ქარიზმა, რომ ერი ეხსნათ საბედისწერო დაპირისპირებისაგან.

აქვე არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ კაცობრიობის ისტორიამ არაერთი სასტიკი ომი იცის, მაგრამ ომთა შორის ყველაზე საშინელი მაინც სამოქალაქო ომია, რომელიც დღემდე აბელ-კაენის ბედისწერას იმეორებს და მიუტევებლობის მუხტს ამძაფრებს ნებისმიერ ერში.

ეს თემატიკა ჯემალ ქარჩხაძესთან ერთგვარ ეთნოზნეობრივ შეგონებას წარმოადგენს, რომლის წყალობითაც ქართველი ერის სულიერი გზააბნეულობა იკვეთება. მას გათავისებული ჰქონდა ის ელემენტარული ჭეშმარიტება, რომ მწერალი სამოქალაქო საზოგადოების უმთავრესი „ზნეობრივი ხერხემალია“. სწორედ ამიტომაცაა ჯემალ ქარჩხაძისათვის „მწერლობის ბედი ქვეყნის ბედის ნაწილი“. მას მიაჩნდა, რომ ჩვენს საზოგადოებაში „ზნეობის დაბინძურებამ კრიტიკულ წერტილს მიაღწია“, ხოლო ამ დროს „ზნეობის ეკოლოგიის“ საერთოდ არარსებობამ კი, – ჩვენი ერი სამოქალაქო ომამდე მიიყვანა, რომლის ყოვლისმომსპობი კვალი დღემდე იკვეთება ჩვენს საზოგადოებაში.

ეგებ იმიტომ, რომ როგორც ყოველთვის, ისტორიული რეალობა შევალამაზეთ, კარგად შევფუთეთ, თავისი სახელი არ დავარქვით და ყველაფერი გარეშე ძალებს დავაბრალეთ. შეიძლება იმიტომაც, რომ ყველაზე რთულია „ომი საკუთარ თავთან“, რომლის გარეშეც სრულიად წარმოუდგენელია მიმტევებლობის არსის შეცნობა.

საკვანძო სიტყვები: სამოქალაქო ომი, ერი, საზოგადოება, მიმტევებლობა, მწერალი

Ksenia Afonina
St. Petersburg University of Economics and Finance (Russia)
University of London (UK)

Art of the Second World War: Agents of Memory and History

This paper examines visual art of the Second World War through the dual lens of propaganda and historical documentation in the USSR and Great Britain. Drawing on selected examples, it explores similarities and differences in the state-sponsored systems established to commission, regulate, and monitor artistic production during the war. Particular attention is paid to the relationship between artistic practice, official ideology, and censorship in shaping public representations of the conflict.

Alongside official wartime art, the paper highlights the significance of "unofficial" artistic production as a repository of both individual and collective memory. While state-sanctioned works reflect institutional narratives and political objectives, unofficial artworks provide personal perspectives on wartime experience and preserve forms of memory often absent from official accounts.

The study argues that both official and unofficial art serve as valuable historical sources, revealing different dimensions of wartime reality and remembrance. Furthermore, unofficial art functions as a medium of intercultural memory and dialogue, offering an international visual language through which experiences of war can be communicated across national and temporal boundaries.

By considering artworks as agents of memory, the paper demonstrates how visual representations of the Second World War connect audiences to the past while simultaneously shaping understandings of the future. In doing so, it contributes to broader discussions on history, memory, and the cultural legacy of war.

Etsuko Aoyagi (Dr., Ms.)
Professor Emeritus, at University of Tsukuba
Japan, Tsukuba

Introduction to the Algerian Litterature: a Tradition Cultivated by Wars and Conflicts, Focusing on Boualem Sansal

Algeria is a country with a rich literary tradition. From the latest years of French colonial rule to the present day, numerous works have been written primarily in French. A defining characteristic of contemporary Algerian literature is its inseparable connection to the various hardships the country has continually endured: discriminations under the colonial rule, the brutal war of independence, the post-independence military dictatorship, widespread corruption and injustice in society, the rise of Islamic extremism, and the tragic civil war of the 1990s, known as the "Dark Decade." In this presentation, we will provide an overview of major works of contemporary Algerian literature and introduce the writer Boualem Sansal, who has confronted Algeria's harsh modern history head-on.

Boualem Sansal (1944-), a former high-ranking official in the Algerian government, made his literary debut in his fifties toward the end of the Algerian civil war, leveling scathing accusations against both the Algerian government and Islamic extremists. Since then, through his novels and essays, he has sound the alarm against the injustice of the Algerian government, the hypocrisy of European society, the threat of Islamic extremism especially in Europe, and the cowardice of weak citizen in the face of it. We will exami-

ne the solitary struggle of the writer as indomitable fighter for the freedom of expression, who has now become a great diplomatic and political issue between France and Algeria.

Keywords: Algerian Civil War, Post-colonialism, Francophonie literature, Anti-Islamism, Modern Enlightenment

Nana Arakhamia, Dariko Pipia
Sokhumi State University
Georgia, Tbilisi

Reflections on the Abkhazian War in Contemporary Georgian Poetry

Contemporary Georgian literature has been unequivocally drawn into the realm of cause-and-effect research on traumatic memory by the socio-political crisis that unfolded in the last decade of the twentieth century and the beginning of the twenty-first. The military subversion carried out in Abkhazia and Samachablo – a war instigated by a third party through the fanning of ethnic conflicts – left an indelible mark both on the hundreds of thousands of people living in displacement and on the everyday and cultural sensibilities of post-war generations. Georgian poetry has always served as a carrier of historical memory, to some extent functioning as an archive of history. This thematic and problematic acuity never diminished in Georgian poetry – neither during the quest for national freedom, nor during the wars and misfortunes that struck the country during its independence in the 1990s, which ultimately (and regrettably) concluded with the annexation of Georgian lands and the violation of the nation's identity. Reflecting the experiences, pain, and suffering of a generation bearing the traumatic memory of displacement – caused by the brutality of war – emerged as one of the central themes in contemporary Georgian poetry. Within the framework of the above considerations, we find it worthwhile to examine a range of questions: How is trauma represented in contemporary Georgian poetry? Specifically, how do two poets from different generations approach this? How does the experience of collective trauma manifest in poets who were direct witnesses of the military actions, compared to those who had no personal experience of war but joined the theme of war trauma through the truth observed from a distance? In our discussion, we draw upon poems gathered in the poetry collections of Geno Kalandia, Jano Janelidge, Shalva Bakuradze, Nata Varada, and Dali Tsaava – collections in which poetic narratives spread across the nation's collective trauma sharply reveal the artistic and psychological concepts arising from war.

The comparativist layers of this research allow us to define the different perspectives of the Abkhazian war paradigm, including the internal and external gaze. Our attention turns to the works of Abkhazian displaced poets – Geno Kalandia, Jano Janelidge, and Shalva Bakuradze – poets who were themselves eyewitnesses and participants in the military events taking place in Abkhazia; accordingly, their poetry is distinguished by deep psychological underpinnings and artistically striking imagery charged with emotionality. Evidence of this can be found in the poems printed in Geno Kalandia's book "Requiem": "A Displaced Man's Poem," "Antigone," "Conquistador," and others; in the poems united in Jano Janelidge's poetry collection "In Memory of That Spring": "The Longed-for Sea," "Sokhumi," "Abkhazia," and others; and in the poems included in Shalva Bakuradze's book "A Letter to Nino": "A Letter to Nino," "Fishing," "The Waves of the Sea," and others. The Abkhazian paradigm is echoed by Nata Varada – a female poet who, standing on the near side of the Enguri River and without direct connection to the events, protests the punitive act inflicted upon the nation: the expulsion of Georgians from their native land. In this article, we examine the poems included in the poetry collection "Postal Boxes": "We, the Displaced," "There Is a Letter

for You"; we also give due attention to the capriccios included in poet Dali Tsaava's latest collection "Pontus Euxinus" – an outstanding example and expression of traumatic memory.

In summarizing the material discussed in this article, we note that it makes clear: despite differences in age and visual distance from the war, all five poets are organically connected to the Abkhazian paradigm, and the firm code of identity reveals within each of them, with equal force, the representation of displacement created by the conflict. At the same time, it convinces the reader that traumatic memory caused by war is undeniably long-lasting and knows no boundaries in time or space.

Keywords: war, trauma, Abkhazia, identity, displaced.

ნანა არახამია, დარიკო ფიფია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

აფხაზეთის ომის რეფლექსია თანამედროვე ქართულ პოეზიაში

თანამედროვე ქართული მწერლობა მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში განვითარებულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა კრიზისმა ცალსახად მოაქცია ტრავმული მეხსიერების მიზეზ-შედეგობრივი კვლევის არეალში. აფხაზეთსა და სამაჩაბლოში განხორციელებულმა სამხედრო დივერსიამ, მესამე ძალის მიერ ეთნიკური კონფლიქტების გაღვივებით ინსპირირებულმა ომმა სამარადჟამო დაღი დატოვა როგორც დევნილობაში მყოფ ათიათასობით ადამიანზე, ასევე ომისშემდგომი თაობების ყოფით თუ კულტურულ მგრძნობელობაზე. ქართული პოეზია იმთავითვე წარმოადგენდა ისტორიული მეხსიერების მატარებელს, გარკვეულწილად – ისტორიის არქივს. აღნიშნული თემატური და პრობლემატური სიმწვავე ქართულ პოეზიას არც ეროვნული თავისუფლების ძიებისას განელებია და არც 1990-იან წლებში, ქვეყნის დამოუკიდებლობის დროს თავსდატეხილი ომებისა და უბედურების ჟამს, რაც საბოლოოდ (და, სამწუხაროდ) ქართული მიწების ანექსირებითა და ერის თვითმყოფადობის შელახვით დასრულდა. ომის სისასტიკით გამოწვეული ლტოლვილობის, ტრავმული მეხსიერების მატარებელი თაობის განცდებისა და ტკივილის ასახვა ერთ-ერთ ძირითად თემად გამოიკვეთა თანამედროვე ქართულ პოეზიაში. ზემოაღნიშნულ მოსაზრებათა ჭრილში საინტერესოდ მიგვაჩნია საკითხთა წრის განხილვა, თუ როგორ ხდება ტრავმის რეპრეზენტირება თანამედროვე ქართულ პოეზიაში; კონკრეტულად კი, ორი სხვადასხვა თაობის პოეტების მიერ; როგორ ვლინდება კოლექტიური ტრავმის განცდა იმ პოეტებში, რომლებიც საომარი მოქმედებების უშუალო მოწმენი აღმოჩნდნენ და მათში, ვისაც ომი პირადად არ შეხებია, მაგრამ შორიდან დანახული სიმართლით შეუერთდნენ ომის ტრავმის თემას. მსჯელობისას ვიმოწმებთ გენო კალანდიას, ჯანო ჯანელიძის, შალვა ბაკურაძის, ნატა ვარადას, დალი ცაავას პოეტურ კრებულებში გაერთიანებულ ლექსებს, რომლებშიც ერის კოლექტიურ ტრავმაზე განფენილი პოეტური ნარატივები მკვეთრად ავლენს ომით გამოწვეულ მხატვრულ-ფსიქოლოგიურ კონცეპტებს.

კვლევის კომპარატივისტული შრეები საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ აფხაზეთის ომის პარადიგმის სხვადასხვა ხედვის რაკურსი; მათ შორის, შიდა და გარე მზერა. ჩვენი ყურადღება მიემართება აფხაზეთელი დევნილი პოეტების – გენო კალანდიას, ჯანო ჯანელიძის, შალვა ბაკურაძის – შემოქმედებას; პოეტებისა, რომლებიც თავად იყვნენ აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოვლენების თვითმხილველნი და მონაწილენი; ამდენად, მათი პოეზიას გამოარჩევს ღრმა ფსიქოლოგიური წიაღსვლები და ემოციურობით გამორჩეული მხატვრული სახეები. ამის დადასტურებაა გენო კალანდიას წიგნში „რექვიემი“ დაბეჭდილი ლექსები: „დევნილი კაცის ლექსი“, „ანტიგონე“, „კონკვისტადორი“ და სხვა; ჯანო ჯანელიძის პოეტურ კრებულში „იმ გაზაფხულის მოსაგონებ-

ლად“ გაერთიანებული ლექსები: „მონატრებული ზღვა“, „სოხუმი“, „აფხაზეთი“ და სხვა; შალვა ბაკურაძის წიგნში „წერილი ნინოს“ შესული ლექსები: „წერილი ნინოს“, „თევზაობა“, „ზღვისა ღელვათა“ და სხვა. აფხაზეთის პარადიგმას ეხმიანება ნატა ვარადა - პოეტი ქალი, რომელიც ენგურს გამოღმა, მოვლენებთან უშუალო კავშირის გარეშე აპროტესტებს ერისთვის გამოტანილ სადამსჯელო აქტს – ქართველთა გამოდევნას მშობლიური მიწა-წყლიდან. სტატიაში განვიხილავთ პოეტურ კრებულში „საფოსტო ყუთები“ შესულ ლექსებს: „დევნილები ჩვენ“, „თქვენთან წერილია“; ასევე, სათანადო ყურადღებას ვუთმობთ პოეტ დალი ცაავას უკანასკნელ კრებულში „პონტოს ექვსინოსი“ შესული კაპრიჩიოები – ტრავმული მეხსიერების შესანიშნავი ნიმუში და გამოხატულებაა.

სტატიაში განხილული მასალის რეზიუმირებისას აღვნიშნავთ, რომ იგი ცხადყოფს: მიუხედავად განსხვავებული ასაკისა და ომისადმი მზერითი დისტანცირებისა, ხუთივე პოეტი ორგანულად უკავშირდება აფხაზეთის პარადიგმას და იდენტობის მყარი კოდი მათში თანაბარი სიმძლავრით ააშკარავებს კონფლიქტით შექმნილ დევნილობის რეპრეზენტირებას; იმავდროულად, არწმუნებს მკითხველს, რომ ომით გამოწვეული ტრავმული მეხსიერება უდავოდ ხანგრძლივია და მას დროსა და სივრცეში საზღვარი არ გააჩნია.

საკვანძო სიტყვები: ომი, ტრავმა, აფხაზეთი, იდენტობა, დევნილი.

Gia Arganashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

The Responsibility of Georgian Literature in the Deheroization of War, and in the Establishment of Ethics and Humanism

Our nation struggled for physical survival for centuries, acting on the level of instinct and habit against external enemies. During this time, Georgian literature had no time to deliberate on the ethical dimension of war, since in the Middle Ages our literature developed mostly within the circles of the military aristocracy.

Gradually, a heroization of language took place, patriotic lyric poetry became saturated with a martial spirit, and the obligation of self-sacrifice in wars and merciless battle against the enemy became entrenched in the educational system.

The first warning about the consequences of these endless, bloodshed-filled wars was sounded precisely within military circles. In the seventeenth century, the poet-king Archil made the famous warrior Baadur Tsitsishvili utter the words: "When the peasant is wiped out, Georgia shall be weakened!"

The peasant managed the agricultural household. Yet under conditions of universal conscription, he was still compelled to go to war, and in the event of his destruction, the very existence of Georgians as an ethnic unit was called into question.

In the eighteenth century, during the Battle of Krtsanisi, three hundred men from Aragvi united under the medieval motto "either life or victory" and bound by oath sacrificed themselves together against the enemy. For this reason, in the poem "The Fate of Kartli," Nikoloz Baratashvili proclaimed a new slogan for Georgia through the voice of King Erekle II, the foremost "general" of the Georgian army: "Now is the time, my Solomon, let Georgia know peace."

In the nineteenth century, the works of Ilia Chavchavadze and Vazha-Pshavela gave very sharp expression to the idea of tolerance. During this period, Christian ethics seemed to be reborn concerning the pardoning of the enemy, the respect for his valor, and the preservation of different cultural traditions.

After this, there were many military conscriptions within the Russian Empire to defend its borders. In one war alone, 400,000 Georgians perished, however, Georgian literature did not assess this tragedy as an existential threat, nor did it illuminate the role of culture in opposition to violence.

Our article concerns the responsibility of contemporary Georgian literature in the deheroization of war, and in the establishment of ethics and humanism at a time when the world faces the danger of nuclear war and now we, as a dependent country, have found ourselves drawn into military conflict more than once.

Keywords: literature, war, violence, deheroization, responsibility

გია არგანაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

ქართული ლიტერატურის პასუხისმგებლობა ომის დეჰეროიზაციაში, ეთიკისა და ჰუმანიზმის დამკვიდრებაში

ქართული ლიტერატურის პასუხისმგებლობა ომის დეჰეროიზაციაში, ეთიკისა და ჰუმანიზ-მის დამკვიდრებაში

საუკუნეების განმავლობაში ჩვენი ერი ფიზიკური გადარჩენისთვის იბრძოდა. ინსტინქტების და ჩვევების დონეზე მოქმედებდა გარეშე მტრის წინააღმდეგ. ამ ხნის განმავლობაში ქართულ ლი-ტერატურას არ ეცალა, რომ ომის ეთიკურ მხარეზე ემსჯელა, რადგან შუასაუკუნეებში ჩვენ ლიტე-რატურაც უმეტესად სამხედრო არისტოკრატიის წრეში ვითარდებოდა.

თანდათანობით მოხდა ენის ჰეროიზაცია, პატრიოტული ლირიკი სამხედრო სულისკვეთე-ბით გაიჟღინთა, ომებში თავგანწირვისა და მტერთან დაუნდობელი ბრძოლის ვალდებულებამ აღმზრდელობით სისტემაში დაიმკვიდრდა თავი .

პირველი გაფრთხილება ამ გაუთავებელი სისხლსმღვრელი ომების შედეგებზე სწორედ სამ-ხედრო წრეში გაისმა, მეჩვიდმეტე საუკუნეში მეფე-პოეტმა არჩილ მეფემ ცნობილ მებრძოლს ბაადურ ციციშვლს ათქმევინა: „„რა ამოწყდეს გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდეს“!

გლეხი კაცი მეურნეობას უძღვებოდა. თუმცა საყოველთაო გაწვევის პირობებში ომში წასვლა მაინც უწევდა და მათი განადგურების შემთხვევაში ქართველის, როგორც ეთნიკური ერთეულის ყოფნა არყოფნის საკითხს დგებოდა ეჭვქვეშ.

მეთვრამეტე საუკუნეში კრწანისის ომში შუასაუკუნეებრივი დევიზის „ან სიცოცხლე ან გამარჯვება“ და ფიცის ქვეშ გაერთიანებულმა სამასმა არაგველმა ერთიანად მტერს შეაკლა თავი. ამის გამო ნიკოლოზ ბარათაშვილმა პოემაში „ბედი ქართლისა“ ქართველი ჯარის უპირველესი „გენერლის“ და მეფის ერეკლე მეორის პირით გააცხადა ახალი საქართველოს სლოგანი: „ახლა კი დროა ჩემო სოლომონ, მშვიდობა ნახოს საქართველომა“.

მეცხრამეტე საუკუნეში ილია ჭავჭავაძისა, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ძალზე მძაფრად გამოიკვეთა შემწყნარებლობის იდეა. ამ პერიოდში თითქოს ხელახლა დაიბადა ქრისტიანული ეთიკა მტრის დანდობის, მისი ვაჟკაცობის პატივისცემის და სხვადასხვა კულტურული ტრადიცი-ების დაცვის შესახებ.

ამის შემდეგ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაშიც იყო მრავალი სამხედრო გაწვევა იმპერიის საზღვრების დასაცავად. მხოლოდ ერთ ომში 400 ათასი ქართველი დაეცა, თუმცა ქართულ ლიტერატურაში არ მოხდა ამ ტრაგედიის ეგზისტენციურ საფრთხედ შეფასება და კულტურის როლის გამოკვეთა ძალადობის წინააღმდეგ.

ჩვენი სტატია ეხება თანამედროვე ქართული ლიტერატურის პასუხისმგებლობას ომის დეჰეროიზაციაში, ეთიკისა და ჰუმანიზმის დამკვიდრებაში იმ პირობებში, როდესაც მსოფლიო ბირთვული ომის საშიშროების წინაშე დგას და ჩვენც, ამჯერად როგორც დამოკიდებელი ქვეყანა, უკვე არაერთხელ აღმოვჩნდით სამხედრო კონფლიქტში ჩათრეულნი..

საკვანძო სიტყვები: ლიტერატურა, ომი, ძალადობა, დეჰეროიზაცია, პასუხისმგებლობა

Maia Arveladze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

Nikoloz Baratashvili in the Grips of Military Bureaucracy

In geopolitically distinguished countries, the biographies of artists often attract particular scholarly attention. Georgia is one such country, and as time passes, the study of the life and work of the Georgian romantic poet Nikoloz Baratashvili becomes increasingly relevant. Baratashvili belonged to a nation conquered by a militarized state – the Tsarist Russian Empire. The most fruitful years of his creative life unfolded under the strict control of military bureaucracy, a circumstance that ultimately cost the young poet his life.

Imediately after entering Georgia, Russia first of all established control over the Georgian church. In 1801, Emperor Alexander I issued a manifesto abolishing the Kingdom of Kartli-Kakheti and annexing it to the Russian Empire. To ensure complete subjugation of the conquered country, the Tsarist government appointed military officials - field marshals, adjutants, major generals and distinguished veterans – to key administrative positions.

In 1835, N. Baratashvili began his service as an official in the Executive Expedition of the Supreme Government of Georgia. Shortly after his appointment, he was required to sign a declaration affirming that he had never been a member of a "secret organization" and promising not to join one in the future. After the suppression of the known uprising of 1832, the Russian authorities intensified their surveillance of the population, requiring all state officials to submit similar declarations of loyalty. However, this handwritten document was nothing compared to the monotonous bureaucratic protocols, checks and verifications that consumed much of the poet's daily life. Reports on disputes among the inhabitants of provinces and mazras, criminal records, copying of official documents, preparation of appeals and countless other routine administrative tasks left little room for creative expression.

On July 31, 1845, Baratashvili was appointed assistant to the head of the Elisavetpol gubernia (present-day Ganja). The increased workload, the harsh local climate, and the hardships of living far from his homeland and family appeared fatal for the poet. The military bureaucracy failed to suppress his philosophical and European-oriented lyricism but his health deteriorated rapidly, and on October 9, 1845, he died of malaria.

Keywords: Nikoloz Baratashvili, European orientation, conquered country, military bureaucracy, refugee

მაია არველაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

ნიკოლოზ ბარათაშვილი სამხედრო ბიუროკრატიის მარწუხებში

გეოპოლიტიკურად გამორჩეულ ქვეყნებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შემომქმედის ბიოგრაფიას. ასეთ ქვეყანას საქართველოც წარმოადგენს და, რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო აქტუალურია ქართველი რომანტიკოსი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ განვლილი ცხოვრების შესწავლა. ნ. ბარათაშვილი სამხედრო ორიენტაციის სახელმწიფოს – მეფის რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილი ქვეყნის შვილია. პოეტის შემოქმედების ყველაზე ნაყოფიერი წლები სწორედ სამხედრო ბიუროკრატიის მარწუხებში მოექცა, რამაც ახალგაზრდა შემომქმედის სიცოცხლე შეიწირა.

საქართველოში შემოსვლისთანავე რუსეთმა უპირველესად კონტროლი ეკლესიაზე განახორციელა. 1801 წელს მიღებული მანიფესტით იმპერატორმა ალექსანდრე I-მა გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო და შეუერთა რუსეთს. დაპყრობილი ქვეყნის ზედმიწევნითი დამორჩილებისათვის კი მეფის მთავრობა თანამდებობებზე სამხედრო გამოცდილების პირებს – გენერალ-ფელდმარშლებს, გენერალ-ადიუტანტებს, გენერალ-მაიორებსა და ომების დამსახურებულ მონაწილეებს ნიშნავდა.

1835 წელს ნ. ბარათაშვილმა მუშაობა დაიწყო საქართველოს უმაღლესი მთავრობის აღმასრულებელ ექსპედიციაში მოხელედ და მალევე დააწერინეს ხელწერილი, რითაც ფიცი დაადებინეს, რომ არასდროს ყოფილა „საიდუმლო ორგანიზაციის“ წევრი და პირობა ჩამოართვეს, რომ არც მომავალში გაწევრიანდებოდა მსგავს დაჯგუფებაში. 1832 წლის ცნობილი აჯანყების ჩახშობის შემდეგ რუსეთმა გაამკაცრა მოქალაქეებზე ზედამხედველობა და სახელმწიფო მოხელეებს მსგავსი ხელწერილების წარდგენა დაუწესა. მაგრამ ეს ხელწერილი არაფერია, იმ ბიუროკრატიული ოქმების შედგენას, შემოწმებასა და დამოწმებებთან შედარებით, რითიც იყო დაკავებული პოეტი. გუბერნიასა და მაზრებში მოსახლეობას შორის არსებული კონფლიქტების აღწერა, მკვლელობების დაფიქსირება, საკანცელარიო საბუთების გადაწერა, მიმართვების მოწესრიგება და, კიდევ ვინ მოსთვლის, რამდენი არაფრისმთქმელი და შემომქმედი ადამიანისათვის უინტერესო ტექსტი ტრიალებდა ბარათაშვილის თავში.

1845 წლის 31 ივლისს ნ. ბარათაშვილი დაამტკიცეს ელისავეტპოლის (დღევანდელი განჯა) მაზრის უფროსის თანაშემწედ. რაოდენობრივად მომატებული საქმე, ადგილობრივი მკაცრი კლიმატი და ლტოლვილთან გათანაბრებული ყოფა – მამულსა და ახლობლებს მოშორება – საბედისწერო აღმოჩნდა პოეტისათვის. სამხედრო ბიუროკრატიამ ვერაფერი დააკლო ევროპული ორიენტაციის ფილოსოფიურ ლირიკას, თუმცა ბარათაშვილს ჯანმრთელობა ნაადრევად შეურყია და 1845 წლის 9 ოქტომბერს ის მალარიით გარდაიცვალა.

საკვანძო სიტყვები: ნიკოლოზ ბარათაშვილი, ევროპული ორიენტაცია, დაპყრობილი ქვეყანა, სამხედრო ბიუროკრატია, ლტოლვილი

Nino Balanchivadze
Georgia, Tbilisi

Pain Turned into Words: The Ritual of Weeping in Georgian Folklore

"One of the greatest paradoxes of human existence is that at the moment of extreme pain, shock, and trauma, language, as a rule, becomes paralyzed. A person facing the most severe loss is often doomed to silence. However, where individual language is powerless, a unique mechanism of collective memory – folklore – comes into play.

The tragedy caused by war and the thirst for peace are revealed in Georgian traditional speech (folklore) in an extremely deep, multifaceted and existential context. The fate of the Georgian man has historically been constant defense and struggle, which created a two-sided, paradoxical, but completely natural mood in folk creativity: on the one hand, a heroic ethos (the necessity of war with a sword in hand) and, on the other, a feeling of war as an absolute evil, the greatest tragedy.

Georgian folk poetry looks at war not from a global political perspective, but through the prism of the pain of specific people – mother, sister, wife, friend. The tragedy of war here is a broken family hearth, a childless home, and endless mourning for those who died in the war. During mourning, the mourners (the speakers) in their weeping not only mourned a specific person, but also represented the terrible emptiness that the war left behind. For the Georgian man, war was not an ideal or an end in itself, but an imposed, inevitable fate for the preservation of freedom. The real ideal and the predominant thirst was always peace – "going to the fields," the tranquility of the garden, raising children and tending the vine. Folklore claims that war brings absolute destruction, and only peace and human compassion can restore the harmony of the world.

Keywords: ritual of mourning, Georgian folklore, heroic epos, existential pain, thirst for peace

ნინო ბალანჩივაძე
საქართველო, თბილისი

სიტყვად ქცეული ტკივილი: დატირების რიტუალი ქართულ ფოლკლორში

„ადამიანის არსებობის ერთ-ერთი უდიდესი პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ უკიდურესი ტკივილისა და ტრავმის მომენტში ენა, როგორც წესი, პარალიზდება. უმძიმესი დანაკარგის წინაშე მდგარი ადამიანი ხშირად დუმილისათვის არის განწირული. თუმცა, იქ, სადაც ინდივიდუალური ენა უძლურია, ირთვება კოლექტიური მეხსიერების უნიკალური მექანიზმი – ფოლკლორი.

ქართულ საწესჩვეულებო ზეპირსიტყვიერებაში დატირების რიტუალი არ არის უბრალო ემოციური აფეთქება ან გლოვის ქაოსური გამოხატულება. ეს არის უმძიმესი ფსიქოლოგიური ტრავმით მიღებული ტკივილის გაცნობიერებისა და, რაც მთავარია, ესთეტიზაციის უძველესი ფორმა. დატირების პროცესში ტრაგედია გარდაიქმნება მკაცრად სტრუქტურირებულ, რიტმულ და მაღალმხატვრულ ნარატივად. ტკივილი, რომელიც ადამიანს შიგნიდან ანადგურებს, „სიტყვად ქცეული", იღებს მეტაფორის სახეს და სულიერი გადარჩენის გზად იქცევა, რაც უმძიმესი სულიერი კრიზისის დაძლევის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

ომით გამოწვეული ტრაგედია და მშვიდობის წყურვილი ქართულ ტრადიციულ სიტყვიერებაში (ფოლკლორში) უაღრესად ღრმა, მრავალწახნაგოვან და ეგზისტენციალურ ჭრილში ვლინდება. ქართველი კაცის ხვედრი ისტორიულად მუდმივი თავდაცვა და ბრძოლა იყო, რამაც ხალხურ შემოქმედებაში ორმხრივი, პარადოქსული, მაგრამ სრულიად ბუნებრივი განწყობა შექმნა: ერ-

თი მხრივ, გმირული ეპოსი (ომის აუცილებლობა ხმლით ხელში) და, მეორე მხრივ, ომის, როგორც აბსოლუტური ბოროტების, უდიდესი ტრაგედიის განცდა.

ქართული ხალხური პოეზია ომს უყურებს არა გლობალური პოლიტიკური ჭრილით, არამედ კონკრეტული ადამიანების – დედის, დის, მეუღლის, მეგობრის – ტკივილის პრიზმაში. ომის ტრაგედია აქ არის მოშლილი ოჯახური კერა, უძეოდ დარჩენილი სახლ-კარი და დაუსრულებელი გლოვა. ომში დაღუპულთა გლოვის დროს მოტირალნი (მესიტყვენი) თავიანთ ტირილში არა მხოლოდ კონკრეტულ პიროვნებას მისტიროდნენ, არამედ წარმოაჩენდნენ იმ საზარელ სიცარიელეს, რომელიც ომმა დატოვა. ქართველი კაცისათვის ომი იყო არა იდეალი ან თვითმიზანი, არამედ თავსმოხვეული, გარდაუვალი ხვედრი თავისუფლების შესანარჩუნებლად. რეალური იდეალი და უპირატესი წყურვილი ყოველთვის იყო მშვიდობა – „ყანაში წასვლა“, კერიის სიმშვიდე, შვილების გაზრდა და ვაზის მოვლა. ფოლკლორი ამტკიცებს, რომ ომს მოაქვს აბსოლუტური ნგრევა, ხოლო სამყაროს ჰარმონიას მხოლოდ მშვიდობა და ადამიანური თანაგრძნობა აღადგენს.

საკვანძო სიტყვები: დატირების რიტუალი, ქართული ფოლკლორი, გმირული ეპოსი, ეგზისტენციალური ტკივილი მშვიდობის წყურვილი

Nunu Balavadze
St. Tbilisi Student – Youth House
Georgia, Tbilisi

Fear and Play in 21st Century Poetry

In Georgian poetry, these two phenomena – fear and play – are undergoing a particularly interesting transformation from the totalitarian experiences of the 20th century to the plural and individual self-expression of the 21st century. In 21st-century Georgian poetry these categories are already considered in an intimate, feminine, and personal context.

To create an overall picture, the report will review the poems of poets from the early 20th century (Shota Chantladze, Tamaz Badzaghua), later (Besik Kharanauli, Lia Sturua), and already in the 90s (Karlo Kacharava, Badri Gugushvili), as well as contemporary (Eka Kevanishvili, Lia Likokeli, Maia Sarishvili, Sofiko Kvantaliani, Zviad Ratiani, Dato Barbakadze, Shota Iatashvili).

If in the texts of Besik Kharanauli and Lia Sturua, fear is presented as an experience of a totalitarian system and play is presented as a form of resistance and a step towards freedom.

In the work of Shota Chantladze, Tamaz Badzaghua, Karlo Kacharava and Badri Gugushvili, fear often comes from Soviet ideological pressure, while play becomes a strategy of both irony and survival through language.

With contemporary authors (Dato Barbakadze, Zviad Ratiani, Maia Sarishvili, Eka Kevanishvili, Lia Likokeli, Sofiko Kvantaliani), fear is a metaphor for personal crises, historical traumas, gender discrimination, war, and social uncertainty.

And play, in this context, is transformed as a literary and metaphorical space that allows the author – and the reader – to transform this fear into a product of thought, irony, and imagination.

Keywords: contemporary poetry, transformation, an experience of a totalitarian system, Freedom, self-expression.

ნუნუ ბალავაძე
ქ. თბილისის მოსწავლე-ახალგაზდრობის სახლი
საქართველო, თბილისი

შიში და თამაში 21-ე საუკუნის პოეზიაში

ქართულ პოეზიაში ეს ორი ფენომენი – შიში და თამაში – განსაკუთრებით საინტერესო ტრანსფორმაციას განიცდის მე-20 საუკუნის ტოტალიტარული გამოცდილებიდან 21-ე საუკუნის პლურალურ და ინდივიდუალურ თვითგამოხატვამდე. 21-ე საუკუნის ქართულ პოეზიაში ეს კატეგორიები უკვე ინტიმურ, ფემინურ და პერსონალურ კონტექსტში განიხილება.

საერთო სურათის შესაქმნელად მოხსენებაში მიმოვიხილავთ როგორც მე-20 საუკუნის ადრინდელი პოეზიის (შოთა ჩანტლაძე, თამაზ ბაძაღუა), ისე მის შემდგომდროინდელ (ბესიკ ხარანაული, ლია სტურუა) და უკვე 90-იანი წლების (კარლო კაჭარავა, ბადრი გუგუშვილი) ასევე თანამედროვე (ეკა ქევანიშვილი, ლია ლიქოკელი, მაია სარიშვილი, სოფიკო კვანტალიანი,ზვიად რატიანი, დათო ბარბაქაძე, შოთა იათაშვილი) პოეტთა ლექსებსაც.

თუ ბესიკ ხარანაულისა და ლია სტურუას ტექსტებში შიში წარმოჩინდება, როგორც ტოტალიტარული სისტემის გამოცდილება და, ამავე დროს, როგორც პიროვნული და ფემინური ეგზისტენციის დაუძლეველი მდგომარეობა, ხოლო თამაში – როგორც წინააღმდეგობის ფორმა და თავისუფლებისაკენ გადადგმული ნაბიჯი.

შოთა ჩანტლაძის, თამაზ ბაძაღუას, კარლო კაჭარავასა და ბადრი გუგუშვილის შემოქმედებაში შიში ხშირად მოდის საბჭოთა იდეოლოგიური წნეხისგან, ხოლო თამაში იქცევა, როგორც ირონიის, ისე ენით გადარჩენის სტრატეგიად.

თანამედროვე ავტორებთან (დათო ბარბაქაძე, ზვიად რატიანი, მაია სარიშვილი, ეკა ქევანიშვილი, ლია ლიქოკელი, სოფიკო კვანტალიანი) პიროვნული კრიზისების, ისტორიული ტრავმების, გენდერული დისკრიმინაციის, ომისა და სოციალური განუსაზღვრელობის მეტაფორაა. თამაში კი ამ კონტექსტში გარდაიქმნება როგორც ლიტერატურული და მეტაფორული სივრცე, რომელიც საშუალებას აძლევს ავტორს – და მკითხველსაც – გადააქციოს ეს შიში აზროვნების, ირონიისა და წარმოსახვის პროდუქტად.

საკვანძო სიტყვები: თანამედროვე პოეზია, ტრანსფორმაცია, სისტემის გამოცდილება, თავისუფლება, თვითგამოხატვა

Tamar Barbakadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian iterature
Georgia, Tbilisi

On Galaktion Tabidze's Poem "***And Now *Adieu! See You Again!*"

Galaktion Tabidze's untitled poem ****And Now Adieu! See You Again!* is dated November 11, 1923; however, it was not published until 1966, when it appeared for the first time in the 12-volume academic edition of his works (vol. II, p. 122).

In this poem, the poet symbolically says goodbye to those of his verses that belong to what he regards as an "old era". He believes they won't be needed any more in the "new epoch" shaped by "revolutionary Georgia".

Two parting expressions – “Adieu” and “See you again!” – alternate throughout the poem. They may seem similar, yet they carry different semantic loadings. The first expresses a stronger sense of finality and emotional intensity, whereas the second is more optimistic, reinforced by the anticipation of seeing again.

In this context, he poet’s forced farewell to symbolist trends, figurative thought can be understood as an act of "enduring hardships with patience”. At the same time, these verses must have reached the reader, carrying a message of truth: "Let truth be your protector!"

In Akaki Khintibidze’s interpretation of G. Tabidze’s poem *The Book of Peace*, “peace” is understood as a quest for “truth”. According to this poem, peace means endurance of inevitable evil with patience – an “art of endurance” reflected in expressions such as “enduring life”, “the art of farewell”, “the science of parting”.

The meter of this poem, built on a symmetrical nine-syllable (3/3/3) rhythm and melodics is related to the prologue of the *Artistic Flowers*, particularly "The Autumn of Immaculate Conception" in the savannah of the Fathers”. The word "kamara" mentioned in the second stanza is also polysemantic, denoting both freedom and the dome of a temple.

The central idea of this poem is reflected in G. Tabidze's 1927 collection *Days are Passing One by One*, which the poet describes as a ghazal. In this piece of work, his personal tragedy becomes more explicit: "I have lost those rhymes, that fire, those books! / I have burned the manuscripts!.. The whirlwind carried away the mantle of poetry!" Galaktioni’s poem *** *And Now Adieu!* also resonates with the poem *See You Again!* written in 1941 by Giorgi Napetvaridze, a poet-soldier who died in World War II.

Keywords: farewell, symbolism, freedom, truth

თამარ ბარბაქაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „***ეხლა კი მშვიდობით! ნახვამდის!“ გარშემო

გალაკტიონ ტაბიძის უსათაურო ლექსი „***ეხლა კი მშვიდობით! ნახვამდის!“ ავტორის მიერ დათარიღებულია 1923 წლის 11 ნოემბრთ, თუმცა პირველად იგი მხოლოდ გ. ტაბიძის თხზულებათა 12-ტომეულის აკადემიურ გამოცემაში დაიბეჭდა 1966 წელს (ტ. II, გვ. 122).

სანალიზო ლექსის ავტორი ემშვიდობება თავის იმ ლექსებს, რომლებიც „ძველი ეპოქის“ კუთვნილებად უნდა დარჩეს რადგან ახალ დროს, „რევოლუციურ საქართველოს“, ისინი აღარ დასჭირდება.

ერთმანეთს ენაცვლება გამოსალმების, გამომშვიდობების გამომხატველი ორი სიტყვა: „მშვიდობით!“ „ნახვამდის!“ ისინი სინონიმები არ არის, რადგან სემანტიკურად სხვადასხვა დატვირთვა აქვს: პირველი უფრო დრამატულია, მეორე – უფრო იმედიანი, ნახვის მოლოდინით გაძლიერებული.

„მშვიდი“ სულხან-საბა ორბელიანის მიერ ასეა განმარტებული: „აუჩქარებელი და მომთმენო“. „ოდეს ჩვენ ბოროტი შეგვემთხვიოს და დავითმინოთ, ეს სიმშვიდე არს“.

სიმბოლისტურ სახეობრივ აზროვნებასთან იძულებით დამშვიდობება სწორედ რომ იყო „გაჭირვების ატანა მოთმინებით“, სმშვიდით. ეს ლექსები კი მკითხველამდე მაინც უნდა მისულიყვნენ: „მფარველად სიმართლე გყოლოდეთ!“

გ. ტაბიძის პოემის, „მშვიდობის წიგნის“, ერთ-ერთი ინტერპრეტაცია „მშვიდობის“, როგორც „სიმართლის“, ძიებას გულისხმობს (აკაკი ხინთიბიძე). საანალიზო ლექსის მიხედვით კი, მშვიდო-

ბა სიმშვიდე გარდაუვალი ბოროტების მოთმინებით ატანას, გაძლების ხელოვნებას გულისხმობს („სიცოცხლის გაძლება“, „გამოსალმების ხელოვნება“, „განშორების მეცნიერება“).

ამ ლექსის მეტრი, სიმეტრიული ცხრამარცვლედი (3/3/3) რიტმით, მელოდიური ჟღერადობით „არტისტული ყვავილების“ პროლოგს „შემოდგომა უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში უკავშირდება; მეორე ტაეპში ნახსენები სიტყვა „კამარაც“ პოლისემანტურია: თავისუფლებასაც გულისხმობს და ტაძრის გუმბათსაც.

საანალიზო ლექსის საზრისს ეხმაურება გ. ტაბიძის 1927 წლის კრებულის ლექსი „დღეს დღეები ეცლება“, რომელსაც პოეტი გაზელას უწოდებს. ეს ლექსი აზუსტებს პოეტის ტრაგედიას: „ის რითმები, ის ცეცხლი, ის წიგნები დავკარგე! / დავწვი ხელნაწერები!.. გრიგალმა გაიტაცა პოეზიის მანდილი!“

გალაკტიონის საანალიზო ლექსს ეხმიანება მეორე მსოფლიო ომში დაღუპული პოეტ-ჯარისკაცის, გიორგი ნაფეტვარიძის 1941 წლის დაწერილი ლექსი „ნახვმდის!“.

საკვანძო სიტყვები: მშვიდობით, ნახვამდის, სიმბოლისტური, თავისუფლება, სიმართლე

Lia (Liana) Basheleishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

Topos of the Enemy in the “Timekeeper”. Mongolian Context

“Timekeeper” is a prominent representative of Georgian historical writing (XIV), who writes the history of the Mongol invasions and their domination in the South Caucasus. The topos of the enemy, if we take into account the locus animus system established by Curtius, has its own characteristics in literature and, with one or another transformation, it passes from one work to another, from one cultural ecumenism to another cultural world. What is the image of an enemy of another faith, who enters your country with war, divides the entire kingdom into two parts, continues the feudal parcellation - the division of Georgia into ethnographic zones. Here, this "enemy", the people of the steppes, "foreign" nomadic herders who fundamentally shake the worldview of the agricultural Georgian indigenous population, its way of life, according to the chronicler, is not at all "hateful", terrible, on the contrary, the historian shows great empathy towards them. Non-Georgian historical sources unanimously testify that it was impossible to negotiate with the Mongol-Tatars, only submission to them would "cut them apart". According to the writings, the nomad does not know the border and boundary, the nomad does not build, but he is not a religious fanatic and, according to the chronicler, the Georgian church did not tax them either. They behaved the same way in Russia. (For comparison, the chronicler also describes the campaign of Lasha-Georgi in Ganja and uses the topos of the opponents in an extremely interesting way, with completely different characteristics, the manifestation of greed, the stopping of the enemy, empathy towards the opponent). It is clear that a foreign conqueror appeared in the form of the Mongols from the land of Chin Machin. With a foreign and unknown language, customs, anthropological indicators, clothing and food system. According to the chronicler, all wisdom was inherent in the Mongols, which is why they were wise, did not lie, and lived by the laws given by Genghis Khan. In the Mongol union, the chronicler singles out the Uyghurs separately, who are not Mongol, but Turkic peoples who were united in the Mongol union. In Georgian sources, this ethnonym is called Tatars. The historian also describes their twelve-year chronicle, and notes their monotheism, the cult of Tengre. How can the absence of a negative connotation

of the enemy in the work be explained?! Only by religious motives and providentialism. Allegedly, Jesus Christ appeared to Genghis Khan on one of the mountains, taught him everything, and promised to give him all the peoples and lands that he could conquer. According to the Chronicler, by the power of Christ, Genghis Khan captured 200 thousand Khata people and killed them, and their khan, Arslan, summoned him to his palace. The Lord sent the Mongols to the Georgians because of the sins of the Georgians. They are only a punishment and cannot be considered a punishment and cannot be considered in terms of the characteristics of the enemy topos. The enemy does not exist outside, the enemy is within oneself. We will analyze the historical narratives of the "Chronicler" against the background of the works of Rashid-ad-Din, which relate to the same period and also show typological similarities with the work under consideration.

ლია(ლიანა) ბაშელეიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

მტრის ტოპოსები „ჟამთააღმწერელთან". მონღოლური კონტექსტი

„ჟამთააღმწერელი" ქართული საისტორიო მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელია (XIV), რომელიც წერს ისტორიას მონღოლთა შემოსევებისა და მათი გაბატონებისა სამხრეთ კავკასიაში. მტრის ტოპოსს, თუ კურციუსის მიერ დამკვიდრებულ locus animus სისტემას გავითვალისწინებთ, თავისი მახასიათებლები აქვს ლიტერატურაში და ამა თუ იმ სახეცვლილებით, იგი გადადის ერთი თხზულებიდან მეორეში, ერთი კულტურული ოიკუმენიდან სხვა კულტურულ სამყაროში. როგორია სხვა რწმენის მტრის ხატი, რომელიც ომით შემოდის შენს ქვეყანაში, ჰყოფს ორ ნაწილად მთლიან სამეფოს, აგრძელებს ფეოდალურ პარცელიაციას – საქართველოს ეთნოგრაფიულ ზონებად დაყოფას. აი, ეს „მტერი", სტეპების ხალხი, „უცხო" მომთაბარე მეცხოველეები საფუძველშივე რომ არყევს აგრიკულტურული ქართველი მკვიდრი მოსახლეობის სამყაროს სურათს, მისი ცხოვრების წესს, ჟამთააღმწერელის გადმოცემით, სრულებით არ არის „საძულველი", შესაზარი, პირიქით, ისტორიკოსი მათ მიმართ დიდ ემპათიას ამჟღავნებს. არაქართული ისტორიული წყაროები ერთხმად მოწმობენ, რომ მონღოლ-თათრებთან შეუძლებელი იყო მოლაპარაკება, მათთან მხოლოდ მორჩილება თუ „გაჭრიდა".

თხზულების მიხედვითაც მომთაბარემ არ იცის საზღვარი და მიჯნა, მომთაბარე არ აშენებს, მაგრამ არ არის რელიგიური ფანატიკოსი და ჟამთააღმწერელის მოწმობით, მათ არც ქართული ეკლესია დაუბეგრავთ. ასევე მოიქცნენ ისინი რუსეთში. (შესადარებლად – მემატიანე ლაშა-გიორგის ლაშქრობასაც აღწერს განჯაში და უაღრესად საინტერესოდ იყენებს მოწინააღმდეგეთა ტოპოსებს, სრულიად სხვა მახასიათებლებით, სიხარბის ალგმვით, თარეშის შეჩერებით, ემპათიით მოწინააღმდეგის მიმართ). ნათელია, რომ მონღოლების სახით უცხო დამპყრობელი გამოჩნდა ჩინ მაჩინის ქვეყნიდან. უცხო და უცნობი ენით, ზნე-ჩვეულებით, ანთროპოლოგიური მაჩვენებლებით, ტანსაცმლითა და კვების სისტემით.

ჟამთააღმწერელის მტკიცებით, მონღოლებში ყოველგვარი სიბრძნე ბუდობდა, ამიტომაც ისინი იყვნენ გონიერნი, არ ცრუობდნენ და ცხოვრობდნენ ჩინგიზ ყაენის მიცემული კანონებით. მონღოლთა გაერთიანებაში ჟამთააღმწერელი ცალკე უიგურებს გამოჰყოფს, რომლებიც არა მონღოლური, არამედ თურქული მოდგმის ხალხებია, რომლებიც მონღოლურ კავშირში იყო გაერთიანებული.ქართულ წყაროებში ეს ეთნონიმი თათრებად იწოდება. ისტორიკოსი მათ თორმეტწლიან ქორონიკონსაც აღწერს, და აღნიშნავს მათ ერთღმერთიანობას, ტენგრეს კულტს.

რით აიხსნება მტრის უარყოფითი კონოტაციის არარსებობა თხზულებაში?! მხოლოდ რელიგიური მოტივით და პროვინდეციალიზმით. თითქოსდა ჩინგიზ ყაენს იესო ქრისტე გამოეცხადა

ერთ-ერთ მთაზე, ასწავლა მას ყველაფერი და აღუთქვა ყველა ხალხის და მიწის მიცემა, რომლის დაპყრობაც მას ძალ ედვა. ჟამთააღმწერელის ცნობით, ქრისტეს ძალით ჩინგიზ ყაენმა შეიპყრო 200 ათასი ხატაელი და მოაკვდინა ისინი, ხოლო მათმა ხანმა, არსლანმა, საკუთარ სასახლეში გამოაწვევინა თავი. მონღოლები ქართველთა ცოდვის გამო მოუვლინა უფალმა ქართველებს. ისინი მხოლოდ სასჯელია და სასჯელი არ და ვერ განიხილება მტრის ტოპოსის მახასიათებლებით. მტერი არ არსებობს გარეთ, მტერი საკუთარ თავშია. „ჟამთააღმწერელის" ისტორიულ ნარატივებს გავაანალიზებთ რაშიდ-ად-დინის თხზულების ფონზე, რომელიც იმავე პერიოდს ეხება და ტიპოლოგიურ თანხვედრებსაც აჩვენებს განსახილველ თხზულებასთან.

Tetiana Basniak
Chernivtsi National University
Ukraina, Chernivtsi

A Postmodernist Interpretation of the Famous Metaphor in Relation to the Theme of the Origins of War

This paper analyses the novel „Oedipus Prevails at Stalingrad" (*Oedipus siegt bei Stalingrad,* 1954) by the European German-speaking writer Gregor von Rezzori (1914-1998). Here, the well-known Oedipus metaphor – revived by Sigmund Freud as one of the key paradigms of psychoanalysis – emerges as the plot-driving core of the entire narrative. The image of the beloved acts as a simulacrum of the image of his mother. The ontological core of the novel lies in the combination of the theme of sexual deviance and the looming threat of war in Germany during the final pre-war year. The multiplicity of versions of the central character is emphasized by the series of names he goes by: Traugott ('trusting in God') – Peter – Yassilkovsky – Baron Yassilkovsky – Baron von Yassilkovsky. His name changes not only in line with his romantic escapades, but also with the shifting historical events of the late 1930s in Germany. The intensification of military aggression in the country directly fuels the aggressiveness of sexual attitudes. A careful reading reveals a connection between such 'quiet' events as the bloodless occupation of Czechia (14 September 1938) – which gave the National Socialist leaders the illusion of a successful blitzkrieg – and private episodes in his personal life. Rezzori's text is replete with numerous allusions to relevant historical events: for example, a reference to the aforementioned historical moment – Traugott's dance with a Czech girl. Subsequently, in keeping with the historical intentions of the time, the protagonist, having 'rejected' several potential brides, eventually marries a full-blooded German woman. Much like playing the piano, where two hands create a single melody, the text demonstrates a transformation of novelistic poetics that distinctly embodies postmodern writing. It consists of a mixture of diverse narratives, subtexts, allusions and various plot deviations. This makes the novel extremely difficult to interpret, hindering its popularity amongst the general public; yet, in contrast, it serves as a prime example of an intellectual postmodern text for contemporary writers.

Keywords: war, psychoanalysis, postmodernist poetics, conversion of narratives, Rezzori

Dalila Bedianidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

Female Heroes of the Era of Erekle II

During the reign of Erekle II, a number of heroic Georgian men achieved prominence; however, they were not paralleled to the same extent by female figures in historical narratives. Nevertheless, several notable female heroes have been preserved in Georgian folklore, particularly in folk poems and legends. Among these are Maia Tskneteli, Tamro Vashlovaneli, Tina Tsavkiseli, the elderly peasant woman Christine from Mchadisjvre, and the noblewoman Salome.

The extant folklore concerning Georgian female heroes constitutes a significant component of the epic cycle associated with Erekle II. This topic has been addressed by a number of scholars, including Tedo Razikashvili, Petre Umikashvili, Zakaria Chichinadze, Alexander Garsevanishvili, Dimitri Khizanishvili, Ksenia Sikharulidze, and T. Jagodnishvili, among others. Maia Tskneteli, Tina Tsavkiseli, and Tamro Vashlovaneli were first introduced to Georgian readership by Dimitri Janashvili in 1882. The epic narratives associated with these three heroines share notable thematic similarities: all are depicted as daughters of oppressed peasants and as victims of social injustice. At the same time, important distinctions exist among them. For instance, unlike Maia and Tamro, Tina Tsavkiseli is portrayed as a married woman and mother of two sons, who, following her husband's death, were cared for by Erekle II.

The story of Erekle's contemporary, the peasant heroine Dedaberi Christine, is likewise of particular interest. Her narrative recounts, in verse form, the history of the war against the Khundzakhs in Kartli. According to Ksenia Sikharulidze, Georgian folk musicians (notably flute players) in the Racha region continue to preserve and perform this poem. Equally noteworthy is the account of Salome, a Georgian noblewoman captured during the devastation of Sack of Tbilisi (1795) by Agha Mohammad Khan Qajar. After losing her husband in battle and witnessing the killing of her infant son, Salome was sold into captivity. In a final act of resistance, she deceived her purchaser, the Persian noble Jafar Beg, by claiming to possess a spell that would render his dagger harmless. Persuading him to test it upon her, she ultimately compelled him to strike, thereby embracing a deliberate and heroic death.

Keywords: war, hero, woman, king, freedom

დალილა ბედიანიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

ერეკლე მეორის ეპოქის გმირი ქალები

ერეკლეს ეპოქში არაერთმა გმირმა ქართველმა ვაჟკაცმა გამოიჩინა თავი, რომელთაც ტოლს არ უდებდნენ ქართველი გმირი ქალები. მათ შესახებ არაერთი ხალხური ლექსი, თუ თქმულებაა შემორჩენილი. ესენი არიან: მაია წყნეთელი, თამრო ვაშლოვანელი, თინა წავკისელი, ხანდაზმული მჭადისჯვრელი გლეხის ქალი ქრისტინე, თავადის ქალი სალომე.

ქართველი გმირი ქალების შესახებ არსებული ფოლკლორული მასალა ერეკლე მეორის ეპოსის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ამ საკითხს თავის დროზე შეხებიან: თ. რაზიკაშვილი,

პ. უმიკაშვილი, ზ. ჭიჭინაძე, ალ. გარსევანიშვილი, დ. ხიზანიშვილი, ქს. სიხარულიძე, თ. ჯაგოდნიშვილი და სხვები. მაია წყნეთელი, თინა წავკისელი და თამრო ვაშლოვანელი ქართველ მკითხველს პირველად დ. ჯანაშვილმა გააცნო 1882 წელს. ამ სამი გმირი ქალის ეპიკური თავგადასავალი თემატურად მსგავსია ერთმანეთისა – სამივე ჩაგრული გლეხის შვილია და სოციალური უსამართლობის მსხვერპლი. არის განსხვავებაც – მაგალითად მაიასაგან და თამროსგან განსხვავებით თინა წავკისელი გათხოვილი იყო, ორი ვაჟიც ჰყავდა, რომელთაც მისი ქმრის და მისი სიკვდილის შემდეგ ერეკლემ უპატრონა.

ყურადღებას იქცევს ერეკლეს თანამედროვე გმირი გლეხი დედაბრის ქრისტინეს ამბავი, რომელშიც ლექსად არის გადმოცემული ქართლში მჭადიჯვართან ხუნძახებთან გამართული ომის ისტორია – ქართველმა მესტვირეებმა ახლაც იციან ლექსი მჭადიჯვრელ გმირ დედაბერ ქრისტინეზე მთის რაჭაში, როგორც ქს. სიხარულიძე გვამცნობს. ასევე საყურადღებოა თქმულება აღა-მაჰმადხანის მიერ თბილისის აოხრების დროს ტყვედ გაყიდული ლამაზი ქართველი ქალის სალომეს შესახებ. სალომემ, რომელსაც ქმარი ომში დაეღუპა და ჩვილი შვილი მტერმა თვალწინ მოუკლა, თავის მყიდველ სპარს დიდებულს ჯაფარ-ბეგს მოატყუა, ვითომც ისეთი შელოცვა იცოდა, რაც მის ხანჯალს უვნებელს გახდიდა და აიძულა თავისი ხანჯალი გულში ჩაერტყა ჯაფარ-ბეგს მისთვის, რის შედეგადაც ქალი გმირულად მოკვდა. როგორც მაია, თამრო, თინა, სალომეც აღა-მაჰმადხანთან ომის გმირად შეიძლება ჩაითვალოს, მათ საქართველოს თავისუფლებას შესწირეს თავი.

საკვანძო სიტყვები: ომი, გმირი, ქალი, მეფე, თავისუფლება

Naira Beridze
The University of Georgia
Georgia, Tbilisi

Alternative Narratives of War in Tamta Melashvili's Works

Traditional literature and historical narratives have often portrayed war within a positive and heroic framework, presenting it as a space of military glory, victory, and patriotism. In such texts, primary attention is usually directed toward military actions, political leaders, and historical outcomes, while the emotional trauma of individuals, psychological suffering, and personal experiences remain largely overlooked. Unlike traditional literary discourse, contemporary literature increasingly offers alternative perspectives on war, particularly through the voices of women authors. From this perspective, the works of Tamta Melashvili are especially significant, as war is represented not as a heroic achievement, but as one of the central causes of human destruction and existential collapse.

The aim of this paper is to analyze alternative narratives of war in Tamta Melashvili's texts and to demonstrate how a female author perceives war and its consequences. The primary text examined in the study is *Gatvla* (*Counting Out*), where events are depicted through the perspectives of children and women. Consequently, the narrative vividly conveys loneliness, fear, hunger, and the constant sense of danger. Within the environment created by the author, childhood ends prematurely, while survival instinct becomes the dominant force shaping human behavior. Children appear as the most vulnerable figures in the text; throughout the narrative, trust, love, safety, and the possibility of a normal life gradually disappear within them. These emotional losses become no less devastating than physical destruction itself. The ending of the story is particularly powerful and emotional. Although the conclusion does not explicitly reveal everything, it leaves the reader with an overwhelming sense of tragedy, silence, and emotional devastation.

The paper further explores how Tamta Melashvili replaces the traditional military narrative with themes of lost childhood, human suffering, and psychological trauma. In this story, the principal victims of war are civilians, especially women and children – those whose voices frequently remain unheard within conventional historical narratives.

Keywords: war, alternative narrative, Tamta Melashvili, female author, Georgian literature.

ნაირა ბერიძე
საქართველოს უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

ომის ალტერნატიული ნარატები თამთა მელაშვილის შემოქმედებაში

ტრადიციულ ლიტერატურასა და ისტორიულ ნარატივებში ომი განხილულია დადებით კონტექსტში. ის წარმოდგენილია, როგორც სამხედრო დიდების, გამარჯვებისა და გმირობის სივრცე. თუ ჩავუკვირდებით, ასეთ ტექსტებში ყურადღება გამახვილებულია სამხედრო მოქმედებებზე, ისტორიულ შედეგებსა და პოლიტიკურ ლიდერებზე. ლიტერატურაში ხშირად ყურადღების მიღმა რჩება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა ემოციური ტრამვა, ადამიანთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა და პირადი გამოცდილებები. განსხვავებით ტრადიციული ლიტერტურისა, თანამედროვე ტექსტებში აქტუალური გახდა ომის სხვაგვარი ხედვა, რომელსაც განსაკუთრებით ქალი ავტორები გვთავაზობენ. სწორედ ამ თვალსაზრისითაა საინტერესო თამთა მელაშვილის შემოქმედება, რომელშიც ომი წარმოდგენილია, როგორც ადამიანის ცხოვრების ნგრევის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

აღნიშნული ნაშრომის მიზანია თამთა მელაშვილის ტექსტებში ომის ალტერნატიული ნარატივების ანალიზი; ასევე იმის ჩვენება თუ, როგორ აღიქვამს ქალი ომსა და მის შედეგებს. მთავარი ტექსტი, რომელსაც ნაშრომი მიეძღვნება არის „გათვლა“, რადგან მასში მოვლენები ბავშვებისა და ქალის თვალითაა დანახული, რის გამოც ტექსტში მძაფრად ჩანს მარტოობა, შიში, შიმშილი და მუდმივი საფრთხის განცდა. ავტორის აღწერილ გარემოსა და სივრცეში ბავშვობა ნაადრევად მთავრდება და ადამიანებს გადარჩენის ინსტიქტი ამოძრავებთ. ბავშვები ამ ტექსტში ყველაზე დაუცველი არსებები არიან და მათში მოთხრობის განმავლობაში ნელ-ნელა კვდება ნდობა, ნორმალური ცხოვრება, უსაფრთხოების განცდა და სიყვარული. ყოველივე ეს კი არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანისთვის. ემოციურია ფინალი. მიუხედავად იმისა, რომ დასასრული ერთმნიშვნელოვნად არ ამბობს ყველაფერს, ტექსტი ძალიან მძიმე და ტრაგიკულ განცდას გვიტოვებს.

ნაშრომში განხილულია, თუ როგორ ანაცვლებს თამთა მელაშვილი ტრადიციულ სამხედრო ნარატივს დაკარგული ბავშვობის განცდით, ადამიანური ტკივილითა და ფსიქოლოგიური ტრამვით. ამ მოთხრობაში მთავრი მსხვერპლი მშვიდობიანი მოსახლეობაა, განსაკუთრებით კი ბავშვები და ქალები; ისინი, რომელთა ხმაც ტრადიციულ, ისტორიულ ტექსტებში ხშირად შეუმჩნეველია.

საკვანძო სიტყვები: ომი, ალტერნატიული ნარატივი, თამთა მელაშვილი, ქალი ავტორი, ქართული ლიტერატურა

Nino Beridze
Batumi Shota Rustaveli State University
Georgia, Batumi

The Construction of Trauma and Collective Memory in Literature – *War in the Literary Word and Beyond*

The present work explores the philosophical and literary reflection on war and peace, focusing on the process of transforming individual psychological trauma into collective memory. In contemporary world literature, war is no longer viewed merely as a "macro-historical" event; today, it is understood as an existential catastrophe that shatters the integrity of the subject and gives rise to the phenomenon of the "unspeakable"- impossibility of verbalizing trauma.

The aim of the research is to demonstrate how a literary text verbalizes traumatic experiences and the mechanisms through which personal suffering and pain undergo socialization. The study examines the concept of **"post-memory,"** which allows us to see how the traces of war are transmitted to subsequent generations and how a nation's cultural identity is formed around shared traumatic narratives.

According to the research hypothesis, fiction serves as a unique **"site of memory"**, where memory fractured and isolated by war is restored. Literary representation is not merely a description of past events; it is an ethical act-representing trauma at the linguistic level and processing it.

In the concluding section, it will be argued that peace is not just a political act, but a psycho-cultural state achieved only when individual trauma finds its place within collective memory. In this context, literature acts as a mediator, transforming the destructive chaos of war into a conscious historical experience, which is an essential prerequisite for restoring social harmony.

In modern literary discourse, war is no longer seen simply as a historical event that concludes chronologically and is archived. Rather, it is perceived as an existential rupture that breaks the individual's inner integrity and creates an experience of trauma, the complete verbalization of which is often impossible.

Keywords: Individual trauma; Collective memory; Post-memory; Trauma narrative; Verbalization of trauma; Cultural identity

ნინო ბერიძე
შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ბათუმი

ტრავმისა და კოლექტიური მეხსიერების კონსტრუირება ლიტერატურაში – ომი მხატვრულ სიტყვაში და არამხოლოდ

ნაშრომი შეეხება ომისა და მშვიდობის ფილოსოფიურ-ლიტერატურულ რეფლექსიას, სადაც აქცენტი დასმულია ინდივიდუალური ფსიქოლოგიური ტრავმის კოლექტიურ მეხსიერებაში გადატანის პროცესზე. თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში ომი აღარ განიხილება მხოლოდ როგორც ,,მაკროისტორიული“ მოვლენა; ომი დღეს გაიგება ეგზისტენციალურ კატასტროფად, რომელიც არღვევს სუბიექტის მთლიანობას და წარმოშობს ე.წ. „უთქმელობის“, ტრავმის ვერბალიზების შეუძლებლობის ფენომენს.

კვლევის მიზანია წარმოაჩინოს, თუ როგორ ახდენს ლიტერატურული ტექსტი ტრავმული გამოცდილების ვერბალიზაციას და რა მექანიზმებით ხდება პირადი განცდის, ტკივილის სოციალიზაცია. ნაშრომში განხილული იქნება „პოსტ-მეხსიერების“ კონცეფცია, რაც საშუალებას მოგვცემს დავინახოთ, როგორ გადაეცემა ომის კვალი მომდევნო თაობებს და როგორ ყალიბდება ერის კულტურული იდენტობა საერთო ტრავმული ნარატივების გარშემო.

ნაშრომის ჰიპოთეზის თანახმად, მხატვრული ლიტერატურა წარმოადგენს უნიკალურ „მეხსიერების ადგილს“, სადაც ხდება ომის შედეგად გამოყოფილი, გამოცალკევებული მეხსიერების აღდგენა. ლიტერატურული რეპრეზენტაცია არ არის მხოლოდ მომხდარის აღწერა, არამედ ეს არის ეთიკური აქტი – ტრავმის ენობრივ დონეზე წარმოჩენა და მისი გადამუშავება.

დასკვნით ნაწილში არგუმენტირებული იქნება, რომ მშვიდობა არ არის მხოლოდ პოლიტიკური აქტი, არამედ ის ფსიქო-კულტურული მდგომარეობაა, რომელიც მიიღწევა მხოლოდ მაშინ, როდესაც ინდივიდუალური ტრავმა პოულობს თავის ადგილს კოლექტიურ მეხსიერებაში. ამ კონტექსტში ლიტერატურა გვევლინება როგორც მედიატორი, რომელიც ომის დამანგრეველ ქაოსს გარდასახავს გააზრებულ ისტორიულ გამოცდილებად, რაც აუცილებელი წინაპირობაა საზოგადოებრივი ჰარმონიის აღდგენისათვის.

თანამედროვე ლიტერატურულ დისკურსში ომი აღარ განიხილება მხოლოდ როგორც ისტორიული მოვლენა, რომელიც ქრონოლოგიურად სრულდება და გადადის არქივში. იგი უფრო მეტად აღიქმება როგორც ეგზისტენციალური რღვევა, რომელიც არღვევს ინდივიდის შინაგან მთლიანობას და წარმოშობს ტრავმის გამოცდილებას, რომლის სრულყოფილი ვერბალიზაცია ხშირად შეუძლებელია.

საკვანძო სიტყვები: ინდივიდუალური ტრავმა; კოლექტიური მეხსიერება; პოსტ-მეხსიერება; ტრავმის ნარატივი; ტრავმის ვერბალიზაცია; კულტურული იდენტობა

Konstantine Bregadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

Battle of Waterloo (War) and the *Congress of Vienna* (Peace), or the Reflection of Modern Global Politics in Goethe's "Faust"

1. As is well known, many historical events of the modern era are reflected in "Faust", beginning with the Renaissance and the era of Luther and extending to the 1830s. Historically, this period corresponds to the Early Modern Era (German: *Frühe Neuzeit*), that is, the first phase of modernity itself, encompassing the Renaissance, Baroque, and Enlightenment periods. (It should also be noted that the second phase of modernity includes *Classical Modernism*, namely the 19th and 20th centuries, specifically the period between 1860 and 1960, while the third phase of modernity is *Postmodernism*, approximately from 1960 to 2001/2022.)

2. Accordingly, "Faust" reflects such global political events contemporary to the writer as the French Revolution (1789), the July Revolution in Paris (1830), the rule of Napoleon Bonaparte (1799-1815), the Battle of Waterloo (1815), the Congress of Vienna (1814-1815), the restoration policy initiated by the Chancellor of the Austrian Empire, Prince Klemens von Metternich, and others.

3. From this perspective, the fourth act of the second part of "Faust" is especially noteworthy. In the scenes "Highlands" ("Auf dem Vorgebirg") and "The Anti-Emperor's Camp" ("Des Gegenkaisers Zelt"), on

the one hand, the Battle of Waterloo and the final defeat of Napoleon Bonaparte (who appears in *Faust* under the title of the Anti-Emperor) are reflected through the confrontation between the Emperor and the Anti-Emperor; on the other hand, the events of the Congress of Vienna and the monarchist Restoration are also mirrored.

4. The fourth act of the second part of the tragedy is particularly significant because restorationist politics (the restoration of absolute monarchy and absolutism) are presented here as the first manifestation of modern global politics. More specifically, the restoration policy initiated by Chancellor Klemens von Metternich was, in fact, the first instance in the history of world politics in which a global political order was established across Europe (approximately 1815-1848).

5. Thus, "Faust" (1808–1832), as a modern text, in a sense responds to ongoing modern historical and political events; and on the basis of diagnosing and forecasting these events, Johann Wolfgang Goethe constructs and anticipates the historical paradigm of the modern era.

Keywords: Johann Wolfgang Goethe, "Faust", Battle of Waterloo, Congress of Vienna, Restoration

კონსტანტინე ბრეგაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

ვატერლოოს ბრძოლა (ომი) და *ვენის კონგრესი* (მშვიდობა), ანუ მოდერნული გლობალური პოლიტიკის უკუფენა გოეთეს „ფაუსტში"

1. როგორც ცნობილია, გოეთეს „ფაუსტში" უკუფენილია მოდერნის ეპოქის მრავალი ისტორიული მოვლენა, მოყოლებული რენესანსისა და ლუთერის ეპოქიდან ვიდრე მე-19 საუკუნის 30-იან წლებამდე. ისტორიულად ეს არის *ადრეული ახალი ეპოქა* (გერმ. Frühe Neuzeit), ანუ საკუთრივ *მოდერნულობის* პირველი ფაზა, რომელიც მოიცავს რენესანსის, ბაროკოს და განმანათლებლობის ეპოქებს (აქვე შევნიშნავთ, რომ *მოდერნულობის* მეორე ფაზა მოიცავს *კლასიკურ მოდერნს*, ანუ მე-19 და მე-20 საუკუნეებს, კერძოდ, პერიოდს 1860-1960 წლებს შორის, ხოლო *მოდერნულობის* მესამე ფაზაა *პოსტმოდერნი*, დაახლ. 1960-2001/2022 წლები).

2. შესაბამისად, გოეთეს „ფაუსტში" უკუფენილია მწერლის თანამედროვე ისეთი გლობალური პოლიტიკური მოვლენები, როგორიცაა, საფრანგეთის 1789 წლის რევოლუცია, პარიზის ივლისის რევოლუცია (1830), ნაპოლეონის მმართველობა (1799-1815), ვატერლოოს ბრძოლა (1815), ვენის კონგრესი (1814-1815), ავსტრიის იმპერიის კანცლერ, დიდჰერცოგ მეტერნიხის მიერ ინიცირებული რესტავრაციის პოლიტიკა და სხვ.

3. ამ თვალსაზრისით კი განსაკუთრებით გამოირჩევა „ფაუსტის" მეორე ნაწილის მეოთხე მოქმედება, სადაც სცენებში „მთისწინეთი" („Auf dem Vorgebirg") და „ანტიიმპერატორის კარავი" („Des Gegenkaisers Zelt"), ერთი მხრივ, უკუფენილია ვატერლოოს ბრძოლა და ნაპოლეონის (რომელიც „ფაუსტში" *ანტიიმპერატორის* სახელითაა გამოყვანილი) საბოლოო მარცხი (იმპერატორისა და ანტიიმპერატორის დაპირისპირება), მეორე მხრივ კი, უკუფენილია ვენის კონგრესისა და მონარქისტული რესტავრაციის მოვლენები.

4. ტრაგედიის მეორე ნაწილის მეოთხე მოქმედება საყურადღებოა იმით, რომ აქ რესტავრატორული პოლიტიკა (აბსოლუტური მონარქიის, აბსოლუტიზმის აღდგენა) წარმოჩენილია მოდერნული გლობალური პოლიტიკის პირველ გამოვლინებად: კერძოდ, კანცლერ მეტერნიხის მიერ ინიცირებული რესტავრატორული პოლიტიკა, ფაქტობრივად, იყო ის პირველი შემთხვევა, როდე-

საც მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაში პირველად დამყარდა გლობალური პოლიტიკური წესრიგი ევროპის მასშტაბით (დაახლ. 1815-1848 წწ.).

5. ამგვარად, გოეთეს „ფაუსტი“ (1808-1832), როგორც მოდერნული ტექსტი, ერთგვარად რეაგირებს მიმდინარე მოდერნულ ისტორიულ-პოლიტიკურ მოვლენებზე და ამ მოვლენების დიაგნოზისა და პროგნოზის საფუძველზე გოეთე ააგებს და განჭვრეტს მოდერნის ეპოქის ისტორიულ პარადიგმას.

საკვანძო სიტყვები: გოეთე, „ფაუსტი“, ვატერლოოს ბრძოლა, ვენის კონგრესი, რესტავრაცია

Levan Bregadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

Titsian Tabidze's Pacifism

In the work of Titsian Tabidze (1895-1937), a pacifist motif clearly emerges – above all in the unfinished poem *"Eighteen Years"* (1928), particularly in the chapter entitled *"On the Fronts",* and in the final subsection of the poem *"Guldagul"* (1929).

In 1918, World War I came to an end after lasting four years. At the end of that same year, the Armenian–Georgian War broke out over disputed territories along the border between the two states, a war that lasted only three weeks. Even this circumstance alone renders the latter conflict somewhat caricatural against the background of the world war – a perception further reinforced by the fact that, owing to stable and centuries-old conditions (geography, population size, and a long history of peaceful coexistence), these two peoples and countries are destined for good-neighborly and friendly relations, if they wish well for themselves.

Titsian Tabidze senses this caricatural quality and vividly conveys it in the above-mentioned chapter of his unfinished poem *"Eighteen Years",* written in an expressionist manner. There, the author revives events that occurred ten years earlier and clearly expresses his negative attitude toward this senseless war.

The deheroization of war is achieved through passages shaped by the literary device of satire, which expose the inappropriateness of using violence to resolve conflicts. To the same end, the author also draws attention to such disgraceful facts and phenomena occurring during the preparation and execution of military operations as indiscipline, the use of offensive evaluations and hate speech to humiliate the enemy, and boastfulness…

In the poem, war is presented as a form of human action through which no just goal can ultimately be achieved, not least because there is no prospect of a final victory over the opponent – the defeated side will inevitably be driven by a desire for revenge. Moreover, wars between neighboring small nations bring the additional misfortune that both sides are weakened as a result and thus easily become victims of the mercantile interests of great powers.

The finale of the second poem (*"Guldagul"*) is a true hymn to pacifism, where the brandishing of the sword is set in opposition to peaceful labor.

Keywords: Titsian Tabidze, pacifism, deheroization of war, Expressionism, peace

ლევან ბრეგაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

ტიციან ტაბიძის პაციფიზმი

ტიციან ტაბიძის (1895-1937) შემოქმედებაში მკაფიოდ იჩინა თავი პაციფისტურმა მოტივმა – უპირველეს ყოვლისა დაუმთავრებელი პოემის „თვრამეტი წელი“ (1928) იმ თავში, რომელსაც სათაურად აქვს „ფრონტებზე“ და პოემის „გულდაგულ“ (1929) ბოლო ქვეთავში.

1918 წელს დამთავრდა პირველი მსოფლიო ომი, რომელიც ოთხ წელიწადს გრძელდებოდა. იმავე წლის ბოლოს დაიწყო სომხეთ-საქართველოს ომი ამ ორი სახელმწიფოს საზღვართან მდებარე სადავო ტერიტორიების გამო, ომი, რომელიც სამ კვირას გაგრძელდა. თუნდაც ეს გარემოება უკვე განაპირობებს მსოფლიო ომის ფონზე მეორის კარიკატურულობას, რასაც აძლიერებს იმის გათვალისწინება, რომ მყარი და საუკუნეების განმავლობაში უცვლელი გარემოებების გამო (გეოგრაფია, მოსახლეობის რაოდენობა, მშვიდობიანი თანაცხოვრების ხანგრძლივი ისტორია...) ეს ორი ხალხი და ორი ქვეყანა განწირულია კეთილმეზობლური და კეთილმეგობრული ურთიერთობისთვის, თუკი თავიანთი თავისთვის სიკეთე სურთ.

ამ კარიკატურულობას გრძნობს ტიციან ტაბიძე და ჩინებულად წარმოაჩენს მას ექსპრესიონისტული მანერით შესრულებული დაუმთავრებელი პოემის „თვრამეტი წელი“ ზემოთ დასახელებულ თავში, სადაც ავტორი ათი წლის წინ მომხდარ ამბებს აცოცხლებს და მკაფიოდ გამოხატავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას ამ უაზრო ომისადმი.

ომის დეჰეროიზაციას ემსახურება სატირის ლიტერატურული ხერხის გამოყენებით შესრულებული პასაჟები, რომლებიც წარმოაჩენენ კონფლიქტების გადაწყვეტისას ძალმომრეობის გამოყენების უმართებულობას. ამავე მიზნით ავტორი ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე საბრძოლო ოპერაციების მომზადებისა და განხორციელების დროს მომხდარ ისეთ სათაკილო ფაქტებსა და მოვლენებზე, როგორიცაა უდისციპლინობა, მოწინააღმდეგის დასამცირებლად არაკორექტული შეფასებებისა და სიძულვილის ენის გამოყენება, ტრაბახი...

ომი პოემაში წარმოდგენილია ადამიანთა ისეთ ქმედებად, რომლის მეშვეობითაც ვერც ერთი სამართლიანი მიზნის მიღწევა ვერ მოხერხდება, თუნდაც იმის გამო, რომ არ არსებობს მოწინააღმდეგეზე საბოლოო გამარჯვების პერსპექტივა – წაგებულ მხარეს არ მოასვენებს რევანშის სურვილი. ხოლო მეზობელ მცირე ერებს შორის ომებს კიდევ ის უბედურება მოჰყვება, რომ ამის შედეგად ორივენი სუსტდებიან და ადვილად ხდებიან დიდ სახელმწიფოთა მერკანტილური ინტერესის მსხვერპლნი.

პაციფიზმის ნამდვილი ჰიმნია მეორე პოემის („გულდაგულ“) ფინალი, სადაც ხმლის ტრიალს მშვიდობიანი შრომა უპირისპირდება.

საკვანძო სიტყვები: ტიციან ტაბიძე, პაციფიზმი, ომის დეჰეროიზაცია, ექსპრესიონიზმი, მშვიდობა

Rūta Brūzgienė
Mykolas Romeris University, Humanistics Research Laboratory
Lithuania, Vilnius

E. Balsis's Oratorio "Do not Touch the Blue Globe" (1969, Verses by V. Palčinskaitė) as a Form of Resistance to Violence in Post-Soviet Lithuania

The oratorio "Do not Touch the Blue Globe" (1969) by the Lithuanian composer Eduards Balsys (1919-1984), created to verses by Violeta Palčinskaitė, was one of the great musical events in the cultural sky of Lithuania at that time. Although the theme of the oratorio is based on the historical events of World War II, the bombing of a children's camp, its problematics are of a much broader spectrum, and are also relevant to the socio-political situation of the current war in Ukraine. The composer E. Balsys was immediately interested in V. Palčinskaitė's text. Although it was also not censored by ideological supervisory authorities, the performance of the oratorio was accepted by the public as a form of Lithuanian internal cultural resistance, as a challenge to the Soviet occupation. Thus, the oratorio played a dual role: outwardly it was relevant to Soviet ideology, and in art and culture it expressed resistance to the violent policies of the occupiers. The aim of the report would be to highlight the semantic features of V. Palčinskaitė's (her relatives are Holocaust victims) verses, the premise of musicality, to discuss the challenges of musical modernism in E. Balsys' oratorio, its relevance in public, political, and cultural life, which made Lithuanian music, the "Ąžuoliukas" choir, and its director Hermanas Perelšteinas (1923-2019) famous. The works of R. Stanevičiūtė, K. Urba, E. Baliutytė, O. Narbutienė, W. Wolf, etc. will be used, and a comparative methodology will be used.

Key words: Lithuanian poetry, music, V. Palčinskaitė, E. Balsys, oratorio "Do not Touch the Blue Globe", modernism, post-Soviet Lithuania, cultural resistance

Mzisa Buskivadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Georgia, Tbilisi

The Theme of War in Modern World Literature

In the 1950s, a new generation emerged in Turkish literature that sought alternative directions for literary development. The representatives of this generation challenged the excessive politicization of Turkish literature and shifted their focus toward the exploration of the individual's inner world. In this context, the depoliticization of literary texts gained particular significance, as the dominance of socialist realism had previously limited the representation of human beings as autonomous individuals with complex psychological and spiritual experiences. Against this background, the works of Ahmet Hamdi Tanpınar may be regarded as an exception, as he had already made the exploration of individual consciousness and inner experience a central concern of his literary oeuvre.

The processes of Europeanization and modernization gave rise to a crisis of identity, depersonalization, and feelings of alienation within Turkish society. It is within this historical and cultural context that Oğuz Atay rejects the traditional didactic model of Turkish literature, which had largely focused on social conflicts between the oppressed and the oppressor, and instead directs his attention to the spiritual crisis of the intellectual individual. At the center of Atay's literary interest are the educated strata of society and their individual as well as collective traumas.

Atay's protagonists are predominantly marginalized individuals who become objects of social criticism and alienation. Characterized by a profound degree of self-reflection, they respond to the pressures of mass culture and traumatic historical experiences through various forms of resistance, which in some cases culminate in suicide. Oğuz Atay's novel *Dangerous Games* narrates the life of its protagonist, Hikmet Benol, who himself guides the reader through his experiences. For Hikmet, social norms and institutions assume the form of a game. Every action and decision becomes part of a theatrical performance in which he simultaneously functions as both director and actor. After moving to a shantytown settlement on the outskirts of the city, Hikmet embarks on an inward journey during which the consequences of both individual and collective trauma gradually emerge.

The primary objective of this study is to answer the following research question: **How do individual and collective trauma shape Hikmet Benol's identity formation and contribute to his marginalization?**

The instability of cultural values, inner fragmentation, alienation, fear, and persistent anxiety appear as defining characteristics of the modern individual. Hikmet Benol's marginalization can be interpreted as the outcome of a trauma transmitted across generations, a phenomenon commonly referred to in trauma studies as **transgenerational trauma**. The transformation of the cultural environment has produced an ambivalent mode of thinking and living within Turkish society. This dual cultural framework has distanced individuals from one another and, in certain cases, has rendered adherence to moral principles an anachronism and even a cause of social exclusion.

Keywords: Turkish Literature, Oğuz Atay, Trauma, Marginalization, Dangerous Games

მზისა ბუსკივაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

ომის თემა თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში

მე-20 საუკუნის 50-იან წლებში თურქულ ლიტერატურაში ჩამოყალიბდა ახალი თაობა, რომელმაც ლიტერატურული პროცესის განვითარების ალტერნატიულ გზებზე დაიწყო ფიქრი. აღნიშნული თაობის წარმომადგენლები დაუპირისპირდნენ თურქული ლიტერატურის ზედმეტ პოლიტიზაციას და ყურადღება ინდივიდის შინაგანი სამყაროს კვლევისკენ მიმართეს. ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ლიტერატურული ტექსტების დეპოლიტიზაციის პროცესმა, რადგან მანამდე გაბატონებული სოციალისტური რეალიზმის გავლენა მნიშვნელოვნად ზღუდავდა ადამიანის, როგორც დამოუკიდებელი ინდივიდის, სულიერი და ფსიქოლოგიური სამყაროს ასახვის შესაძლებლობას. ამ ტენდენციის ფონზე გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ აჰმედ ჰამდი თანფინარის შემოქმედება, რომელმაც ინდივიდის შინაგანი გამოცდილების კვლევა გაცილებით ადრე აქცია საკუთარი ლიტერატურული ინტერესის საგნად. ევროპეიზაციისა და მოდერნიზაციის პროცესებმა თურქულ საზოგადოებაში იდენტობის კრიზისი, დეპერსონალიზაცია და გაუცხოების განცდა წარმოშვა. ამ ისტორიულ და კულტურულ კონტექსტში ოღუზ ათაი უარს ამბობს თურქული ლიტერატურის ტრადიციულ, დიდაქტიკურ მოდელზე, რომელიც ძირითადად მჩაგვრელსა და ჩაგრულს შორის ურთიერთობის აღწერაზე იყო ორიენტირებული, და ყურადღებას ინტელექტუალური ადამიანის სულიერ კრიზისზე ამახვილებს. მწერლის ინტერესის ცენტრში საზოგადოების განათლებული ფენა და მისი ინდივიდუალური თუ კოლექტიური ტრავმებია. ათაის პერსონაჟები უმეტესად მარგინალიზებული ინდივიდები არიან, რომლებიც მუდმივად საზოგადოების კრიტიკისა და გაუცხოების ობიექტებად გვევლინებიან. ისინი გამოირჩევიან თვითრეფლექსიის მაღალი ხარისხით, ხოლო მათი პროტესტი, რომელიც ზოგ შემთხვევაში თვით-

მკვლელობით სრულდება, შეიძლება განვიხილოთ როგორც პასუხი მასობრივი კულტურის ზეწოლასა და ტრავმულ ისტორიულ გამოცდილებაზე. რომანში „სახიფათო თამაშები“ აღწერილია მთავარი გმირის, ჰიქმეთ ბენოლის, ცხოვრება, რომელსაც თავად პერსონაჟი აცნობს მკითხველს. ჰიქმეთისთვის საზოგადოებრივი ნორმები და სოციალური ინსტიტუტები თამაშის ფორმას იძენს. მისი ყოველი ქმედება და გადაწყვეტილება ერთგვარი თეატრალური წარმოდგენის ნაწილად იქცევა, სადაც რეჟისორისა და მსახიობის ფუნქციებს ერთდროულად თავად ასრულებს. ქალაქისგან მოშორებით, ბარაკის ტიპის დასახლებაში გადასვლის შემდეგ ჰიქმეთი საკუთარ შინაგან სამყაროში მოგზაურობას იწყებს, რომლის პროცესშიც თანდათანობით ვლინდება როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური ტრავმის შედეგები.

კვლევის მიზანია პასუხი გაეცეს კითხვას:

როგორ აისახება ინდივიდუალური და კოლექტიური ტრავმა ჰიქმეთ ბენოლის იდენტობის ფორმირებასა და მარგინალიზაციაზე.

კულტურული ღირებულებების რყევა, შინაგანი დისბალანსი, გაუცხოება, შიში და მუდმივი შფოთვა მოდერნული ადამიანის არსებით მახასიათებლებად წარმოჩნდება. ჰიქმეთ ბენოლის მარგინალიზაცია შეიძლება განვიხილოთ იმ ტრავმის შედეგად, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა და ტრავმის თეორიაში „გამჭოლი ტრავმის“ სახელით არის ცნობილი. კულტურული არეალის ცვლილებამ თურქული საზოგადოების აზროვნებისა და ცხოვრების წესის ამბივალენტური ხასიათი განაპირობა. ამ ორმაგმა კულტურულმა კოდმა საზოგადოების წევრები ერთმანეთისგან დააშორა, ხოლო მორალური პრინციპების ერთგულება ზოგ შემთხვევაში ანაქრონიზმად და სოციალური გარიყულობის საფუძვლადაც კი აქცია.

საკვანძო სიტყვები: თურქული ლიტერატურა, ოღუზ ათაი, ტრავმა, მარგინალიზცია, რომანი „სახიფათო თამაშები“

Dr. Seda Coşar-Çelik
Bolu Abant İzzet Baysal University
Faculty of Education
Department of Foreign Language Education
Türkiye, Bolu

The Language of Trauma: Phatic vs. Mythic Discourse in Salinger's "A Perfect Day for Bananafish"

The trauma of war is a recurring theme in the works of J. D. Salinger; it is a direct reflection of his own service during WWII, including the D-Day landings and the liberation of concentration camps. In his short story titled "A Perfect Day for Bananafish" (1948) this trauma takes the form of an internal, invisible conflict that persists in Seymour Glass' inability to communicate with civilian life as he returns from the war. The story portrays Seymour on vacation with his wife, Muriel. Although the setting is intended as a space of leisure and reconciliation, he remains profoundly alienated; suffering from post-war trauma, he finds himself unable to communicate meaningfully with the civilian world around him. Consequently, the central conflict of the story is defined by an irreconcilable gap between the empty, social discourse of the civilian world and Seymour's private, symbolic language of trauma. As such, a contrast between two modes of discourse is evident in the story: the phatic communication of the domestic sphere, represented by Muriel's superficial social rituals, and the mythic communication Seymour adopts to navigate his internal trauma. While the adult world remains trapped in the empty talk of a materialistic peace, Seymour's inte-

raction with a child on the beach, Sybil, creates a temporary, shared dialect through the myth of the Bananafish. Ultimately, this paper will examine how this linguistic isolation functions as a continuation of the war, concluding that the absence of a shared language renders a true state of peace impossible for the returning soldier.

Key words: J. D. Salinger, bananafish, war trauma, phatic communication, mythic discourse

Olha Chervinska
Doctor of Philological Sciences, Professor
British Academy Fellow
Honorary Distinguished Professor
United Kingdom

Captivity as a Transgressive Component of the Phenomenon of War (Military Conflict) in Literary Interpretations

The concept of captivity creates a basic element of the phenomenon of war and, in this respect, embodies a markedly transgressive paradigm. In philosophical terms, captivity denotes a mode of human existence demarcated principally by the loss of freedom. Such a condition is related not only to war but likewise with numerous other forms of unfreedom, counting psychological, social, ideological, and existential constraints. Cases of captivity may include the enslavement of entire peoples (such as the Jews in Egyptian bondage), defeat within slave-owning systems that transform captives into slaves, the captivity of a specific through temptation that must be overcome (Odysseus on Circe's island), or captivity to an idea, as depicted in the works of Fyodor Dostoevsky and Franz Kafka. In this study, though, the notion of captivity is explicitly examined within the background of war and military conflict. World literature offers a massive corpus of texts dedicated to this theme. These works were created either by authors who personally experienced captivity or by witnesses and participants in military events. A notable example is Miguel de Cervantes Saavedra (1547-1616), who spent several years in captivity among Algerian pirates. Despite multiple escape attempts, he was finally released through ransom. This practise profoundly influenced his literary works, including *The Algerian Customs* (Los tratos de Argel, 1580), *The Algerian Prisons* (Los baños de Argel, 1615), and the famous episode of the captive in *Don Quixote* (1615). It is precisely in this context that Cervantes articulated his celebrated conviction that freedom constitutes the highest value of human existence. Thus, captivity executed by circumstances, captivity to ideas, and captivity resulting from war emerge as equally significant thematic vectors within literary discourse. This study emphases on the latter, a dimension shaped mainly by the historical realities of the twentieth century. Distinct attention is devoted to the multifaceted and transitional nature of captivity, in which the prisoner functions simultaneously as a specific military "currency" and as an existential indicator of freedom. One of the most significant literary texts in this regard is Heinrich Böll's (1917–1985) novel *Group Portrait with Lady* (1971). The novel portrays the confrontation of two forms of unfreedom within the context of wartime Germany through the story of the compassionate love between Leni Pfeiffer Gruyten and the Soviet prisoner of war Boris. This relationship elevates the narrative beyond the level of historical storytelling, transforming it into a profound exploration of philosophical and existential questions concerning freedom, human dignity, and moral responsibility under conditions of war.

Nino Chikhladze, Nino Gvenetadze
Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

Publius Ovidius Naso's Soldiers in War and Love

We have often heard that all is fair in love and war, that men at war and young lovers have much in common. The phrase "All is fair in love and war" (often attributed to John Lyly (Euphues: The Anatomy of Wit, 1578) implies that in these extreme, emotional situations, normal ethical rules are suspended. It justifies deceitful, passionate, or ruthless tactics in both romantic love and war.

Considerably earlier, Greek and Roman poets compared lovers and soldiers, and often the two were considered opposites – on stage, the unfortunate lover is comically contrasted with the glorious soldier, while the life of love is sometimes a mirage that contrasts with the career of the soldier. This issue is delicately developed in Horace's famous ode (3.26), where he says: *vixi puellis nuper idoneus, et militavi non sine gloria/ Recently, I have lived, well suited to girls, and I have served not without glory.*

Ovid does not accept this paradox and argues the opposite: omnis amans, et habet sua castra Cupido/Every lover is a soldier, and Cupid has his camp (Amores, 1.9). Here Ovid tries to equate the struggle for love and the service of a soldier, because, in his opinion, a person in love, like a soldier, goes through difficult times – he also has to be nervous, stay up late, suffer, argue, and constantly fight on the love front. We think that by this Ovid only means to say that love is as serious and laborious (negotium) as military service.

In the report we will present our translation of Ovid's elegy; we will try to show how the Roman author depicts real soldiers in real war (*Metamorphoses, XII, XIII*); what should be the meaning of comparing the soldiers of love with heroes like Homer's main characters – can we look for some explanation here in Roman rhetoric, etc. We will definitely address Ovid's formula of calling for peace in war and love, taking into account the modern context.

ნინო ჩიხლაძე, ნინო გვენეტაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

პუბლიუს ოვიდიუს ნაზონის ჯარისკაცები ომსა და სიყვარულში

ხშირად გვსმენია, რომ სიყვარულსა და ომში ყველაფერი სამართლიანია, რომ ომში მყოფ მამაკაცებსა და შეყვარებულ ახალგაზრდებს ბევრი რამ აქვთ საერთო. ფრაზა „სიყვარულსა და ომში ყველაფერი დასაშვებია“ (რომელიც ხშირად უკავშირდება ჯონ ლილის („Euphues: The Anatomy of Wit“-ს, 1578), გულისხმობს, რომ ამ ექსტრემალურ, ემოციურ სიტუაციებში ნორმალური ეთიკური წესები შეჩერებულია. ის ამართლებს მატყუარა, ვნებიან ან დაუნდობელ ტაქტიკას როგორც რომანტიკულ სიყვარულში, ისე ომში.

გაცილებით უფრო ადრე ბერძენი და რომაელი პოეტები ადარებდნენ ერთმანეთს შეყვარებულებსა და ჯარისკაცებს და ხშირად მათთან ეს ორი რამ საპირისპიროდაც ითვლება – სცენაზე უიღბლო შეყვარებული კომიკურად უპირისპირდება დიდებულ ჯარისკაცებს, ხოლო სიყვარულით სავსე ცხოვრება ზოგჯერ მირაჟია, რომელიც უპირისპირდება ჯარისკაცის კარიერას. საკმაოდ დელიკატურად არის ეს საკითხი გაშლილი ჰორაციუსის ცნობილ ოდაში (3.26), სადაც ის *ამბობს: vixi puellis nuper idoneus, et militavi non sine gloria/ბოლო დროს გოგონებისთვის ღირსეული ცხოვრებით ვცხოვრობდი და არც დიდების გარეშე ვიბრძოდი.*

ოვიდიუსი ამ პარადოქსს არ იღებს და მის საწინააღმდეგოს ამტკიცებს: *omnis amans, et habet sua castra Cupido*/ყოველი შეყვარებული ჯარისკაცია და კუპიდონს თავისი ბანაკი აქვს (*Amores ტრფობანი,* 1.9). აქ ოვიდიუსი ცდილობს, გააათანაბროს სიყვარულისთვის ბრძოლა და ჯარისკაცის სამსახური, რადგან, მისი აზრით, შეყვარებული ადამიანი, ისე, როგორც ჯარისკაცი, გადის რთულ პერიოდებს – მასაც უწევს ნერვიულობა, ღამეების თენება, წვალება, დავა, მუდმივი ბრძოლა სიყვარულის ფრონტზე. ვფიქრობთ, ამით ოვიდიუსს მხოლოდ იმის თქმა უნდა, რომ სიყვარული არის ისეთივე სერიოზული და შრომატევადი საქმიანობა (negotium), როგორც სამხედრო სამსახური.

მოხსენებაში წარმოვადგენთ ოვიდიუსის ამ ელეგიის ჩვენეულ თარგმანს; შევეცდებით, ვაჩვენოთ ნამდვილ ჯარისკაცებს როგორ ხატავს რომაელი ავტორი ნამდვილ ომში *(მეტამორფოზები, XII,XIII*); რას უნდა ნიშნავდეს სიყვარულის ჯარისკაცების შედარება ისეთ გმირებთან, როგორებიც ჰომეროსის პერსონაჟები არიან – შეიძლება თუ არა აქ გარკვეული ახსნა რომაულ რიტორიკაში ვეძებოთ და სხვა. აუცილებლად შევეხებით ოვიდიუსის მშვიდობისკენ მოწოდების ფორმულას ომსა და სიყვარულში, თანამედროვე კონტექსტის გათვალსიწინებით.

Marika Chitanava-Lobzhanidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Georgian Patriarchate
Georgia, Tbilisi

Peace Narratives in Literature;
The Depiction of Post-war Society in Literary Texts

One of the most important issues in 20th-century literature is World War II and its aftermath, which left a deep mark on representatives of all walks of life and fields of the era. In this regard, publicist George Hanna's novel "The Priests of the Temple" is very interesting, which unfolds in Zatar, the Lebanese village.

One of the main characters draws great attention to Sajia, who is significantly similar to Medea. Lebanese woman, like Princess of Colchis, got married with a foreign soldier of the occupation army, who abandoned his wife and three children after the War. Sajia's crisis and living conditions deprived her of any work, so, she left for Zatar, where the eldest son died.

The suffered mother thought of poisoning her two children and then killing and buring them in common grave, but the Christian doctrines prevented her to do it.

To discuss the woman, who got married with a foreigner and then was abandoned by her husband; also a mother insulted by society and embittered by her existing miserable life, who decided to kill her two children, it should be the typological and analogical similarity with Medea.

In my opinion, the Lebanese writer George Hanna is familiar with Apollonius of Rhodes' "Argonauts" and the tragedies of Euripides and Seneca. Sympathizing with the suffered Lebanese people after the Second World War, shows Medea's first free analogical face in Arabic literature.

Key words: Medea; analogy, Liban; war; George Hanna

მარიკა ჭითანავა-ლობჟანიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს საპატრიარქო
საქართველო, თბილისი

მშვიდობის ნარატივები ლიტერატურაში; ომის შემდგომი საზოგადოების ასახვა ლიტერატურულ ტექსტებში

XX საუკუნის ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მეორე მსოფლიო ომი და მისი შემდგომი პერიოდი, რამაც დიდი კვალი დაამჩნია ეპოქის ყველა ფენისა თუ სფეროს წარმომადგენლებს. ამ მხრივ საინტერესოა გამოჩენილი არაბი საზოგადო მოღვაწის, მწერლისა და პუბლიცისტის – ჟორჟ ჰანას ნაწარმოები ,,ტაძრის ქურუმნი", რომლის სიუჟეტი ვითარდება ლიბანის სოფელ ზათარში სამამულო ომის შემდგომ.

თხზულების გაცნობისას დიდ ყურადღებას იქცევს მთავარ მოქმედ პირთაგან საჯია, რომლის პერსონაჟი მნიშვნელოვნად ემსგავსება ანტიკურობის ერთ-ერთ უდიდეს მონაპოვარს – მედეას სახეს, რომელიც ესოდეს სრულად არის წარმოჩენილი არგონავტების თქმულებაში, ევრიპიდესა და სენეკას დრამებში.

ლიბანელმა საჯიამ, კოლხი მეფის ასულის მსგავსად, თავისი პირადი ცხოვრება უცხო ტომელს, საოკუპაციო არმიის ჯარისკაცს დაუკავშირა, რომელმაც II მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მეუღლე და სამი შვილი მიატოვა და სამშობლოში დაბრუნდა. საბრალო ქალი ულუკმაპუროდ დარჩა. კრიზისმა და ცხოვრების პირობების გაუარესებამ ხელიდან გამოაცალა ყოველგვარი სამუშაო, რის გამოც საჯია იძულებული გახდა ქალაქი დაეტოვებინა და სოფელ ზათარში გადასულიყო, სადაც ციების შედეგად უფროსი ვაჟი გარდაეცვალა. გაუბედურებული მშობელი დარჩენილი ორი შვილის მოწამლვას და შემდეგ მათ დახოცვას ფიქრობდა, რათა მთელი ოჯახი ერთ სამარეში დამარხულიყვნენ, მაგრამ ქრისტიანულმა სულისკვეთებამ განზრახვაზე ხელი ააღებინა.

უცხოელს მითხოვილი და შემდეგ ქმრისაგან მიტოვებული ქალისა და საზოგადოებისგან შეურაცხყოფილი და არსებული დუხჭირი ცხოვრებისგან გამწარებული დედის მაგალითზე, რომელსაც თითქმის გადაწყვეტილი აქვს ორი შვილის დახოცვა, შესაძლებელია მსჯელობა საჯიასა და მედეას ტიპოლოგიური თუ რეცეფციული მსგავსების შესახებ.

ჩემი აზრით, ლიბანელი მწერალი ჟორჟ ჰანა იცნობს აპოლონიოს როდოსელის ,,არგონავტიკასაც" და ევრიპიდესა და სენეკას ტრაგედიებს, პარალელურად თანაუგრძნობს სამამულო ომის შემდგომი პერიოდის მრავალჭირნახულ ლიბანელ ხალხს და არაბული ლიტერატურის ისტორიაში პირველად ახდენს მედეას სახის თავისუფალ რეციფირებას.

საკვანძო სიტყვები: მედეა; რეცეფცია; ლიბანი; ომი; ჟორჟ ჰანა

Natela Chitauri
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

Personal Trauma and Alternative Identity Paradigms – The War Narrative in Georgian Diasporic Literature

The discursive quality of war is significantly different in the two mental-literary spaces of Georgian emigration: **Georgian emigrant literature** (from the 1920s to the 1980s) and **Georgian diasporic literature** (from the end of the 20th century to the present. We have called the texts created by modern Georgian figures abroad and on the topic of migration in this way, considering various definitions):

The classical themes of velour, glory, and self-sacrifice, together with accompanying examples of collective memory, are prevalent in Georgian emigrant literature, which stems from the causes for this emigration. However, strong social currents entered diasporic writing due to the circumstances brought about by post-Soviet events since the 1990s of the 20th century, the severe negative effects of civil war, ethnic conflicts, and intense migrations.

The war narrative of diasporic literature emphasizes the following: individual traumas brought on by war, identity crises, and internal and external migrations create new paradigms of identities ("mobile", hybrid, defused, so-called "open", new identities), which compel people to discover methods of self-actualization, self-preservation, and self-identification, in addition allows to understanding alternative models of identities.

The following works will be discussed: „Penelope. Traveler" by Shorena Lebanidze (2018). The female author depicts a female character's personal individual traumas brought on by war (the catastrophic events in Abkhazia) and the alternative models of identities, that follow traumas, such as physical and mental mobility, action, and spiritual strength as an advantage for survival, personal freedom, as the ability to identify oneself.

„Near a Big Forest" by Leo Vardiashvili (an English-language author). Published in the UK in 2024. Translated into Georgian in 2024. It is an autobiographical book. Like the author, the protagonist, Saba fled Georgia in 1992 at the age of twelve, following the civil war. He travels to Georgia twenty years later. A number of imagological views with critical evaluations are shaped by the immigrant experience and the reality of the motherland, determining the hero's personal anguish as well as the alternative identity quests.

Keywords: war, diaspora literature, individual trauma, alternative identities

ნათელა ჩიტაური
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

ინდივიდუალური ტრავმა და იდენტობათა ალტერნატიული მოდელები – ომის ნარატივი ქართულ დიასპორულ მწერლობაში

ომის დისკურსული თვისობრიობა ქართული ემიგრაციის ორ მენტალურ-ლიტერატურულ სივრცეში – **ქართული ემიგრანტული მწერლობა** (XX საუკუნის 20-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე) და **ქართული დიასპორული მწერლობა** (XX საუკუნის ბოლოდან დღემდე. სხვადასხვა დეფინიციის გათვალისწინებით, ამგვარად ვუწოდეთ თანამედროვე ქართველი მოღვაწეების მიერ საზღვარგარეთ და მიგრაციის თემაზე შექმნილ ტექსტებს) -- მკვეთრად განსხვავებულია:

ქართულ ემიგრანტულ მწერლობაში, გამომდინარე ამ ემიგრაციის მიზეზებიდან, სჭარბობს გმირობის, დიდებისა და თავდადების კლასიკური ნარატივები კოლექტიური მეხსიერების შესაბამისი ნიმუშებით, ხოლო XX საუკუნის 90-იანი წლებიდან შექმნილმა პოსტსაბჭოთა ვითარებამ, სამოქალაქო ომის, ეთნიკური კონფლიქტების მძიმე ნეგატიურმა შედეგებმა, ინტენსიურმა მიგრაციებმა დიასპორულ მწერლობაში მძლავრი სოციალური ნაკადები შემოიტანა.

დიასპორული მწერლობის ომის ნარატივში განსაკუთრებთ გამოიკვეთა შემდეგი: ომით გამოწვეული ინდივიდუალური ტრავმები, იდენტობათა კრიზისი, შიდა და გარე მიგრაციები აყალიბებს იდენტობათა ახალ პარადიგმებს („მოძრავი“, ჰიბრიდული, დეფისური, ე. წ. „ღია“, ახალი იდენტობები), რომელნიც ადამიანებს არა მხოლოდ აიძულებს, არამედ აძლევს საშუალებას გაიაზრონ იდენტობათა ალტერნატიული მოდელები, მონახონ თვითგადარჩენის, თვითიდენტიფიკაციის, თვითაქტუალიზაციის გზები.

განვიხილავთ შემდეგ ნაწარმოებებს:

შორენა ლებანიძის „პენელოპე. მგზავრი“ (2018). ქალი ავტორი აღწერს ქალი პერსონაჟის ომით (აფხაზეთის ტრაგიკული მოვლენები) გამოწვეულ ინდივიდუალურ ტრავმას, ტრავმის კვალდაკვალ იდენტობათა ალტერნატივებს: ქმედება, ფიზიკური და გონებრივი მოძრაობა, სულიერი სიმტკიცე, როგორც უპირატესობა გადარჩენისათვის. პიროვნული თავისუფლება – ძალა თვითიდენტიფიკაციისათვის.

ლეო ვარდიაშვილის (ინგლისურენოვანი ავტორი) „ერთი დიდი ტყის მახლობლად“. გამოიცა დიდ ბრიტანეთში 2024 წელს. ქართულად 2024 წელს ითარგმნა. რომანი ავტობიოგრაფიულია. მთავარმა პერსონაჟმა, საბამ, საქართველო, ავტორის მსგავსად, 12 წლისამ, 1992 წელს, სამოქალაქო ომის შემდეგ დატოვა. ოცი წლის შემდეგ ჩადის საქართველოში. ემიგრაციული გამოცდილება და დამხვედრი რეალობა აყალიბებს რამდენიმე იმაგოლოგიურ ხედვას კრიტიკული შეფასებებით, რაც განაპირობებს გმირის როგორც ინდივიდუალურ ტრავმას, ასევე იდენტობათა ალტერნატიულ

საკვანძო სიტყვები: ომი, დიასპორული მწერლობა, ინდივიდუალური ტრავმა, ალტერნატიული იდენტობები

Eka Chkheidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

World War II Reflected in Oral Tradition

The 20th century is an era of world wars and global cataclysms, distinguished by bloody catastrophes, revaluation of moral values and moral norms. In this era, only positive things were supposed to be written and said by the officialdom in Georgia about the reality of that time, while the truth spread among the people in whispers. Such truth has been preserved for us by oral traditions, anecdotes and other samples of oral tradition. During World War II, “Soviet folklore” was artificially created. The number of speakers and performers of folk poetry increased significantly. Folk poetry was created in essentially two different environments – the front and the rear. Its idea and purpose were the same. It was especially nourished by heroic speech. Folk poetry of this period was characterized by a strong connection with tradition. Proverbs and aphorisms were often included in reworked verses; the leading genres were shires and short lyric-epic songs.

While recording oral traditions depicting World War II, several particularly important themes emerged: Traditions about those involved in the pro-German movement during World War II and the stories of their capture and execution; Stories of the deportation of prisoners of war and their family members to Central Asia during World War II; Belladomania – the cult of Stalin; The processing of the population through ideological propaganda ("Stalin did not know...);

The issues discussed are extremely relevant and vitally important even today, when the modern world is suffering from the very serious consequences of the mistakes made in the 20th century. The Georgian nation failed to properly analyze and evaluate the tragedies that still affect the morality of society.

Keywords: World War II, Oral Tradition, Stories

ეკა ჩხეიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

ზეპირსიტყვიერებაში ასახული მეორე მსოფლიო ომი

მე-20 საუკუნე მსოფლიო ომებისა და გლობალური კატაკლიზმების ეპოქაა, რომელიც გამოირჩევა სისხლიანი კატასტროფებით, ზნეობრივი ფასეულობებისა და მორალური ნორმების გადაფასებით. ამ ეპოქაში საქართველოში ოფიციოზის მიერ მხოლოდ დადებითი უნდა დაწერილიყო და თქმულიყო იმდროინდელი რეალობის შესახებ, სიმართლე კი ხალხში ჩურჩულით ვრცელდებოდა. ამგვარი სიმართლე ზეპირმა გადმოცემებმა, ანეგდოტებმა და სიტყვიერების სხვა ნიმუშებმა შემოგვინახა.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ხელოვნურად იქმნებოდა „საბჭოთა ფოლკლორი". მნიშვნელოვანდ გაიზარდა ხალხური პოეზიის მთქმელთა და შემსრულებელთა რიცხვი. ხალხური პოეზია არსებითად ორ სხვადასხვა გარემო პირობებში – ფრონტსა და ზურგში – შეიქმნა. მისი იდეა და მიზანდასახულობა ერთი და იგივე იყო. იგი განსაკუთრებით საგმირო სიტყვიერებით საზრდოობდა. ამ პერიოდის ხალხურ პოეზიას ახასიათებდა მტკიცე კავშირი ტრადიციასთან. ხშირად გვხვდებოდა გადაკეთებულ ლექსებში ჩართული ანდაზები და აფორიზმები; წამყვან ჟანრად გვხვდება შაირები და მოკლე ლირიკო-ეპიკური სიმღერები.

მეორე მსოფლიო ომის ამსახველი ზეპირსიტყვიერი გადმოცემების ჩაწერისას გამოიკვეთა რამდენიმე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი თემა: გადმოცემები მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გერმანიის მხარდამჭერ მოძრაობაში ჩართულთა შესახებ და მათი დაჭერისა და დახვრეტის ამბები; მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვედ ნამყოფთა და მათი ოჯახის წევრთა შუა აზიაში გადასახლების ამბები; ბელადომანია – სტალინის კულტი; მოსახლეობის დამუშავება იდოლოგიური პროპაგანდის საშუალებით („სტალინმა არ იცოდა...);

განხილული პრობლემატიკა უაღრესად აქტუალური და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დღესაც, როდესაც თანამედროვე მსოფლიო იმკის მე-20 საუკუნეში დაშვებული შეცდომების მეტად მძიმე შედეგებს. ქართულმა ერმა თავის დროზე სათანადოდ ვერ გააანალიზა და შეაფასა ის ტრაგედიები, რომლებიც დღემდე ახდენს გავლენას საზოგადოების ზნეობრიობაზე.

საკვანძო სიტყვები: მეორე მსოფლიო ომი, ზეპირსიტყვიერება, გადმოცემები

Rostom Chkheidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

Fatherland and Freedom
(A Spiritual Encounter Between Nikoloz Baratashvili and Giacomo Leopardi)

The typological affinity between the poetic thought of Nikoloz Baratashvili and Giacomo Leopardi was entirely natural and to be expected of two creators sharing a Romantic worldview. This closeness was rendered all the more profound because both were destined to experience the inherent tragedy of living in a conquered homeland.

The spiritual kinship between these two poets was first noted by Guram Asatiani, who drew a number of highly significant parallels between them. This path was subsequently followed by Luigi Magarotto, who focused specifically on the motifs of patriotic consciousness, the perception of the fatherland, and the quest for national liberation within their poetic legacies.

Magarotto examined how the longing for freedom found allegorical expression in Baratashvili's poem The Hyacinth and the Pilgrim. He also explored how the dispute between King Erekle II and Solomon the Judge – which unfolds within the plot of the epic poem The Fate of Kartli and centres on the fateful question of whether to survive with or without Russia – seemed to leave the answer unresolved. Nonetheless, the Italian scholar came to share Pavle Ingorokva's observation that the poet's heart ultimately lay with Solomon the Judge.

This interpretation stands in direct opposition to the long-held view that Baratashvili supported King Erekle II's decision:

Today it may be, tomorrow it shall:

The Tsar and his might will stand guard over Kartli's land.

In Magarotto's view, Leopardi expressed the tragedy of his own fatherland far more impulsively and instinctively. Gazing upon an Italy forged in chains, he could passionately exclaim:

Bring weapons! I alone

Will fight…

While preparing his manuscript collection, Baratashvili was compelled to constantly account for the surveillance of the Tsarist secret police, choosing instead to conceal his rebellious, anti-Russian sentiments. As the research of Giulietta Gabodze was to demonstrate, the original version of the poem conveyed precisely the opposite meaning:

The Tsar and his might will lay claim to our land.

Furthermore, for conspiratorial reasons, Baratashvili found it necessary to maintain the pretext that Merani - his ultimate hymn to freedom – had been inspired by the capture of Iliko Orbeliani, an officer in the Russian service, by Imam Shamil. Yet, as Pavle Ingorokva established, the poem was in fact dedicated to Prince Alexander Batonishvili – a self-sacrificing fighter for Georgia's liberation from Russian rule, without whom not a single uprising would have taken place in our country.

როსტომ ჩხეიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

სამშობლო და თავისუფლება
(ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ჯაკომო ლეოპარდის სულიერი შეხვედრა)

ტიპოლოგიური მსგავსება ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ჯაკომო ლეოპარდის პოეტურ ნააზრევს შორის, ისედაც სავსებით მოსალოდნელი და ბუნებრივი იყო, როგორც რომანტიკული მსოფლხედვის შემოქმედთა, და მითუმეტეს:

ორივეს რომ უნდა გამოეცადა დაპყრობილ სამშობლოში ცხოვრების დრამატიზმი.

სულიერი სიახლოვე ამ ორ პოეტს შორის გურამ ასათიანს უნდა აღენიშნა და საგულისხმო პარალელებიც მოეხმო.

ამ გზას გაჰყვებოდა ლუიჯი მაგაროტო, რომელიც საგანგებოდ უნდა დაკვირვებოდა სამშობლოს განცდისა და ქვეყნის გამოხსნის მოტივებს მათ პოეტურ მემკვიდრეობაში.

თუ როგორ გამოხატულიყო ალეგორიულად თავისუფლების წყურვილი ბარათაშვილის ლექსში „სუმბული და მწირი“; ხოლო კამათი მეფე ერეკლესა და სოლომონ მსაჯულს შორის, გაშლილი პოემის – „ბედი ქართლისა“ – სიუჟეტში და დატრიალებული იმ საბედისწერო კითხვის ირგვლივ: რუსეთთან ერთად თუ ურუსეთოდ? – თითქოსდა ღიად ტოვებდა პასუხს, მაგრამ იტალიელ მკვლევარს უნდა გაეზიარებინა პავლე ინგოროყვას დაკვირვება:

პოეტის გული სოლომონ მსაჯულის მხარესაა.

ეს დაკვირვება უპირისპირდებოდა თვალსაზრისს, თითქოსდა პოეტი ემხრობოდა ერეკლე მეორის გადაწყვეტილებას:

რომ დღეს იქნება თუ ხვალ იქნება, ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფებაო.

იტალიელი მკვლევარის შეხედულებით:

ბევრად უფრო იმპულსურად და ინსტიქტურად გამოთქვამდა სამშობლოს ტრაგედიას ლეოპარდი, ჯაჭვებში გამოჭედილი იტალიის შემყურეს ესეც რომ აღმოხდებოდა: იარაღი მომიტანეთ, ჩემი მახვილიო.

ბარათაშვილი ხელნაწერი კრებულის მომზადებისას იძულებული გახლდათ გაეთვალისწინებინა საიდუმლო პოლიციის თვალთვალი და თავისი მეამბოხური, ანტირუსული განწყობის შეფარებას ამიტომაც ამჯობინებდა.

როგორც ჯულიეტა გაბოძის კვლევას უნდა წარმოეჩინა:

პოემის პირვანდელ ვერსიაში, ეს სტრიქონები სრულიად საპირისპიროს იუწყებოდა:

ქართლსა დაიპყრობს რუსთ ხელმწიფებაო!

ამასთან:

ბარათაშვილს კონსპირაციული მიზნით უნდა მოესაბაბებინა, თითქოს „მერანი“, თავისუფლების ჰიმნი, მისთვის შთაეგონებინა ილიკო ორბელიანის, რუსეთის სამსახურში ჩამდგარი ოფიცრის, დატყვევებას იმამ შამილის მიერ.

არადა როგორც პავლე ინგოროყვას გამოერკვია:
ლექსი ეძღვნებოდა ალექსანდრე ბატონიშვილს, რუსთა მპყრობელობისაგან საქართველოს დახსნისათვის თავგადადებულ მებრძოლს, უიმისოდ არცერთი აჯანყება რომ არ მოხდებოდა ჩვენს ქვეყანაში.

Dodo Cumburidze
The University of Georgia
Georgia, Tbilisi

The Historical Narrative and the Perception of Collective Memory in Literary Texts on War

Georgia in the 1990s was a period marked by severe existential crises, civil conflict, and territorial wars. These processes were also significantly reflected in contemporary Georgian prose. The methodology of historical memory studies considers reading literature through the lens of the historian to be an important and relevant approach. The aim of this article is to analyze contemporary literary texts on war in order to examine **how literary texts support or challenge official historical narratives** in the interpretation of war, and how **the demythologization and de-heroization of war** take place.

Two texts have been selected for analysis: ***Buried Vine*** **by Artur Yurkevich and Malkhaz Jajanidze** and ***War*** **by Archil Kikodze**. In contrast to the Soviet period, when war literature was often framed within heroic, pathetic, and ideologically determined narratives, a fundamentally different tendency emerged in post-Soviet Georgian prose. Writers portray war not as a heroic struggle or self-sacrifice for the homeland, but as absurdity, tragedy, fear, and chaos. **From the historian's perspective**, this represents a transition from "big history" (the state-centered and military narrative) to "small history" (the everyday life and tragedy of ordinary people, soldiers, and refugees).

While Kikodze places the Georgian Civil War in Tbilisi and the subsequent urban and social depression at the forefront, ***Buried Vine*** takes us to the epicenter of the tragedy of Abkhazia – to Gagra. Taken together, these two texts create a comprehensive, two-sided panorama of the wars that marked the early period of independent Georgia in the 1990s: internal confrontation in the capital and regional ethnic conflict.

The first text presents the Abkhazian War through the eyes of a sixteen-year-old boy, depicting the loss of childhood and the symbolism of the vine as a code of survival. Archil Kikodze's ***War***, meanwhile, portrays the absurdity of civil conflict, post-traumatic stress, and the urban pain experienced by the capital. In terms of the problems they address, the two texts complement each other in distinctive ways. ***Buried Vine*** reveals the immediate chaos of war and the experience of displacement, whereas ***War*** explores the prolonged and chronic impact of this trauma on people's lives.

The study demonstrates that literary fiction can be understood as an alternative archive, a kind of historical source for researchers in the field. It provides unique material for studying **collective trauma**, aspects of which often remain invisible in dry archival documents.

Keywords: collective memory, literary text, historical memory

დოდო ჭუმბურიძე
საქართველოს უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

ომის თემაზე დაწერილი მხატვრული ტექსტების საისტორიო ნარატივი და კოლექტიური მეხსიერების პერცეფცია

90-იანი წლების საქართველო უმძიმესი ეგზისტენციალური კრიზისების, სამოქალაქო და ტერიტორიული ომების პერიოდია. თანამედროვე ქართულ პროზაშიც ეს პროცესები მნიშვნელოვნად აისახა. ისტორიული მეხსიერების კვლევების მეთოდოლოგია აქტუალურად თვლის ისტორიკოსის თვალით ლიტერატურის წაკითხვას. სტატიის მიზანია ომზე დაწერილი თანამედროვე ავტორების ტექსტების ანალიზით გავარკვიოთ **როგორ ეხმარება (ან ეწინააღმდეგება) მხატვრული ტექსტი ოფიციალურ საისტორიო ნარატივს** ომის გააზრებაში, როგორ ხდება **ომის დემითოლოგიზაცია და დეჰეროიზაცია.**

განსახილველად ავიღეთ ორი ტექსტი: **არტურ იურკევიჩისა და მალხაზ ჯაჯანიძის „დამარხული ვაზი“** და არჩილ ქიქოძის „ომი“. საბჭოთა პერიოდისგან განსხვავებით, სადაც ომის ლიტერატურა ხშირად გმირულ, პათეტიკურ და იდეოლოგიზებულ ჩარჩოებში ჯდებოდა, პოსტსაბჭოთა ქართულ პროზაში სრულიად საპირისპირო ტენდენცია გაჩნდა. მწერლები ომს აჩვენებენ არა როგორც თავდადებულ ბრძოლას სამშობლოსთვის, არამედ როგორც აბსურდს, ტრაგედიას, შიშსა და ქაოსს. **ისტორიკოსის თვალით** ეს არის გადასვლა „დიდი ისტორიიდან“ (სახელმწიფოებრივი, სამხედრო ნარატივი) „მცირე ისტორიაზე“ (რიგითი ადამიანის, ჯარისკაცის, ლტოლვილის ყოველდღიურობა და ტრაგედია).

თუ ქიქოძესთან თბილისის სამოქალაქო ომი და მისი შემდგომი ურბანულ-სოციალური დეპრესიაა წინა პლანზე, „დამარხული ვაზი“ აფხაზეთის ტრაგედიის ეპიცენტრში – გაგრაში გადაგვისვრის. ეს ორი ტექსტი ერთად ქმნის დამოუკიდებელი საქართველოს ადრეული პერიოდის (90-იანი წლების) ომების სრულყოფილ, ორმხრივ პანორამას: დედაქალაქის შიდა დაპირისპირებასა და რეგიონულ-ეთნიკურ ომს. პირველი წარმოაჩენს 16 წლის ბიჭის თვალით დანახულ აფხაზეთის ომს, ბავშვობის დაკარგვასა და ვაზის სიმბოლიკას, როგორც გადარჩენის კოდს. არჩილ ქიქოძის „ომი“ სამოქალაქო კონფლიქტის აბსურდს, პოსტტრავმულ სინდრომსა და დედაქალაქის ურბანულ ტკივილებს ასახავს. დანახული პრობლემებით ეს ორი ტექსტი თავისებურად ავსებენ ერთმანეთს. „დამარხული ვაზი“ გვიჩვენებს ომის უშუალო ქაოსსა და ლტოლვილობას, ხოლო „ომი“ – ამ ტრავმის ხანგრძლივ, ქრონიკულ გავლენას ადამიანების ბედზე. კვლევა გვაჩვენებს, რომ მხატვრული ლიტერატურა გაიაზრება როგორც ალტერნატიული არქივი, ერთგვარი საისტორიო წყარო ამ დარგის მკვლევართათვის, რაც გვაძლევს უნიკალურ მასალას **კოლექტიური ტრავმის** შესასწავლად, რაც ხშირად მშრალ საარქივო დოკუმენტებში არ ჩანს.

საკვანძო სიტყვები: კოლექტიური მეხსიერება, მხატვრული ტექსტი, ისტორიული მეხსიერება

Ekaterine Chumburidze-Shetsiruli
PhD Candidate in European Literature, Ivane Javakhishvili Tbilisi State University (Georgia) and Alma Mater Studiorum – University of Bologna (Italy).
Georgia, Tbilisi

George Orwell's *Nineteen Eighty-Four*: Language, Power and the Destruction of Human Freedom

This paper examines the role of language in George Orwell's dystopian novel *Nineteen Eighty-Four* and explores how linguistic manipulation functions as a mechanism of totalitarian control. The study aims to demonstrate that Orwell presents language not merely as a means of communication, but as a powerful instrument through which political authority shapes reality, suppresses individual consciousness, and restructures collective memory.

Particular attention is given to Newspeak, the official language of Oceania, designed to eliminate ambiguity, reduce vocabulary, and ultimately make independent thought impossible. By restricting linguistic expression, the Party seeks to control not only what people say but also what they are capable of thinking. The destruction of words, the inversion of meanings, and the systematic simplification of language contribute to the creation of a society in which critical reflection and personal judgment gradually disappear.

The article also analyzes the concepts of doublethink and historical revisionism, showing how the manipulation of language enables the distortion of truth and the reconstruction of reality according to the ideological needs of the regime. In this context, language becomes a tool of domination that separates individuals from their memories, from others, and ultimately from themselves.

At the same time, Orwell emphasizes the human need for memory, truth, and subjective experience. Through the character of Winston Smith, the novel reveals the persistence of individual consciousness and the desire for freedom even under conditions of extreme surveillance and repression.

The paper argues that *Nineteen Eighty-Four* remains highly relevant today because it demonstrates how the corruption of language can lead to the erosion of human dignity, critical thinking, and democratic values. The novel ultimately serves as a warning against all forms of ideological violence that seek to dominate the human mind through the control of words.

Keywords: war, peace, slavery, freedom, dystopia

ეკატერინე ჭუმბურიძე-შეწირული
„ევროპული ენების სკოლა“ (ELE)
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ალმა მატერის – ბოლონიის უნივერსიტეტის (იტალია) ერთობლივი სადოქტორო პროგრამის „ევროპული ლიტერატურა“ დოქტორანტი
საქართველო, თბილისი

ჯორჯ ორუელის „1984“: ენა, ძალაუფლება და ადამიანის თავისუფლების განადგურება

ნაშრომი ეძღვნება ენის როლის კვლევას ჯორჯ ორუელის დისტოპიურ რომანში „1984“ და მიზნად ისახავს აჩვენოს, თუ როგორ ფუნქციონირებს ენობრივი მანიპულაცია ტოტალიტარული კონტროლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მექანიზმად. კვლევა ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ ორუელი ენას განიხილავს არა მხოლოდ როგორც კომუნიკაციის საშუალებას, არამედ როგორც ძალაუფ-

ლების ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც პოლიტიკური რეჟიმი აყალიბებს რეალობას, ზემოქმედებს ინდივიდუალურ ცნობიერებაზე და გარდაქმნის კოლექტიურ მეხსიერებას.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ახალმეტყველებას (Newspeak) – ოკეანიის ოფიციალურ ენას, რომლის მიზანია მნიშვნელობათა მრავალფეროვნების აღმოფხვრა, ლექსიკური მარაგის შემცირება და საბოლოოდ დამოუკიდებელი აზროვნების შეუძლებლად ქცევა. ენის გამარტივებისა და სიტყვათა განადგურების გზით პარტია ცდილობს გააკონტროლოს არა მხოლოდ ის, თუ რას ამბობენ ადამიანები, არამედ ისიც, თუ რისი გაფიქრება შეუძლიათ. სიტყვების მნიშვნელობათა გადატრიალება, ლექსიკის მიზანმიმართული შეზღუდვა და სინამდვილის ენობრივი მოდიფიკაცია ქმნის საზოგადოებას, სადაც კრიტიკული აზროვნება და პიროვნული განსჯის უნარი თანდათან ქრება.

ნაშრომში ასევე გაანალიზებულია ორმაგი აზროვნების (doublethink) და ისტორიის მუდმივი გადაწერის მექანიზმები, რომლებიც საშუალებას აძლევს რეჟიმს დაამახინჯოს სიმართლე და რეალობა საკუთარი იდეოლოგიური ინტერესების შესაბამისად გარდაქმნას. ამ კონტექსტში ენა იქცევა დომინაციის ინსტრუმენტად, რომელიც ადამიანს აშორებს საკუთარ მეხსიერებას, სხვებს და საბოლოოდ საკუთარ თავსაც.

ამავდროულად, ორუელი ხაზს უსვამს ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებას სიმართლის, მეხსიერებისა და პირადი გამოცდილების მიმართ. უინსტონ სმიტის პერსონაჟის მეშვეობით რომანი წარმოაჩენს ინდივიდუალური ცნობიერების მდგრადობასა და თავისუფლებისკენ სწრაფვას უკიდურესი კონტროლისა და მეთვალყურეობის პირობებშიც კი.

და ბოლოს; „1984“ დღესაც განსაკუთრებულ აქტუალობას ინარჩუნებს, რადგან ნათლად აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ენის კორუფციამ და მისი მნიშვნელობების დამახინჯებამ გამოიწვიოს ადამიანური ღირსების, კრიტიკული აზროვნებისა და დემოკრატიული ღირებულებების ეროზია. ამ თვალსაზრისით, რომანი წარმოადგენს გაფრთხილებას ყველა იმ იდეოლოგიური ძალადობის მიმართ, რომელიც ადამიანის ცნობიერების დამორჩილებას ცდილობს.

საკვანძო სიტყვები: ომი, მშვიდობა, მონობა, თავისუფლება, დისტოპია

Sofiko Chumburidze
Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

Literary Reflection of the August 2008 War in Giorgi Sosiasvhili's *„The Switched-off Moon“*

The theme of war and peace remains one of the most significant and persistent issues in world literature. In recent decades, armed conflicts have posed a new challenge to writers: not to reproduce heroic and patriotic narratives of war, but to explore its human, psychological, and ethical consequences. In this context, particular attention should be given to the contemporary Georgian writer Giorgi Sosiasvhili's prose collection *The Switched-off Moon,* which reflects on the tragic experience of the 2008 Russo-Georgian War.

The significance of Sosiasvhili's work lies in the fact that the author lives in the border village of Ditsi in the Gori municipality – a space that has long been under the direct influence of the occupation line. Consequently, the representation of war in *The Switched-off Moon* is not based solely on historical facts or distant observation. The events depicted in the text are the result of the artistic transformation of the author's personal memory, lived reality, and direct experience. This circumstance grants *The Switched-off Moon* a particular sense of authenticity and emotional depth.

The aim of the study is to demonstrate how individual experience becomes part of collective memory and to examine the literary means through which the author represents the traumatic consequences of war. Special attention is paid to issues of trauma, fear, loss, forced displacement, memory, identity, and survival. In the collection, war is not depicted as a chronicle of military operations but rather as a source of the disintegration of the human inner world, a crisis of values, and existential alienation.

The research is based on theoretical paradigms of personal experience narrative, trauma theory, and cultural memory studies. Particular attention is given to the narrative strategies through which Sosiasvhili transforms personal experience into a dimension of public memory. In *The Switched-off Moon,* memory is presented not only as a mechanism for preserving the past but also as an important means of understanding traumatic experience and artistically reflecting historical reality, which is also manifested in the unforgettable metaphors of the epoch.

The study concludes that *The Switched-off Moon* represents one of the most significant artistic interpretations of the 2008 Russo-Georgian War and an important achievement of contemporary Georgian prose. The collection combines elements of documentary reality and literary imagination, thereby creating a multilayered representation of traumatic memory.

Keywords: Giorgi Sosiasvhili, *The Switched-off Moon,* Russo-Georgian War, trauma, cultural memory

სოფიკო ჭუმბურიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

2008 წლის აგვისტოს ომის მხატვრული რეფლექსია გიორგი სოსიაშვილის „გამორთულ მთვარეში“

ომისა და მშვიდობის თემა მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და აქტუალურ პრობლემად რჩება.

ბოლო ათწლეულების სამხედრო კონფლიქტებმა მწერლობის წინაშე დააყენა ახალი ამოცანა – არა ომის გმირული და პატრიოტული ნარატივების გამეორება, არამედ მისი ადამიანური, ფსიქოლოგიური და ეთიკური შედეგების გააზრება. ამ კონტექსტში, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თანამედროვე ქართველი მწერლის გიორგი სოსიაშვილის პროზაული კრებული „გამორთული მთვარე“, რომელიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ტრაგიკულ გამოცდილებას ეხმიანება.

გიორგი სოსიაშვილის შემოქმედების მნიშვნელობას განაპირობებს ის გარემოება, რომ ავტორი თავად ცხოვრობს გორის მუნიციპალიტეტის საზღვრისპირა სოფელ დიცში — სივრცეში, რომელიც წლების განმავლობაში საოკუპაციო ხაზის უშუალო გავლენის ქვეშ იმყოფება. შესაბამისად, „გამორთულ მთვარეში“ წარმოდგენილი ომის გამოცდილება არ ეფუძნება მხოლოდ ისტორიულ ფაქტებსა და დისტანციურ დაკვირვებას. ტექსტში აღწერილი ამბები ავტორის პირადი მეხსიერების, განცდილი რეალობისა და უშუალო გამოცდილების მხატვრული ტრანსფორმაციის შედეგია. სწორედ ეს გარემოება ანიჭებს „გამორთულ მთვარეს“ განსაკუთრებულ ავთენტურობასა და ემოციურ სიღრმეს.

კვლევის მიზანია იმის ჩვენება, თუ როგორ იქცევა ინდივიდუალური გამოცდილება კოლექტიური მეხსიერების ნაწილად და რა მხატვრული საშუალებებით წარმოსახავს ავტორი ომის ტრავმულ შედეგებს. ყურადღება გამახვილებულია ტრავმის, შიშის, დანაკარგის, იძულებითი გადაადგილების, მეხსიერების, იდენტობისა და გადარჩენის პრობლემატიკაზე. კრებულში ომი წარმოდგე-

ნილია არა როგორც სამხედრო მოქმედებების ქრონიკა, არამედ როგორც ადამიანის შინაგანი სამყაროს რღვევის, ღირებულებათა კრიზისისა და ეგზისტენციური გაუცხოების წყარო.

კვლევა ეფუძნება პირადი გამოცდილების ნარატივის, ტრავმის თეორიისა და კულტურული მეხსიერების შესახებ არსებულ თეორიულ პარადიგმებს.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თხრობის იმ სტრატეგიებს, რომელთა მეშვეობითაც გიორგი სოსიაშვილს პირადი გამოცდილება საზოგადოებრივი მეხსიერების განზომილებაში გადააქვს. „გამორთულ მთვარეში“ მეხსიერება წარმოდგენილია არა მხოლოდ წარსულის შემნახველ ძალად, არამედ ტრავმული გამოცდილების გააზრებისა და ისტორიული სინამდვილის მხატვრული რეფლექსიის მნიშვნელოვან საშუალებად, რაც ეპოქის დაუვწყარ მეტაფორებშიც აისახება.

კვლევის შედეგად იკვეთება, რომ „გამორთული მთვარე“ გვევლინება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის უმნიშვნელოვანეს მხატვრულ გააზრებად და თანამედროვე ქართული პროზის უდავო მიღწევად. კრებული აერთიანებს დოკუმენტური სინამდვილისა და ლიტერატურული წარმოსახვის ელემენტებს, რითაც ქმნის ტრავმული მეხსიერების მრავალშრიან სურათს.

საკვანძო სიტყვები: გიორგი სოსიაშვილი, „გამორთული მთვარე“, რუსეთ-საქართველოს ომი

Suren Danielyan, Knarik Abrahamyan
Armenian State Pedagogical University after Khachatur Abovian
Armenia, Yerevan

Perception of Time and History in the Poetry of Zaren Khrakhuni

After the Second World War, Armenian literature in Istanbul, interrupted by the Armenian Genocide and the Turkish National Movement, gradually re-emerged. Although this revival was traumatic and difficult, authors such as Zahrad, Zareh Khrakhuni, Rober Haddeciyan, and Zaven Biberyan found ways to speak about history and its unresolved problems.

Using historical and comparative methods, this article focuses on the Armenian poet from Istanbul, Zareh Khrakhuni. In 1959, in his theoretical article entitled “The Main Line,” Khrakhuni defined a new literary movement which he called “Objective Symbolism.” According to this approach, artists should not be restricted in their choice of subjects when addressing any issue, including national questions and, in this context, the themes of war and peace. This departure from prescribed historical periods and fixed historical events often enables literature to become understandable and meaningful for all nations.

Furthermore, Khrakhuni draws on Henri Bergson’s philosophy of intuition, suggesting that both the artist and the reader apprehend the deeper meaning of the text through an intuitive rather than purely rational process.

Khrakhuni’s focus extends beyond Armenian history to world history as well, and in his poetry these histories become intertwined. This approach is particularly evident in two poems: “Shadow and Echo” (1973, 1988) and “Story of the Century” (2001), which present Armenian history from the era of the Roman Empire to the twentieth century, especially the Soviet period. Khrakhuni continues to explore these existential questions in a number of poems, extending them to the First Artsakh War and contemporary times. In this sense, Zareh Khrakhuni may be regarded as a kind of chronographer of Armenian history.

Keywords: Armenian literature, Zareh Khrakhuni, history, “Objective Symbolism”, historical and comparative methods

Gocha Davitadze
Batumi Shota Rustaveli State University
Georgia, Batumi

Collective Trauma and the Deformation of Memory in Eugène Ionesco's Theatre of the Absurd Play "The Chairs"

The literary landscape of the 20th century reflects a multifaceted depiction of post-war society, illustrating individuals facing psychocultural crises and spiritual collapse. World wars profoundly fractured human consciousness, engendering pervasive helplessness and existential dread – themes epitomized by the Theatre of the Absurd, notably Eugène Ionesco's "The Chairs."

Evading spatial localization, Ionesco positions his characters within a universal context populated by an old man, an old woman, invisible guests, and an Orator. At the center, the chairs represent a desacralized emanation of society, embodying a tragic farce stripped of divinity. They imitate a configured society trapped in a matrix. This study structurally analyzes the society manifested through these chairs, focusing on trauma-induced unreality and memory crises.

These chairs have detached from time, space, and physical tangibility. Incapable of abstract thought, they no longer belong to the metaphysical realm, abandoning deep dialogue for fallacy and incoherent speech. Knowledge and recognition are lost to memory deformation. While the elderly couple struggles to communicate, their words remain void of substance; language has died, relinquishing its primal social function – communication.

individual trauma scales into a qualitative collective crisis. The empty chairs absorb the existence of an invisible populace. The chronotopic continuum of past, present, and future collapses. Society fails to anchor its future as the past sinks into fractured memory through absurd circularity. Dissevered from the present, culture ceases to reflect identity, remaining distorted within consciousness as a vehicle for nationality and personal self-expression.

Keywords: Memory, Trauma, Deformation, The Chairs, Ionesco

გოჩა დავითაძე
შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ბათუმი

კოლექტიური ტრავმა და მეხსიერების დეფორმირება ეჟენ იონესკოს აბსურდის დრამაში „სკამები"

მე-20 საუკუნის ლიტერატურულ ტექსტებში შეინიშნება ომის შემდგომი საზოგადოების მრავალსახოვანი და მრავალფუნქციური ასახვის სიმრავლე. ავტორები აღწერენ პიროვნებათა ინვარიანტებს, რომლებიც ფსიქიკურ-სოციალური მოცემულობების პირისპირ აღმოჩნდნენ და განიცადეს მორალურ-სულიერი კრახი. მსოფლიო ომებმა დიდი გავლენა იქონია ადამიანების პირად ცხოვრებასა და ცნობიერებაზე. მათთვის უცხო აღარ იყო უმწეობა, სასოწარკვეთილება და ეგზისტენციური შიშები, რომელთა გამომსახველობა აბსურდის დრამამ მხატვრული სახე-ნიშნებით სრულფასოვნად წარმოაჩინა. ამ მხრივ კი მნიშვნელოვანია ეჟენ იონესკოს შემოქმედება და მისი აბსურდის დრამის ტექსტი „სკამები".

ავტორი მიზანმიმართულად ერიდება პერსონაჟების ლოკალიზაციას. მათ უნივერსალურ კონტექსტში განიხილავს. სადაც მხატვრულ სახეებად წარმოდგენილნი არიან მოხუცი ქალი/მამა-

კაცი, არარეალური მოხუცები და ორატორი. სცენის ცენტში სკამები განასახიერებენ საზოგადოების „ემანაციას“ დესაკრალიზირებული ფორმით, არც ღვთაებირობის სიმბოლო ჩანს და არც ტრაგიზმი. ეს არის ტრაგიკული ფარსი, ანუ კომიკურობა. სკამები წარმოადგენენ იმიტაციას მატრიცაში მყოფი კონსტუირებული საზოგადოების. ნაშრომის მიზანია სწორედ სკამების მხატვრულ სახეში მყოფი საზოგადოების სტრუქტურულური დაკვირვება. სადაც იკვეთება ტრავმის ფონზე არარეალური გამოსახულებები და მეხსიერების დეფორმირება/კრიზისი.

სკამებმა დაკარგეს დრო, სივრცე, სხეულებრივ-საგნობრივი გამოვლინება, ისინი არც მეტა-ფიზიკურ სამყაროს აღარ ეკუთვნიან, რადგან ვეღარ უერთდებიან აბსტრაქტულ აზროვნებას. შეწყ-ვიტეს დიალოგი ყოველგვარ სიღრმესთან, მათი გონება მცდარი აზრებითა და აბდაუბდა მეტყვე-ლებით არის განსაზღვრული. დაავიწყდათ ცოდნა, ცნობა. მეხსირება დეფორმირდა. მოხუცები ცდილობენ რაღაცის თქმას, მაგრამ აზრი შინაარსისგან არის დაცლილი. ენა მოკვდა, ანუ შეწყვიტა ამოსავალი სოციალური ფუნქცია – კომუნიკაცია, დიალოგი.

ინდივიდუალური ტრავმა ტრანსფორმირდა კოლექტიურში. ეს არა რაოდენობრივ მოცემუ-ლობად, არამედ თვისობრივად იქცა. უხილავი საზოგადოების ყოფიერებას ითავსებს ცარიელი სკამები. ქრონოტოპი (დროის) სამივე პარადიგმა აწმყოს, წარსულისა და მომავლის კონტიუუმი დაქუცმაცდა, ჩამოიშალა და დანაწევრდა. საზოგადოება ვეღარ ამაგრებს მომავლის საყრდენს, რადგან აბსურდული წრებრუნვით წარსული კრიზისულ მეხიერებაში ეფლობა, მისი კულტურა აღარ არის იდენტობის გამომხატველი და აწმყოსთან აღარ აკავშირებს განგრძობითი კავშირი. ის დეფორმიერებულია ცნობიერებაში, როგორც ნაციონალურობის და პიროვნული თვითგამოხატუ-ლობის საშუალება.

ტექსტის კვლევა მოითხოვს სიღრმისეულ, ახალ წაკითხვას. ნაშრომი დაეფუძნა არა ერთ კონკრეტულ მეთოდს, არამედ სინთეზური კვლევის სახეს იღებს (ჰერმენევტიკული მეთოდი, დე-კონსტრუქციული ანალიზი, რეცეფციული ანალიზი...), წინამდებარე ნაშრომის მიზანი არა მხო-ლოდ ლიტერატურის, არამედ ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური განაზრებანის შეჯერებასაც წარმოადგენს მთელი პოლიტიკურ-სოციალური და კულტურული კონტექსტებით.

საკვანძო სიტყვები: მეხიერება, ტრავმა, დეფორმირება, სკამები, იონესკო

Tamila Davitadze
Batumi Shota Rustaveli State University
Georgia, Batumi

Remythologization and the Apocalypse of War in Michel Tournier's Postmodern Novel „The Ogre“

The oeuvre of the prominent French classical writer, Michel Tournier, is grounded in philosophical, mythical, and legendary plots, which are conveyed through the author's unique interpretation, development, and hypotheses. The distinctive nature of his writing style is primarily manifested in the narrative, where reality is frequently intertwined with an imaginary world. In this regard, *The Ogre* (*Le Roi des Aulnes*, 1970) is particularly intriguing; within it, a man-eating giant transforms into Saint Christopher – a savior of children – midst the horrors of World War II and Nazism. Considered the best novel of the 1970s, *The Ogre* was awarded the prestigious Prix Goncourt and laid the foundation for postmodernism, serving as a framework through which we examine the phenomena of remythologization and war. It stands as one of the most profound and multi-layered novels, seamlessly integrating mythology, psychoanalysis, historical reality, and philosophical symbolism. In this work, the author depicts the reality of East Prussia and certain

facets of Nazism. The novel's title references Goethe's ballad *Erlkönig* (The Erlkönig / The King of the Alders), while the plot is rooted in an ancient German legend about an elven king who abducted and killed children. The narrative structure of the protagonist, Abel Tiffauges, as a mythological archetype, is based on the one hand on the transposition of the biblical myth of Cain and Abel, and on the other hand, serves as a direct reference to Goethe's ballad. Intertextuality manifests here in a threefold manner: the biblical thread, the myth of the androgyne, and the figure of the Erlkönig from Goethe's ballad.

By employing a mythological lens, the author explores the phenomenon of fascism and its magical nature. The Erlkönig personifies the child-abducting force, dark instinctive impulses, and the symbol of power over the helpless. In the novel, Nazi ideology is presented not merely in a political light, but within a mythological dimension. Here, Nazism creates a cult of heroism, purity, and youth: the Kaltenborn school transforms into a ritualistic space where children are molded into "heroes." Tournier demonstrates how ideology can mutate into a potent force operating in the guise of myth. War is not just a historical event here; it represents the liberation of human instincts, the legitimization of violence, and a manifestation of collective madness. Tiffauges seems to be an allegory of war itself – a man who actualizes his own dark impulses against the backdrop of a historical catastrophe.

Tournier refrains from giving a simple moral evaluation of man; instead, he compels us to reflect upon the complexity of human nature. The author utilizes psychoanalytic elements, such as sublimation, fetishism, and the impulses of the unconscious. The novel's finale is both tragic and symbolic. Tiffauges' destiny is intertwined with the end of the war and the collapse of the Nazi system, demonstrating that power over a child and the helpless cannot endure eternally, and that dark instincts inevitably lead to self-destruction. Consequently, *The Ogre* is a novel about the interconnectedness of man's dark instincts, power, myth, and history. Tournier illustrates that when individual trauma and collective ideology merge, the outcome can be catastrophic. The work is profoundly intertextual, yet the writer strives for a unity of meaning and expression. In his view, modern civilization faces the danger of losing its wholeness and requires a singular method of representation; hence, he turns to myth, transforming it according to his own vision. The mythologization of the plot enabled Michel Tournier to create a highly distinctive variation of the paraphrase-novel.

Keywords: War, myth, postmodernism, Michel Tournier, The Ogre

თამილა დავითაძე
შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ბათუმი

რემითოლოგიზაცია და ომის აპოკალიფსი მიშელ ტურნიეს პოსტმოდერნისტულ რომანში „ტყის მეფე“

გამორჩეული ფრანგი კლასიკოსი მწერლის, მიშელ ტურნიეს შემოქმედება დამყარებულია ფილოსოფიურ, მითურ, ლეგენდურ სიუჟეტებზე, რომლებიც ავტორისეული ინტერპრეტირებით, განვითარებით და ჰიპოთეზით არის გადმოცემული. მისი წერის სტილის თავისებურება უპირველესად თხრობაში ვლინდება, სადაც რეალობა ხშირად წარმოსახულ სამყაროს უკავშირდება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა „ტყის მეფე“ („Le Roi des Aulnes“ 1970 წ.) რომელშიც კაციჭამია გოლიათი წმინდა კრისტოფად – ბავშვების გადამრჩენელად იქცევა მეორე მსოფლიო ომისა და ნაციზმის დროს. 70-იანი წლების საუკეთესო რომანად მიჩნეულმა „ტყის მეფემ“ გონკურის ლიტერატურული პრემია დაიმსახურა და პოსტმოდერნიზმს ჩაუყარა საფუძველი, რომლის მაგალითზეც ვიკვლევთ რემითოლოგიზაციის და ომის ფენომენის საკითხს. იგი ერთ-ერთი ყველაზე ღრმა და

მრავალშრიანი რომანია, რომელიც აერთიანებს მითოლოგიას, ფსიქოანალიზს, ისტორიულ რეალობასა და ფილოსოფიურ სიმბოლიზმს. მასში ავტორი აღმოსავლეთ პრუსიის რეალობას და ნაციზმის გარკვეულ ასპექტებს აღწერს. რომანის სათაური უკავშირდება გოეთეს ბალადას – Erlkönig (ტყის მეფე), ხოლო სიუჟეტი ეფუძნება ძველ გერმანულ ლეგენდას ტყის მეფის შესახებ, რომელიც ბავშვებს იტაცებდა და კლავდა. მთავარი გმირის, აბელ ტიფოჟის, როგორც მითოლოგიური არქეტიპის ნარატიული სტრუქტურა ეფუძნება ერთის მხრივ აბელისა და კაენის ბიბლიური მითის ტრანსპოზიციას, ხოლო, მეორეს მხრივ, პირდაპირი რეფერენციაა გოეთეს ბალადისა „ტყის მეფე“. ინტერტექსტუალობა აქ სამმაგი სახით ვლინდება: ბიბლიური ხაზი, ანდროგინის მითი და ტყის მეფის სახე გოეთეს ბალადიდან.

მითოლოგიური რაკურსის გამოყენებით მწერალი იკვლევს ფაშიზმის ფენომენს და მის მაგიურ ბუნებას. ტყის მეფე განასახიერებს ბავშვის გამტაცებელ ძალას, ბნელ, ინსტინქტურ მისწრაფებებს და ძალაუფლების სიმბოლოს უმწეოზე. რომანში ნაცისტური იდეოლოგია წარმოდგენილია არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ მითოლოგიურ ჭრილში. ნაციზმი აქ ქმნის გმირობის, სიწმინდისა და ახალგაზრდობის კულტს: კალტენბორნის სკოლა იქცევა რიტუალურ სივრცედ, სადაც ბავშვები „გმირებად“ ყალიბდებიან. ტურნიე აჩვენებს, რომ იდეოლოგია შეიძლება გადაიქცეს მითის სახით მოქმედ ძალად. ომი აქ მხოლოდ ისტორიული მოვლენა არ არის, იგი ადამიანური ინსტინქტების გათავისუფლება, ძალადობის ლეგიტიმაცია და კოლექტიური სიგიჟის გამოვლინებაა, ტიფოჟი თითქოს თავად არის ომის ალეგორია – ადამიანი, რომელიც საკუთარ ბნელ იმპულსებს ისტორიული კატასტროფის ფონზე ახორციელებს. „ყველაფერი არის ნიშანი“, – ამბობს აბელ ტიფოჟი და მ. ტურნიეც ამ „ნიშნების თამაშით“ ქმნის სრულიად ახალ მითოლოგიურ სამყაროს. საქმე გვაქვს ტურნიესეულ ჰერმენევტიკასთან, სადაც საყოველთაოდ ცნობილი სიუჟეტები, სახეები, მოტივები სახეცვლილია.

ტურნიე არ გვაძლევს ადამიანის მარტივ მორალურ შეფასებას – ის გვაიძულებს ვიფიქროთ მისი ბუნების სირთულეზე. ტურნიე მიმართავს ფსიქოანალიტიკურ ელემენტებს: სუბლიმაციას, ფეტიშიზმს, არაცნობიერის იმპულსებს. რომანის ფინალი ტრაგიკულია და სიმბოლური. ტიფოჟის ბედი უკავშირდება ომის დასასრულს და ნაცისტური სისტემის ნგრევას, რაც აჩვენებს, რომ ძალაუფლება ბავშვზე და უმწეოზე ვერ იქნება მარადიული, ბნელი ინსტინქტები თვითგანადგურებას იწვევს. ამგვარად, „ტყის მეფე“ არის რომანი ადამიანის ბნელი ინსტინქტების, ძალაუფლების, მითის და ისტორიის ურთიერთკავშირის შესახებ. ტურნიე გვიჩვენებს, რომ როდესაც ინდივიდუალური ტრავმა და კოლექტიური იდეოლოგია ერთიანდება, შედეგი შეიძლება კატასტროფული იყოს.

ნაწარმოები, ინტერტექსტუალურია, თუმცა მწერალი ესწრაფვის აზრისა და გამოსახვის ერთიანობისკენ. მისი აზრით, თანამედროვე ცივილიზაცია ერთიანობის დაკარგვის საშიშროების წინაშე დგას და მას ასახვის განსაკუთრებული მეთოდი სჭირდება, ამიტომაც იგი მიმართავს მითს, ახდენს რა მის გარდასახვას საკუთარი შეხედულებისამებრ. სიუჟეტის მითოლოგიზაციამ მიშელ ტურნიეს შეაძლებინა შეექმნა, რომანი-პარაფრაზის განსაკუთრებული სახეობა.

საკვანძო სიტყვები: ომი, მითი, პოსტმოდერნიზმი, მიშელ ტურნიე, ტყის მეფე

Temur Doiashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

On the Genre Specificity of Galaktion Tabidze's „The Book of Peace"

Galaktion Tabidze's poem "The Book of Peace" was first published in full in 1973, in the eleventh volume of the academic twelve-volume edition of the poet's collected works. Tabidze's archival notes indicate that the author regarded "The Book of Peace" as an innovative work ("the poem is, in terms of execution, a novelty") and worked on its artistic refinement for a long time.

The conception of "The Book of Peace" is connected to the interpretation of the post-war reality and the poetic expression of the idea of peace, where the synthesis of national and universal experience remains a central task. According to established views, the poet aims to create a modern epic narrative which, to some extent, is linked to the tradition of "The Knight in the Panther's Skin."

Observation of the poem shows that its genre specificity is based on a strict versification system. Rhyme here functions not only as a formal element but also as a compositional foundation that ensures the integrity of the text. Tabidze intended to use thousands of rhymes, which emphasizes the absolute dominance of form. The stanzaic model, consisting of eight-line structures with an ababcccb scheme, creates a strict rhythmic order that serves the structural stability of the text.

The classical model of epic narration is significantly transformed in the poem. The strengthening of lyrical intonations and the author's subjective intervention seem to disrupt narrative coherence. The plot loses its central function, and epic narration shifts into a fragmented, associative structure. This process leads to an internal destabilization of the genre and a lyrical modification of the epic form.

As a result, "The Book of Peace" takes shape as an essentially lyrical poem, where the epic form retains only a framework-like function, while the main artistic line is expressed through lyrical intensity: this is a noteworthy attempt to merge epic and lyrical principles. At the same time, the poem's conceptual design is of particular interest: beyond the themes of war and peace, it reflects the emphasis on the historical experience of the national spirit and the idea of self-preservation.

Keywords: Galaktion Tabidze, lyrical poem, genre, theme of peace, poetics

თემურ დოიაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

გალაკტიონ ტაბიძის „მშვიდობის წიგნის" ჟანრობრივი სპეციფიკისათვის

გალაკტიონ ტაბიძის პოემა „მშვიდობის წიგნი" სრული სახით პირველად 1973 წელს, პოეტის თხზულებათა აკადემიური თორმეტტომეულის მეთერთმეტე ტომში დაიბეჭდა. გალაკტიონის საარქივო ჩანაწერები გვიჩვენებს, რომ ავტორი „მშვიდობის წიგნს" ნოვატორულ ნაწარმოებად მიიჩნევდა („პოემა შესრულების მხრივ – სიახლეა") და ხანგრძლივად მუშაობდა მის მხატვრულ სრულყოფაზე.

„მშვიდობის წიგნის" ჩანაფიქრი უკავშირდება ომისშემდგომი რეალობის გააზრებას და მშვიდობის იდეის პოეტურ გამოხატვას, სადაც ეროვნული და უნივერსალური გამოცდილების

სინთეზი ცენტრალურ ამოცანად რჩება. დამკვიდრებულ შეხედულებათა მიხედვით, პოეტი მიზნად ისახავს თანამედროვე ეპიკური ნარატივის შექმნას, რომელიც, გარკვეული თვალსაზრისით, „ვეფხისტყაოსნის“ ტრადიციას უკავშირდება.

პოემაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ მისი ჟანრობრივი სპეციფიკა ეფუძნება მკაცრ ვერსიფიკაციულ სისტემას. რითმა აქ წარმოადგენს არა მხოლოდ უბრალო ფორმისეულ ელემენტს, არამედ კომპოზიციურ საყრდენს, რომელიც ტექსტის მთლიანობას უზრუნველყოფს. გალაკტიონი მიზნად ისახავს ათასობით რითმის გამოყენებას, რაც ხაზს უსვამს ფორმის აბსოლუტურ დომინანტობას. სტროფული მოდელი, რვატაეპიანი კონსტრუქციითა და ababcccb სქემით, ქმნის მკაცრ რიტმულ წესრიგს, რომელიც ტექსტის ქსოვილის, მისი ფორმის სიმყარეს უნდა ემსახურებოდეს.

ეპიკური თხრობის კლასიკური მოდელი პოემაში მნიშვნელოვნად იცვლება. ლირიკული ინტონაციების გაძლიერება და ავტორის სუბიექტური ჩარევა თითქოს არღვევს ნარატიულ მთლიანობას. სიუჟეტი კარგავს ცენტრალურ ფუნქციას და ეპიკური თხრობა ფრაგმენტულ, ასოციაციურ სტრუქტურაში გადადის. სწორედ ეს პროცესი იწვევს ჟანრის შინაგან დესტაბილიზაციას და ეპოსის ლირიკულ მოდიფიკაციას.

შედეგად, „მშვიდობის წიგნი“ ყალიბდება როგორც არსებითად ლირიკული პოემა, სადაც ეპიკური ფორმა ინარჩუნებს მხოლოდ ერთგვარი ჩარჩოს ფუნქციას, ხოლო ძირითადი მხატვრული ხაზი ლირიკულ ექსპრესიაში ვლინდება: ეს არის ეპიკური და ლირიკული საწყისების შერწყმის საყურადღებო მცდელობა. ამავე დროს, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პოემის კონცეპტუალური ჩანაფიქრი: ომისა და მშვიდობის თემის მიღმა ირეკლება ეროვნული სულის ისტორიული გამოცდილების აქცენტირება და თვითგადარჩენის იდეა.

საკვანძო სიტყვები: გალაკტიონ ტაბიძე, ლირიკული პოემა, ჟანრი, მშვიდობის თემა, პოეტიკა

Biljana Dojčinović
Full Professor
University of Belgrade, Faculty of Philology
Serbia, Belgrade

Pro et Contra the Vietnam War in the Works of John Updike

American author John Updike (1932-2009) addressed the Vietnam War in both his fiction and non-fiction. In fiction, the most revealing example appears in *Rabbit, Redux* (1971), his most overtly political novel. In it two male protagonists engage in a debate over American intervention in Vietnam. Through the opposing views of Rabbit Angstrom, who supports the war, and his friend and colleague Charlie Stavros, who opposes it, a range of enduring issues emerges, including politics, violence, ethics, political awareness, migration, national identity and other questions that remain highly relevant in contemporary conflicts. Another anti-war, yet destructive, character is Skeeter, the self-proclaimed "black Jesus", who brings in issues of race, violence and counter culture of the time.

In his non-fiction, Updike adopted a position that was not widely welcomed by many of his contemporary colleagues. His attempt to articulate and justify this stance in the autobiographical essay *"On Not Being a Dove"* further deepens the discussion introduced through his fictional characters. Finally, critical responses from readers and scholars in the 1990s and beyond underscore a persistent and troubling reality: the concerns raised in Updike's work continue to resonate, suggesting that the world has not changed for the better.

Keywords: Updike, Vietnam war, counter-culture, Sixties

Nino Dolidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Georgia, Tbilisi

Representation of Trauma in Darwish's Poetry

The paper concerns the Near Eastern traumatic narratives generally, and poetry of Mahmoud Darwish (1942-2008), particularly. There are two main elements in the texts of the refugee Palestinian poet: individual traumatic experience, as he lost his place in the age of 6 because of the West Bank occupation and Arab-Israeli conflict; and the collective memory reflected so deeply in his verses.

In the contemporary Arabic traumatic narratives one can observe strength, on the one hand, and frustration, on the other. Literary representation of trauma in the conditions of homelessness and placelessness mostly helps the author to cope with his traumatic past. But it becomes impossible to live normally moving from one place to another. Therefore, home becomes the metaphor of the psyche tortured by the traumatic experiences, while the text / verse becomes home, full of memories and nostalgy. Trauma conceptions created in Europe, Israel or North America etc. are not always suitable for the understanding of traumas in the Arabic World, where depicting of the everyday hard life might be the form of political demands and protest as well.

In Darwish's verses, especially in his late poetry, there is less protest. The representation of the trauma is mostly connected to the nostalgy, impossibility of return, loss of home and land etc. He tries to depict in his texts Palestine and Palestinians to create collective memory, which has important role in preserving of the identity as well. Thereby Darwish becomes the "Poet of Troy" who tells the story of victims.

Key Words: Arab-Israeli War, Trauma, Memory, Poetry

ნინო დოლიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

ტრამვის რეპრეზენტაცია მაჰმუდ დარვიშთან

მოხსენებაში ყურადღებას გავამახვილებთ ტრამვული ნარატივების თავისებურებებზე ზოგადად ახლო აღმოსავლეთში, კონკრეტულად კი შევეხებით პალესტინელი პოეტის მაჰმუდ დარვიშის (1942-2008) შემოქმედებას, რომლის ანალიზი სხვადასხვა კუთხითაა შესაძლებლი. თუმცა რაკი მას წითელ ზოლად გასდევს დევნილობის გამოცდილების ასახვა, აქ მთავარ საკითხებად შეიძლება გამოიყოს ინდივიდუალური ტრამვა, განპირობებული იმით, რომ ე.წ. დასავლეთ სანაპიროს ოკუპაციისა და არაბ-ისრაელის ომის გამო პოეტი ექვსი წლის ასაკიდან ლტოლვილად იქცა; და კოლექტიური მეხსიერება, ასე ნათლად რომ წარმოჩნდა მის ლექსებში.

თანამედროვე არაბულ ტრამვულ ტექსტებში ერთი მხრივ, იგრძნობა სიძლიერე, მეორე მხრივ, ფრუსტრაცია. ტრამვის ლიტერატურული რეპრეზენტაცია უადგილობის, უსახლობის პირობებში ავტორს უმეტესად ეხმარება ტრავმატული წარსულის დაძლევაში, თუმცა ზოგჯერ უმძაფრებს კიდეც ტკივილის განცდას. მუდმივი გადაადგილების პირობებში შეუძლებელი ხდება ნორმალური, ნორმირებული ცხოვრება. სახლი იქცევა ტრავმატული გამოცდილებით გატანჯული ფსიქიკის მეტაფორად, ხოლო ტექსტი / ლექსი – სახლად, რომელიც არასოდესაა დაზღვეული მოგონებათა შემოტევისაგან. დევნილთათვის, ზოგადად, დამახასიათებელია ტრამვატული მოგონე-

ბები, ნოსტალგიური განწყობა – თითქოს ხსოვნა აუცილებელიც კია წერისთვის. თუმცა, ევროპაში, ისრაელსა თუ ჩრდილო ამერიკაში ჩამოყალიბებული ტრამვის კონცეფციები არასაკმარისია ტრამვის გასაგებად და ასახსნელად არაბულ სამყაროში, სადაც ყოველდღიურობად ქცეული რთული გამოცდილების აღწერა პროტესტისა და პოლიტიკური მოთხოვნების წაყენების ფორმაც კი გახდა.

დარვიშთან, განსაკუთრებით მისი შემოქმედების ბოლო ეტაპზე, პროტესტი შედარებით ნაკლებად იკვეთება. ტრამვის რეპრეზენტაცია უმეტესად სახლის არქონის, სამშობლოსგან შორს ყოფნის, უადგილობის, საკუთარ მიწაზე დაბრუნების შეუძლებლობის, ნოსტალგიისა და დანაკარგის შეგრძნებებთანაა დაკავშირებული. პოეტისთვის ერთგვარი გამოსავალია მიწის, პალესტინის ლანდშაფტის, მისი წარსულის, თვითონ პალესტინურობის ასახვა ტექსტში. რაკი ნამდვილი სახლი აღარ არსებობს, პოეზია გვევლინება სახლადაც და პალესტინელთა კოლექტიური მეხსიერების შენარჩუნების საშუალებადაც. ლექსი წარსულის დაძლევაში არა მხოლოდ პოეტს, სხვა დევნილ პალესტინელებსაც ეხმარება, რაკი სწორედ ის გადაიქცევა იმ ცოცხალ ხსოვნად, რომელსაც დიდი როლი ენიჭება პალესტინური იდენტობის შენარჩუნების საქმეში, ხოლო დარვიში „ტროას პოეტია“, მსოფლიოს „მსხვერპლის ამბავი“ რომ უნდა უამბოს.

საკვანძო სიტყვები: არაბ-ისრაელის ომი, ტრამვა, მეხსიერება, პოეზია

Bela Durglishvili
Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

The Fable Contexts of Cannibalism, or the Road to Nowhere
(Based on Misha Bakhsoliani's "Cannibalism")

Throughout the existence of mankind, the world has known many wars and bloody confrontations with specific causes and horrific consequences. The works of writers of different times have reflected the phenomenon of war in different ways. To this day, research and search for the philosophical and scientific aspects of war are ongoing, so that people can avoid the expected military conflicts in each new era.

Our modern writers perceive the catastrophic long-term consequences of war differently. Prose writer Misha Bakhsoliani generalizes his statement about war with parables, allegories, and simulacra of the postmodern era. War is not only a monster that once attracts people from their native lands and expels them from their homes, but also forever leaves its diseased cell in them, to which they instinctively obey. This cell spreads like a plague to almost every healthy body, organism, and soul and rules their minds and hearts.

The fact that the war is over does not mean its end yet, now people should fear peace, because the child of war, peace, is also a terrible monster and a bloody beast that has settled in the souls of the refugees from Abkhazia and pushes them to unimaginable actions.

Thus, a previously healthy-minded and rational person turns into a bloodthirsty and flesh-thirsty vengeful, man-killing demon from God's creation.

The writer presents cannibalism as a terrifying post-war situation, which is secretly embodied not only by the main characters, but also by absolutely everyone who daily tastes the terrible dishes of war in the so-called dining room.

Behind the disgusting, terrifying everyday reality, the author's most unshakable analysis and question are read in a parable: is this the worldly nature of man, his mission? The author forces us to reflect on the destruction of a person's identity, psyche, and morality as a result of war, the ongoing violence, the

disruption of psychological and spiritual harmony, the formation of traumatic memory syndrome, and the alienation from the sublime, the divine, which is why he loses his mission and turns into an absolutely zombie-like being.

Keywords: war; exile; cannibalism; human nature

ზელა დურგლიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

კანიბალიადას იგავური კონტექსტები ანუ გზა არსაით
(მიშა ბახსოლიანის „კანიბალიადას“ მიხედვით)

კაცობრიობის არსებობის განმავლობაში სამყარო იცნობს უამრავ ომსა და სისხლიან დაპირისპირებას კონკრეტული მიზეზებითა და შემზარავი შედეგებით. სხვადასხვა დროის მწერალთა შემოქმედებამ სხვადასხვაგვარად აირეკლა ომის ფენომენი. დღემდე მიმდინარეობს ომის ფიოლოსოფიურ–მეცნიერული ასპექტების კვლევა–ძიება, რათა ადამიანებმა ყოველ ახალ ეპოქაში თავიდან აირიდონ მოსალოდნელი საომარი კონფლიქტები.

ჩვენი თანამედროვე მწერლები განსხვავებულად აღიქვამენ ომის კატასტროფულ გრძელვადიან შედეგებს. პროზაიკოსი მიშა ბახსოლიანი იგავურობით, ალეგორიზმითა და პოსტმოდერნისტული ეპოქის სიმულაკრული მინიშნებებით განაზოგადებს თავის სათქმელს ომთან დაკავშირებით. ომი არა მხოლოდ ის ურჩხულია, რომელიც ერთჯერადად მიერეკება ადამიანებს მშობლიური კუთხიდან და დევნის საკუთარი საცხოვრებლებიდან, არამედ სამუდამოდ ტოვებს მათში თავის დაავადებულ უჯრედს, რომელსაც ისინი ინსტიქტურად ემორჩილებიან. ეს უჯრედი თითქმის ყველა ჯანსაღ სხეულს, ორგანიზმს, სულს ჭირივით მოედება და მათ გონებასა და გულს მართავს.

ის, რომ ომი დამთავრდა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის დასასრულს, ახლა მშვიდობის უნდა ეშინოდეთ ადამიანებს, რადგან ომის შვილი მშვიდობაც, თავის მხრივ, საზარელი მონსტრი და სისხლიანი მხეცია, რომელიც აფხაზეთიდან დევნილთა არსებაში ჩაბუდებულა და წარმოუდგენელი ქმედებებისაკენ უბიძგებს მათ.

ასე იქცევა მანამდე ჯანსაღი აზროვნებისა და გონების ადამიანი ღვთის ქმნილებიდან სისხლ და ხორცმწყურვალე შურისმაძიებელ, კაცისმკვლელ დემონად.

მწერალი წარმოგვიდგენს კანიბალიადას, როგორც შემზარავ პოსტსაომარ ვითარებას, რომელსაც ფარულად განასახიერებენ არა მხოლოდ მთავარი პერსონაჟები, არამედ აბსოლუტურად ყველა, ვინც ეგრეთ წოდებულ სასადილოში ყოველდღიურად იგემებს ომის საშინელ კერძებს.

ამაზრზენი, თავზარდამცემი ყოფითი რეალობის მიღმა იგავურად იკითხება ავტორის უმტკივნეულესი ანალიზი და შეკითხვა: ნუთუ ესაა ადამიანის ამქვეყნიური რაობა, მისი მისია? ავტორი გვაიძულებს, დავუფიქრდეთ ომის შედეგად ადამიანის იდენტობის, ფსიქიკისა და მორალის ნგრევას, მიმდინარე ძალადობებს, ფსიქოლოგიური და სულიერი ჰარმონიის რღვევას, ტრავმული მეხსიერების სინდრომის ფორმირებას და ამაღლებულთან, ღვთაებრივთან, გაუცხოებას, რის გამოც იგი კარგავს მისიას და იქცევა აბსოლუტურად ზომბირებულ არსებად.

საკვანძო სიტყვები: ომი; დევნილობა; კანიბალიადა; ადამიანის რაობა

Inna Dvorecka
Daugavpils University
Latvia, Daugavpils

Experience of Refugeehood and Its Overcoming in Poetic and Ego-Writing of Igor Chinnov

Igor Chinnov (1909-1996) was a Russian poet born into a lawyer's family in Tukums (Latvia that was then part of the Russian Empire). He spent most of his life (since the 1920s) living as an emigrant in various European countries and in America. The experience of emigration, eternal homelessness and the inability to settle anywhere formed the core of his personal and poetic identity. Chinnov's worldview is tragic: he sees the earthly world as fragile and unstable, but this applies particularly to historical processes and the fate of nations. External wars and internal conflicts led not only to physical destruction, but also to the destruction of meaning, the severing of cultural ties and the loss of continuity. Therefore, the primary means of understanding the historical process and its tragic contradictions is grotesque. The realm of Big History is depicted as an absurd, chaotic masquerade in which roles are assigned at random, and the individual is the object of a cruel game of chance. This understanding of the historical process is most consistently manifested in the depiction of the Baltic region. Chinnov refuses to play an active part in this catastrophic process (he, who "had survived two world wars and one civil war", defined himself as "a refugee, a fugitive, weary of bloodshed"). To overcome the tragic émigré complex, he goes beyond the borders of émigré artistic consciousness in his poetry and his ego-writing (his unfinished attempt at memoirs is a deconstruction of the émigré memoir model).

Keywords: refugee, émigré experience, grotesque, Igor Chinnov, the Baltic region

Tinatin Dzodzuashvili
Doctoral student
Georgia, Tbilisi

Humanism as a Form of Resistance: Narratives of Peace and Ethical Resistance in the Prose of Shio Aragvispireli

In contemporary humanities scholarship, the discourse of war and peace extends beyond the representation of military conflicts to encompass narratives in which violence manifests itself through social, cultural, and psychological forms. From this perspective, the prose of Shio Aragvispireli is particularly significant, as it portrays the individual's struggle within an environment shaped by injustice and various forms of violence, despite the absence of explicit war-related themes.

This paper explores how humanism functions as a form of ethical resistance in Shio Aragvispireli's short story *"Happy New Year"* and how it contributes to the construction of an alternative model of a "peace narrative." The study draws upon ethical theories of humanism in dialogue with trauma theory and feminist literary criticism, enabling a nuanced analysis of female characters, their social and psychological experiences, their ethical resilience, and their pursuit of inner peace. Within this framework, Aragvispireli's humanism is interpreted as an active form of resistance that challenges both visible and invisible structures of violence.

Keywords: Shio Aragvispireli, Humanism, Peace Narrative, Ethical Resistance, Female Characters

თინათინი ძოძუაშვილი
დოქტორანტი
საქართველო, თბილისი

ჰუმანიზმი, როგორც წინააღმდეგობის ფორმა: მშვიდობისა და ეთიკური წინააღმდეგობის ნარატივები შიო არაგვისპირელის პროზაში

თანამედროვე ჰუმანიტარულ კვლევებში ომისა და მშვიდობის დისკურსი აღარ შემოიფარგლება მხოლოდ სამხედრო კონფლიქტების ასახვით და მოიცავს იმგვარ ნარატივებსაც, სადაც ძალადობა ვლინდება სოციალური, კულტურული და ფსიქოლოგიური ფორმებით. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შიო არაგვისპირელის პროზა, რომელიც, მიუხედავად ომის თემატიკის არქონისა, მკაფიოდ წარმოაჩენს ინდივიდის არსებობას ძალადობითა და უსამართლობით განსაზღვრულ გარემოში.

ნაშრომის მიზანია გამოავლინოს, როგორ ფუნქციონირებს ჰუმანიზმი არაგვისპირელის პროზაში ,,მომილოცნია ახალი წელი", როგორც ეთიკური წინააღმდეგობის ფორმა, და როგორ ყალიბდება ამ საფუძველზე „მშვიდობის ნარატივის" ალტერნატიული მოდელი. კვლევა ეყრდნობა ჰუმანიზმის ეთიკურ თეორიას, რომელიც გააზრებულია ტრავმის თეორიასთან და ფემინისტურ ლიტერატურულ კრიტიკასთან სინთეზში, რაც შესაძლებელს ხდის ქალ პერსონაჟების სოციალური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის, მათი ეთიკური სიძლიერის და შინაგანი მშვიდობის გზების კომპლექსურ გაანალიზებას. აქ კი ავტორის ჰუმანიზმი განიხილება აქტიურ წინააღმდეგობის ფორმად, რომელიც უპირისპირდება ძალადობის როგორც ხილულ, ისე უხილავ სტრუქტურებს.

საკვანძო სიტყვები: შიო არგვისპირელი, ჰუმანიზმი, მშვიდობის ნარატივი, ქალი პერსონაჟები

Roman Dzyk, Liliia Shutiak
Yuriy Fedkovych Chernivtsi National University
Ukraine, Chernivtsi

Key Concepts in the Study of Language Shift in Ukrainian Literature in Times of War

The full-scale Russian invasion of 2022 has catalyzed a radical decolonial turn in contemporary Ukrainian literature, transforming the intellectual landscape from reflecting on trauma to actively constructing a new subjectivity. This study examines the language shift among Ukrainian writers, defined as the rejection or abrogation of the colonizer's language in favor of the active learning and use of Ukrainian. For many authors, this shift is not merely a communicative change but a conscious decolonial practice and a "point of no return" triggered by the atrocities of war.

Central to this process is the concept of unlearning, a postcolonial act of overcoming internalized imperial habits and cultural practices. Writers such as Volodymyr Rafeyenko, Olena Stiazhkina, and Iya Kiva exemplify this transition, describing it as an epistemic reparation and a restoration of historical justice. Many wartime narratives now thematize mizhmov'ia (interlanguage), a liminal state reflecting the laborious psycholinguistic process of identity reconstruction. This transition is further explored through linguistic conversion, where changing everyday language practices is viewed as a personal act of patriotism and "nation-building on the self."

Furthermore, the war has accelerated syncretic polarization, leading to the dissolution of postcolonial hybridity and a sharp hardening of boundaries between linguistic resources. Within this framework, the Ukrainian language is redefined as "a factor of safety" and "an internal fence" against ontological terrorism. Ultimately, writers act as agents of change and influencers, using the language shift to facilitate the deterritorialization of the cultural space and reclaim the right to self-representation.

Maka Elbakidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literatur999e
Georgia, Tbilisi

War Trauma and the Narrative Forms of Collective Memory in Contemporary Literature

(Based on works by Ismail Kadare, Aka Morchiladze, and Lasha Tabukashvili)

The paper is devoted to the representation of war-related traumatic memory and the narrative formation of collective memory in the texts of three contemporary writers: „The General of the Dead Army" by Ismail Kadare, „Trip to Karabagh" by Aka Morchiladze, and „So What If the Wet Lilac Is Wet" by Lasha Tabukashvili. These works revive the experience of war through different aesthetic and narrative models and, at the same time, demonstrate how historical trauma is transformed into cultural memory. The paper argues that in these texts traumatic memory appears as a multilayered narrative phenomenon that simultaneously preserves individual and collective experience, personal pain, and historical memory.

In Kadare's novel, war trauma is represented as a returning, unfinished, and unhealed past that continues to reactivate itself in the present; in Morchiladze's text, it is expressed through fragmented, ironic, and disoriented narration, which highlights the absurdity of war and the psychological rupture it produces; while in Tabukashvili's work, the experience of war shifts into an intimate, personal, and emotional space, where historical catastrophe settles into everyday life and the inner world of the individual. Thus, the paper demonstrates that in contemporary literature war-related traumatic memory is not merely a reflection of a historical event, but also an important mechanism for the construction of collective memory, the formation of identity, and the cultural interpretation of the experience of war.

Keywords: war trauma; traumatic memory; collective memory; contemporary literature; narrative strategies

მაკა ელბაქიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

ომის ტრავმული მეხსიერება და კოლექტიური მეხსიერების ნარატიული ფორმები თანამედროვე ლიტერატურაში

(ისმაილ კადარეს, აკა მორჩილაძისა და ლაშა თაბუკაშვილის ტექსტების მიხედვით)

ნაშრომი ეძღვნება ომის ტრავმული მეხსიერების რეპრეზენტაციისა და კოლექტიური მეხსიერების ნარატიული ფორმირების საკითხს სამი თანამედროვე მწერლის ტექსტში: ისმაილ კადარეს „მკვდარი არმიის გენერალი", აკა მორჩილაძის „გასეირნება ყარაბაღში" და ლაშა თაბუკაშვილის

„მერე რა რომ სველია სველი იასამანი“. ეს ნაწარმოებები ომის გამოცდილებას განსხვავებული ესთეტიკური და ნარატიული მოდელებით აცოცხლებენ და, ამავე დროს, აჩვენებენ, თუ როგორ გარდაიქმნება ისტორიული ტრავმა კულტურულ მეხსიერებად. მოხსენებაში ნაჩვენებია, რომ აღნიშნულ ტექსტებში ტრავმული მეხსიერება ვლინდება როგორც მრავალშრიანი ნარატიული ფენომენი, რომელიც ერთდროულად ინახავს ინდივიდუალურ და კოლექტიურ გამოცდილებას, პირად ტკივილსა და ისტორიულ მეხსიერებას.

კადარეს რომანში ომის ტრავმა წარმოდგენილია როგორც დაბრუნებული, დაუმთავრებელი და მოუშუშებელი წარსული, რომელიც აწმყოში კვლავ აქტიურდება; მორჩილაძის ტექსტში იგი ფრაგმენტული, ირონიული და დეზორიენტირებული თხრობის ფორმით გამოიხატება, რაც ომის გამოცდილების აბსურდულობასა და ფსიქოლოგიურ რღვევას უსვამს ხაზს; ხოლო თაბუკაშვილის ტექსტში ომის გამოცდილება ინტიმურ, პირად და ემოციურ სივრცეში გადაინაცვლებს, სადაც ისტორიული კატასტროფა ადამიანის ყოველდღიურობასა და შინაგან სამყაროში ილექება. ამდენად, ნაშრომი აჩვენებს, რომ თანამედროვე ლიტერატურაში ომის ტრავმული მეხსიერება მხოლოდ ისტორიული მოვლენის ანარეკლი კი არ არის, არამედ კოლექტიური მეხსიერების კონსტრუირების, იდენტობის ფორმირებისა და ომის გამოცდილების კულტურული გააზრების მნიშვნელოვანი მექანიზმია.

საკვანძო სიტყვები: ომის ტრავმა, ტრავმული მეხსიერება, კოლექტიური მეხსიერება, თანამედროვე ლიტერატურა, ნარატიული სტრატეგიები

Maria Filina
Institute of Slavistics of Tbilisi Ivane Javakhishvili State University
Georgia, Tbilisi

Letters of Polish exile Vladyslav Yurkowski about the Caucasian War and Leo Tolstoy's „Hadji Murat“

Leo Tolstoy's "Hadji Murat" was created in 1896-1904. He sometimes postponed, then returned to the text, which encompassed the writer's entire life and philosophical experience. Tolstoy vividly depicted the collision, confrontation and coexistence of several irreconcilable, cruel worlds. He harshly judges the war of the Russian Empire, in which the peoples of the Caucasus fought for independence. Tolstoy deeply penetrated the psychology of his characters, and his sympathies are unequivocally on the side of Hadji Murad.

Tolstoy never severed his connection with Georgia, which became his birthplace as a writer. After leaving Georgia, almost half a century later, he conceived a plot based on Caucasian material, in which Georgia occupies a leading place. The work was destined to become one of the masterpieces of world prose.

It took great courage to portray the Caucasian War of that time as a war of conquest, to create a concept opposite to the official ideology. With some reservation, we can say that Tolstoy also expressed the cry of pain of the Caucasian peoples. Today, every classical work dedicated to war and the psychology of a person in extreme situations acquires special relevance, especially if it concerns such a masterpiece as "Hadji Murad".

It is surprising that the tone coincides with the documents created by representatives of a completely different culture – exiled political Poles, who were forced to participate in that bloody war. In fact, there were official documents with the government version, the peoples of the Caucasus did not leave written

evidence. And with the exception of Tolstoy, perhaps Marlinsky, there was the entire Caucasian literature of these Poles.

Letters of the Polish exile Vladyslav Yurkowski to Pegalia Podgorskaia – a document of a forced participant in the Caucasian War – about the capture of auls, the extermination of the inhabitants of the Caucasus, the situation in the Russian army, and the attitude towards Polish soldiers. First published in the monograph by M. Filina and D. Osovskaia "The Fate of Poles in the Caucasus. Part 1. The "Tbilisi Group" of Polish exile poets". Letters that did not pass the Caucasian and military censorship were discovered by the authors of the monograph.

The parallels in the perception of the war of conquest in the work of the Russian genius and the Polish exile are undeniable. A comparison of the texts makes it possible to reveal many philosophical and mental characteristics of the character.

The exiled writers understood that they were expressing the thoughts of a part of their generation and represented a large group of Polish intelligentsia, whose fate, thanks to their efforts, could be imprinted in the memory of their compatriots not only as a cultural legend, but also as a vivid testimony of history.

Keywords: Leo Tolstoy, representation of two mental worlds, Polish political exiles, Wlassislav Jurkowski, letters

მარიამ ფილინა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სლავისტიკის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

პოლონელი დევნილი ვლადაისლავ იურკოვსკის წერილები კავკასიის ომის შესახებ და ლევ ტოლსტოის „ჰაჯი-მურატი“

დღეისათვის ომისა და ექსტრემალურ ვითარებაში მყოფი ადამიანის ფსიქოლოგიისადმი მიძღვნილი ყოველი კლასიკური ნაწარმოები განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს, მით უფრო თუ ეს ისეთ შედევრს ეხება, როგორიც „ჰაჯი-მურატია“.

ლევ ტოლსტოის „ჰაჯი-მურატი“ 1896-1904 წლებში შეიქმნა. იგი ხან გადადებდა, მერე ისევ უბრუნდებოდა ტექსტს, რომელმაც მწერლის მთელი ცხოვრებისეული და ფილოსოფიური გამოცდილება მოიცვა. ტოლსტოიმ მთელი სიმძაფრით წარმოაჩინა რამდენიმე ერთმანეთთან შეურიგებელი, სასტიკი სამყაროს შეჯახება, დაპირისპირება და თანაარსებობა. ის მკაცრად განსჯის რუსეთის იმპერიის ომს, რომელშიც კავკასიის ხალხები იბრძოდნენ დამოუკიდებლობისთვის. ტოლსტოიმ ღრმად შეაღწია თავისი პერსონაჟების ფსიქოლოგიაში და მისი სიმპათიები ცალსახად ჰაჯი-მურატის მხარეზეა.

ტოლსტოის არასოდეს შეუწყვეტია შინაგანი კავშირი საქართველოსთან, რომელიც მისი, როგორც მწერლის, დაბადების ადგილად იქცა. საქართველოდან წასულმა, თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ ჩაიფიქრა კავკასიურ მასალაზე დაფუძნებული სიუჟეტი, რომელშიც საქართველოს წამყვანი ადგილი უკავია. ნაწარმოები მსოფლიო პროზის ერთ-ერთ შედევრად გახდომა ეწერა.

გასაკვირია, რომ ტონალობა ემთხვევა სრულიად განსხვავებული კულტურის წარმომადგენლების – დევნილი პოლიტიკური პოლონელების მიერ შექმნილ დოკუმენტებს, რომლებიც აიძულეს მონაწილეობა მიეღოთ იმ სისხლიან ომში. ფაქტობრივად, იყო ოფიციალური დოკუმენტები სამთავრობო ვერსიით, კავკასიის ხალხები არ დაუტოვებიათ წერილობითი მტკიცებულებები. და ტოლსტოის, ალბათ მარლინსკის გარდა, იყო ამ პოლონელების მთელი კავკასიური ლიტერატურა.

პოლონელი გადასახლებული ვლადისლავ იურკოვსკის წერილები პეგალია პოდგორსკაიას – კავკასიის ომის იძულებითი მონაწილის დოკუმენტი – აულების აღების, კავკასიის მკვიდრთა განადგურების, რუსეთის ჯარში ვითარების, პოლონელი ჯარისკაცებისადმი დამოკიდებულების შესახებ. პირველად გამოქვეყნდა მ. ფილინასა და დ. ოსოვსკაიას მონოგრაფიაში „პოლონელთა ბედი კავკასიაში. ნაწილი 1. პოლონელი დევნილი პოეტების „თბილისის ჯგუფი“. წერილები, რომლებმაც არ გაუვლია კავკასიურ და სამხედრო ცენზურას, მონოგრაფიის ავტორებმა აღმოაჩინეს.

დაპყრობითი ომის აღქმის პარალელები რუსი გენიოსისა და პოლონელი დევნილობის შემოქმედებაში უდაოა. ტექსტების შედარება შესაძლებელს ხდის გამოავლინოს ხასიათის მრავალი ფილოსოფიური და მენტალური მახასიათებელი.

გადასახლებული მწერლები მიხვდნენ, რომ ისინი გამოხატავდნენ თაობის ნაწილის აზრებს და წარმოადგენდნენ პოლონელი ინტელიგენციის დიდ ჯგუფს, რომელთა ბედი, მათი ძალისხმევის წყალობით, შეიძლებოდა აღბეჭდილიყო თანამემამულეების მეხსიერებაში არა მხოლოდ როგორც კულტურული ლეგენდა, არამედ როგორც. ისტორიის ნათელი ჩვენება.

საკვანძო სიტყვები: ლევ ტოლსტოი, ორი მენტალური სამყაროს წარმოჩენა, პოლონელი პოლიტიკური დევნილები, ვლასისლავ იურკოვსკი, წერილები

Hikaru Fujii
The University of Tokyo
Japan, Tokyo

Generations After, Still in the Aftermath: The Memory of War in Contemporary Asian American Fiction and Poetry

For 21st-century Asian American writers, questioning their relationship with the memories of wars – mostly those in East Asia – carries a significance that goes beyond a mere quest for identity. In Ocean Vuong's poetry, references to "ink" frequently appear when recounting the end of the Vietnam War and the subsequent refugee journeys of the speaker's parents, signaling the gap between the generation that experienced war and displacement and the writer attempting to depict it. Similarly, the "pens" that appear in Paul Yoon's fiction, which portrays World War II and the Laotian Civil War, among others, pose the same question. In the narration of war, the past and the present do not perfectly overlap but rather form layers, bringing into relief the existence of the writer who stands between multiple time-spaces. Similarly, the relationship between "voice" and language is a crucial theme; whether in Mai Der Vang's poetry, which reconstructs the Hmong experience in the civil war, or in Katie Kitamura's novel *Intimacies* that features the female protagonist as an Japanese interpreter at a war crimes trial in the Hague – a role apparently disconnected from her own identity – the question of whose voice is being used in the text is a defining element of poetic and novelistic style. The attempt by these writers to depict, in a hegemonic language, wars they did not personally experience is itself an exploration of what kind of writing is possible between "Asia" and "America."

Nana Gabadadze
Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

An Ideological Study of Absolute Freedom and Mutual Opposition Between Existing Worlds and Languages

The objective reality surrounding us is already a well-evaluated, well-reinterpreted reality.

Each world is a extra-textual linguistic system, with its own cultural and individual memory, which, by means of papyri engraved in stone, washed of water, and rewritten a thousand times, innovatively interprets the historical past in the 21st century and tries to find the narrative of peace in ancient times.

This world of ours is a metaphorical way of reading a text; or else, a way of structuring the image of the world, reinterpreting it in a new way, when the new text already serves as the subtext of an old, very familiar text, its primary source.

The theme of languages' mutual opposition is based on the idea of the absolute freedom of languages taken from an ideological social text.

Social life is a "changing logomachy", a "battlefield between languages" – Roland Barthes expresses his idea.

Languages should exist in as many numbers as it is possible. This is a utopian idea, and, moreover, there is no possible way that one language could escape the influence and "dominance" of another. The "logosphere" of linguistic confrontation, with or without meaning to, tries to find a so-called "island of salvation" through its own unique word-text, world-text, self-text, where all sociocultural instances, all possible ideal panhuman desires, the individual or unique polyphony of the Universe meet each other, where the text of any language is a "happy Babylon".

How easy it is to study and understand one or another text in the struggle with the semantic linguistic paradoxes, and how difficult is the path leading to peace and freedom between the self-world and the text-world.

"I choose the most utopian island, inhabited by thinking people imbued with humane ideas; the best part of humanity that chooses a new, most humane path of state building on the way to Golgotha!" – exclaims Thomas More.

Keywords: world, languages, freedom, idea, icon

ნანა გაბადაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

არსებულ სამყაროებსა და ენებს შორის აბსოლიტური თავისუფლებისა და ურთიერთდაპირისპირებულობის იდეური კვლევა

ჩვენს ირგვლივ მყოფი ობიექტური სინამდვილე უკვე კარგად „შეფასებული“, კარგად გადაგზრებული რეალობაა.

ყოველი სამყარო – ტექსტის მიღმა ენობრივი სისტემაა თავისი კულტურული და ინდივიდუალური მეხსიერებით, რომელიც ქვაზე ამოკვეთილი, წყლით გადარეცხილი, ათასჯერ გადაწერილ-გადმოწერილი პაპირუსებით XXI საუკუნეში ინოვაციურად კითხულობს ისტორიულ წარსულს და მშვიდობის ნარატივის მოძიებას ცდილობს საუკუნეების წიაღში.

ეს ჩვენი სამყარო – ტექსტის წაკითხვის მეტაფორული, თუნდაც, სამყაროს ხატის სტრუქტურირების, მისი ახლებურად გადააზრების ხერხია, რომლის დროსაც ახალი ტექსტი უკვე ძველი, ძალზედ ნაცნობი ტექსტის ქვეტექსტია, მისი პირველწყაროა, საიდანაც უკვე არსებული, წაკითხული, კარგად ნაცნობი აზრობრივი წახნაგები, ალუზიები, რემინსცენციები გამოსჭვივიან, „გამქრალი დროის“ მოძიებით ჩვენი უღმრთო დროის რწმენით გაჯერებულ სამყაროში.

ენათა შორის ურთიერთდაპირისპირებულობის თემა ეფუძნება იდეოლოგიური სოციოტექსტის ენათა აბსოლუტური თავისუფლების იდეას.

სოციალური ცხოვრება წარმოადგენს „ცვალებად ლოგომახიას“, –„ენებს შორის ბრძოლის ველს“, - აჟღერებს როლან ბარტი.

ენები იმ რაოდენობით უნდა არსებობდნენ, რამდენი არსებობაც არის შესაძლებელი. ეს უტოპიური იდეაა და უფრო მეტიც, არ არსებობს არავითარი შესაძლებლობა იმისა, რომ ერთმა ენამ მეორე ენის ზეგავლენასა და მასზე „გაბატონებას“ თავი დააღწიოს ენათა შორის დაპირისპირებულობის „ლოგოსფერო“ ნებსით თუ უნებლიეთ ცდილობს მოიძიოს ე.წ. „გადარჩენის კუნძული“, საკუთარი, განუმეორებელი სიტყვა – ტექსტის, სამყარო – ტექსტის, მე – ტექსტის მეშვეობით, სადაც ერთმანეთს ხვდება ყველა სოციოკულტურული ინსტანციები, ყველა შესაძლო ზოგადსაკაცობრიო იდეალური სურვილები, უნივერსუმის ინდივიდუალური თუ განუმეორებელი მრავალხმიანობა, „ნივთ-საგნების გეტერონომია“, სადაც ნებისმიერი ენის ტექსტი „ბედნიერი ბაბილონია“.

რა ადვილია ამა თუ იმ ტექსტის კვლევა-გაგება ენის სემანტიკურ პარადოქსებთან ბრძოლაში და რა ძნელია მშვიდობისა და თავისუფლებისაკენ მიმავალი გზა მე – სამყაროსა და ტექსტ – სამყაროს შორის.

– მე ყოველთვის ვირჩევ ყველაზე უსამართლო მშვიდობას ყველაზე გამართლებული ომით! – ღაღადებს ისტორიული წარსულიდან ციცერონი.

– მე ვირჩევ ყველაზე უტოპიურ კუნძულს, დასახლებულს მოაზროვნე, ჰუმანური იდეების გამსჭვალული ადამიანებით, კაცობრიობის იმ საუკეთესო ნაწილს, რომელიც სახელმწიფო შენების ახალ, ყველაზე ჰუმანურ გზას ირჩევს გოლგოთისაკენ!, – ბრძანებს თომას მორი.

– არა ომისათვის.

– არამედ ღმერთის გზით, რწმენით, სამშობლოსა და თავისუფლებისათვის ბრძოლის გზით! – შემოქმედებითი მეხსიერების ქვეცნობიერ შრეებში შემონახული საუკეთესო ჰუმანური იდეები კითხულობს ისტორიულ წარსულს და თანამედროვე ისტორიულ გამოცდილებას XXI საუკუნე.

საკვანძო სიტყვები: სამყარო, ენები, თავისუფლება, იდეა, ხატი

Julieta Gabodze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

Akaki Tsereteli's Final Poem War: The Real and Formal Motives Behind Its Creation

In October 1914, the Ottoman fleet bombarded the Black Sea cities of Batumi, Poti, and Sokhumi. In November, Russia declared war on the Ottoman Empire. Georgia, then part of the Russian Empire, became involved in the First World War, in which approximately 300,000 Georgians participated.

Despite the tragedy of war, Akaki Tsereteli initially welcomed the conflict with optimism, believing Russia acted as a defender of small nations and viewed the war as a possible path toward the liberation of

oppressed peoples. In a journalistic article published on November 27, 1914, Tsereteli wrote that Georgian soldiers were entering the war willingly and expressed hope that, with Russian support, oppression would end and equality would be established.

In reality, Russia's political objectives were connected to expanding its influence in the Balkans and gaining control of the Black Sea Straits, while officially presenting itself as a protector of smaller nations. At the same time, many Georgians hoped the war would weaken the Russian Empire and improve prospects for national independence. Tsereteli's attitude toward the conflict should be understood within this context.

In December 1914, Tsereteli began writing his final poem, War (Omi), intended to inspire Georgian fighters. Even in his final days, he believed Georgian sacrifice would not be in vain and that the conflict would contribute to a free and independent Georgia. After the collapse of the Russian Empire, Georgia declared independence in 1918, partially fulfilling these national aspirations.

The poem was first published only in 1940. This paper examines the poem's ideological message and its relationship to the declared and actual objectives of the war.

Keywords: Akaki Tsereteli, War, real, formal, independence

ჯულიეტა გაბოძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

აკაკი წერეთლის უკანასკნელი პოემა „ომი“ – პოემის შექმნის რეალური და ფორმალური მიზანი

1914 წლის ოქტომბერში ოსმალეთის სამხედრო ფლოტმა შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქები – ბათუმი, ფოთი და სოხუმი – დაბომბა. ნოემბერში რუსეთმა ოსმალეთს ომი გამოუცხადა. საქართველო, როგორც რუსეთის იმპერიის ნაწილი, პირველ მსოფლიო ომში ჩართული აღმოჩნდა. ამ ომში დაახლოებით 300 000 ქართველი იბრძოდა.

მიუხედავად ომის ტრაგიკული ბუნებისა, აკაკი წერეთელი მას თავდაპირველად იმედითა და სიხარულით შეხვდა. იგი ფიქრობდა, რომ რუსეთი მცირე ერების დამცველის როლში გამოდიოდა და ეს შესაძლოა დაჩაგრული ხალხების გათავისუფლების წინაპირობა გამხდარიყო. 1914 წლის 27 ნოემბერს მან გამოაქვეყნა პუბლიცისტური წერილი, რომელშიც წერდა, რომ ქართველი მეომრები სიხარულით მიდიან ომში და იმედოვნებდა, რომ რომ რუსეთის დახმარებით პატარა ერების ჩაგვრა დასრულდებოდა და თანასწორობა დამყარდებოდა.

რეალურად კი რუსეთის მიზნები იყო ბალკანეთში გავლენის გაფართოება და შავი ზღვის სრუტეებზე კონტროლის მოპოვება, თუმცა ოფიციალურად (ფორმალურად) იგი სლავი ხალხებისა და მცირე ერების დამცველად გვევლინებოდა.

ქართველთა ნაწილი იმედოვნებდა, რომ ომი რუსეთის იმპერიას დაასუსტებდა, რაც ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევის შესაძლებლობას ზრდიდა. ამ მოლოდინს უკავშირდება ომისადმი აკაკის დამოკიდებულებაც.

1914 წ. დეკემბერში დაიწყო აკაკიმ უკანასკნელი პოემის – „ომის“– წერა, რომლითაც ქართველ მებრძოლთა გამხნევებას ცდილობდა. მომაკვდავ პოეტს, როცა პოემა კიდევ ერთხელ წაუკითხეს, უთქვამს: „ბევრს ვეფერები რუასებს, მაგრამ მგონი მაინც არაფერი გამოვაო“ , თუმცა მაინც სჯეროდა, რომ ქართველების დიდი მსხვერპლი ამაოდ არ ჩაივლიდა და ამ ომის შემდეგ საქართველო იქნებოდა თავისუფალი, დამოუკიდებელი და ძლიერი!“ .

აკაკის წინასწარმეტყველება ახდა რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, 1918 წელს, საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რამაც გარკვეულწილად გაამართლა იმდროინდელი ეროვნული მოლოდინები.

პოემა მხოლოდ 1940 წელს გამოქვეყნდა პირველად. დასაზუსტებელია პოემის შექმნის მთავარი მოტივი და მისი იდეის შესაბამისობა ომის რეალურ და ფორმალურ მიზნებთან.

საკვანძო სიტყვები: აკაკი წერეთელი, მსოფლიო ომი, პოემა, რეალური, ფორმალური, დამოუკიდებლობა

Nugesha Gagnidze
Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

War and Peace in the Life and Work of Givi Margvelashvili

Givi Margvelashvili (1927-2020), who lived through the weight of two totalitarian regimes and bore witness to his era, followed a difficult and contradictory path – from Berlin to Tbilisi, then back to Berlin – before ultimately finding his final resting place in his historical homeland, Georgia. His choice was not one of continuous emigration, which is why he remained a stranger both in his native Georgia and in Germany, where he was born and spent his youth.

Margvelashvili's personal fate was shaped by the National Socialist and Soviet regimes, the Second World War, and the collapse of the Soviet Union and the Berlin Wall. In such a turbulent era, the writer found his safest refuge "between the covers" of a book, where he continued to exist alongside his fictional characters and both real and imagined readers.

Margvelashvili's works – philosophical studies, voluminous novels, miniatures, poems, and fragments – explore the experience of war and "peace," the search for identity, and the fundamental problems of existence. His texts, including *Captain Vakush*, *Mutsali*, *Medea of Colchis in Kolkhoz*, *Perekatasroika*, and others, reflect in a postmodern manner the hardships of émigrés, their children, and ordinary citizens under dictatorial rule, as well as in the period of transformation that followed Margvelashvili's work demonstrates that war does not truly end; rather, it persists in everyday life, alongside endurance, hope, and the expression of human resilience.

Keywords: War, peace, dictatorship, emigration, identity

ნუგეშა გაგნიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

ომი და მშვიდობა გივი მარგველაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაში

გივი მარგველაშვილმა (1927–2020), ორი ტოტალიტარული რეჟიმის სიმძიმის განმცდელმა და თავისი დროის მოწმემ, რთული, წინააღმდეგობებით სავსე გზა განვლო – ბერლინიდან თბილისში, შემდეგ კვლავ ბერლინში, ხოლო სამუდამო განსასვენებელი ისტორიულ სამშობლოში, საქართველოში, ჰპოვა. მისი არჩევანი არ ყოფილა განუწყვეტელი ემიგრაცია, რის გამოც იგი უცხოდ დარჩა როგორც მშობლიურ საქართველოში, ასევე გერმანიაში, სადაც დაიბადა და სიყმაწვილის წლები გაატარა.

გივი მარგველაშვილის პირადი ბედისწერა განსაზღვრა ნაციონალ-სოციალისტურმა და საბჭოთა სოციალისტურმა რეჟიმებმა, მეორე მსოფლიო ომმა, საბჭოთა კავშირისა და ბერლინის კედლის დანგრევამ. ასეთ მძიმე ეპოქაში მწერალმა და ფილოსოფოსმა თავისთვის ყველაზე უსაფრთხო თავშესაფარი წიგნის „ორ ყდას შორის“ იპოვა, სადაც გამოგონილ პერსონაჟებთან, რეალურ და არარეალურ მკითხველთან ერთად განაგრძო ცხოვრება.

მარგველაშვილის ნაშრომები – ფილოსოფიური კვლევები, სქელტანიანი რომანები, მინიატურები, ლექსები და ფრაგმენტები – გადმოსცემს ომისა და „მშვიდობის“ გამოცდილებას, იდენტობის ძიებასა და არსებობის არსობრივ პრობლემებს. მისი ტექსტები, მათ შორის *კაპიტანი ვაკუში, მუცალი, კოლხი მედეა კოლხოზში, პერეკატასტროიკა* და სხვა, პოსტმოდერნისტულად ასახავენ ემიგრანტთა, მათ შვილთა და ჩვეულებრივი მოქალაქეთა განსაცდელს დიქტატორული მმართველობის დროს და ცვლილებების შემდგომ პერიოდში. გივი მარგველაშვილის შემოქმედება აჩვენებს, რომ ომი არ სრულდება ფორმალურად, არამედ გრძელდება ყოველდღიურ ცხოვრებაში, მოთმინებასთან, იმედთან და ადამიანური სიმტკიცის გამოხატულებასთან ერთად.

საკვანძო სიტყვები: ომი, მშვიდობა, დიქტატურა, ემიგრაცია, იდენტობა

Darejan Gardavadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Georgia, Tbilisi

Gassan Kanafani's Experimental Literary Laboratory

The literary works of Gassan Kanafani, a prominent Palestinian prose writer of the 20th century, have been repeatedly analyzed by scholars of Arab literature as one of the central examples of Palestinian resistance literature. The author himself was also a notable figure within this movement. Kanafani's second novel, *All That's Left to You* (first published in 1966), is regarded by many researchers and literary critics as one of his most ambitious literary experiments. It is characterized by symbolic architecture, modernist stylistics, polyphony, endless alternation of internal monologues, long continuous sentences, minimal punctuation, and other distinctive literary techniques. Many consider this novel a daring experiment in which the political narrative acquires a psychological and experimental form, personal tragedies and national trauma are woven into a single compositional scheme, and Western modernism's influence is also evident.

The form and style of the novel — polyphonic internal monologues alternating with each other, intertwined time and space, and a non-linear (fragmented) narrative organization – create a polyphonic, almost continuous stream, which scholars and critics often compare to the "stream of consciousness" and to an uninterrupted prose written in a nearly single paragraph.

In analyzing Kanafani's prose, researchers frequently view this novel as an example of the modernist transformation and formal renewal of Palestinian narrative, especially in terms of storytelling organization and symbolic space.

The presentation will focus on the aesthetics of Kanafani's novel *All That's Left to You* within the context of Palestinian resistance literature, emphasizing the features that highlight its experimental nature.

დარეჯან გარდავაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

ღასან ქანაფანის ექსპერიმენტული ლიტერატურული ლაბორატორია

XX საუკუნის ცნობილი პალესტინელი პროზაიკოსის ღასან ქანაფანის **შემოქმედება** არაბული ლიტერატურის მკვლევართა მიერ არაერთხელ განხილულა, როგორც პალესტინური წინააღმდეგობის ლიტერატურის ერთ-ერთი ცენტრალური მაგალითი. თავად ავტორიც ამ მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა იყო. ღასან ქანაფანის მეორე რომანი „ის, რაც თქვენ დაგრჩათ“ (პირველად გამოიცა 1966 წ.) თავისი სიმბოლური არქიტექტონიკით, მოდერნისტული სტილისტიკით, პოლიფონიით, შინაგანი მონოლოგების გაუთავებელი მონაცვლეობით, გრძელი უწყვეტი ფრაზებით, პუნქტუაციის ეკონომიით და სხვა სახასიათო მწერლური ტექნიკებით ბევრი მკვლევრისა და ლიტერატურის კრიტიკოსის მიერ მიჩნეულია ქანაფანის ერთ-ერთი ყველაზე ამბიციურ ლიტერატურულ ექსპერიმენტად, სადაც პოლიტიკური ნარატივი ფსიქოლოგიურ და ექსპერიმენტულ ფორმას იძენს, პირადი ტრაგედიები და ეროვნული ტრავმა ერთ კომპოზიციურ სქემად იკვრება და სადაც აშკარაა ასევე დასავლური მოდერნიზმის გავლენა.

რომანის ფორმა და სტილი – მრავალხმიანი ერთმანეთის მონაცვლე შინაგანი მონოლოგები და დრო-სივრცის ერთმანეთში გადახლართულობა, ნარატივის არაწრფივი (ფრაგმენტული) ორგანიზება; ტექსტი, სადაც ფრაზები ერთსა და იმავე „წამში“ სხვადასხვა პერსონაჟთან მეორდება – ქმნის პოლიფონიურ, თითქმის უწყვეტ ნაკადს, რასაც მკვლევრები და ლიტერატურის კრიტიკოსები ხშირად ადარებენ „ცნობიერების ნაკადს“ და უწყვეტ, თითქმის ერთ აბზაცად დაწერილ პროზას.

ქანაფანის პროზის ანალიზისას მკვლევრები ამ რომანს ხშირად განიხილავენ, როგორც პალესტინური რომანის მოდერნისტულ გარდატეხას და ფორმობრივი განახლების მაგალითს, განსაკუთრებით, თხრობის ორგანიზებისა და სიმბოლური სივრცის თვალსაზრისით.

მოხსენება დაეთმობა **ქანაფანის რომანის** „ის, რაც თქვენ დაგრჩათ“ **ესთეტიკას პალესტინური წინააღმდეგობის ლიტერატურის კონტექსტში და იმ მახასიათებლებს,** რაც რომანის ექსპერიმენტულ ხასიათს უსვამს ხაზს.

Lesia Generealiuk
Head of Department of Foreign and Slavic Literatures of the T. Shevchenko Institute of Literature
National Academy of Sciences of Ukraine
Doctor of Philology, Senior Research Fellow
Ukraina

War in the Reception of Maximilian Voloshin: Absurdity, Civilizational Chaos, Apocalypse

The works of Maximilian Voloshin – a poet, thinker, and Ukrainian by origin – have acquired particular relevance in the context of contemporary wars and the crisis of European civilization. In his poetic and journalistic works, he interprets the First World War, the Bolshevik coup of 1917, and the Red Terror as anti-human phenomena that shaped the subsequent history of humankind. The processes generated by the civilizational chaos of that era never received adequate assessment and re-emerged with renewed force in the twenty-first century, particularly in Russia's genocidal war against Ukraine.

An important contribution to anti-militarist discourse was made by Voloshin's poetry collection *Anno Mundi Ardentis. 1915*. While living from 1914-1916 in Dornach, Basel, Biarritz, and Paris, he depicted war *sub specie aeternitatis* in a number of works. In the article "Infernal Wars" (1915), Voloshin argues that war is generated by massive state-industrial "organisms" formed through technological progress. The struggle for markets, the cult of force, the use of scientific achievements, and the manipulation of the masses lead to the destruction of culture and the deaths of millions of people. The senseless destruction of Notre-Dame Cathedral in Reims ("The Reims Mother of God") and the "autophagy" of Europe ("Over the Finished Book") are among the markers of a planetary catastrophe ("Apollyon"). A central place in Voloshin's reception of war belongs to the apocalyptic discourse. In the poem "Armageddon" – a translation of a fragment from the Book of Revelation (XVI, 12-16) – he summarizes his reflections on humanity's civilizational choice. His visualization is far removed from the realities of the First World War; instead, it resembles contemporary technological warfare with tanks, armored vehicles, submarines, aviation, missile and drone attacks. In the poem "War" (1923) from the cycle *Paths of Cain*, the problem of human self-destruction becomes sharper drawing on his personal experience of having lived through Bolshevik terror. Particularly resonant today are the lines from this poem, where Voloshin depicts the destruction of cities and infrastructure, looting, and violence against civilians – images that strongly echo the realities of the contemporary Russia's war against Ukraine*.

Within the framework of comparative literature and cultural studies, Voloshin's works may be interpreted as a critique of early totalitarianism, all forms of expansionism, and any mass violence. His texts demonstrate how literature functions as an instrument of cultural diagnosis and as a means of comprehending historical catastrophe.

Keywords: war, expansionism, apocalyptic discourse, Voloshin

Merab Ghaganidze
The University of Georgia
Tbilisi, Georgia

Phil Klay's "Prayer in the Furnace": A Marine Between Military Duty and Religious Demands During the Iraq War

The first collection of short stories by Phil Klay (*1983), a prominent representative of modern American literature, "Redeployment" (2014), includes the story "Prayer in the Furnace", which, like the entire book, is set during the Iraq War. The author himself participated in this war as a United States Marine officer, which is why he often conveys his own military experience in his works, but above all, his spiritual-religious feelings and reflections, obstacles and shocks, which clearly show the writer's attitude towards current events as a professed Catholic. In this regard, it can be said, that his work continues in a new way the line of Catholic prose that was so important for Western literature of the twentieth century.

In the thoughts, reflections, sermons, and conversations of the main character of the story, the military chaplain of the army unit, the doctrine of the Catholic Church on a just war is declared and the opinions of the Doctors of the Church – St. Augustine, St. Thomas Aquinas and St. John of the Cross (Juan de la Cruz) – are cited or discussed. It is noteworthy that in the sermon delivered before the soldiers, the priest recalls the short, heroic life of the British poet and warrior, Wilfred Owen, and quotes an excerpt from his diary.

The work clearly echoes Christian sources, starting with the title of the story, which reflects the biblical story, told in the book of the prophet Daniel, about three boys praying in a furnace.

During the short story, the characters face an insurmountable challenge of what kind of religious responsibility is in the performance of military duty. The ending of the works is dramatic, when, after the war participants return home, soldier Rodriguez and priest Father Jeffrey can no longer find common ground, because the former does not see the point of accepting suffering, while the latter believes that Jesus Christ came to this world not to free us from suffering, but to suffer with the mankind.

Keywords: Iraq War, military unit, marine, military chaplain, Catholic doctrine

მერაბ ღაღანიძე
საქართველოს უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

ფილ კლეის „ლოცვა ღუმელში“: საზღვაო ქვეითი ერაყის ომისას სამხედრო მოვალეობასა და სარწმუნოებრივ მოთხოვნას შორის

თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის გამორჩეული წარმომადგენლის, ფილ კლეის (Phil Klay; *1983) მოთხრობათა პირველ კრებულში, – „გადაჯგუფება“ (“Redeployment”, 2014), – შესულია მოთხრობა, – „ლოცვა ღუმელში“ (“Prayer in the Furnace”), – რომელშიც, ისევე როგორც მთელ წიგნში, მოქმედება ვითარდება ერაყის ომისას. თავად ავტორი ამ ომში მონაწილეობდა როგორც ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითი ოფიცერი, რის გამო თავის ნაწარმოებთა ფურცლებზე იგი ხშირად გადმოსცემს საკუთარ სამხედრო გამოცდილებას, მაგრამ, უწინარესად, – სულიერ-სარწმუნოებრივ განცდებსა და განაზრებებს, დაბრკოლებებსა და შეძვრებს, სადაც მკაფიოდ ჩანს მწერლის, როგორც კათოლიკური სარწმუნოების აღმსარებლის, დამოკიდებულება მიმდინარე მოვლენათა მიმართ. ამ მხრივ, შესაძლოა, ითქვას, რომ მის შემოქმედებაში ახლებურად გრძელდება კათოლიკური პროზის ის ხაზი, რომელიც აგრერიგად მნიშვნელოვანი იყო მეოცე საუკუნის დასავლური ლიტერატურებისათვის.

მოთხრობის მთავარი მოქმედი პირის, საჯარისო ნაწილის სამხედრო კაპელანის, ფიქრებში, მსჯელობებში, ქადაგებებში, საუბრებში გამჟღავნებულია კათოლიკე ეკლესიის მოძღვრება სამართლიანი ომის შესახებ და მოყვანილი ან განბჭობილია ეკლესიის წმიდა მოძღვართა – ავგუსტინეს, თომა აკვინელის, იოანე ჯვრისას (ხუან დე ლა კრუსის) – მოსაზრებანი. საყურადღებოა, რომ ჯარისკაცების წინაშე წარმოთქმულ ქადაგებაში მღვდელი იხსენებს ბრიტანელი პოეტისა და მეომრის, ვილფრედ ოუენის, ხანმოკლე, გმირულ ცხოვრებასა და მოიხმობს მონაკვეთს მისი დღიურიდან.

ნაწარმოებში ცხადია გადაძახილი ქრისტიანულ წყაროებთან, დაწყებული მოთხრობის სათაურიდან, რომელშიც არეკლილია ბიბლიური ამბავი, გადმოცემული წინასწარმეტყველ დანიელის წიგნში, ღუმელში მლოცველი სამი ყრმის შესახებ.

მოთხრობის მსვლელობისას, მოქმედ პირთა წინაშე დგას გადაულახავი გამოწვევა, თუ რაგვარია სარწმუნოებრივი პასუხისმგებლობა სამხედრო მოვალეობის შესრულებისას. დრამატულია თხზულების დასასრული, როცა, ომის მონაწილეთა შინ დაბრუნების შემდეგ, ჯარისკაცი როდრიგესი და მოძღვარი მამა ჯეფრი ვეღარ პოულობენ საერთო საყრდენს, რადგან პირველი ვერ ხედავს ტანჯვის მიღების საზრისს, ხოლო მეორე მიიჩნევს, რომ იესო ქრისტე ამ ქვეყანას მოევლინა არა ტანჯვისაგან გასათავისუფლებლად, არამედ ადამიანებთან ერთად თანატანჯვისათვის.

საკვანძო სიტყვები: ერაყის ომი, საჯარისო ნაწილი, საზღვაო ქვეითი, სამხედრო კაპელანი, კათოლიკური მოძღვრება

Tamar Ghughunishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Georgia, Tbilisi

From the Heroization of War to Traumatic Experience

(Based on a Short Story by Jamshid Khanian)

As a historical and social phenomenon, war has always been one of the most significant themes of literary reflection. In this regard, contemporary Persian literature is no exception, with the Iran–Iraq War holding a particularly prominent place. This event became a central theme of twentieth-century Persian prose – one that extends far beyond the mere chronicling of military operations. In literature, the experience of war is transformed into a medium for reflecting psychological trauma, loss, fear, silence, and the disruption of the very logic of life.

A large portion of classical Persian literature produced in the Middle Ages – such as Ferdowsi's epic poem, the *Shahnameh* (*The Book of Kings*) – is primarily dedicated to battle scenes, the heroic deeds of kings and warriors, and their glorification. Over time, however, the role and impact of war came to be perceived and evaluated differently. Earlier perspectives shifted; rather than romanticizing combat and glorifying warriors, the emphasis was redirected toward depicting war as an inherently destructive phenomenon. Consequently, the epic genre gave way to realism, and the romanticization of combatant heroes was replaced by the portrayal of human suffering. In such works, the theme of war is often developed not through battle scenes, but rather unfolds within seemingly peaceful cities, villages, and homes. It is in these domestic spaces that the hardships wrought by the consequences of war manifest, revealing environments devoid of peace, the will to live, or dreams.

The short story *"Always, The Same Time, The Same Game"* by the twentieth-century Iranian writer Jamshid Khanian – wherein "the game" serves as the central theme – depicts the devastating impact of war on the psyche and daily lives of ordinary people. The narrative portrays the tragic plight of bereaved parents who shield themselves from reality behind absurd games. The inner psychological state of Khanian's characters is revealed through their dialogue, behavior, pauses, tone of voice, and, most notably, their silence.

This paper demonstrates how contemporary Persian humanistic prose, moving away from a heroic perception of war, has transformed into an artistic space that articulates profound traumatic experiences and compassion for human suffering.

Keywords: Jamshid Khanian, Persian literature, psychological trauma, game, tragedy

თამარ ღუღუნიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

ომის ჰეროიზაციიდან ტრავმულ გამოცდილებამდე

(ჯამშიდ ხანიანის მოთხრობის მიხედვით)

ომი, როგორც ისტორიული და სოციალური ფენომენი, ყოველთვის წარმოადგენდა ლიტერატურული რეფლექსიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თემას. ამ მხრივ, არც თანამედროვე სპარსული ლიტერატურა აღმოჩნდა გამონაკლისი, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ირან-ერაყის ომს.

ეს მოვლენა იქცა მე-20 საუკუნის სპარსული პროზის ერთ-ერთ ცენტრალურ თემად, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ სამხედრო მოქმედებების ქრონიკით. ომის გამოცდილება ლიტერატურაში გარდაიქმნება ფსიქოლოგიური ტრავმის, დაკარგვის, შიშის, დუმილისა და ცხოვრების ლოგიკის რღვევის ამსახველ საშუალებად.

შუა საუკუნეებში შექმნილი კლასიკური სპარსული ლიტერატურის (როგორიცაა, მაგალითად, ფერდოუსის „შაჰნამე", იგივე „მეფეთა წიგნი") დიდი ნაწილი, ძირითადად, ბრძოლის სცენებს, მეფეებისა და მეომრების გმირულ ქმედებებს და მათ ხოტბას ეძღვნება. გავიდა დრო და ომის როლი და გავლენა სხვაგვარად იქნა აღქმული და შეფასებული. შეიცვალა ადრინდელი შეხედულებები და აქცენტი გაკეთდა არა ბრძოლის რომანტიზაციასა და მეომრების ქება-დიდებაზე, არამედ ომის, როგორც დამანგრეველი ფენომენის, წარმოჩენაზე. შესაბამისად, ეპიკური ჟანრი ჩაანაცვალა რეალიზმმა, მებრძოლი გმირების რომანტიზება – ადამიანური ტკივილების აღწერამ. ამგვარი ტიპის თხზულებებში ძალიან ხშირად ომის თემა ბატალური სცენების აღწერით არ ვითარდება, არამედ მოქმედება მიმდინარეობს ერთი შეხედვით მშვიდობიან ქალაქებში, სოფლებში, სახლებში, სადაც ომის შედეგებისგან გამოწვეული სირთულეები იჩენს თავს, სადაც არც სიმშვიდეა, არც სიცოცხლის წყურვილი და აღარც ოცნება.

მე-20 საუკუნის ირანელი მწერლის ჯამშიდ ხანიანის მოთხრობა – „ყოველთვის ერთსა და იმავე დროს, ერთი და იგივე თამაში", სადაც ცენტრალური თემა არის თამაში, ასახულია ომის დამანგრეველი გავლენა რიგითი ადამიანების ყოფასა და ფსიქიკაზე. მოთხრობა წარმოგვიდგენს იმ შვილდაკარგული მშობლების მდგომარეობის ტრაგიზმს, რომლებიც რეალობას აბსურდული თამაშების უკან ემალებიან. ჯამშიდ ხანიანის პერსონაჟების სულიერი მდგომარეობა ვლინდება მათ დიალოგებში, ქცევაში, პაუზებში, ხმის ტონსა და განსაკუთრებით დუმილში.

ნაშრომი წარმოაჩენს, თუ როგორ იქცა თანამედროვე სპარსული ჰუმანისტური პროზა, ომის ჰეროიკული აღქმის სანაცვლოდ, უმძიმესი ტრავმული გამოცდილებისა და ადამიანური ტკივილისადმი თანაგრძნობის გამომხატველ მხატვრულ სივრცედ.

საკვანძო სიტყვები: ჯამშიდ ხანიანი, სპარსული ლიტერატურა, ფსიქოლოგიური ტრავმა, თამაში, ტრაგედია

Rebecca Gigli
Bulgarian Academy of Sciences
Institute for Literature
Bulgaria, Sofia

Narratives on Postmemory and the Reworking of Postwar Traumas in Russian and Italian Contemporary Literature

The Second World War has left a difficult historical and cultural legacy to confront and process, not only for those who experienced the conflict firsthand. Postwar traumas have also been transmitted to following generations, who face the challenging task of keeping alive the memory of tragic experiences they did not directly witness but to which they feel they are heirs. At the end of the last century, Marianne Hirsh introduced the concept of "postmemory" precisely to describe the complex process of transmission between generations of historical traumas and, in particular, those linked to the Holocaust. One of the primary means of fostering this phenomenon of "mediated memory" is literature. It is no coincidence that the wounds of the Second World War and their memory continue to be a highly relevant topics in the contemporary literary landscape. In Italy and Russia, this rethinking of collective memory takes on even

greater importance. In these countries, numerous authors consider the reconstruction of the past and the testimony to the horrors of war a personal and social commitment. Therefore, the aim of this paper is to analyze the thematization of the concept of postmemory in Italian and Russian contemporary literature. By comparing representative works and by identifying similarities and differences in the narrative strategies used in them, the research intends to highlight the role literature plays in reconsidering postwar traumas in two nations that were deeply involved, but in different ways, in the Second World War.

Keywords: postmemory, Russian contemporary literature, Italian contemporary literature, trauma, World War II

Nino Gogiashvili
Sulkhan-Saba Orbeliani University
Georgia, Tbilisi

Reflections of Interstate, Interclass, Interpersonal and Internal Conflicts in Mikheil Javakhishvili's Novel *Jako's Lodgers*

In the novel *Jako's Lodgers*, Mikheil Javakhishvili explores some of the most significant aspects of human existence. The political situation in Georgia during the 1920s was marked by turmoil and instability resulting from the aftermath of the Russian Revolution, the establishment of the Democratic Republic of Georgia, and its rapid collapse following the Soviet occupation. In addition to foreign domination, the country suffered under Bolshevik terror, accompanied by the decline of the nobility and the rise of a crude and uneducated force to positions of power. Against this socio-political background, conflicts among individuals become increasingly intense, while oppression and social dislocation give rise to deep frustration and profound inner suffering within the individual.

The novel's protagonist, Teimuraz Khevistavi ,also referred to as the "former man" and the "bookworm", becomes a victim of his own helplessness as he loses his social standing, employment, property, wife and ultimately his sense of self. Jako Jivashvili, an illiterate, cunning, and violent peasant from a lower social stratum, gradually deprives him of everything he possesses. Yet it remains difficult to determine who the true antihero of the novel is - Jako or Teimuraz. While Jako is unscrupulous, aggressive, and proactive, Teimuraz is equally naïve, powerless and passive. He lacks the courage to wage a "war" against his adversary, choosing instead to deceive himself and evade reality. In effect, he surrenders not only his wife to Jako but also his ancestral estate and inheritance and, symbolically, his share of the nation and homeland.

Ultimately, left alone with himself, Teimuraz – once absorbed in countless books and theories, driven by philosophical passion and idealistic aspirations – comes to the painful realization that he has lost his own life. Now morally and spiritually broken, he understands that he is not merely a husband waiting for the return of his surrendered wife; he is also the cowardly former owner of an abandoned estate and, symbolically, of a forsaken homeland.

Teimuraz Khevistavi's personal downfall is the consequence of his failure to resist. His refusal to wage a timely struggle against his adversary gives rise to a far more difficult confrontation – the war within himself. Unlike external conflicts, this internal battle is relentless, unforgiving and inescapable, continually judging and tormenting him for his passivity and surrender. The study employs analytical, hermeneutic and comparative research methds.

Keywords: Javakhishvili, conflict, Jako, Teimuraz, reflection.

ნინო გოგიაშვილი
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

ქვეყანათაშორისი, კლასთაშორისი, ადამიანთაშორისი და შინაგანი ომების რეფლექსიები მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „ჯაყოს ხიზნები“

რომანში „ჯაყოს ხიზნები“ მიხეილ ჯავახიშვილი ადამიანური ყოფიერების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს განიხილავს; XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს პოლიტიკური ვითარება, გამომდინარე რუსეთის რევოლუციის შემდგომი მოვლენებიდან, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნიდან და რუსული ოკუპაციის გამო მისი მალევე დაშლიდან, მძიმე და ქაოტურია. გარდა ქვეყნის ოკუპაციისა, საქართველოს მდგომარეობა დამძიმებულია ბოლშევიკური ტერორით, რასაც თავადაზნაურთა დაკნინება და უხეში, გაუნათლებელი ძალის გაბატონება ახლავს თან. ამგვარ სოციალურ-პოლიტიკურ ფონზე მძაფრდება დაპირისპრება ადამიანებს შორის, რაც, თავის მხრივ, ცალკეული დაჩაგრული ადამიანების შინაგან ფრუსტრირებასა და მძაფრ განცდებში ვლინდება.

რომანის მთავარი გმირი – თეიმურაზ ხევისთავი, იგივე „ნაკაცარი“, იგივე „წიგნის ჭია“, კარგავს რა სოციალურ მიკუთვნებულობას, სამსახურს, ქონებას, ცოლს და ბოლოს – თავს, უსუსური პოზიციის მსხვერპლი ხდება. დაბალი სოციალური ფენის წევრი ჯაყო ჯივაშვილი, უწიგნური, ცბიერი და მოძალადე გლეხი, ყველაფერს ართმევს მას; თუმცა, რთული განსასაზღვრია, რომელია რომანის ანტიგმირი – ჯაყო თუ თეიმურაზი? რამდენადაც ჯაყო უსინდისო, მოძალადე და აქტიურია, თეიმურაზი იმდენადვე გულუბრყვილო, უსუსური და პასიურია. თეიმურაზი ვერ ბედავს „ომის“ დაწყებას მტერთან, ის თვალში ნაცარს იყრის და, ფაქტობრივად, არა მხოლოდ ცოლს უთმობს ჯაყოს, არამედ – წინაპრების დანატოვარ ადგილ-მამულსაც და, აქედან გამომდინარე, თავის წილ ქვეყანასა და სამშობლოსაც.

საბოლოოდ, საკუთარ თავთან მარტო დარჩენილი თეიმურაზი, წარსულში უამრავ წიგნსა და თეორიაში ჩაკარგული, მუდმივი ფილოსოფიური ვნებითა და იდეალისტური გზნებით სავსე, ამჯერად უკვე სრულიად წამხდარი, აცნობიერებს, რომ ცხოვრება თვითონ დაკარგა; და იგი არა მხოლოდ დათმობილი ცოლის მომლოდინე ქმარია, არამედ, დათმობილი მამულის/სამშობლოს მშიშარა ყოფილი მეპატრონეცაა.

თეიმურაზ ხევისთავის ცხოვრებისეული კრახი უბრძოლველობის შედეგია; მტრის საწინააღმდეგოდ არდაწყებული დროული ომი გაცილებით რთული დაპირისპირების საწინდარია – ეს არის ომი საკუთარ თავთან, რომელიც მუდმივად, დაუზარებლად და უშეღავათოდ გსჯის.

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის ანალიტიკური, ჰერმენევტიკული და კომპარატივისტული მეთოდები.

საკვანძო სიტყვები: ჯავახიშვილი, ომი, ჯაყო, თეიმურაზი, რეფლექსია

Ana Gogilashvili
Sulkhan-Saba Orbeliani University
Georgia, Tbilisi

The Micro-World of War in Contemporary Georgian Literature and Cinema
(Tamri Pkhakadze's *Garden in the Conflict Zone* and Its Cinematic Adaptation)

The theme of war and peace has retained its relevance since the dawn of human civilization. It is therefore unsurprising that works inspired by this subject permeate virtually every domain of artistic expression. While the ongoing armed confrontations between the United States and Iran currently demand our attention, the central wound of our own nation – Russian occupation and its enduring consequences – remains, without question, the most pressing and painful issue for Georgian reality, contemporary Georgian literature, and the broader cultural sphere. The annexation of territories, lives sacrificed to war, the trauma of displacement, the abduction of civilians along occupation and demarcation lines, and the phenomenon of mental occupation are among the subjects that have served as sources of inspiration for numerous Georgian writers. These authors include: Lasha Bughadze, Dato Turashvili, Beka Kurkhuli, Nino Kharatishvili, Teona Dolenjashvili, Tamri Pkhadze, Ekaterine Togonidze, Iva Pezuashvili, Goga Kobalia, and others. The theme of war has equally been addressed through the work of the following filmmakers: Zaza Urushadze, Dito Tsintsadze, Zaza Kolelishvili, Beso Solomonashvili, and others. The present study concerns Tamri Pkhakadze's work *Garden in the Conflict Zone* and the eponymous film directed by Beso Solomonashvili on the basis of this story. The research examines the philosophical and biblical strata of both artistic works, their expressive devices, inter-textual relationships with other literary and cinematic texts, and the divergent resolutions of their respective endings. The aforementioned works are subjected to scholarly analysis for the first time within academic discourse, a circumstance that constitutes the principal claim to scientific novelty of this study.

The analysis employs the methods of comparative analysis, hermeneutic inquiry, and conceptual interpretation.

Keywords: Contemporary Georgian Literature, Cinema, Russian Occupation, Tamri Pkakadze, Beso Solomanashvili

ანა გოგილაშვილი
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

ომის მიკროსამყარო ქართულ თანამედროვე ლიტერატურასა და კინოში
(თამრი ფხაკაძის „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ და მისი კინემატოგრაფიული ვერსია)

ომისა და მშვიდობის თემა კაცობრიობის დასაბამიდან აქტუალურია. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ მასთან დაკავშირებით შექმნილი ნიმუშები ხელოვნების არაერთ დარგში გხვდება. ამჟამად აშშ-ირანის შეიარაღებულ თავდასხმების თვალყურის დევნება გვიწევს, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მთავარი სატკივარი – რუსული ოკუპაცია და მისი შედეგები, რა თქმა უნდა, ყველაზე მნიშვნელოვან და მტკივნეულ საკითხად რჩება როგორც ქართული რეალობის, ასევე თანამედროვე ქართული ლიტერატურისა და ზოგადად – სახელოვნებო სფეროსათვის. ტერიტორიების მიტაცება, ომს შეწირული ადამიანები, დევნილობის ტრავმა, მოსახლეობის გატაცება საოკუპაციო – გამყოფი

ხაზიდან, მენტალური ოკუპაცია – ის საკითხებია, რომლებიც არაერთი ქართველი მწერლის ნაწარმოების ინსპირაციის წყაროდ იქცა. ეს ავტორებია: ლაშა ბუღაძე, დათო ტურაშვილი, ბექა ქურხული, ნინო ხარატიშვილი, თეონა დოლენჯაშვილი, თამრი ფხაკაძე, ეკატერინე ტოგონიძე, ივა ფეზუაშვილი, გოგა ქობალია და სხვანი. ომის თემატიკას თავინთი შემოქმედებით გამოეხმაურნენ შემდეგი რეჟისორებიც: ზაზა ურუშაძე, დიტო ცინცაძე, ზაზა კოლელიშვილი, ბესო სოლომანაშვილი და სხვანი. ჩემი გამოკვლევა თამრი ფხაკაძის თხზულებას: „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ და ამ მოთხრობის მიხედვით ბესო სოლომანაშვილის მიერ გადაღებულ ამავე სახელწოდების ფილმს შეეხება. ნაშრომში გაანალიზდება ორი მხატვრული ქმნილების ფილოსოფიური და ბიბლიური, შრეები, გამომსახველობითი საშუალებები, ინტერტექსტური მიმართებები სხვა ნაწარმოებებთან და დასასრულის სხვადასხვაგვარი გადაწყვეტის მიზეზები. ხსენებული ნაწარომებები სამეცნიერო სივრცეში პირველად ანალიზდება, რაც ნაშრომის სამეცნიერო სიახლეს განაპირობებს.

ანალიზისას გამოყენებული იქნება შედარებითი ანალიზის, ჰერმენევტიკული და კონცეპტუალური ინტერპრეტაციის მეთოდები.

საკვანძო სიტყვები: უახლესი ქართული ლიტერატურა, კინო, რუსული ოკუპაცია, თამრი ფხაკაძე, ბესო სოლომანაშვილი

Nana Gonjilashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

The Russian Empire Against the Morning Star

The article examines Nino Nakashidze's short story *The Shooting of the Morning Star*, which depicts the events that unfolded in Georgia, conquered by Russia, particularly in Guria, following the defeat of the 1905 Revolution. The revolutionary movement was led by Social Democratic organizations. This struggle (1902-1906), directed against the laws imposed by the Russian Empire and initially crowned with success through the establishment of the Gurian Republic, involved not only the peasantry but representatives of all social strata.

Through the narration of a single day in the life of the former nobleman Iotam Gabeduli and his family, the author portrays the unbearable reality that followed the suppression of the uprising: repression and terror. By decision of the Russian government, punitive Cossack detachments burned villages, executed, arrested, and exiled the participants of the rebellion. Through the protagonist's inner reflections, his conversations with his wife, and their behavior, the reader learns about the tragic condition of a Gurian village, the brutality of the Cossack units, and the atmosphere of fear that dominated the population – fear of execution, exile to Siberia, and the destruction of one's family. It was precisely this population that, during the uprising, regardless of class or gender, carried red flags and organized public demonstrations.

Against this background, N. Nakashidze reveals the cruelty of the Russian Empire while simultaneously exposing the degraded nature of this coarse imperial force. The story describes how, one evening, three hundred Cossacks stormed Iotam's house, devastated the household, and accused him of conspiracy and of transmitting signals to accomplices by means of a lantern. The culmination of the narrative occurs when an officer of the punitive detachment mistakes the shining morning star in the sky for a "signal lantern of the revolutionaries" and decides to subject this source of light to appropriate punishment: three hundred Cossacks raise their rifles toward the sky and open fire on the morning star. The fury provoked by

the star's remaining unharmed results in the arrest of those involved in the incident and their declaration as political criminals.

N. Nakashidze conveys with remarkable clarity the ruthless and terrifying image of the Russian Empire, which, alongside violence, demonstrates complete ignorance, symbolized by the shooting of the morning star. All of this constitutes a grave threat to the degeneration and destruction of a subjugated nation – a threat that remains equally relevant today.

Keywords: Russia Empire Terror Punishment Morning Star

ნანა გონჯილაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

რუსეთის იმპერია ასპიროზის წინააღმდეგ

ნაშრომში განხილულია ნონო ნაკაშიძის მოთხრობა „ასპიროზის დახვრეტა", რომელშიც გადმოცემულია რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში, კერძოდ, გურიაში, 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ განვითარებული მოვლენები. რევოლუციას ხელმძღვანელობდნენ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები. რუსეთის იმპერიის დაწესებული კანონების წინააღმდეგ მიმართულ ამ ბრძოლაში (1902-1906), რომელიც თავდაპირველად წარმატებული იყო (შეიქმნა გურიის რესპუბლიკა), გლეხობასთან ერთად მონაწილეობას იღებდა საზოგადოების ყველა ფენა. ავტორი ერთი ოჯახის, ყოფილი აზნაურის, იოთამ გაბედულის, ერთი დღის ამბის მოთხრობით წარმოაჩენს იმ გაუსაძლის ყოფას, რაც აჯანყების დამარცხებას მოჰყვა, რეპრესიები და ტერორი. რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, კაზაკთა დამსჯელმა რაზმებმა, გადაწვეს სოფლები, დახვრიტეს, დააპატიმრეს და გადაასახლეს მისი მონაწილენი. მოთხრობის მთავარი გმირის საკუთარ თავთან და მეუღლესთან საუბრის, ასევე მათი ქცევების მეშვეობით მკითხველი იგებს გურიის ერთი სოფლის ტრაგიკულ ყოფას, როგორი სისასტიკით მოქმედებდნენ კაზაკთა რაზმები, როგორი შიში (დახვრეტისა თუ ციმბირში გადასახლებისა, ოჯახის განადგურებისა) იყო გამეფებული მოსახლეობაში, რომელიც აჯანყების დროს, განურჩევლად წოდებისა და სქესისა, წითელ დროშებს აფრიალებდა და მიტინგებს მართავდა. ნ. ნაკაშიძე ამ ფონზე წარმოაჩენს რუსეთის იმპერიის სისასტიკეს და, ამავდროულად, ამ დამპყობელი უხეში ძალის დეგრადირებულ სახეს. მოთხრობაში აღწერილია, ერთ საღამოს როგორ შეცვივდა იოათამის სახლში კაზაკთა სამი ასეული, როგორ ააწიოკეს ოჯახი და იოათამს ბრალი დასდეს შეთქმულებაში, თანამზრახველებისთვის ფარნის მეშვეობით ნიშნების გადაცემაში. ამბის კულმინაციას წარმოადგენს დამსჯელი რაზმის ოფიცრის მიერ ცაზე აკიაფებული ასპიროზის „რევოლუციონერების ნიშნის ფარნად" მიჩნევა და ამ მანათობელი წყაროს საკადრისად დასჯა – სამასი კაზაკის ცისკენ მიშვერილი თოფებიდან ასპიროზის დახვრეტა. ასპიროზის უვნებლობით გამოწვეულ მრისხანებას ამ ამბავში მონაწილეთა დაპატიმრება და პოლიტიკურ დამნაშავეებად გამოცხადება მოჰყვა.

ნ. ნაკაშიძე მთელი სიცხადით გადმოგვცემს რუსეთის იმპერიის დაუნდობელ და შემზარავ სახეს, რომელიც ძალმომრეობასთან ერთად სრული უმეცრების (ასპიროზის დახვრეტით) დემონსტრირებას ახდენს. ყოველივე ეს დაპყრობილი ერის გადაგვარებისა და დაღუპვის უდიდეს საფრთხეს ქმნის, რაც დღესაც ასეთივე საფრთხეს წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: რუსეთი ტერორი იმპერია სასჯელი ასპიროზი

Natalia Gulua
Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

Historical Memory and Collective Responsibility in Otar Chkheidze's Novel The Artistic Coup

Otar Chkheidze's novel *The Artistic Coup* offers a literary interpretation of the political and social crisis in Georgia in the 1990s. The civil war depicted in the novel, the critical condition of national life, and the political reality conceptualised as an "artistic coup" go beyond the mere depiction of historical events and become a literary exploration of collective responsibility, historical memory, and national self-awareness.

The aim of this study is to demonstrate that, in the novel, the civil war is portrayed not only as a political confrontation, but also as a moral and spiritual crisis of society. Furthermore, the paper seeks to highlight the impact of historical events on human consciousness and societal values.

The relevance of this study lies in the fact that the literary representation of traumatic events in recent history constitutes a significant area of contemporary humanities research. In this context, The Artistic Coup is interpreted as a text that invites a rethinking of historical experience and fosters national self-reflection. The analysis of the novel contributes to identifying the distinctive features of the artistic rendering of historical experience and highlights the role of literature in shaping collective memory.

In The Artistic Coup, particular attention is paid to the concepts of historical memory and collective responsibility, through which the author seeks to interpret the causes, consequences, and inner essence of the national tragedy. The events in the novel are presented as a shared experience, examined through the lens of collective responsibility, and are not limited to the attribution of blame to individual actors or political groups. The writer emphasises the necessity of society's critical reflection on its historical experience and the recognition of the mistakes that led the country to fratricidal conflict.

For an adequate understanding of the artistic and philosophical concept of the novel, special importance is attached to its title, The Artistic Coup. The title encapsulates the idea of the theatricalisation of political reality, through which the author constructs a multilayered and symbolic representation of the national tragedy.

This paper argues that historical memory and collective responsibility serve as essential prerequisites for understanding national tragedy, while their interrelation constitutes a fundamental basis for national self-awareness, the interpretation of historical experience, and the formation of social consciousness.

Keywords: historical memory, collective responsibility, literary representation, theatricalisation

ნატალია გულუა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

ისტორიული მეხსიერება და კოლექტიური პასუხისმგებლობა ოთარ ჩხეიძის რომანში „არტისტული გადატრიალება“

ოთარ ჩხეიძის რომანი „არტისტული გადატრიალება“ მე-20 საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს პოლიტიკური და საზოგადოებრივი კრიზისის მხატვრულ გააზრებას წარმოადგენს. ნაწარმოებში ასახული სამოქალაქო ომი, ეროვნული ყოფის კრიტიკული მდგომარეობა და „არტისტულ გადატრიალებად“ გააზრებული პოლიტიკური რეალობა სცილდება ისტორიული მოვლენების აღწერის ფარგლებს და გადაიქცევა კოლექტიური პასუხისმგებლობის, ისტორიული მეხსიერებისა და ეროვნული თვითშემეცნების მხატვრულ კვლევად.

ნაშრომის მიზანია გამოავლინოს, რომ ნაწარმოებში სამოქალაქო ომი წარმოჩინდება არა მხოლოდ როგორც პოლიტიკური დაპირისპირება, არამედ როგორც საზოგადოების ზნეობრივი და სულიერი კრიზისი; ასევე გამოიკვეთოს ისტორიული მოვლენების გავლენა ადამიანთა ცნობიერებასა და საზოგადოებრივ ღირებულებებზე.

ნაშრომის აქტუალობას განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ უახლესი ისტორიის ტრავმული მოვლენების ლიტერატურული რეპრეზენტაცია თანამედროვე ჰუმანიტარული კვლევების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. ამ კონტექსტში „არტისტული გადატრიალება“ აღიქმება როგორც ტექსტი, რომელიც ისტორიული გამოცდილების მხატვრული გააზრებისა და ეროვნული თვითრეფლექსიის შესაძლებლობას ქმნის. რომანის ანალიზი ხელს შეუწყობს ისტორიული გამოცდილების მხატვრული გააზრების თავისებურებათა გამოვლენას და ლიტერატურის როლის წარმოჩენას საზოგადოებრივი მეხსიერების ფორმირების პროცესში.

ოთარ ჩხეიძის რომანში „არტისტული გადატრიალება“ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისტორიული მეხსიერებისა და კოლექტიური პასუხისმგებლობის კონცეფციებს, რომელთა მეშვეობითაც ავტორი ეროვნული ტრაგედიის მიზეზების, შედეგებისა და შინაგანი არსის გააზრებას ცდილობს. რომანში მოვლენები წარმოდგენილია როგორც საერთო გამოცდილება, რომელიც კოლექტიური პასუხისმგებლობის ჭრილში განიხილება და არ შემოიფარგლება მხოლოდ ცალკეული პირების ან პოლიტიკური ჯგუფების დადანაშაულებით. მწერლისათვის მნიშვნელოვანია საზოგადოების მიერ საკუთარი ისტორიული გამოცდილების გააზრება და იმ შეცდომების გაცნობიერება, რომლებმაც ქვეყანა ძმათამკვლელ დაპირისპირებამდე მიიყვანა.

რომანის მხატვრული და ფილოსოფიური კონცეფციის გააზრებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის სათაურს – „არტისტული გადატრიალება“. სათაურში კონცენტრირებულია პოლიტიკური რეალობის თეატრალიზაციის იდეა, რომლის მეშვეობითაც ავტორი ეროვნული ტრაგედიის მრავალშრიან და სიმბოლურ სურათს წარმოგვიდგენს.

ნაშრომში ვასაბუთებთ, რომ ისტორიული მეხსიერება და კოლექტიური პასუხისმგებლობა ეროვნული ტრაგედიის გააზრების აუცილებელ წინაპირობად გვევლინება, ხოლო მათი ურთიერთმიმართება ეროვნული თვითშემეცნების, ისტორიული გამოცდილების გააზრებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირების მნიშვნელოვან საფუძვლად წარმოჩინდება.

საკვანძო სიტყვები: ისტორიული მეხსიერება,კოლექტიური პასუხისმგებლობა, ლიტერატურული რეპრეზენტაცია, თეატრალიზაცია

Galiba Hajiyeva
Azerbaijan-Nakhchivan State University
Department of Azerbaijani Linguistics
Azerbaijan, Baku

Theme of War and Peace in Azerbaijan Literature and Music

One of the most pressing issues that has always concerned the wise people of the world and all of humanity has been the problem of “war and peace”. War and peace have been the eternal dilemma of the contradiction between destruction and construction. While war, the greatest scourge aimed at the destruction of human intelligence, culture and life, brings disaster, fear and loss to humanity, peace is the only foundation of love and construction, development. Therefore, the theme of “war and peace” is one of the main themes addressed by artists, writers and poets, composers in all fields of art. From folklore and classical epic works to the modern era, this theme has developed in Azerbaijani literature as the most pressing issue that concerns intellectuals, in the context of a just struggle, patriotism and the desire for peace.

In Azerbaijani folklore, the epics “Kitabi Dede Gorgud”, “Koroglu”, “Gachag Nabi”, and the works of the 12th-16th century Azerbaijani classics Nizami, Fuzuli, and Khatayi criticize the destructive consequences of war, and glorify humanism and peace. Representatives of the 20th century Azerbaijani romantic literature, such as Javid’s “Iblis” (1918), “Pyghambar” (1922), “Topal Teymur” (1925), and Hadi’s poem “The Historical Tragedies of Humanity, or Al-Wahi-Intibah” (1918), are philosophical and social works reflecting the terrible tragedies that people face due to wars and bloody clashes.

In the Soviet period after the collapse of the Azerbaijan Democratic Republic as a result of the Russian military intervention in 1920, especially in the works of poets and prose writers such as S. Vurgun, M.Huseyn, I.Efendiyev and the songs of many Azerbaijani composers, the idea of the struggle against fascism and peace occupies a central place in the works of poets and prose writers such as S. Vurgun, M. Huseyn, I. Efendiyev and the songs of many Azerbaijani composers.

Although the basis of Azerbaijani military music is based on ancient musical instruments and flute-zurna bands, modern professional military orchestra traditions have been formed. U. Hajibeyov's "Azerbaijani March" is a musical chronicle of our military history. Azerbaijani music also includes symphonic works on military themes such as Muslim Magomayev's "Buchenwald March", Shamistan Alizamanli's "Chenab Lieutenant", "Yigid Soldier", composer J. Guliyev's "Siravi Ahmed", and Ogtay Rajabov's "Hymn of Victory".

Keywords: Azerbaijan, military, music, war, peace, lıterature, folklore

Maia Jaliashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

The Aestheticization of War and the Metaphysics of the Defeat of Death in Mirza Gelovani’s Poetry

This paper explores the creative work of Mirza Gelovani within the framework of Friedrich Nietzsche’s profound philosophical dictum: "The existence of the world is justified only as an aesthetic phenomenon." The study aims to demonstrate how the poet transforms the chaos, brutality, and Dionysian elements of World War II into an Apollonian poetic cosmos defined by light, rhythm, and harmony. The author argues that for Gelovani, war was not merely a tragic destiny but an arena for personal evolution and metaphysical cognition, where the paralyzing fear of death is conquered through "Logos" – the transformative power of the artistic word.

The research provides a detailed analysis of the poet's lyrical world, where the symbolism of searching for "home" and the "father’s face" is realized as an existential thirst for returning to God. Particular attention is paid to the metaphor of the "rain of blood," which in Gelovani’s vision serves as a spiritual font for a new birth. The paper emphasizes that even in the trenches, the poet maintained his "inner height," perceiving the flutter of lethal bullets as "sinless beauty," thus embodying Dostoevsky’s principle that "beauty will save the world."

Furthermore, the study situates Gelovani’s poetry within the expansive context of the Georgian literary tradition. It is shown that Gelovani, as an heir to Galaktion’s poetic school, merged life and death into a pristine, "white eternity." The paper concludes that Gelovani’s poetry represents the ultimate victory of love over transience, where the poetic word petrifies death into a state of immortal and divine beauty.

Keywords: Mirza Gelovani, Aestheticization of War, Overcoming Death, Georgian Poetry

მაია ჯალიაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

ომის ესთეტიზაცია და სიკვდილის დამარცხების მეტაფიზიკა მირზა გელოვანის პოეზიაში

მირზა გელოვანის პოეზიაში მნიშვნელოვანია ომის ესთეტიზაცია და სიკვდილის დამარცხების მეტაფიზიკა. მის შემოქმედებას წარმოვაჩენთ ფრიდრიხ ნიცშეს ცნობილი ფილოსოფიური ფორმულის – „სამყაროს არსებობა გამართლებულია მხოლოდ როგორც ესთეტიკური ფენომენისა“ – კონტექსტში. ჩვენი მიზანია, გამოვკვეთოთ, თუ როგორ გარდასახავს პოეტი მეორე მსოფლიო ომის ქაოსს, სისასტიკესა და დიონისურ სტიქიას აპოლონურ, სინათლითა და ჰარმონიით სავსე პოეტურ კოსმოსად. მირზა გელოვანისთვის ომი იქცა არა მხოლოდ ტრაგიკულ ბედისწერად, არამედ პიროვნული ზრდისა და მეტაფიზიკური შემეცნების ასპარეზად, მან სიკვდილის შიში „ლოგოსით“, მხატვრული სიტყვით პოეზიად გარდასახა და დაძლია.

მრავალმხრივ და დეტალურად ვაანალიზებთ პოეტის ლირიკულ სამყაროს, იმ ლექსებს, რომლებშიც შინ დაბრუნების სურვილი და მამის სახის სიმბოლიკა მამა-ღმერთთან დაბრუნების ეგზისტენციალურ წყურვილად გარდაისახებაა. ყურადღებას ვამახვილებთ „სისხლის წვიმის“ მეტაფორაზე, რომელიც გელოვანთან ერთგვარ ემბაზად და ახალი სულიერი შობის წინაპირობად გვევლინება. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ პოეტი სანგარშიც „არ კარგავდა სიმაღლეს“ და მომაკვდინებელი ტყვიების ცვენას „უცოდველ მშვენიერებად“ აღიქვამდა, ამგვარად, დოსტოევსკისეულ თვალსაზრისს, რომ „სილამაზე იხსნის ქვეყნიერებას“, ეხმიანებოდა და ახალ კონტექსტში გაიაზრებდა. მირზა გელოვანი ფრონტიდან გამოგზავნილ წერილებში წერდა, რომ ცხოვრება იყო მისი მასწავლებელი და ჯარისკაცობასაც განიცდიდა, როგორც ბედისწერის წიგნის ერთ ფურცელს, რომელზეც თავისი ფიქრის ანაბეჭდებს მხატვრულ სახეებად აქარაგმებდა. „მარცხენა გულის ჯიბეში ქართული იები“ ჰქონდა და ამიტომაც მის მუზას ქვემეხის სროლა ვერ ადუმებდა.

მირზა გელოვანის შემოქმედებას განვიხილავთ ქართული ლიტერატურული ტრადიციის ფართო ჭრილში. პარალელები გავლებულია რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთლისა და გალაკტიონ ტაბიძის ნაწარმოებებთან, რომლებშიც საბრძოლო სულისკვეთების ესთეტიზაცია ორგანულად ერწყმის ღრმა პაციფისტურ სევდასა და კაენური ცოდვის გააზრებას. ნაშრომში მრავალმხრივ არის წარმოჩენილი, რომ გელოვანმა, როგორც გალაკტიონის პოეტური სკოლის მემკვიდრემ, სიკვდილის სიბნელე და სიცოცხლის სინათლე ერთმანეთს სპეტაკ, „თეთრ მარადიულობაში“ დაუკავშირა. დასკვნის სახით აღნიშნულია, რომ მირზა გელოვანის პოეზია არის სიყვარულის გამარჯვება წარმავლობაზე, მის ლექსებში პოეტური სიტყვა სიკვდილს მარადიულ მშვენიერებად გარდაქმნის.

საკვანძო სიტყვები: მირზა გელოვანი, ომის ესთეტიზაცია, სიკვდილის დამარცხება, ქართული პოეზია

Mzia Jamagidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Sulkhan-Saba Orbeliani University
Georgia, Tbilisi

Narratives of Silence in Contemporary Georgian Fiction

This paper explores war memory fiction narratives through Jay Winter's (2010) concept of silence, which views silence not as mere absence of speech but as a culturally and socially structured space in which societies define what can and cannot be said about wars and traumatic wartime experiences. The analysis examines how war memory is shaped not only by remembrance and forgetting, but also by the construction and transformation of spaces of silence in narratives over time.

I aim to demonstrate that this theoretical framework offers significant insights into the analysis of literary representations of war in Georgian fiction. Specifically, the paper examines narratives of the 1990s wars in Georgia (the civil war, Abkhazia, and Samachablo/South Ossetia) in relation to fictions of the August 2008 war. It explores how these texts articulate traumatic narratives within national consciousness and the strategies they employ to remember past events – memory, forgetting, and silence.

Accordingly, the study investigates how cultural and political mechanisms construct narratives of national memory, forgetting, and silence in contemporary Georgian literature.

Keywords: war, national memory, remembering, forgetting, silence

მზია ჯამაგიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

დუმილის ნარატივები თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში

მოხსენება ეყრდნობა ჯეი ვინტერის დუმილის (2010) კონცეფციას, რომლის მიხედვითაც, დუმილი არის კულტურულად და სოციალურად ორგანიზებული სივრცე, რომელშიც საზოგადოება განსაზღვრავს, რა შეიძლება ითქვას და რა უნდა დარჩეს უთქმელი ომებისა და ომის ტრავმული გამოცდილების შესახებ. ამ მიდგომით, ომის მეხსიერება არ განისაზღვრება მხოლოდ ხსოვნისა და დავიწყების ოპოზიციით, არამედ იმითაც, თუ როგორ კონსტრუირდება ან/და იცვლება დუმილის სივრცეები ნარტივებსა და დროში.

ვფიქრობთ, აღნიშნული თეორიული ჩარჩო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართულ ლიტერატურაში რეფლექსირებული ომის თემატიკაზე შექმნილი მხატვრული ლიტერატურის ანალიზისთვის; მოხსენებაში ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში რეფლექსირებული 90-იანი წლების ომის (სამოქალაქო, აფხაზეთი და სამაჩაბლო) ნარატივები გაანალიზდება 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ შექმნილ მხატვრულ ნარატივებთან მიმართებით. განხილულ იქნება როგორ აღწერენ ეს ტექსტები ნაციონალური ცნობიერებისთვის ტრავმულ ნარატივებს, რომელ სტრატეგიებს იყენებენ წარსული მოვლენების დამახსოვრებისთვის -ხსოვნას, დავიწყებას, დუმილსა თუ სიჩუმეს.

მოხსენებაში შესწავლილ იქნება ის კულტურული და პოლიტიკური მექანიზმები, რომლის საფუძველზეც იგება როგორც ნაციონალური მეხსიერების, ასევე დავიწყებისა დუმილის/სიჩუმის ნარატივები თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში.

საკვანძო სიტყვები: ომი, ნაციონალური მეხსიერება, ხსოვნა, დავიწყება, დუმილი, სიჩუმე

Grigol Jokhadze
Ilia State University
Georgia, Tbilisi

The War of Poets

(World War II. Anna Akhmatova. Marina Tsvetaeva)

The paper is dedicated to another "war" that unfolded during the period of World War II —the enigmatic confrontation between the poets Anna Akhmatova and Marina Tsvetaeva, and, at the same time, to their mutual interdependence and the extent to which each was shaped by the other. As the research has shown (through the memoirs, diaries, notes, and records of Akhmatova and Tsvetaeva, as well as the memoirs of their relatives, friends, and figures of Soviet literary circles), they were among the first to respond poetically to the outbreak of World War II. They sensed the horror of war even before Germany invaded the USSR. Neither of them had a permanent home or stable income. The Soviet authorities executed both of their husbands and exiled their children and relatives. They met each other for the first time during the war, yet neither was impressed by the other. During the evacuation, they sought refuge in the same city at different times. Even in the most critical moments, they continued to mention each other and compete with one another. One survived the war; the other took her own life. One might argue that, among other factors, the poetic existence of these two extreme egocentrics was sustained by both each other's presence and existence. Tsvetaeva's suicide inadvertently removed Akhmatova's rival as a woman poet and secured for her a unique, unrivaled position; at the same time, however, it deprived her of the motivation that had fueled her exceptional poetic creativity.

Key words: War, Akhmatova, Tsvetaeva, Confrontation, Poetic existence

გრიგოლ ჯოხაძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

პოეტების ომი

(მეორე მსოფლიო ომი. ანა ახმატოვა. მარინა ცვეტაევა)

მოხსენება ეძღვნება მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მიმდინარე კიდევ ერთ ,,ომს" – პოეტების – ანა ახმატოვასა და მარინა ცვეტაევას იდუმალ ურთიერთდაპირისპირებას და, იმავ-დროულად, ერთმანეთით განპირობებულობას. როგორც კვლევამ (ახმატოვასა და ცვეტაევას მოგო-ნებები, დღიურები, ჩანაწერები, მათი ახლობლებისა და ნათესავების, საბჭოთა ლიტერატურის მოღვაწეთა მემუარები...) ცხადყო, ისინი პირველები იყვნენ მათ შორის, ვინც მეორე მსოფლიო ომის დაწყებას ლექსით გამოეხმაურა: მათ მანამ იგრძნეს ომის საშინელება, სანამ გერმანია სსრკ-ს დაესხმებოდა თავს. არ გააჩნდათ ბინა და მუდმივი შემოსავალი საბჭოთა ხელისუფლებამ ორივეს

დაუხოცა ქმრები და გადაუსახლა შვილები და ნათესავები. ერთმანეთსაც პირველად ომის დროს შეხვდნენ, მაგრამ ერთმანეთით ვერ მოიხიბლნენ. ევაკუაციის დროს სხვადასხვა დროს ერთსა და იმავე ქალაქს აფარებდნენ თავს, ყველაზე კრიტიკულ წუთებშიც კი ერთმანეთის სახელს ახსენებდნენ და ერთურთს ეტოქებოდნენ. ერთი გადაურჩა ომს, მეორემ თავისი ნებით მოისწრაფა სიცოცხლე. მავანმა შეიძლება თქვას, რომ ორი უკიდურესი ეგოცენტრიკის პოეტურ ექსისტენციას სხვა ფაქტორებთან ერთად ერთმანეთის არსებაცა და არსებობაც ასაზრდოებდა. ცვეტაევას თვითმკვლელობამ ახმატოვას, როგორც პოეტ ქალს, უნებლიეთ მეტოქეც ჩამოაცილა და ერთადერთობაც გაუნაღდა, თუმცა გაუქრო გამორჩეული პოეტური აქტივობის მოტივიც.

საკვანძო სიტყვები: ომი, ახმატოვა, ცვეტაევა, დაპირისპირება, პოეტური ექსისტენცია

Maka Jokhadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

War and Peace in George Orwell's Perspective

In the recent past, Georgia has endured the hardships of civil strife and the provoked wars of 2008 in Abkhazia and Samachablo. For the contemporary Georgian reader, George Orwell's Homage to Catalonia is not merely a historical account but a poignant reflection of how hauntingly similar conflicts in Spain and Georgia can be. Fundamentally, any war – whether labeled "just" or "unjust" – serves to deconstruct, neutralize, and erase the individual identity. This observation is not strictly pacifist; it acknowledges the historical necessity of defensive wars, which Christianity itself has blessed when led by strategic rulers to save their people.

However, the focus here is on the mechanism of modern warfare -international terrorism, "military operations," and ethnic conflicts. Driven by greed and pragmatic gain, the forces behind these conflicts disregard morality, reducing human beings to mere "cannon fodder". This defines the inherent absurdity and tragedy of modern combat. In such times, a writer's duty, as Pavić suggested, is to continue "building"- to sustain the creative spirit even amidst systemic destruction.

Orwell also highlights the toxic role of biased journalism and "armchair experts" who, without ever visiting the front lines, speak with unearned authority on the intricacies of war. Ultimately, Orwell demonstrates that within the "sound and fury" of apocalyptic violence, it is possible to resist embitterment, preserve one's moral compass, and remain profoundly human.

Keywords: George Orwell; Modern Warfare; Injustice; Devaluation of the individual

მაკა ჯოხაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

ომი და მშვიდობა ჯორჯ ორუელის რომანის მიხედვით

უახლოეს წარსულში ქართველებმა უკვე გადავიტანეთ ე. წ. სამოქალაქო და 2008 წლის პროვოცირებული აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომები. ამიტომ ჩვენთვის, თანამედროვე მკითხველისათვის, ჯორჯ ორუელის რომანი „პატივი კატალონიას“, არა მხოლოდ დიდი ინტერესით იკითხება, არამედ ერთგვარი სევდიანობითაც გვიკვირს, რა ტყუპისცალებივით ჰგვანან ერთმანეთს ესპანეთსა თუ საქართველოში განხორციელებული ომები. ნებისმიერი ომი – „სამართლიანი“ თუ „უსამართლო“, დიდი ანგარიშით, პიროვნების განეიტრალებას, წაშლას ემსახურება. სულაც არ ვთვლი, რომ ჩემი მოსაზრება პაციფისტურია. ბრჭყალებში ჩასმული „სამართლიანი“ თუ „უსამართლო“ ომების არსიც კარგად მესმის და იმ ისტორიული მეფეების, გენიალური მხედართმთავრებისაც, რომელთა ტვინებსა და გულებშიც ერთდროულად იბადებოდა ქვეყნისა და საკუთარი ხალხის, საკუთარი სამშობლოს გადასარჩენად საჭირო ტაქტიკური თუ სტრატეგიული გეგმები და სვლები. ქრისტიანობა ამგვარ თავდაცვით ომებს აკურთხებდა კიდეც.

მე უფრო თანამედროვე ომებზე ვსაუბრობ, მათ ნაირნაირ სახეობებზე – საერთაშორისო ტერორიზმზე, ე. წ. „სამხედრო ოპერაციებზე“, ეთნიკურ კონფლიქტებზე და ა. შ. რომელთა კულისებს მიღმა არსებული, მაპროვოცირებელი თუ შემქმნელი ძალები, ანგარებით, სიხარბითა და პრაგმატული მოსაზრებებით ამართლებენ მორალის არაფრად ჩაგდებას, სულაც გაქრობას, ცნობილი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ადამიანის საზარბაზნე ხორცად გამოყენებას. სწორედ ეს განსაზღვრავს თანამედროვე ომების უპირველეს ინტერესს, აბსურდსა და ტრაგიზმს. მწერალს კი ისღა დარჩენია, როგორც პავიჩი იტყოდა, თვით ომის დროსაც კი არ შეწყვიტოს შენება, ე. ი. წერა.

ორუელის მიერ დახატულმა ომმა სიცრუისა და ცილისწამებისაკენ მიდრეკილ ჟურნალისტთა „მოღვაწეობაც“ ასახა და მხართეძოზე წამოწოლილ იმ ექსპერტთა უტიფრობაც, რომლებსაც ომის ზურგშიც კი არ დაუდგამთ ფეხი და თავს უფლებას აძლევდნენ, ფრონტის პერიპეტიებსა თუ მიმდინარეობებზე „კომპეტენტურად“ ესაუბრათ. და რაც ყველაზე მთავარია – ორუელმა გვიჩვენა ომი, რომლის სისასტიკეში „ხმაურსა და მძვინვარებაში“, აპოკალიფსურ ხილვებსა თუ ქვემეხების გამაყრუებელ ქუხილსა და სისხლისღვრაში, შესაძლებელია, რომ არ გაბოროტდე, შეინარჩუნო სახე და ადამიანად დარჩე.

საკვანძო სიტყვები: ჯორჯ ორუელი; თანამედროვე ომი; უსამართლობა, პიროვნების გაუფასურება

Manana Kajaia
Georgian Technical University
Georgia, Tbilisi

Georgian and European Women Authors in the Context of Alternative War Narratives

This article explores alternative war narratives crafted by Georgian and European female authors, analyzing how they challenge and transform traditional heroic and state-centric discourses of conflict. The study is based on the interpretation of texts by authors such as Virginia Woolf, Svetlana Alexievich, Herta Müller, Tamta Melashvili, and Nino Kharatishvili.

The research demonstrates that these authors conceptualize war not merely as a military event, but as a complex process of trauma, memory, identity crisis, and social fragmentation. In their works, the experience of war is often conveyed through the perspectives of women or children, utilizing intimate monologues, fragmented structures, and polyphonic storytelling. Particular attention is paid to the politics of the body, the problem of silence, and the restoration of marginalized voices within the literary space.

A comparison of European and Georgian contexts reveals that, despite historical differences, female authors in both spheres deglamorize war and create an anti-heroic narrative. Georgian literature focuses specifically on post-Soviet identity and the experience of territorial loss, while European texts more explicitly foreground a critique of totalitarian systems.

The article concludes that these alternative war narratives by female authors play a vital role in re-evaluating historical memory and shaping an ethical perspective.

Keywords: war, alternative narrative, female authors, trauma, memory, identity Post-Soviet literature, feminist criticism, anti-heroic narrative

მანანა ქაჯაია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

ქართველი და ევროპელი ქალი ავტორები ომის ალტერნატიული ნარატივების კონტექსტში

სტატია განიხილავს ქართველი და ევროპელი ქალი ავტორების მიერ შექმნილ ომის ალტერნატიულ ნარატივებს და აანალიზებს, თუ როგორ ცვლიან ისინი ტრადიციულ გმირულ და სახელმწიფოზე ორიენტირებულ ომის თხრობას. კვლევა ეფუძნება ისეთი ავტორების ტექსტების ინტერპრეტაციას, როგორებიც არიან ვირჯინია ვულფი, სვეტლანა ალექსიევიჩი, ჰერტა მიულერი, თამთა მელაშვილი და ნინო ხარატიშვილი.

სტატიაში ნაჩვენებია, რომ ქალი ავტორები ომს განიხილავენ არა როგორც მხოლოდ სამხედრო მოვლენას, არამედ როგორც ტრავმის, მეხსიერების, იდენტობის კრიზისისა და სოციალური რღვევის პროცესს. მათ ტექსტებში ომის გამოცდილება ხშირად გადმოცემულია ბავშვის ან ქალის პერსპექტივიდან, ინტიმური მონოლოგის, ფრაგმენტული სტრუქტურისა და პოლიფონიური თხრობის საშუალებით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სხეულის პოლიტიკას, დუმილის პრობლემას და მარგინალიზებული ხმების დაბრუნებას ლიტერატურულ სივრცეში.

ევროპული და ქართული კონტექსტების შედარება აჩვენებს, რომ მიუხედავად ისტორიული განსხვავებებისა, ორივე სივრცეში ქალი ავტორები ახდენენ ომის დეგლამურიზაციას და ანტიჰეროიკულ ნარატივს ქმნიან. ქართული ლიტერატურა განსაკუთრებულად ფოკუსირდება პოსტსაბჭოთა იდენტობისა და ტერიტორიული დანაკარგის გამოცდილებაზე, ხოლო ევროპულ ტექსტებში უფრო მკაფიოდ იკვეთება ტოტალიტარული სისტემების კრიტიკა..

სტატიის დასკვნა ამტკიცებს, რომ ქალი ავტორების ალტერნატიული ომის ნარატივები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისტორიული მეხსიერების გადაფასებასა და ეთიკური პერსპექტივის ჩამოყალიბებაში.

საკვანძო სიტყვები: ომი, ნარატივი, იდენტობა, ფემინისტური, ანტიჰეროიკული

Salome Kapanadze
Grigol Robakidze University
Georgia, Tbilisi

War as a Common Space of Spiritual Experience – Narratives of Georgian and Transcaucasian Writers

The systematic dismantling of the Soviet Union turned out to be extremely difficult, full of trials. The seventy-year process of the formation of "homosoveticus" left its mark on the identity of people united under the Soviet umbrella, although the instinct of self-preservation of nations turned out to be quite strong – it permanently went through all the phases that regularly appear at such times. It also includes the conflicts that arose in the post-Soviet space, which were reflected in the literary process of these countries.

War, with its chaos and order, tragic realism and, in some cases, romantic aesthetics, has been renewed and returned to the space of thought of writing. The conflicts that emerged in the post-Soviet period have marked new markers of the literary process and have given impetus to such artistic reflections that are not based solely on the narrative of victory and defeat. The aim of the study is to find parallels or points of contact of this trend on the example of Georgian and Transcaucasian writers. To discuss what unites writing at such a time as the unconditional leader of culture, what is the formula for overcoming the ordeal of war from their point of view.

The work is based on projects that have been implemented in the format of cultural dialogue in the last twenty years and are an important tool for restoring trust. The participants of the projects are writers with war experience. In many cases, they represent opposing sides. The research revealed that in the literary texts of Georgian and Transcaucasian writers, war has become a space of common spiritual experience, the aesthetics of war have been transformed, and parallels to the feelings of war have been found. Which can restore the desire for dialogue to people torn apart by the conflict and create an opportunity to restore trust.

Keywords: language of culture, rebuilding trust, aesthetics of war, transformation, narrative of peace

სალომე კაპანაძე
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

ომი როგორც სულიერი გამოცდილების საერთო სივრცე – ქართველი და ამიერკავკასიის მწერლების ნარატივი

საბჭოთა კავშირის სისტემური დემონტაჟი უაღრესად მძიმე, განსაცდელით აღსავსე აღმოჩნდა. „ჰომოსოვეტიკუსების“ ფორმირების სამოცდაათწლიანმა პროცესმა თავისი კვალი დაატყო საბჭოთა ქოლგის ქვეშ გაერთიანებული ადამიანების იდენტობას, თუმცა ერების თვითგადარჩენის ინსტინქტი საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა – მან პერმანენტულად გაიარა ყველა ფაზა, რომელიც კანონზომიერად იჩენს თავს ასეთ დროს. მისი შემადგენელია პოსტსაბჭოთა სივრცეში გაჩენილი კონფლიქტებიც, რომელიც ამ ქვეყნების ლიტერატურულ პროცესზე აისახა.

ომი თავისი ქაოსითა და წესრიგით, ტრაგიკული რეალიზმითა და რიგ შემთხვევაში, რომანტიკული ესთეტიკით, კვლავ განახლდა და დაუბრუნდა მწერლობის სააზროვნო სივრცეს. პოსტსაბჭოთა პერიოდში გაჩენილმა კონფლიქტებმა ლიტერატურული პროცესის ახალი მარკერები მო-

ნიშნა და სტიმული მისცა ისეთ მხატვრულ რეფლექსიებს, რომლებიც მხოლოდ გამარჯვება - დამარცხების ნარატივს არ ეყრდნობა. კვლევის მიზანია, ამ ტენდენციის პარალელები თუ შეხების წერტილები ქართველ და ამიერკავკასიის მწერალთა მაგალითზე მოძებნოს. იმსჯელოს, რა აერთიანებს ასეთ დროს მწერლობას, როგორც კულტურის უპირობო ლიდერს, როგორია ომის განსაცდელის დაძლევის ფორმულა მათი თვალთახედვით.

ნაშრომი ეყრდნობა იმ პროექტებს, რომლებიც ბოლო ოცწლეულში კულტურული დიალოგის ფორმატში განხორციელდა და მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ნდობის აღდგენისათვის. პროექტთა მონაწილეები ომის გამოცდილების მქონე მწერლებია. ისინი ხშირ შემთხვევაში, დაპირისპირებულ მხარეებს წარმოადგენენ. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ქართველ და ამიერკავკასიის მწერალთა ლიტერატურულ ტექსტებში ომი საერთო სულიერი გამოცდილების სივრცედ იქცა, ტრანსფორმირდა ომის ესთეტიკა, დაიძებნა ომის შეგრძენებათა პარალელები. რომელსაც შეუძლია, კონფლიქტის შედეგად გახლეჩილ ადამიანებს დიალოგის სურვილი დაუბრუნოს და ნდობის აღდგენის შესაძლებლობა შეუქმნას.

საკვანძო სიტყვები: კულტურის ენა, ნდობის აღდგენა, ომის ესთეტიკა, ტრანსფორმაცია, მშვიდობის ნარატივი

Lia Karichashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

The Deconstruction of War and the Artistic Conception of Reconciliation in Guram Odisharia's Short Story „The Nephew"

In Guram Odisharia's short story "The Nephew" (Dzmisshvili), which depicts the Georgian-Abkhazian armed conflict, the existential absurdity of war is set in stark opposition to universal human goodness.

The rescue of an enemy child by the Georgian combatant Valeri, his subsequent capture, and the events that unfold within an Abkhazian household constitute a rupture of the traditional war narrative. Here, the culmination of the text is not the battlefield but the traditional feast table (supra).

The story offers a profound exploration of the traumatic consciousness of war, the complexity of ethical choice, and the artistic conception of transforming the "enemy" into a friend – though the "enemy" here remains conditional. The Abkhazian characters reveal, with equal intensity, both an aggression dictated by pain and vengeance, and dignity, hospitality, the capacity for forgiveness, and trust. Through this approach, the text dissolves the sharp boundary artificially drawn by war between "us" and "them," presenting the conflict as a shared human catastrophe in which both sides may simultaneously be victim and perpetrator.

Of particular significance are the story's archetypal and symbolic images: the sea, the house, the child, Mariam, the weapon. The most central of these is the child. As a living icon of reconciliation, he stands in opposition to the ethnic, political, and military logic of war. The boy – Georgian by his mother and Abkhazian by his father – embodies the historical unity of these peoples. The story's title, "The Nephew," is itself emblematic: the boy is the nephew not only of a particular Abkhazian but, in a broader sense, of the Georgian as well;

his survival is the aim and moral duty of both sides. In this way, the writer underscores a kinship that is not merely of blood, but historical and cultural.

The story stands as an exemplar of anti-war literature, persuading the reader that while war destroys, it cannot extinguish the human capacity for forgiveness, compassion, and love – the only force capable of rebuilding the bridges that have been torn down.

Keywords: Guram Odisharia; "The Nephew", Georgian-Abkhazian conflict

ლია კარიჭაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

ომის დეკონსტრუქცია და შერიგების მხატვრული კონცეფცია
გურამ ოდიშარიას მოთხრობაში „ძმისშვილი"

გურამ ოდიშარიას მოთხრობაში „ძმისშვილი", რომელიც ქართველ-აფხაზთა შეიარაღებულ კონფლიქტს ასახავს, ომის ეგზისტენციალური უაზრობა და უნივერსალური ადამიანური სიკეთე მკვეთრად უპირისპირდება ერთმანეთს.

ქართველი მებრძოლის, ვალერის მიერ მტრის ბავშვის გადარჩენა, შემდგომ მისი დატყვევება და აფხაზურ ოჯახში განვითარებული მოვლენები – ომის ტრადიციული ნარატივის რღვევაა. აქ ტექსტის კულმინაციად არა ბრძოლის ველი, არამედ ტრადიციული სუფრა გვევლინება.

მოთხრობაში ღრმადაა წარმოჩენილი ომის ტრავმული ცნობიერება, ეთიკური არჩევანის სირთულე და „მტრის" მოკეთედ გარდაქმნის მხატვრული კონცეფცია, თუმცა „მტერი" აქ პირობითია. აფხაზ პერსონაჟებში თანაბარი სიძლიერით ვლინდება როგორც ტკივილითა და შურისძიებით ნაკარნახევი აგრესია, ისე ღირსება, სტუმართმოყვარეობა, პატიების უნარი და ნდობა. ამგვარი მიდგომით, ტექსტი შლის ომის მიერ ხელოვნურად გავლებულ მკვეთრ საზღვარს „ჩვენსა" და „მათ" შორის, კონფლიქტს კი წარმოაჩენს, როგორც საერთო ადამიანურ კატასტროფას, რომლის დროსაც ორივე მხარე ერთდროულად შეიძლება იყოს მსხვერპლიც და დამნაშავეც.

საყურადღებოა მოთხრობის არქეტიპული და სიმბოლური სახეები: ზღვა, სახლი, ბავშვი, მარიამი, იარაღი ... ყველაზე მთავარი ბავშვია. იგი, როგორც შერიგების ცოცხალი ხატი, ომის ეთნიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო ლოგიკას უპირისპირდება. დედით ქართველი და მამით აფხაზი ბიჭუნა ამ ხალხთა ისტორიული ერთიანობის სიმბოლოა. ნიშანდობლივია მოთხრობის სათაურიც – „ძმისშვილი". ბიჭუნა არა მხოლოდ კონკრეტული აფხაზის, არამედ, ფართო გაგებით, ქართველის ძმისშვილია, მისი გადარჩენა ორივე მხარის მიზანი და მორალური ვალია. ამით მწერალი ხაზს უსვამს არა მხოლოდ სისხლისმიერ, არამედ ისტორიულ და კულტურულ ნათესაობას.

მოთხრობა ანტისაომარი ლიტერატურის ნიმუშია, რომელიც მკითხველს არწმუნებს, რომ ომი ანგრევს, მაგრამ ვერ სპობს ადამიანში პატიების, თანაგრძნობისა და სიყვარულის უნარს – ერთადერთს, რასაც დანგრეული ხიდების აღდგენა შეუძლია.

საკვანძო სიტყვები: გურამ ოდიშარია, „ძმისშვილი", ქართულ-აფხაზური კონფლიქტი

Yuri Kato
University of Tsukuba
Japan, Tsukuba

Frailty of Widows in Law and in Society

After Russo-Japanese War (1904-05) in both countries were left a lot of war widows. The problem of war widows was a new one for Japanese society: through feudal period of Edo (until 1867) in battles took part professional soldiers (samurai), while the armament was forbidden among common people like peasants or merchants. The codex of Samurais was based on Confucianism, and strictly avoided "counter marriage": a widow was obliged to keep honor of her husband.

In the modern wars soldiers were recruited by the conscription system. The New Civil Law, which was formulated following ones in Europe, was rather generous to war widows: there was no more any forbidden to remarriage, in addition, if missing in battle field, "absence (Verschollenheit)" was declared after 3 years. Nevertheless, a war widow, which tries to re-marry, would almost certainly be suffered by the moral hazard from the society. There was an actual gap between the Law and traditional social morals.

Futabatei Shimei wrote one unfinished draft: "Chasen-gami (A Hairstyle for Widows)". Here a young charming war widow of Russo-Japanese war, after a few unsuccessful love affairs, was affected by a psychotic disease. Presenter will mention on a possible influence of Russian literature.

Keywords: war widows, Japanese modern literature, Civil law, traditional morals, Futabatei Shimei

Gulnoz Iskandarovna Khalliyeva
Head of the Department of World Literature
Uzbekistan State World Languages University (UzSWLU)
Uzbekistan, Tashkent

The Theme of War in Modern Uzbek and World Literature: A Comparative Perspective

The theme of war occupies a significant place in modern Uzbek and world literature, as it allows writers to explore not only historical events but also the moral, psychological and cultural consequences of violence. In twentieth- and twenty-first-century prose, war is increasingly represented not as a heroic phenomenon, but as a tragic experience that transforms human consciousness, destroys family bonds and challenges collective memory.

In O'tkir Hoshimov's novel Ikki eshik orasi (Between Two Doors), war is portrayed through the life of the Uzbek home front. The writer focuses on ordinary people, especially women, children and elderly characters, whose destinies reveal the hidden tragedy of wartime existence. Here, war becomes a test of patience, moral endurance and national solidarity. By contrast, Kazuo Ishiguro's The Buried Giant presents war through the problem of historical memory. The image of the mist symbolically expresses collective forgetting, suggesting that peace built upon silence and oblivion remains morally unstable.

Khaled Hosseini's The Kite Runner offers another model of representing war. In this novel, armed conflict destroys personal identity, causes exile and turns guilt into a lifelong moral burden. Compared with Hoshimov, who emphasizes family and national resilience, and Ishiguro, who examines memory and historical responsibility, Hosseini concentrates on trauma, displacement and the search for redemption.

Thus, modern Uzbek and world literature reveal war as a universal humanitarian catastrophe. Despite different national contexts, these writers share a common humanistic idea: the deepest wound of war is inflicted not only on nations and states, but on the human soul.

Keywords: war, modern Uzbek literature, world literature, comparative literature, memory, trauma, humanism, identity

Tamar Khetashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Georgia, Tbilisi

Historical Trauma and the Deheroization of the Hero in the Works of Marguerite Yourcenar and Otar Chiladze

The present study examines the representation of historical violence in the works of Marguerite Yourcenar and Otar Chiladze through the theoretical frameworks of trauma studies, cultural memory studies, and the concept of deheroization. These approaches provide a methodological basis for analyzing the ways in which historical crises affect the identity of literary characters, their systems of values, and their relationship to history.

More specifically, the study aims to offer a comparative analysis of the literary representation of historical violence in the works of Marguerite Yourcenar and Otar Chiladze, focusing on the crises of identity and values generated by historical trauma, as well as on the process of deheroization in such works as *Le Coup de Grâce, L'Œuvre au Noir, Avelum, and The Iron Theatre.*

Although the issues of historical trauma, violence, and individual crisis have been extensively explored in scholarship devoted to both Marguerite Yourcenar and Otar Chiladze, a comparative analysis of their works has not yet been undertaken. For this reason, a comparative examination of these authors appears particularly fruitful, given that they belong to distinct cultural, historical, and geographical contexts. Yourcenar's oeuvre emerged within the framework of Western cultural memory and European historical experience, whereas Chiladze's writings are closely associated with the realities of the Soviet and post-Soviet periods, as well as with questions of national memory and Georgian cultural identity.

Despite these differences, both authors engage with remarkable intensity in the exploration of the relationship between the individual, history, and memory. Their texts reveal a common tendency: historical crisis undermines the traditional model of the hero and gives rise to a deheroized subject whose identity is shaped through the interaction of trauma, memory, and historical experience. This convergence makes a comparative investigation of historical crisis and its consequences in their works particularly relevant.

Keywords: Historical Trauma, Historical Violence, Cultural Memory, Deheroization, Identity Crisis

თამარ ხეტაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

ისტორიული ტრავმა და გმირის დეჰეროიზაცია მარგერიტ იურსენარისა და ოთარ ჭილაძის შემოქმედებაში

აღნიშნული კვლევა მარგერიტ იურსენარისა და ოთარ ჭილაძის ტექსტებში ისტორიული ძალადობის რეპრეზენტაციას ტრავმის კვლევების (trauma studies), კულტურული მეხსიერებისა (cultural memory studies) და დეჰეროიზაციის კონცეფციის თეორიული პერსპექტივებიდან განიხილავს. ხსენებული მიდგომები საშუალებას იძლევა გაანალიზდეს, თუ როგორ აისახება ისტორიული კრიზისი პერსონაჟის იდენტობაზე, ღირებულებით სისტემასა და ისტორიასთან მის მიმართებაზე.

კერძოდ, მიზნად ვისახავთ მარგერიტ იურსენარისა და ოთარ ჭილაძის შემოქმედებაში ისტორიული ძალადობის მხატვრული რეპრეზენტაციის შედარებით ანალიზს, ისტორიული ტრავმის შედეგად ღირებულებითი და იდენტობის კრიზისის, აგრეთვე დეჰეროიზაციის პროცესის შესაწავლას ისეთ ნაწარმოებებში, როგორებიცაა *Le coup de grâce (უკანასკნელი მოწყალება)*, *L'œuvre au noir (ნიგრედო)*, *ავლუმი*, *რკინის თეატრი.*

მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული ტრავმის, ძალადობისა და ინდივიდის კრიზისის პრობლემა არაერთი კვლევის საგანი გამხდარა როგორც მარგერიტ იურსენარის, ისე ოთარ ჭილაძის შემოქმედებაში, მათი ტექსტების შედარებითი ანალიზი ჯერჯერობით არ განხორციელებულა. სწორედ ამიტომ, ვთვლით, რომ განსაკუთრებით საინტერესო იქნება ისეთი ავტორების კვლევა, რომლებიც განსხვავებულ კულტურულ, ისტორიულ და გეოგრაფიულ სივრცეებს მიეკუთვნებიან: იურსენარის შემოქმედება დასავლური კულტურული მეხსიერებისა და ევროპული ისტორიული გამოცდილების კონტექსტში განვითარდა და ჩამოყალიბდა, ხოლო ჭილაძის ტექსტები საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რეალობის, ეროვნული მეხსიერებისა და ქართული კულტურული იდენტობის პრობლემატიკას უკავშირდება. ამ განსხვავებების მიუხედავად, ორივე მათგანი ერთნაირი სიმწვავით სვამს ინდივიდის, ისტორიისა და მეხსიერების ურთიერთმიმართების საკითხს. მათ შემოქმედებაში ისტორიული კრიზისი ანგრევს გმირის ტრადიციულ მოდელს და წარმოშობს დეჰეროიზებულ სუბიექტს, რომლის იდენტობა ტრავმის, მეხსიერებისა და ისტორიული გამოცდილების ურთიერთქმედებით ყალიბდება – რაც განსაკუთრებით საინტერესოს ხდის მხატვრულ ნაწარმოებებში ისტორიული კრიზისისა და მისი შედეგების შედარებით კვლევას.

საკვანძო სიტყვები: ისტორიული ტრავმა, ისტორიული ძალადობა, კულტურული მეხსიერება, დეჰეროიზაცია, იდენტობის კრიზისი

Mary Khukhunaishvil-Tsiklauri
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

Heroic Themes in Georgian Folklore

Location of Georgia at the juncture of Europe and Asia provided conditions being the most invaded country in the region. At the same time neighboring North Caucasian tribes did not give the country peace. Georgian folk poetry, traditions and legends bring to light names of heroes, among them are women, sacrificing their life for the motherland. Eminent Georgian folklorist Ksenia Sikharulidze collected, studied

and published in 1974-1975 Georgian Folk Poetry in two volumes. Her classification of the heroic folk poetry is exemplary: 1. War against aggressors. 2. Tribal hostility. 3. Ideal of hero. 4. Heroic laudatory. 5. On Hunter's bravery. 5. Mourning.

Another respected Georgian scholar Elene Virsaladze in 1973 published the book „Georgian Traditions and Legends scattered in the Georgian Periodicals of the XIX century. The book contains legends about the outstanding historical figures-Georgian Kings: Vakhtang Gorgasali, king Gurgen, David the Builder, Queen Tamar leading the Georgians in the battle against the foreign invaders. The collection also describes heroism of ordinary folk dying for their motherland. The topic of our investigation are the adventures of the heroes fighters for the motherland, struggling against feudal oppression and against serfdom.

Key words: Folk poetry, motherland, invaders, heroes

მერი ხუხუნაიშვილი-წიკლაური
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

საგმირო თემატიკა ქართულ ფოლკლორში

ქართული ფოლკლორი მრავალფეროვანი საგმირო პოეტური და პროზაული თემატიკით გამოირჩევა. დიდი სახელმწიფოების სტრატეგიული ინტერესების გზაჯვარედინზე მდებარეობა, მეზობელი ჩრდილოკავკასიელების მხრიდან ხშირი თავდასხმები, ფეოდალური დაქსაქსულობა და დაპირისპირებები ხალხური შემოქმედების საგმირო თემატიკის განმსაზღვრელი ფაქტორებია. საგმირო ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეკრება, კვლევა და გამოცემა ქართველი ფოლკლორისტების სერიოზული კვლევის საგანია. ცნობილმა ფოლკლორისტმა ქსენია სიხარულიძემ შეისწავლა და 1974-1975 წლებში გამოსცა საგმირო პოეზიის ორი ტომი. მის მიერ საგმირო თემატიკის კლასიფიკაცია სანიმუშოა: 1. ბრძოლა მომხდურებთან. 2. ტომობრივი შუღლი. 3. გმირის იდეალი. 4. საგმირო სახოტბო. 5. საგმირო სამონადირეო. 5. საგმირო სამგლოვიარო. ღვაწლმოსილმა მკვლევარმა ელენე ვირსალაძემ მოიძია მე-19 საუკუნის 80-იან და 90-იან წლებში ქართულ პერიოდულ პრესაში დაბეჭდილი გადმოცემები და ლეგენდები: ა. გამოჩენილ მეფეებზე და ისტორიულ მოღვაწეებზე. ბ. სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებზე. გ. ფეოდალური ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლებზე. ტექსტები გამოიცა 1973 წელს კრებულში „ქართული ლეგენდები და გადმოცემები". წიგნი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს და რუსულ ენაზეა. აღნიშნული კრებული ინგლისურ ენაზე თარგმნა ბრიტანელმა ფოლკლორისტმა დევიდ ჰანტმა და გამომცემლობა „არტანუჯმა" 2018 წელს გამოსცა.

ჩვენი კვლევა სამშობლოსათვის მებრძოლ სახალხო გმირებს უკავშირდება: ზეზვა გაფრინდაულს, ოტია მესხს, შალიკ სულთანიშვილს, რომელთა გვერდითაც თავდადებული მანდილოსნებიც იბრძოდნენ: თამრო ვაშლოვანელი, მაია წყნეთელი, თინა წავკისელი, თამარულ ჭინჭარაული. მეორე ჯგუფში განვიხილავთ ფეოდალური ჩაგვრისა და ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი მამულიშვილების თავგადასავალს.

საკვანძო სიტყვები: ფოლკლორი, საგმირო თემატიკა, დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა.

Ritsuko Kidera
Kyoto Sangyo University
Japan, Kyoto

Endo Shusaku and White Russians

This presentation examines the depictions of White Russians in the novels of Shusaku Endo (1923-1996), a Japanese author, who is famous as the Catholic writer.

In the short story "Against the Shadow" Suguro, the main character, reminisces about his mother. His mother divorced his father, abandoned him, and devoted herself to practicing the violin, but she died without achieving success in music. To him, the fact that his mother dedicated her life to art is appealing.

Alexander Mogilevsky (1885–1955), the music teacher from whom his mother learned the violin, was a real-life White Russian musician. At that time, Japan was in the process of Westernization and modernization and was actively embracing Western music; this period coincided with the Russian Revolution. Russian exiles also arrived in Japan, and among them were those who earned a living by teaching ballet, piano, and violin. The image of Suguro's mother wearing Western-style clothing at her violin concert, the Russian-style buildings in Dalian where he spent his childhood, are depicted intertwined with the image of his mother.

In the novel "Deep River" Endo depicts Japanese travelers journeying through India. Influenced by John Hick's theory of pluralism of religions, Otsu, one of the main characters of this novel, finds the Christian God between Hindu people. This novel also reflects an exploration of a more maternal form of Christianity. Shusaku Endo's relationship with Russians, which is connected with his mother's image, may be important on an unconscious level to Endo's thought.

Keywords: Mother, Music, Russian exiles, Dalian, Kobe

Maia Kiknadze
Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State university
Georgia, Tbilisi

"War" on the stage of modern Georgian theater

Historical and political events, as well as social and external factors in Georgia have always influenced theatrical developments. Therefore, the theater responded to the demands of times and was distinguished by the urgency and relevance of topics. In the 21st century, in the era of technological advancement, foreign policy processes have become even more acute. This relates to both the pandemic and the wars raging in various parts of world. In an era of such complex cataclysms, it's natural that theaters are also dedicating their stages to discussing pressing societal issues.

Georgian theater directors have dedicated numerous performances to the horrors of war on the stages of modern Georgian theaters. The plays were staged at various times and theater venues that were carried out by theater directors of different ages and styles. Despite differences in form and genre, all performing groups are united by a single message. It is a protest against war and violence, this is a call: "No to war! No to bloodshed!"

Depending on the nature of war, the war performances on the Georgian stage can also be divided into different categories:

1. Performances that relate to wars around the world;

2. Performances that relate to internal conflicts in Georgia;

The theme of fear of war was dedicated to the performance "Fear Number One" by Italian playwright Eduardo De Filippo, staged on the stage of Shota Rustaveli Theatre and Film State University. The events depicted in it are highly consistent with the current political processes. I am referring to the widespread fear in European societies due to the possible outbreak of a new war.

It is even more important and interesting for Georgian audiences to watch performances depicting internal wars and ethnic conflicts, where Georgian-Ossetian and Georgian-Abkhazian relations are depicted. Performances often include specific stories, eyewitness accounts and documentary facts. These performances allow the audience to recall, rethink, and reevaluate the division between nations caused by the third force.

Keywords: Georgian-Abkhazian relations, Sukhumi theater, fear, ethnic conflicts, performance

მაია კიკნაძე
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

„ომი" უახლესი ქართულ თეატრის სცენაზე

საქართველოში არსებული ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენები, სოციალური თუ საგარეო ფაქტორები, თეატრალურ პროცესებზე ყოველთვის ახდენდა გავლენას. აქედან გამომდინარე, თეატრიც დროის მოთხოვნებს პასუხობდა და თემების სიმწვავითა და აქტუალობით გამოირჩეოდა. XXI საუკენეში, ტექნიკური განვითარების ეპოქაში, საგარეო პოლიტიკურმა პროცესებმა, კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. ეს ეხება, როგორც პანდემიას, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაჩაღებულ ომებს. ასეთი რთული კატაკლიზმების ეპოქაში, ბუნებრივია, თეატრებიც ასპარეზს უთმობენ საზოგადოების მწვავე პრობლემებზე საუბარს.

უახლესი ქართული თეატრების სცენებზე ომის საშინელებებს, ქართველმა რეჟისორებმა არაერთი სპექტაკლი მიუძღვნეს. პიესები სხვადასხვა დროსა და თეატრალურ სივრცეებში დაიდგა და განსხვავებული ასაკისა და ხელწერის რეჟისორებმა განახორციელეს. ფორმისა თუ ჟანრის განსხვავების მიუხედავად, დამდგმელ ჯგუფებს ერთი ძირითადი სათქმელი აერთიანებთ. ეს არის პროტესტი ომისა და ძალადობის წინააღმდეგ, ეს არის მოწოდება: „ არა ომს! არა სისიხლისღვრას!"

ომის ხასიათიდან გამომდინარე, ქართულ სცენაზე ომის ამსახველი სპექტაკლებიც შეიძლება სხვადასხვა კატეგორიდ დავყოთ:

1. სპექტაკლები, რომლებიც მსოფლიოში არსებულ ომებზე საუბრობენ;

2. სპექტაკლები, რომლებიც საქართველოში არსებულ შიდა კონფლიქტებს ეხება;

ომისადმი შიშის თემას მიეძღვნა, შოთა რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სასწავლო თეატრის სცენაზე დადგმული სპექტაკლი იტალიელი დრამატურგის ედვარდო დე ფილიპოს პიესა „შიში ნომერი ერთი". მასში ასახული მოვლენები უაღრესად თანხმიერია მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისა. ვგულისხმობ, იმ საყოველთაო შიშს, რომელიც ევროპულ საზოგადოებში არსებობს, ახალი ომის შესაძლო გაჩაღების გამო.

ქართველი მაყურებლისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესოა შიდა ომებისა და ეთნოკონფლიქტების ამსახველი სპექტაკლების ნახვა, სადაც გადმოცემულია ქართულ-ოსური, ქართულ-აფხაზური ურთიერთობები. სპექტაკლები ხშირად კონკრეტულ ამბებს, თვითმხილველთა მონაყოლს, დოკუმენტურ ფაქტებს შეიცავენ. აღნიშნული სპექტაკლები მაყურებელს საშუალე-

ბას აძლევვენ, გაიხსენონ, თავიდან გაიაზრონ, გადააფასონ ერებს შორის მომხდარი განხეთქილება, რომელიც მესამე ძალის საშუალებით განხორციელდა.

საკვანძო სიტყვები: ქართულ-აფხაზური ურთიერთობები, სოხუმის თეატრი, შიში, ეთნო-კონფლიქტები, სპექტაკლი

Zeinab Kikvidze
Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

War Narratives of Girls:
Gender Perspective and the De-heroization on Heroic Discourse

In XX-XXI century literature, one of the key tendencies in the representation of war is the re-evaluation of traditional narratives based on heroism, national ideology, and military grandeur. Within this process, texts written from the perspective of adolescent girls acquire particular significance, as they present the experience of war through a distinct gendered and age-specific lens.

This paper aims, through a comparative analysis of texts by Anne Frank, Zlata Filipović, Polina Zherebtsova, Milana Terloeva, an anonymous Abkhaz girl, and Tamta Melashvili's novel *Counting Out*, to identify the narrative and axiological models through which the traditional heroic discourse of war is de-heroized. Despite differences in genre (diary, memoir, and fictional prose), the narrators are unified by the shared experience of adolescent girlhood, which produces a structurally similar representation of wartime reality.

The intersection of gender and age creates a specific epistemological lens of war perception, where the central focus is vulnerability, loss, survival, and ethical crisis. Regardless of differing historical, political, and cultural contexts, these texts repeatedly depict the devaluation of human life. From this perspective, war is represented not as a space of historical glory or national self-assertion, but as a process of the disintegration of the human world and the institutionalization of anti-humanism.

The study demonstrates that girls' war narratives construct a transnational anti-war discourse in which local and global conflicts converge into a universal experience of violence. As a result, official and heroic representations of war are displaced by an emphasis on human life, memory, and ethical responsibility.

Keywords: war narratives, de-heroization, gender, crisis of humanism.

ზეინაბ კიკვიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

გოგონათა ომის ნარატივები:
გენდერული პერსპექტივა და გმირული დისკურსის დეჰეროიზაცია

XX-XXI საუკუნეების ლიტერატურაში ომის რეპრეზენტაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტენ-დენციას წარმოადგენს ტრადიციული, გმირობაზე, ეროვნულ იდეოლოგიასა და სამხედრო დიდე-ბაზე დაფუძნებული ნარატივების გადააზრება. ამ პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მოზარდი გოგონების პერსპექტივით შექმნილი ტექსტები, რომლებიც ომის გამოცდილებას განს-ხვავებული, გენდერულად და ასაკობრივად მარკირებული ხედვის ფარგლებში წარმოაჩენს. აღნიშ-

ნული ნარატივები ყურადღებას ამახვილებს არა სამხედრო მოქმედებებსა და გამარჯვების იდეაზე, არამედ იმ ზემოქმედებაზე, რომელსაც ძალადობა ახდენს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, თვითაღქმასა და ღირებულებით სისტემაზე.

სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა მასშტაბის სამხედრო კონფლიქტების, გლობალური ომებისა და ინტერვენციების შესახებ დაწერილი ტექსტები, ხშირ შემთხვევაში, ავლენს ეგზისტენციალური საფრთხეების სუბიექტურ დამოკიდებულებებს. წარმოდგენილი მოხსენება მიზნად ისახავს ანა ფრანკის, ზლატა ფილიპოვიჩის, პოლინა ჟერებცოვას, მილანა ტერლოევას, უცნობი აფხაზი გოგონას ტექსტებისა და თამთა მელაშვილის რომანი „გათვლას“ შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოავლინოს ის ნარატიული და ღირებულებითი მოდელები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ომის ტრადიციული გმირული დისკურსის დეჰეროიზაცია. სხვადასხვა ჟანრის ტექსტების (დღიური, მემუარული თხრობა, მხატვრულ პროზა) ავტორ-მთხრობელები ერთიანდებიან მოზარდი გოგონების გამოცდილების საფუძველზე და იდენტურ რეალობას ქმნიან.

გენდერული და ასაკობრივი გამოცდილების გადაკვეთა ქმნის ომის აღქმის სპეციფიკურ ფოკუსს, რომლის ცენტრშიც არა ბრძოლა, გამარჯვება და გმირობა, არამედ მოწყვლადობა, დაკარგვა, გადარჩენა და ეთიკური კრიზისია. მიუხედავად განსხვავებული ისტორიული, პოლიტიკური და კულტურული კონტექსტებისა, განსახილველ ტექსტებში მეორდება ბავშვობისა და მოზარდობის წართმევის, ოჯახის დესტრუქციის, შიშის ნორმალიზაციის, ძალადობის ყოველდღიურობად ქცევისა და ადამიანის სიცოცხლის გაუფასურების გამოცდილება. ამ პერსპექტივიდან ომი წარმოჩნდება არა როგორც ისტორიული დიდების ან ეროვნული თვითდამკვიდრების სივრცე, არამედ როგორც ჰუმანური სამყაროს რღვევისა და ანტიჰუმანიზმის დაკანონების პროცესი.

კვლევა აჩვენებს, რომ გოგონათა ომის ნარატივები აყალიბებს საერთაშორისო ანტიომურ დისკურსს, რომელშიც ლოკალური და გლობალური კონფლიქტები ერთიანდება ძალადობის უნივერსალურ გამოცდილებად. შედეგად, ომის ოფიციალური და ჰეროიზებული რეპრეზენტაციები ადგილს უთმობს ადამიანის სიცოცხლის, მეხსიერებისა და ჰუმანური პასუხისმგებლობის პრიორიტეტულობას.

საკვანძო სიტყვები: ომის ნარატივები, დეჰეროიზაცია, გენდერი, ჰუმანიზმის კრიზისი

Andrey Korovin
A.M.Gorky Institute of World Literature of Russian Academy of Sciences
Russia, Moscow

Remembrance of the War as a Way to Self-Identification in the Olaf Olafsson's Novel "The Journey Home" (1999)

The first novel of Icelandic-American writer Olaf Olafson "Absolution" was published in 1991 in the USA. The narrator – a young Icelander in New York – got his hands on a manuscript to the memoirs of recently died millionaire Pétur Pétursson, who has one secret: during the war years in Copenhagen, he pointed the Nazis towards a young Dane who he thought was involved with the girl that he loves. The theme of war in this novel is very important because it is a mirror for the personal self-identification, like in his second novel "The Journey Home" (1999). It was nominated as the best book of the month and talks about an Icelandic woman who decides to go to Iceland for the first time in 20 years. She has been living in England, running a country hotel and when she knew she has a cancer goes to confront her past. Ásdís's journey to Iceland is not a homecoming in the direct sense, or a return to her origins. It is necessary, allowing her to go back there and gain some peace in death. The history of Ásdís is the history of Europe in the middle of

20th century and there is not only her personal life connected to Icelandic roots, there are all troubles of that time: WW II, broken human lives, personal compromises etc.

Key words: Olaf Olafsso, Icelandic literature, novel, war, self-identification

Gocha Kuchukhidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

"The Last Enemy"
(The Ontology of Overcoming Death and the Poetics of Resurrection)

The definition of war is multifaceted: ranging from military confrontations to Ilia Chavchavadze's "war of labor," the Cold War, or Samuel P. Huntington's "The Clash of Civilizations." However, Christianity gave rise to a fundamentally different understanding of war – a struggle to triumph over mortality, the archetype of which is the Resurrection of Christ.

Although the theme of Resurrection largely has permeated world culture, the "romance of death" still prevails in literature. Culture has aestheticized death (from Achilles to Werther), thereby surrendering to it in a sense. Since atheism is merely one theory, it would be appropriate for theistic perspectives to establish a more robust presence in belles-lettres and global culture.

If literature is imbued with the spirituality of the Resurrection, it will cultivate a positive disposition within humanity: science will initiate research exploring the extent to which death can be defeated, while psychology will help individuals perceive fluid time as static images, liberating them from the dread of eternity. The quest for the transcendent world will enhance the value of earthly life, ultimately contributing to a reduction in wars and the triumph of genuine peace.

The presentation is based on the words of the Apostle Paul: "The last enemy to be destroyed is death" (1 Corinthians 15:26).

Key Words: deheroization of war, narratives of Resurrection in literature.

გოჩა კუჭუხიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

„უკანასკნელი მტერი"
(სიკვდილის დამარცხების ონტოლოგია და აღდგომის პოეტიკა)

ომის დეფინიცია მრავალგვარია: სამხედროთა კონფრონტაციიდან დაწყებული ილია ჭავჭავაძისეული „შრომის ომით", „ცივი ომითა" თუ სამუელ ფ. ჰანტინგტონის „ცივილიზაციათა შეჯახებით" დასრულებული. თუმცა, ქრისტიანობამ წარმოშვა ომის სრულიად განსხვავებული გაგება – ბრძოლა მოკვდავობაზე გასამარჯვებლად, რომლის პირველსახეც (არქეტიპი) ქრისტეს აღდგომაა.

მიუხედავად იმისა, რომ აღდგომის თემატიკამ დიდწილად განმსჭვალა მსოფლიო კულტურა, ლიტერატურაში მაინც „სიკვდილის რომანტიკა" ჭარბობს. კულტურამ მოახდინა სიკვდილის

ესთეტიზაცია (აქილევსიდან ვერთერამდე...) და ამით, გარკვეულწილად, დანებდა მას. ათეიზმი მხოლოდ ერთ-ერთი თეორიაა, ამიტომ მართებული იქნება, კულტურაში თეისტურმა შეხედულებებმა ძალუმად დაიმკვიდროს ადგილი.

თუ ლიტერატურა აღდგომის სულიერებით განიმსჭვალება, ეს კაცობრიობაში პოზიტიურ განწყობას გააძლიერებს: მეცნიერება დაიწყებს კვლევას, თუ რამდენად არის შესაძლებელი სიკვდილის დაძლევა, ფსიქოლოგია დაეხმარება ადამიანს, მედინი დრო უმოძრაო სურათებად აღიქვას და გათავისუფლდეს მარადიულობის შიშისგან... ტრანცენდენტური სამყაროს ძიება გააძლიერებს ამქვეყნიური სიცოცხლის ფასს, რაც ომების კლებასა და ნამდვილი მშვიდობის ზეიმს შეუწყობს ხელს.

მოხსენება ეფუძნება პავლე მოციქულის სიტყვებს: „უკუანაჲსკნელ მტერი იგი განქარდეს – სიკუდილი“ (1 კორ. 15:26).

საკვანძო სიტყვები: ომის დეჰეროიზაცია, აღდგომის ნარატივები ლიტერატურაში.

Nona Kupreishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

Two Authors and Two Different Comprehensions of the War Concept
(Based on “The Escaped from Paradise” by B. Kurkhuli and “The War” by A. Kikodze)

1. War reflection in the literature commenced as early as in the antique period and continues up to date. In this respect, 20th century and first two decades of 21st century, encompassing the experience of two world wars, turned out to be particularly “fruitful”. In his work, “The Philosophy of War”, great Georgian scientist Dimitri Uznadze wrote: “The time must come when vain and senseless wasting of our energy will be stopped forever.” Unfortunately, Georgia, as a country hostage of its geopolitical location, has lived in the mode of permanent attacks and fending off for the ages. Therefore, Georgian literature reflected almost all stages of representation of the war, as the creative concept, from romanticized heroic epos to analysis of the psychologic and traumatic impacts of the war.

2. Titsian Tabidze, in his essay “Issue of War in Georgian Literature” (1915), wrote the prescient words: the epilogue of the poem about the war is not written yet. Indeed, hundred years have elapsed since this essay and we have experienced the wars of the post-soviet period and even now, we live in the context of the hybrid war.

3. While the attitude of the soviet writers to the heroes of World War II was of didactic and pathetic nature, since the late 20th century, this has become the object of critical reassessment. In addition, there was revealed its direct relation to so called wars of the memories, i.e. different, frequently opposing perceptions of the historical narratives.

4. Respectively, in Georgian fiction, appear different literary representations of Abkhazian-Ossetian confrontation. Two young prose-writers, Beka Kurkhuli (“Escaped from the Paradise”) and Archil Kikodze (“War”) regard the war as the national trauma, total destruction, nihilism, devaluation of human values, and as the cause that has provoked conflict between generations. While B. Kurkhuli describes the tragedy in Abkhazia and provides portraits of the lost generation with almost documentary precision, A. Kikodze described, actually without any fable, at the level of moral dilemma, by archetypal characters of the “deputy”, “criminal” and “writer”, the present of the society, distorted by the war, as well as its possible nearest future that merely can be hopeful.

ნონა კუპრეიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

ორი ავტორი და ომის კონცეპტის ორი განსხვავებული ხედვა
(ბ. ქურხულის „სამოთხიდან გაქცეულებისა“ და ა. ქიქოძის „ომის“ მიხედვით)

1. ომის ლიტერატურული რეფლექსია ანტიკური ხანიდან იწყება და დღემდე გრძელდება. ამ მხრივ განსაკუთრებით ,,ნაყოფიერი“ აღმოჩნდა ორი მოფლიო ომის გამოცდილების დამტევი XX და ნაწილობრივ XXI საუკუნის პირველი ოცწლეული. არადა, 1914 წელს თავის ნაშრომში ,,ომის ფილოსოფია“ დიდი ქართველი მეცნიერი დიმიტრი უზნაძე წერდა: ,,უნდა დადგეს ისეთი დრო, როდესაც ფუჭი და უაზრო ხარჯვა ჩვენი ენერგიისა, სამუდამოდ უნდა აღიკვეთოს“. სამწუხაროდ, საქართველომ, როგორც საკუთარი გეო-პოლიტიკური ადგილმდებარეობის მძევალმა ქვეყანამ საუკუნეების განმავლობაში მუდმივი თავდასხმისა და მოგერიების რეჟიმში იცხოვრა. ამიტომაც ქართულ მწერლობაში აისახა ომის, როგორც მხატვრული კონცეპტის, რეპრეზენტირების თითქმის ყველა ეტაპი, რომანტიზირებული საგმირო ეპოსიდან ომის ფსიქოლოგიური და ტრამვული კვალის ანალიზამდე.

2. ტიციან ტაბიძემ ესეში „ომის თემა ქართულ მწერლობაში“(1915) წინასწარმეტყველური სიტყვები დაწერა: ქართველთა ომის პოემის ეპილოგი ჯერ კიდევ დაუწერელიაო. მართლაც, ამ წერილის შექმნიდან ასი წლის თავზე გამოვიარეთ პოსტაბჭოური პერიოდის საომარი მოქმედებები და ამჟამად ე.წ. ჰიბრიდული ომის კონტექსტში ვცხოვრობთ.

3. თუ საბჭოთა მწერლების დამოკიდებულება მეორე მსოფლიო ომის გმირებისადმი დიდაქტიკური და პათეტიკური ხასიათის იყო, XX საუკუნის მიწურულიდან სწორედ ეს ომი იქცა კრიტიკული გადაფასების ობიექტად. ამასთან, გამოვლინდა მისი უშუალო კავშირი ე.წ. მეხსიერების ომებთან, ანუ ისტორიული ნარატივების განსხვავებულ, ხშირად ურთიერთსაპირისპირო აღქმასთან.

4. შესაბამისად, ქართულ მხატვრულ პროზაში აფხაზურ-ოსური დაპირისპირების განსხვავებული ლიტერატურული რეპრეზენტაციები ჩნდება. ორი ახალგარზრდა პროზაიკოსი ბექა ქურხული (,,სამოთხიდან გაქცეულები“) და არჩილ ქიქოძე (,,ომი“) ომს ეროვნულ ტრავმად, ტოტალურ ნგრევად, ნიჰილიადს, ადამიანური ღირებულებების დევალვაციისა და თაობათა კონფლიქტის მაპროვოცირებელ მიზეზად მიიჩნევენ. თუ ბ. ქურხული თითქმის დოკუმენტური სიზუსტით აღწერს აფხაზეთის ტრაგედიას და დაკარგული თაობის პორტრეტირებას ახდენს, ა. ქიქოძე ფაქტობრივად უსიუჟეტოდ, მორალური დილემის დონეზე, ,,დეპუტატის“, ,,ავაზაკისა“ და ,,მწერლის“ არქეტიპული სახეებით ქმნის ომისგან დამახინჯებული საზოგადოების აწმყოსაც და შესაძლო უახლოეს მომავალსაც, რომელიც იმედის მომცემი ნაკლებად არის.

Nestan Kutivadze
Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

The Memory of War as Trauma and Adventure
(Lado Sulaberidze's *Tskhadsizmariana* / *Between Dream and Reality*)

The memory of war constitutes one of the most profound collective and individual traumas continuously enduring throughout human history. It is an established fact that war radically alters values and social norms; on the one hand, it utterly dismantles the existing socio-cultural order, while on the other, it generates a new cultural reality and accelerates scientific progress.

Along with the heroic dimensions of warfare, works of art and fiction effectively capture its anti-humanitarian nature. Over the centuries, the paradigm of war has evolved in diverse ways: In the Antiquity: War was conceptualized as a culturally justified phenomenon associated with heroism, honor, and glory. In Later Periods: It became viewed as an integral part of historical and social processes. In 20th-Century Literature: The phenomenon of war acquired an entirely different interpretation, reflecting the profound experiences of the two World Wars. This literature depicted spiritual degradation and the dramatic impact of warfare on generational memory, while contemporary works further intensify the portrayal of the barbaric nature of war and its devastating psychological toll on the human psyche.

One of the Georgian poets and prose writers with a tragic destiny tied to the most severe historical events of the 20th century was Lado Sulaberidze (1919–1993). His life and literary works were entirely shaped by World War II, during which he was imprisoned in German concentration camps and subsequently became a victim of Soviet repressions – experiences that are profoundly reflected in the author's poetic texts and memoirs.

Lado Sulaberidze's *Tskhadsizmariana* (*Between Dream and Reality*, 1993, 2024) represents a noteworthy example of documentary prose. Combining the psychological depth and introspective qualities characteristic of autobiographical writing, the work chronicles the writer's dramatic experiences during World War II, including combat, captivity, and exile.

The trauma of war depicted in works of this nature not only preserves the dramatic transformation of society at large and the personal tragedies and suffering of the individual, but also functions as a psychological defense mechanism. The latter, as a manifestation of negative past experience, acquires a preventive and cautionary role, intended to assist future generations in avoiding such tragic historical errors.

Keywords: The trauma of war, documentary prose, autobiographical writing, concentration camp, Soviet repressions

ნესტან კუტივაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

ომის მეხსიერება როგორც ტრავმა და თავგადასავალი
(ლადო სულაბერიძე „ცხადსიზმარიანა“)

ომის მეხსიერება ერთ-ერთი უმძიმესი კოლექტიური და ინდივიდუალური ტრავმაა, რომელიც მუდმივად დაჰყვება კაცობრიობას. ფაქტია, რომ ომი რადიკალურად ცვლის ღირებულებებსა და სოციალურ ნორმებს, ერთი მხრივ, სრულად ანგრევს არსებულ საზოგადოებრივ–კულტურულ წესრიგს, ხოლო მეორე მხრივ, ქმნის ახალ კულტურულ რეალობას, აჩქარებს მეცნიერულ პროგრესს.

ხელოვნების ნიმუშები, მხატვრული ლიტერატურა ომის ჰეროიკულ მხარესათან ერთად კარგად ასახავს ამ უკანასკნელის ანტიჰუმანურ ხასიათს. საუკუნეების განმავლობაში განსხვავებული სახით ყალიბდებოდა ომის პარადიგმა. ანტიკურ ეპოქაში ომი კულტურულად გამართლებულ, გმირობასთან, პატივსა და დიდებასთან ასოცირებულ მოვლენად გაიგება. მოგვიანებით ომი ისტორიული და სოციალური პროცესების განუყოფელი ნაწილი ხდება. სულ სხვა გააზრებას იძენს ომის ფენომენი XX საუკუნის მხატვრულ ლიტერატურაში, რომელმაც აირეკლა ორი მსოფლიო ომის გამოცდილება, აჩვენა ადამიანის სულიერი დეგრადაცია და დრამატული გავლენა თაობების მეხსიერებაზე, თანამედროვე ნაწარმოებებში კიდევ უფრო გამოიკვეთა ომის ბარბაროსული ბუნება და მისი დამანგრეველი გავლენა ადამიანის ფსიქიკაზე.

XX საუკუნის უმძიმეს ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებული ერთ-ერთი ტრაგიკული ხვედრის მქონე ქართველი პოეტი და პროზაიკოსია ლადო სულაბერიძე (1919-1993). მისი ცხოვრება და შემოქმედება მთლიანად განსაზღვრა მეორე მსოფლიო ომმა, რომლის დროსაც ტყვეობა მოუწია გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკებში, შემდგომ კი საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი იყო, რამაც ასახვა ჰპოვა მწერლის პოეტურ ტექსტებსა თუ მოგონებებში.

ლადო სულაბერიძის „ცხადსიზმარიანა“ (1993, 2024) დოკუმენტური პროზის საყურადღებო ნიმუშია, რომელშიც ავტობიოგრაფიული ტექსტისათვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური სიღრმითა და თვითრეფლექსიის საგულისხმო მონაკვეთებით სხვა ეპიზოდებთან ერთად გადმოცემულია მწერლის თავგადასავალი მეორე მსოფლიო ომში.

ლადო სულაბერიძის „ცხადსიზმარიანას“ ტიპის თხზულებებში ასახული ომის ტრავმა არამხოლოდ ინახავს ზოგადად სოციუმის დრამატულ სახეცვლილებასა და ინდივიდის პირად ტრაგედიას, ადამიანურ ტკივილს, არამედ ასრულებს თავდაცვითი მექანიზმის ფუნქციას. ეს უკანასკნელი, როგორც წარსულის ნეგატიური გამოცდილება, ერთგვარ პრევენციულ, გამაფრთხილებელ როლს იძენს და მომავალ თაობებს ამ ტრაგიკული შეცდომების თავიდან აცილებაში უნდა დაეხმაროს.

საკვანძო სიტყვები: ომის ტრავმა, მხატვრულ-დოკუმენტური პროზა, ავტობიოგრაფიული ტექსტი, საკონცენტრაციო ბანაკი, საბჭოთა რეპრესიები

Natia Kvachakhidze
Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

Representing War Trauma:
Ernest Hemingway's Short Fiction and Its Georgian Translations

The given paper examines the representation of war trauma in Ernest Hemingway's short fiction, with particular emphasis on Nick Adams stories, and analyzes how successfully Georgian translations convey Hemingway's representation of trauma. Hemingway's minimalist prose style, characterized by omission, understatement, and the "iceberg theory", serves as a unique vehicle for expressing the unspeakable nature of traumatic memory. The study explores how Hemingway's stylistic choices create a textual embodiment of war trauma that mirrors the fragmented consciousness of people experiencing it. These innovations prove to be significantly challenging for literary translation, particularly into Georgian, a language with distinct syntactic structures and cultural contexts.

Through comparative analysis of original texts and their Georgian translations, this paper focuses on the strategies various translators employ to preserve Hemingway's authentic style while navigating between

linguistic fidelity and cultural adaptation. The study also reveals what is lost when Hemingway's minimalism is transferred into Georgian and how certain translation choices might affect the reader's perception of war trauma representation.

Situating this analysis within trauma theory and translation studies, this paper can contribute to broader discussions about the translatability of psychological conditions and the role of literature in representing historical violence across linguistic and cultural boundaries.

Keywords: Hemingway, Short fiction, War trauma, Georgian translations

Manana Kvataia
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

Death of a Hero: Requiem for a Lost Generation of All Time

Dimitri Uznadze writes in his book *Philosophy of War* (1914) that the search for absolute knowledge goes beyond a superficial understanding of events – we seek to grasp their deeper essence, i.e., metaphysical reality. According to his reflection, war emerges as a transformative force that profoundly reshapes human consciousness. It alters not only a person's thoughts and emotions but also transforms the inner self into turbulent, storm-like state. Uznadze further argues that, under such circumstances, the innate fear of death is significantly diminished and replaced by a state of emotional detachment. The individual no longer experiences remorse for killing or fear of dying; instead, destruction of the enemy can even take on a sense of satisfaction.

Wars, one of the most profound and devastating manifestations of human experience have inspired many renown writers. The aftermath of the First World War gave rise to a generation of the traumatized young people. Gertrude von Stein famously remarked, "We are all a lost generation". In the late 1920s, this collective experience found powerful expression in literature and art, especially in influential works of Remarque, Aldington, Hemingway, and Dix, whichappeared in rapid succession between 1928 and 1929.

Richard Aldington (1892-1962), often called "the voice of Britain's lost generation", was a prominent English writer of the first half of the 20th century, who himself was a participant in the World War I. His first novel, *Death of a Hero* (1929), portrays the "lost generation" torn apart by war. It is a mournful requiem for lost lives, and a bitter indictment of war criminals. The leitmotif of Aldington's work is a rejection of militarism and a powerful critique of the dehumanizing nature of war.

The writer took the general artistic principles of the novel from Greek tragedy and created a profoundly modern piece of work that has not lost its relevance to this day. Aldington also refers to the work as a "jazz novel", the text of which follows the rules of jazz composition. It is pointed out that the title of the novel itself and the tone of the narrative are ironic. Its title is associated with Beethoven piano sonata No.12 – "Funeral March on the Death of a Hero". In the finale of the novel, the image of fallen Troy appears, highlighting the enormous scope of destruction caused by the First World War. The novel is often called a "manifesto of the lost generation". *Death of a Hero* can be interpreted as a sad requiem for lives sacrificed in the wars across all times.

Keywords*: Richard Aldington, Death of a Hero, "lost generation", the dehumanizing nature of war*

მანანა კვატაია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

„გმირის სიკვდილი“ – ყველა დროის დაკარგულ თაობათა რექვიემი

როდესაც აბსოლუტური შემეცნებისაკენ მივისწრაფვით, მოვლენათა ზედაპირს კი არა, მთელი არსის, ანუ მეტაფიზიკური სინამდვილის გაგება გვინდა, – წერდა დიმიტრი უზნაძე 1914 წელს ნაშრომში *„ომი და ფილოსოფია“.* მისი რეფლექსიით, ომი ადამიანის აზრსა და გრძნობას ძირფესვიანად ცვლის და მისი სულის სამკვიდროს მორევში მძლავრ ქარიშხლად ტრიალდება, ადამიანი ძირფესვიანად იცვლება, ქრება სიკვდილის ბუნებრივი შიში, მეტიც, მისი *„ჩონჩხის ცივ ძვლებში მეგობრული სული ისადგურებს“,* აღარ არსებობს სხვისი მკვლელობით გამოწვეული სინდისის ქენჯნა. მტრის განადგურება ადამიანში სიხარულს იწვევს.

ომები – კაცობრიობის თანმდევი მკაცრი რეალობა – მრავალი გენიალური ავტორის შთაგონების წყარო გამხდარა.*„ჩვენ, ყველანი, დაკარგული თაობა ვართ“,* – აღმოხდა ჰერტრუდა ფონ სტაინს პირველ მსოფლიო ომგამოვლილ, ტრავმირებულ ახალგაზრდებზე, 1920-იან წლებში რომ გამოვიდნენ ასპარეზზე. ომის დამთავრებიდან 10 წლის შემდეგ, 1928-1929 წელს, ერთმანეთის მიყოლების დაიბეჭდა რემარკის, ოლდინგტონის, დიკსის, ჰემინგუეის და სხვა ავტორთა საეტაპო ნაწარმოებები.

„ბრიტანეთის დაკარგული თაობის ხმა“ უწოდეს მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის აღიარებულ ინგლისელ მწერალს, რიჩარდ ოლდინგტონს (1892-1962), რომელიც თავადაც პირველი მსოფლიო ომის მონაწილე გახლდათ. მისი პირველი რომანი *„გმირის სიკვდილი“ (Death of a Hero,* 1929) „დაკარგულ თაობაზე“ გვიამბობს, ომმა რომ გატეხა. ის გახლავთ გამქრალ სიცოცხლეთა ნაღვლიანი რექვიემი, ომის დამნაშავეთა მწარე ბრალდება. ოლდინგტონის შემოქმედების ლაიტმოტივი მილიტარიზმის მიუღებლობა, ომის დეჰუმანიზაცია გახლავთ.

მწერალმა რომანის ზოგადი მხატვრული პრინციპები ბერძნული ტრაგედიიდან აიღო და ღრმად თანამედროვე ნაწარმოები შექმნა, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა. ოლდინგტონმა მას *„რომანი-ჯაზი“* უწოდა, რომლის ტექსტი ჯაზური კომპოზიციის კანონებს მისდევს. მიუთითებენ, რომ ირონიულია თვით რომანის სათაური და თხრობის ტონიც. მის სახელდებას აკავშირებენ ბეთჰოვენის მე-12 სონატასთან – *„სამგლოვიარო მარში გმირის სიკვდილზე“.* რომანის ფინალში დაცემული ტროა ჩნდება, რითაც ხაზგასმულია პირველი მსოფლიო ომის ქარტეხილის მასშტაბურობა. რომანს *„დაკარგული თაობის მანიფესტს“* უწოდებენ. ვფიქრობთ, *„გმირის სიკვდილი“* ყველა დროის ომებს შეწირულ სიცოცხლეთა მწუხარე რეკვიემიც გახლავთ.

საკვანძო სიტყვები: *რიჩარდ ოლდინგტონი, „გმირის სიკვდილი“, „დაკარგული თაობა“, ომის დეჰუმანიზაცია.*

Nino Kvirikadze
Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

Details of War and Peace in Saša Stanišić's Novel "Origin"

Bosnian-German author Saša Stanišić's autobiographical novel, "Origin" (German: Herkunft), was published in 2019 and won the prestigious German Book Prize (Deutscher Buchpreis) for its innovative exploration of migration and memory. The book tells the story of a Serb-Bosniak family forced to flee the Bosnian War to Germany in 1992. The work explores the impact of war on people's lives and the challenges of adapting to a new culture, interweaving personal history with a pan–European context.

It is the themes of war and peace that interest us in our study of this novel, as the main backdrop against which the events unfold, as well as the global political situation and the personal and social lives of the characters, all began in civil war-torn Yugoslavia and continued in peaceful and prosperous Germany. The novelty of this study is that these themes in Stanišić's novel "Herkunft" are explored for the first time in the context of artistic details: details of war and details of peace. The goal of this study is to elucidate the functions of these details. The analysis of these details is conducted using a structural-semantic method.

Based on our analysis, we conclude that in Saša Stanišić's novel "Origin," details of war and details of peace actively interact. War and peace are intertwined not as two historical eras, but as states of human memory. The unifying theme of war and peace is revealed as a personal story of trauma, refugee, and the search for identity through the prism of the destruction of Yugoslavia. War is presented not through large-scale battle scenes, but through shattered lives, through memories, through the painful nostalgia of parents far from their homeland, through the severing of roots. Peace, meanwhile, is presented as a fragile space, rebuilt by the refugee Stanišić through literature, through imagination, and the preservation of elusive memories. It is literature, writing, that becomes the tool that allows the author to overcome the chaos of war, collect the fragments of memory, and come to terms with his complex fate. Literature becomes the author's means of reconciling the trauma of war with the peaceful present.

Keywords: Saša Stanišić, novel "Origin", details of war, details of peace, human memory, search for identity

ნინო კვირიკაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

ომისა და მშვიდობის დეტალები საშა სტანიშიჩის რომანში „წარმოშობა“ („Herkunft“)

ბოსნიელ-გერმანელი ავტორის საშა სტანიშიჩის ავტობიოგრაფიული რომანი „წარმოშობა“ (გერმ. „Herkunft“) 2019 წელს გამოიცა და მიგრაციისა და მეხსიერების ინოვაციური გააზრებისთვის პრესტიჟული გერმანული წიგნის პრემია (Deutscher Buchpreis) მოიპოვა. წიგნი მოგვითხრობს სერ-ბულ-ბოსნიური ოჯახის ისტორიას, რომელიც 1992 წელს ბოსნიის ომის დროს იძულებული გახდა გერმანიაში გაქცეულიყო. ნაწარმოები იკვლევს ომის გავლენას ადამიანთა ბედ-იღბალზე, ასევე ახალ კულტურასთან ადაპტაციის სირთულეებს. ამასთან პირადი ისტორია პანევროპულ კონტექს-ტთანაა გადახლართული.

სწორედ *ომისა* და *მშვიდობის* თემები იწვევს ჩვენს ინტერესს, ვინაიდან მთავარი ფონი, რომელზედაც ვითარდება ნაწარმოებში მიმდინარე მოვლენები, ასევე გლობალური პოლიტიკური ვითარება, პერსონაჟების პირადი და სოციალური ცხოვრება – ეს ყველაფერი თავდაპირველად სამოქალაქო ომში ჩაძირულ იუგოსლავიაში ფიქსირდება და შემდგომში უკვე მშვიდობიან და კეთილდღეობით აღსავსე გერმანიაში გრძელდება.

კვლევის სიახლეა ის, რომ საძიებელი თემები სტანიშიჩის რომანში „Herkunft" პირველად განიხილება მხატვრული დეტალების კონტექსტში: ესენია *ომის დეტალები* და *მშვიდობის დეტალები.* წინამდებარე ნაშრომის მიზანია ხსენებული დეტალების ფუნქციების გარკვევა ტექსტში. დეტალების ანალიზი წარმოებს სტრუქტურულ-სემანტიკური მეთოდის მეშვეობით.

ანალიზის შედეგად ვასკვნით, რომ სტანიშიჩის რომანში აქტიურად ურთიერთმოქმედებენ *ომის დეტალები* და *მშვიდობის დეტალები. ომი* და *მშვიდობა* ერთმანეთში გადახლართულია არა როგორც ორი ისტორიული ეპოქა, არამედ როგორც ადამიანური მეხსიერების მდგომარეობა. *ომისა და მშვიდობის ერთიანი თემა* ვლინდება როგორც ტრავმის, ლტოლვილობისა და იდენტურობის ძიების პირადი ისტორია იუგოსლავიის დაშლის ფონზე. აქედან ომი წარმოდგენილია არა მასშტაბური ბატალური სცენებით, არამედ ადამიანთა დანგრეული ცხოვრებით, მოგონებებით, სამშობლოდან შორს მყოფი მშობლების მტკივნეული ნოსტალგიით, ფესვების გაწყვეტით. მშვიდობა კი წარმოდგენილია, როგორც მყიფე სივრცე, რომელიც ლტოლვილმა სტანიშიჩმა აღადგინა ლიტერატურისა და წარმოსახვის პრიზმაში, ასევე მოგონებების შენარჩუნების გზით. სწორედ ლიტერატურა, სამწერლო ნიჭი ხდება ინსტრუმენტი, რომელიც ავტორს საშუალებას აძლევს, გადალახოს ომის ქაოსი, შეაგროვოს მეხსიერების ფრაგმენტები და შეეგუოს თავის რთულ ბედს. სწორედ ლიტერატურა იქცევა ავტორისათვის საშუალებად, რომელსაც ის იყენებს ომის ტრავმის მშვიდობიან აწმყოსთან შესარიგებლად.

საკვანძო სიტყვები: საშა სტანიშიჩი, რომანი „წარმოშობა", ომის დეტალები, მშვიდობის დეტალები, ადამიანთა მეხსიერება, იდენტურობის ძიება

Nino Kvitashvili
Georgian Technical University
Georgia, Tbilisi

Main Aspects and Tendencies in International Media Discourse on the Russo-Ukrainian War

(According to Rustavi 2 Broadcasting Company, the American television channel The Fox News, and the Russian-language independent TV channel Dozhd)

The Russo–Ukrainian war, the invasion of Ukrainian territory by the Russian Armed Forces, began in February 2022 during the COVID-19 pandemic and continues to this day. This war has reshaped the architectonics of the world, the fragile balance of power established after the Second World War, and has affected every sphere of public life: the economy, social relations, culture, literature, and the mass media. As the American attorney and politician Hiram Warren Johnson stated, "The first casualty when war comes is truth."

Today, in the era of the universal mediatization of society, when the mass media has become not only a creator of public opinion regarding the any event, but also in the role of the initiator of processes themselves and an agenda-setter, its influence on the process of resolving both hot and cold conflicts has increased even more. Today, theorists of mass communication no longer dispute over the idea that wars are

won by those who win the information war; the distance between the battlefield and the information field is becoming ever smaller.

Based on the aforementioned factors, it is relevant within the framework of this research paper to define the main characteristics of the international media discourse on the Russo-Ukrainian War, to conduct a multifaceted study and analysis of the issue.

Along with highlighting the main parameters, goals, and priorities of the international media discourse on the Russia–Ukraine war, the factual material examined by us - namely, the digital media content on this topic produced over the course of one year (2025) by the Georgian broadcasting company Rustavi 2, the American multinational conservative news and political commentary television channel and website based in New York City, and the Russian-language independent television company Dozhd - was analyzed through quantitative and qualitative research in order to determine the extent to which the mass media contributes to the formation of public opinion regarding the causes and consequences of the war; how the main trends of multimedia storytelling differ between Georgian and international television broadcasters; which communication tools and journalistic techniques they employ; and what influence they exert on the final decisions, choices of media audiences.

Keywords: war media discourse, the influence of mediatization, digital media content, media audience choice, multimedia storytelling

ნინო კვიტაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

რუსეთ-უკრაინის ომის შესახებ საერთაშორისო მედიადისკურსის ძირითადი ასპექტები და ტენდენციები

(საქართველოს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის, ამერიკული სატელევიზიო არხის, Fox News-ის და რუსულენოვანი დამოუკიდებელი ტელეკომპანია „დოჟდის“ მიხედვით)

რუსეთ-უკრაინის ომი, რუსეთის შეიარაღებული ძალების შეჭრა უკრაინის ტერიტორიაზე 2022 წლის თებერვალში დაიწყო, კოვიდპანდემიის დროს და დღემდე გრძელდება. ამ ომმა შეცვალა მსოფლიოს არქიტექტონიკა, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი მყიფე ძალთა ბალანსი და გავლენა იქონია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე: ეკონომიკაზე, სოციალურ ურთიერთობებზე, კულტურაზე, ლიტერატურასა და მასმედიაზე. როგორც ამერიკელი იურისტი და პოლიტიკოსი ჰაირემ უორენ ჯონსონი ამბობს: „ყველა ომის პირველი მსხვერპლი სიმართლეა“.

დღეს, საზოგადოების საყოველთაო მედიატიზაციის ეპოქაში, როცა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ამა თუ იმ მოვლენის შესახებ საზოგადოებრივი აზრის შემქმნელისგან თვით პროცესების ინიციატორის, დღის წესრიგის განმსაზღვრელის ამპლუაში მოგვევლინა, კიდევ უფრო გაიზარდა მედიის გავლენა ცხელი თუ ცივი კონფლიქტების გადაჭრის პროცესში. მასობრივი კომუნიკაციის თეორეტიკოსები აღარ დავობენ იმაზე, რომ ომს იგებს ის, ვინც იგებს საინფორმაციო ომს, მანძილი ბრძოლის ველიდან საინფორმაციო ველამდე სულ უფრო მცირდება.

აღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, აქტუალურია სამეცნიერო ნაშრომის ფარგლებში რუსეთ-უკრაინის ომის შესახებ საერთაშორისო მედიადისკურსის ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრა, საკითხის მრავალასპექტიანი შესწავლა-ანალიზი.

რუსეთ-უკრაინის ომის შესახებ საერთაშორისო მედიადისკურსის მთავარი პარამეტრების, მიზნებისა და პრიორიტეტების გამოკვეთასთან ერთად, ჩვენ მიერ გამოკვლეული ფაქტობრივი მასალის – საქართველოს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის, ამერიკული სატელევიზიო არ-

ხის – Fox News-ის, რუსულენოვანი დამოუკიდებელი ტელეკომპანია „დოჟდის“ მიერ ერთი წლის (2025 წელი) განმავლობაში შექმნილი ამ თემატიკის ციფრული მედიამასალის რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგად გაანალიზებულია, თუ რამდენად უწყობს მასმედია ხელს ომის მიზეზებისა და შედეგების შესახებ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას; ასევე, რით განსხვავდება ქართული და საერთაშორისო ტელემაუწყებლების მულტიმედიური თხრობის ძირითადი ტენდენციები, რომელ საკომუნიკაციო ინსტრუმენტებსა და ჟურნალისტურ ხერხებს მიმართავენ ისინი, რა გავლენას ახდენენ მედიააუდიტორიის მიერ მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებაზე, არჩევანზე.

საკვანძო სიტყვები: ომის მედიადისკურსი, მედიატიზაციის გავლენა, ციფრული მედიამასალა, მედიაუდიტორიის არჩევანი, მულტიმედიური თხრობა

Jurate Landsbergyte-Becher
Lithuanian Culture Research Institute
Lithuania, Vilnius

Betwen War and Peace: Contwmporary Reflections About “After War” in Lithuanian Literary and Political Context

The continuation of "war after war"in contemporary lithuanian literary discourse are more intensive in context of Russia war in Ukraine.This year a new roman prized as the book of the year ,turns to be very informative about "hidden history "of partizan war in Lithuania,what lastet over 10 years.There exposed difficult existential motifs of lithuanian "after war"confused under occupation selfawarenes and its consecvences as: resistence, bracery, betrayal, torture, timelessnes, nameless graves, forgivenes and coincidences of war events.The autor V.V. Landsbergis tittled his book "The buttons of nameless", where he follows lines of tne "war after war"till nowadays with painfull memorys of the events,what never stoped to continnuing.It is important to look into this book,what is selected as book of the year in Lithuania and its contexts.

Salome Lomouri
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

The Perception of War and Peace in Mirza Gelovani’s Front-line Poetry

The experiences and impressions of World War II (1939-1945) were widely reflected in the literature of the participating countries. Most poets responded to the war in various forms: some emphasized the brutality of war in their work, while others created texts fueled by a thirst for victory or the idea of defending their homeland. Even poets who initially did not want to engage in the front-line narrative could not bypass the theme of war (just as, for example, W. B. Yeats avoided writing about war). In Georgia, too, many poets dedicated verses to the Patriotic War, but among them, the front-line poetry of the poet-soldier Mirza Gelovani stands out exceptionally.

In M. Gelovani's poetry, alongside the sincere, realistic depictions of a combat soldier's daily life, a sharp contrast between war and peace comes to the forefront. In a number of poems, the front-line existence (war) is contrasted with memories of happy days of the past (peace): "It snows in our faces, the enemy is unseen / The longing for death has become my sorrow, / I stand like the others, the wet overcoat / Gives me nothing but cold," – writes the poet, and makes the present even more painful with the idyllic picture painted in the next stanza: "I see wood chips scattered on the snow / The neighbor's boy is preparing a sled / Our fireplace crackles and sighs" (Gelovani, 2009, p. 266).

It is noteworthy that M. Gelovani's early poems are rich in versification experiments. As Tamar Barbakadze points out, traces of deliberate exploration in the field of strophics are already noticeable in the poet's texts from the 1930s (Barbakadze, 2017, p. 68). However, a completely different versification picture emerges in his war poetry: the author mostly uses a 10-syllable (5/5) meter, a 14-syllable Besikuri (5/4/5), or high Shairi (traditional Georgian meter). In his personal letters, he himself notes that no time remains to polish the poems, forcing him to write hastily. The chaos of front-line life, where inaction alternates with the heaviest moments of anticipating battle, largely determines the peculiarity of Mirza Gelovani's war poetry – his poems reflect momentary, immediate feelings, rather than emotions compressed and processed over time.

Consequently, M. Gelovani's front-line poems represent examples of impressionistic poetry, functioning as "suspended moments". In this regard, his poetry not only resonates with the works of European soldier-poets (Keith Douglas, Jessie Saint-John) but, by its essence, belongs more to Neo-Romanticism than to Neo-Realism.

Keywords: Mirza Gelovani, War poetry, War and peace, World War II, Versification, Neo-Romanticism

სალომე ლომოური
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

ომისა და მშვიდობის განცდა მირზა გელოვანის ფრონტის ლირიკაში

მეორე მსოფლიო ომის (1939-1945) გამოცდილება და შთაბეჭდილებები ფართოდ აისახა მასში მონაწილე ქვეყნების ლიტერატურაში. პოეტთა უმეტესობა ომს სხვადასხვა ფორმით გამოეხმაურა: ნაწილის შემოქმედებაში ხაზგასმულია ომის სისასტიკე, სხვები კი გამარჯვების წყურვილითა თუ სამშობლოს დაცვის იდეით ანთებულ ტექსტებს ქმნიდნენ. ომის თემატიკას გვერდი ვერც იმ პოეტებმა აუარეს, რომლებსაც თავიდან ფრონტულ ნარატივში ჩართვა არ სურდათ (როგორც, მაგალითად, უ. ბ. იეიტსი არიდებდა თავს ომზე წერას). საქართველოშიც სამამულო ომს ბევრი პოეტი უძღვნიდა ლექსებს, თუმცა მათ შორის განსაკუთრებულად გამოირჩევა პოეტი-ჯარისკაცის, მირზა გელოვანის, ფრონტული ლირიკა.

მ. გელოვანის ლირიკაში წინა პლანზე მებრძოლი ჯარისკაცის ყოფის გულწრფელ, რეალისტურ სურათებთან ერთად ომისა და მშვიდობის მძაფრი შეპირისპირება იკვეთება. რიგ ლექსებში ფრონტულ ყოფას (ომს) წარსულის ბედნიერ დღეთა მოგონებები (მშვიდობა) უპირისპირდება: „სახეში გვათოვს, მტერი არა სჩანს/ სიკვდილის ნატვრა გამიხდა დარდად,/ ვდგევარ სხვებივით, სველი ფარაჯა/ არაფერს მაძლევს სიცივის გარდა“, – წერს პოეტი და მომდევნო სტროფში დახატული იდილიური სურათით აწმყოს კიდევ უფრო მტკივნეულს ხდის: „მე ვხედავ თოვლზე დაყრილ ნაფოტებს/ მეზობლის ბიჭი მარხილს ამზადებს/ გუზგუზებს, ოხრავს ჩვენი ბუხარი“ (მ. გელოვანი).

აღსანიშნავია, რომ მ. გელოვანის ადრეული პერიოდის ლექსები ვერსიფიკაციული ძიებებითაა მდიდარი. როგორც თამარ ბარბაქაძე მიუთითებს, პოეტის 30-იანი წლების ტექსტებში უკვე შეინიშნება საგანგებო ძიების კვალი სტროფიკის სფეროშიც (თ. ბარბაქაძე, 2017). თუმცა, ომის ლირიკაში სრულიად განსხვავებული ვერსიფიკაციული სურათი იკვეთება: ავტორი, უმეტესად, 10-მარცვლიან (5/5) საზომს, 14-მარცვლიან ბესიკურსა (5/4/5) ან მაღალ შაირს იყენებს. იგი პირად წერილებში თავადაც აღნიშნავს, რომ ლექსების დასამუშავებლად დრო არ რჩება და ნაჩქარევად წერა უწევს. ფრონტული ყოფის ქაოტურობა, სადაც უმოქმედობა ბრძოლის მოლოდინის უმძიმეს წუთებს ენაცვლება, დიდწილად განაპირობებს მირზა გელოვანის ომის ლირიკის თავისებურებას – მის ლექსებში ასახულია წამიერი, უშუალო განცდა, ნაცვლად დროში დაწნეხილი და გადამუშავებული ემოციებისა.

შესაბამისად, მ. გელოვანის ფრონტული ლექსები იმპრესიონისტული ლირიკის ნიმუშებს, ერთგვარ „შეჩერებულ წამებს“ წარმოადგენს. ამ მხრივ, მისი პოეზია არა მხოლოდ ეხმიანება ევროპელ პოეტ-ჯარისკაცთა შემოქმედებას (კიტ დუგლასი, ჯესი სენტ-ჯონი), არამედ თავისი არსით უფრო მეტად ნეორომანტიზმს მიეკუთვნება, ვიდრე ნეორეალიზმს.

საკვანძო სიტყვები: მირზა გელოვანი, ფრონტული ლირიკა, ომი და მშვიდობა, მეორე მსოფლიო ომი, ვერსიფიკაცია, ნეორომანტიზმი

Kakhaber Loria
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Georgia, Tbilisi

War and its Attendant Problematics in Rezo Cheishvili's Work – „Music in the Wind“

Rezo Cheishvili (1933–2015) stands as one of the most prominent figures of Georgian literature spanning the second half of the twentieth century and the beginning of our own. The oeuvre of this recognized master of contemporary Georgian prose is distinguished by its generic, ideational-thematic, and artistic-aesthetic diversity. As for the work Music in the Wind, it represents an exceptionally significant piece within Cheishvili's own corpus and the broader Georgian literary process of the 1980s – one that garnered immediate attention from both readers and critics alike upon its release. Yet, a classic is deemed such precisely because it withstands the test of time, and scholarly interest in it periodically acquires new dimensions. This holds true for the work in question. In this regard, a re-examination of the war-related problematics within the aforementioned text appears highly noteworthy.

While war is seemingly nowhere visibly present in this work, it functions, one might say, as a sort of concealed yet universal character whose influence manifests everywhere and in everything, frequently emerging as the primary phenomenon that shapes the destinies of both events and individuals. The entirety of society, as well as specific personas, are viewed through the prism of war; this includes the adolescent narrator, who in all probability represents the author's alter ego. Within Cheishvili's text, war serves as both a direct and indirect catalyst for a myriad of moral-ethical dilemmas. The social and psychological backdrop – conditioned by war and often extreme in nature – on the one hand exposes the true face of individual personas, while on the other, it invests an exceptional value into peace, the very antithesis of war.

It should further be noted that defining the generic specificity of the aforementioned work presents a considerable challenge. On the one hand, it undoubtedly comprises a collection of autonomous, nearly

independent novellas bound together by a common framework – a kind of literary backbone. On the other hand, Music in the Wind remains an ideationally and aesthetically consolidated, monolithic text, wherein the artistic conceptualization of the phenomenon of war performs a crucial function in binding and fusing these components into a unified novel.

Keywords: War; Peace; Contemporary Georgian Prose; Rezo Cheishvili; Novel

კახაბერ ლორია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

ომი და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა
რეზო ჭეიშვილის თხზულებაში – „მუსიკა ქარში“

რეზო ჭეიშვილი (1933-2015) მეოცე საუკუნის მეორე ნახევრისა და ჩვენი საუკუნის დასაწყისის ქართული მწერლობის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელია. თანამედროვე ქართული პროზის ამ აღიარებული ოსტატის შემოქმედება გამოირჩევა როგორც ჟანრული, ისე იდეურ-თემატიკური და მხატვრულ-ესთეტიკური მრავალფეროვნებით. რაც შეეხება თხზულებას – „მუსიკა ქარში“, ის რეზო ჭეიშვილისა და გასული საუკუნის 80-იანი წლების ქართული ლიტერატურული პროცესის გამორჩეულად მნიშვნელოვანი ნაწარმოებია, რომელსაც მკითხველმა და კრიტიკამ თავის დროზეც მიაქცია ყურადღება. თუმცა კლასიკა იმითაც არის კლასიკა, რომ იგი დროს უმკლავდება და მის მიმართ ინტერესი, პერიოდულად მაინც, ახალ განზომილებებს იძენს. ასეა ხსენებული თხზულების შემთხვევაშიც. ამ მხრივ, ძალზე საგულისხმოდ მეჩვენება ზემოხსენებულ ნაწარმოებში ომთან დაკავშირებული პრობლემატიკის კიდევ ერთხელ გააზრება.

ომი ამ თხზულებაში პირდაპირ, თითქოს, არსად ჩანს, მაგრამ იგი, შეიძლება ითქვას, ერთგვარი ფარული, თანაც უნივერსალური პერსონაჟია, რომლის გავლენაც ყველგან და ყველაფერში ვლინდება და ხშირ შემთხვევაში მოვლენებისა თუ ადამიანების ბედ-იღბლის განმსაზღვრელ უმთავრეს ფენომენად გვევლინება. ომის პრიზმაშია დანახული როგორც მთელი საზოგადოება, ისე კონკრეტული პიროვნებები, მათ შორის მთხრობელი პერსონაჟი მოზარდიც, რომელიც, დიდი ალბათობით, ავტორის „ალტერ ეგოს“ წარმოადგენს. ომი, რეზო ჭეიშვილის თხზულების მიხედვით, არის როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი კატალიზატორი არაერთი მორალურ-ეთიკური პრობლემის. ომით განპირობებული, ხშირად ექსტრემალური ხასიათის სოციალური და ფსიქოლოგიური ფონი, ერთი მხრივ, ააშკარავებს ცალკეული პიროვნების რეალურ სახეს, მეორე მხრივ კი, გამორჩეულ ფასს ადებს ომის საწინააღმდეგო ფენომენს – მშვიდობას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადვილი არ არის ზემოხსენებული თხზულების ჟანრული სპეციფიკის განსაზღვრა: ერთი მხრივ, იგი უდავოდ ავტონომიურ, თითქმის დამოუკიდებელ ნოველათა კრებულს წარმოადგენს, რომელთაც საერთო ჩარჩო, ერთგვარი ლიტერატურული ხერხემალი აერთიანებთ; მეორე მხრივ, „მუსიკა ქარში“ იდეურად და ესთეტიკურად კონსოლიდირებული, მონოლითური თხზულებაა, რომლის ერთ რომანად შეკვრასა თუ შედუღაბებაში ომის ფენომენის მხატვრულ გააზრებას თავისი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია გააჩნია.

საკვანძო სიტყვები: ომი; მშვიდობა; თანამედროვე ქართული პროზა; რეზო ჭეიშვილი; რომანი.

Yordan Lyutskanov
Institute for Literature at the Bulgarian Academy of Sciences
Bulgaria, Sofia

The Aesthetic Relevance of Processing, Experiencing and Anticipating War: Russian anti-Bolshevik Émigrés in Bulgaria, 1919-1943

I will explore two levels of aesthetic articulation of 'war matter' in the textual production of the mentioned émigré community: the semantics of verbal (mainly artistic) texts and the semiotics of visual-verbal compositions on newspaper pages. "War matter" itself could be classified into three groups which partly interpenetrated: processing of World War One and of Russian Civil War experiences, experiencing of an asymmetric war across a more and more impenetrable border (the Soviet one), and anticipating of a war for liberation of Russia from the Bolsheviks. I consider the most vivid manifestations of the asymmetric war the bomb detonation in the Sofia cathedral of St Nedelja ('Sunday') on 16 April 1925, the symbolic appropriation of the monarchic institution and mentality by a pro-Soviet political party (the 'Young R*o*ssians') in the 1930s, and the parallel appropriation of the discourse of terrorist martyrdom by a non-moderate anti-Bolshevik one (the 'National Alliance of Young Generation'). According to my preliminary hypothesis, 'processing' texts (verbal and visual-verbal alike) would oscillate between neo-classical or mimetic anthropomorphism and avant-gardist expressivity refuting anthropocentric calibration, while 'experiencing' and 'anticipating' ones would fluctuate between medievalist saintly rigorism and technocratic sobriety. I intend drawing a general picture rather than exhausting a couple of indicative cases. Being sceptic about monumentalising conceptualisations of what 'world' literature is, I opt in this paper proposal for synonymisation of 'world' literature with literature 'in/of the world' ('not secluded').

Keywords: aesthetic relevance of war-related experience; Russian anti-Bolshevik émigrés in Bulgaria; invalids and prospective martyrs; completion and fragment

Khvtiso Mamisimedishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

Mechanisms of Sacred Regulation of Armed Conflicts in the Oral Tradition of the Eastern Georgian Mountains

The oral fund of the Eastern Georgian mountains preserves folklore texts that reflect intercommunal confrontations and armed conflicts. These events left a deep mark on the collective memory of local communities, as a result of which the oral traditions, legends, and poetic texts created about them have survived to present day and have maintained their cultural relevance.

Although episodes of intercommunal conflicts and the characters involved in them are mythologized in folklore tradition and presented through archetypal plot models, these texts represent a particularly important source for the reconstruction of the social, political, and religious life of the mountainous regions of eastern Georgia. Their importance is especially heightened by the fact that written historical sources about these conflicts are practically non-existent.

The research is based on an interdisciplinary theoretical framework of folklore, narratology, and discourse analysis, within which oral texts are viewed as culturally encoded narrative systems that reflect symbolic representations of collective experience, social relations, and power mechanisms.

Pshavian and Khevsurian legends present divine characters active in mythical times – the sons of God (geo. ღვთისშვილები/ghvt'isshvilebi) (for example Kopala, Yakhsari, Saint George of Tskarostavi, Saint George of Khakhmati, etc.) – as forces that defeated idols of Devis (ogres) and Kajis (evil spirits, demons). The narratives indicate that it was they who obtained the spaces and resources necessary for human habitation and cult services, on the basis of which the warrior-religious societies under their protection were formed.

As the local mythopoetic tradition suggests, this model of the mythic era is reproduced in historical times: the actions of heavenly beings were repeated by the chosen leaders of society, who, armed with the banner of the cross, organized dangerous campaigns against neighboring communities.

Georgian mountain folklore has preserved several cycles of folk texts about intercommunal battles. The campaigns of the chosen leaders are often inspired by supernatural forces, which are identified with the command of the Cross. It was by the power and command of the Cross that neighboring communities were raided and taxed. To voice this will, a preacher (geo. ქადაგი/Kadagi) – a religious mediator – appears in the mountain warrior-religious communities, who announces a supernatural decree at the door of the community shrine. The texts show that such actions often ended in victory, which once again emphasizes the importance of sacred legitimacy in military activities.

In addition, the participation of sacred elements, supernatural forces, and cults is evident in the process of initiating and conducting armed conflicts, as well as in the practices of their regulation and resolution. Folklore narratives testify that sacred authority played an important role not only in the legitimization of the conflict, but also in the process of its completion and the restoration of social order.

Keywords: conflict, sacred regulation, Georgian folklore

ხვთისო მამისიმედიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

შეიარაღებული კონფლიქტების საკრალური რეგულირების მექანიზმები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ზეპირსიტყვიერ ტრადიციაში

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ზეპირსიტყვიერ ფონდში დაცულია ფოლკლორული ტექსტები, რომლებშიც ასახულია თემთაშორისი დაპირისპირებები და შეიარაღებული კონფლიქტები. აღნიშნულმა მოვლენებმა ღრმა კვალი დატოვა ადგილობრივი საზოგადოებების კოლექტიურ მეხსიერებაში, რის შედეგადაც მათ შესახებ შექმნილმა გადმოცემებმა, თქმულებებმა და პოეტურმა ტექსტებმა ზეპირი გზით დღემდე მოაღწია და შეინარჩუნა კულტურული აქტუალობა.

მიუხედავად იმისა, რომ თემთაშორისი კონფლიქტების ეპიზოდები და მათში მონაწილე პერსონაჟები ფოლკლორულ ტრადიციაში მითოლოგიზებულია და წარმოდგენილია არქეტიპული სიუჟეტური მოდელების მეშვეობით, ეს ტექსტები განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე წყაროს წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სოციალური, პოლიტიკური და რელიგიური ცხოვრების რეკონსტრუქციისათვის. მათი მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული კონფლიქტების შესახებ წერილობითი ისტორიული წყაროები პრაქტიკულად არ მოიპოვება.

კვლევა ეფუძნება ფოლკლორისტიკის, ნარატოლოგიისა და დისკურსული ანალიზის ინტერ-დისციპლინურ თეორიულ ჩარჩოს, რომლის ფარგლებში ზეპირსიტყვიერი ტექსტები განიხილება, როგორც კულტურულად კოდირებული ნარატიული სისტემები, რომლებიც ასახავენ კოლექტი-ური გამოცდილების, სოციალური ურთიერთობებისა და ძალაუფლებრივი მექანიზმების სიმბო-ლურ რეპრეზენტაციებს.

ფშავ-ხევსურული თქმულებები მითოსურ დროში მოქმედ ღვთაებრივ პერსონაჟებს -ღვთის-შვილებს (მაგ., კოპალა, იახსარი, წყაროსთავ წმინდა გიორგი, ხახმატის გიორგი და სხვ.) - წარმო-აჩენენ, როგორც დევ-კერპებისა და ქაჯების დამმარცხებელ ძალებს. ნარატივები მიუთითებენ, რომ სწორედ მათ მოიპოვეს ადამიანთა საცხოვრებლად და კულტმსახურებისთვის აუცილებელი სივრ-ცეები და რესურსები, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა მათ მფარველობაში მოქცეული მეომრულ-რელიგიური საზოგადოებები.

როგორც ადგილობრივი მითოპოეტური ტრადიცია მიგვანიშნებს, მითოსური ეპოქის ეს მო-დელი ისტორიულ დროშიც რეპროდუცირდება: ზეციურ არსებათა ქმედებებს იმეორებდნენ საზო-გადოების რჩეული მოყმეები, რომლებიც ჯვრის დროშით აღჭურვილნი აწყობდნენ სახიფათო ლაშქრობებს მეზობელი თემების წინააღმდეგ.

თემთაშორისი ბრძოლების შესახებ ქართველ მთიელთა ფოლკლორმა ხალხური ტექტების რამდენიმე ციკლი შემოგვინახა. რჩეულ მოყმეთა რაზმების ლაშქრობა ხშირად ინსპირირებულია ზებუნებრივი ძალების მიერ, რომელიც იდენტიფიცირდება ჯვრის ბრძანებასთან. სწორედ ჯვრის ძალითა და ბრძანებით ხდებოდა მეზობელი თემების დალაშქვრა-დაბეგვრა. აღნიშნული ნების გამხმოვანებლად მთის მეომრულ-რელიგიურ საზოგადოებებში გვევლინება ქადაგი -რელიგიური შუამავალი, რომელიც სათემო სალოცავის კართან აცხადებს ზებუნებრივ განჩინებას. ტექსტები წარმოაჩენენ, რომ ამგვარი ქმედებები ხშირად გამარჯვებით სრულდებოდა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საკრალური ლეგიტიმაციის მნიშვნელობას სამხედრო აქტივობებში.

ამასთან, საკრალური ელემენტების, ზებუნებრივი ძალებისა და კულტმსახურების მონაწი-ლეობა ვლინდება როგორც შეიარაღებული კონფლიქტების ინიცირებისა და წარმართვის პროცეს-ში, ისე მათი რეგულირებისა და მოგვარების პრაქტიკებშიც. ფოლკლორული ნარატივები მოწმობს, რომ საკრალური ავტორიტეტი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა არა მხოლოდ კონფლიქტის ლეგიტიმაციაში, არამედ მისი დასრულებისა და სოციალური წესრიგის აღდგენის პროცესში.

საკვანძო სიტყვები: კონფლიქტი, საკრალური რეგულირება, ქართული ფოლკლორი

Esma Mania, Ketevan Khitarishvili
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts
Georgia, Tbilisi

Retrospective Reflections of the World Wars in the Personal Archives of Public Figures

World political cataclysms, alongside intense turmoil, have always laid the groundwork for expec-tations of change, grand transformations, and progress. Smaller nations in particular sought to turn histo-rical developments to their advantage and to use even the slightest emerging opportunities to advance their own political agendas and national interests.

The unique context of the private archives of public figures vividly demonstrates the broad scope of this retrospective reflection of the world wars, as well as the diverse palette of these expectations. In the archival record, the impact of both the First and the Second World Wars almost invariably transcends the

narrow framework of personal or material gain. Instead, broader narratives emerge: higher ideals, values, and often utopian or idealistic visions.

The concept of war as a source of new opportunities and prospects is particularly evident in the archival materials of Tedo Sakhokia, Nino Kipiani, Barbare Kipiani, Alexander Tsagareli, the exiled Catholicos Kirion II, and later Grigol Peradze, Konstantine Gamsakhurdia, Galaktion Tabidze, among others.

The documents preserved in these personal archives, which serve as the primary sources for our research, frequently reveal a certain fascination with the immense scale of war; the contours of unfounded trust and confidence; bold projections of irrational political and social configurations; and attempts to undertake unequivocally dangerous, often highly risky actions. These included involvement in facilitating the illicit movement of weapons, exercising authority beyond officially delegated powers in efforts to secure the release and repatriation of Georgian prisoners of war during the First World War, attempts to establish connections with contemporary actors in the conflict, considerations of various forms of contribution or compensation, and other similar initiatives.

Keywords: war, personal archives, public figures

ესმა მანია, ქეთევან ხითარიშვილი
კორნელი კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
საქართველო, თბილისი

მსოფლიო ომების რეტროსპექტული ანარეკლი საზოგადო მოღვაწეთა პირად არქივებზე

მსოფლიო პოლიტიკური კატაკლიზმები, ვნებათაღელვასთან ერთად, ყოველთვის იწვევდა ცვლილებების, დიდი გარდაქმნებისა და პროგრესის მოლოდინის საფუძველს. განსაკუთრებით ე. წ. მცირე ერები მოვლენების სათავისოდ შემობრუნებისა და გაჩენილი თუნდაც მინიმალური პერსპექტივებით საკუთარი დღის წესრიგის გაუმჯობესებისკენ ისწრაფოდნენ.

საზოგადო მოღვაწეთა პირადი არქივების თავისებური კონტექსტი თვალსაჩინოდ გვიჩვენებს მსოფლიო ომების რეტროსპექტული ანარეკლის ფართო განფენილობას და მოლოდინის მრავალფეროვან პალიტრას. როგორც პირველი, ისე მეორე მსოფლიო ომების კვალი პირადი არქივების სივრცეში თითქმის ყოველთვის სცილდება კერძო სარგებლის მერკანტილურ კონტექსტს და ჩნდება უფრო დიდი ნარატივები, უფრო მაღალი ფასეულობები, ხშირად უტოპიური და იდეალისტური იდეები…

ომის, როგორც ახალი შესაძლებლობისა და პერსპექტივის კონცეპტი, სავსებით თავისებურად ირეკლება თედო სახოკიას, ნინო ყიფიანის, ბარბარე ყიფიანის, ალექსანდრე ცაგარელის, გადასახლებაში მყოფი კირიონ მეორის, მოგვიანებით გრიგოლ ფერაძის, კონსტანტინე გამსახურდიას, გალაკტიონ ტაბიძისა და სხვათა საარქივო მასალაში.

პირადი არქივების იმ დოკუმენტებში, რომლებსაც ჩვენ საკვლევ წყაროებად ვიყენებთ, ხშირად ჩანს ერთგვარი აღფრთოვანება ომის მასშტაბების სიდიდის გამო; დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო ნდობის კონტურები; არარაციონალური პოლიტიკური და საზოგადოებრივი კონფიგურაციების თამამი ვარიაციები; ერთმნიშვნელოვნად სახიფათო და ხშირად მეტად სარისკო ნაბიჯების გადადგმის მცდელობები (მაგალითად, იარაღის უკანონო მოძრაობის უზრუნველყოფაში ჩართვა; იმაზე მეტი უფლებებით სარგებლობა პირველი მსოფლიო ომის ქართველ ტყვეთა გათავისუფლებისა და სამშობლოში ჩამოყვანის საქმეში, ვიდრე ამის ოფიციალური დელეგირებული უფლებები არსებობდა; კავშირების დამყარების მცდელობები იმდროინდელ ომის აქტორებთან; ფიქრი ერთგვარ კონტრიბუციაზე და სხვა).

საკვანძო სიტყვები: ომი, პირადი არქივები, საზოგადო მოღვაწეები

Irene Manizhashvili
Georgian National University
David Agmashenebeli University of Georgia
Georgia, Tbilisi

Linguistic Representation of War and Psycholinguistic Markers in Tamta Melashvili's Novel *Counting Out*

In contemporary Georgian literature, the traumas of war from recent history are widely and multi-dimensionally reflected. Our choice was determined by the focus of Tamta Melashvili's original vision and the linguistic style of the text.

The central psycholinguistic paradox of the novel lies in the coexistence of childish, adolescent speech with the language of death and violence. The thirteen-year-old protagonists utilize language as a defense mechanism within the brutal, crisis-laden context of war-representing the mind's attempt to adapt to an unbearable reality.

This paper systematically examines the structural and psycholinguistic aspects through which the author achieves a distinctive, individual artistic style, evoking profound emotion and empathy in the reader via these original linguistic codes. The text is completely liberated from conventional spatio-temporal frameworks. The narrative unfolds over three selected days: Wednesday, Thursday, and Friday. Only the final scene takes place on Saturday, separated from the preceding events by a distinct temporal gap. The selection of these days is highly symbolic, mirroring the most harrowing days of Passion Week in the Gospels, spanning from the Betrayal to the Crucifixion. Saturday, too, serves as a symbolic fit for the closing chapter.

More broadly, metaphor constitutes the structural backbone of the text. Decoding the title likewise invites diverse interpretations; the "counting-out rhyme" of a children's game becomes chillingly integrated with a minefield in the novel's harrowing final scene.

Through a dry, restrained, and minimalist narrative style coupled with highly precise emphasis, the author achieves a powerful impact. Her language remains neutral-eschewing dialect, specific slang, and especially standard literary Georgian. This lends a more universal resonance to the text. The characters' struggles are universal and gender-specific, and the discourse is entirely centered on children who have been forced into premature adulthood.

The fate of the two girls reflects a monumental tragedy, yet this is achieved without any forced sentimentalism. The narrative's dramatic arc is particularly noteworthy; scenes fraught with pain progressively accelerate the pacing, making the text a compelling, seamless read. Though concise in volume, this profoundly significant novel captures the simultaneously human and horrific face of war with unusual directness and the author's signature boldness.

Keywords: linguistic code, war, psycholinguistics, narrative, trauma

ირინე მანიჟაშვილი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
საქართველოს დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

ომის ენობრივი რეპრეზენტაცია და ფსიქოლინგვისტური მარკერები თამთა მელაშვილის რომანში „გათვლა“

თანამედროვე ქართულ მწერლობაში ფართოდ და მრავალმხრივად აისახა ომის ტრავმები უახლესი ისტორიიდან. ჩვენი არჩევანი განაპირობა თამთა მელაშვილის ორიგინალური ხედვის ფოკუსმა და ტექსტის ენობრივმა სტილმა.

რომანის მთავარი ფსიქოლინგვისტური პარადოქსი არის ბავშვური, თინეიჯერული მეტყველების თანაარსებობა სიკვდილის და ძალადობის ენასთან. 13 წლის გოგონები ენას იყენებენ როგორც დამცავ მექანიზმს ომის სასტიკ, კრიზისულ სიტუაციაში (გონების მცდელობა-მოერგოს აუტანელ რეალობას).

თანმიმდევრულად განვიხილავთ ტექსტის სტურქტურულ და ფსიქოლინგვისტურ ასპექტებს, რითაც ავტორი აღწევს თვითმყოფად, ინდივიდუალურ მხატვრულ სტილს და ამ ორიგინალური ენობრივი კოდებით სულისშემძვრელ ემოციას და თანაგანცდას იწვევს მკითხველში. ტექსტი თავისუფალია დროსივრცული ჩარჩოებისგან. რომანში მოქმედებისთვის სამი დღეა შერჩეული: ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი. მხოლოდ ბოლო, ფინალური სცენა ხდება შაბათს, რომელიც დისტანცირებულია დროითი შუალედით წინა სცენებისგან. ამ დღეების არჩევანიც სიმბოლურია – სახარებიდან ვნების შვიდეულის ყველაზე მძიმე დღეები, გაცემიდან ჯვარცმამდე. შაბათიც სიმბოლურად შესატყვისია ბოლო თავის. და საერთოდ, მეტაფორა არის ტექსტის ძირითადი ხერხემალი. სათაურის დეკოდირებაც სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა... გათვლა ბავშვური თამაშის დროს ინტეგრირდება დანაღმულ მინდორთან რომანის სულისშემძვრელ, ფინალურ სცენაში. მშრალი, თავშეკავებული, მინიმალისტური თხრობით, უზუსტესი აქცენტებით, მწერალი აღწევს ძლიერ ეფექტს. მისი ენა ნეიტრალურია: არც დიალექტურია, არც კონკრეტული სლენგია და მითუმეტეს, არც – სალიტერატურო ქართული. ეს უფრო ზოგად ჟღერადობას ანიჭებს ტექსტს. მათი პრობლემები უნივერსალურია, ქალური, და დისკურსიც მთლიანად ეთმობა ნაადრევად დაქალებულ ბავშვებს. ორი გოგონას ბედი უზარმაზარ ტრაგედიას ირეკლავს, მაგრამ ეს ყოველგვარი სენტიმენტალიზმის, ძალდატანების გარეშე ხდება. უნდა აღინიშნოს რომანის დრამატურგიული ხაზი. ტკივილებით სავსე სცენები თხრობის ტემპს უფრო და უფრო აჩქარებს და ერთი ამოსუნთქვით იკითხება ტექსტი. მოცულობით პატარა, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი რომანი, უჩვეულო პირდაპირობით და ავტორისთვის დამახასიათებელი სითამამით გადმოგვცემს ომის ერთდროულად ადამიანურ და შემზარავ სახეს.

საკვანძო სიტყვები: ენობრივი კოდი, ომი, ფსიქოლინგვისტიკა, ნარატივი, ტრავმა

Yanis Manukyan
St. Petersburg State University
Russia, Saint Petersburg

Olfactory Poetics of War
(Cognitive-Semiotic Approach)

This paper is devoted to a cognitive-semiotic analysis of olfactory descriptions in the discourse of war. The author aims to demonstrate that, within the discourse under analysis, smell undergoes a transformation from a physiological reaction to the semiotic status of an indexical sign. The factual material has been selected from works of fiction and non-fiction in German, covering the chronological period of the First and Second World Wars. The following levels are identified and described: the bodily level: "süßer, süßlicher Geruch → physiological reaction"; the cognitive level: the association "süßer, süßlicher Geruch → danger/death"; linguistic level: the association of a sweet smell with death is reinforced in synaesthetic transfers and metonymic constructions SMELL → DEATH; semiotic level: smell as a sign interpreted by the subject with the function of indicating a source. Central to the analysis is the following model: CONCEPTUAL DOMAIN – WAR, which forms the context of olfactory perceptions; CONCEPT-VEHICLE – the synaesthetic transfer TASTE→SMELL, with a focus on the adjectives süß and süßlich; CONCEPT-TARGET – the SIGN OF DEATH, which becomes the ultimate goal of olfactory descriptions in war literature. The author concludes that smell plays an active role in the depiction of war, functioning, on the one hand, as an integral part of the traumatic experience and, on the other, as a tool for deconstructing the heroic narrative of war (noble self-sacrifice, epic struggle, victory).

Keywords: war, smell, conceptual metonymy, traumatic experience, deheroisation

Tehmina Marutyan
"Aksel Bakunts" Scientific and Cultural Foundation
Armenia, Yerevan

Between Memory and Alienation:The Existential Experience of Exile in Lebanese-Armenian Prose of the 1960s-1980s

Lebanese-Armenian prose of the 1960s–1980s represents an important period in Diasporic Armenian literature, in which the experiences of the Armenian Genocide, exile, and displacement are reinterpreted not only within the framework of historical memory, but also through the fundamental questions of human existence. Writers of this period, such as Simon Simonyan, Andranik Tsarukyan, Gevorg Achemyan, and others, create characters who live between memory and alienation, national belonging and cultural exile, the loss of homeland and the impossibility of return.

The relevance of this research is conditioned by the growing interest in exile studies, trauma studies, and identity theory in contemporary literary criticism. The aim of the article is to reveal how exile becomes not only a historical fate, but also a mode of existence that influences the identity, worldview, and psychology of literary characters. The study draws upon the theoretical approaches of Edward Said, Julia Kristeva, Cathy Caruth, and other contemporary scholars.

The scientific novelty of the article lies in the fact that Lebanese-Armenian prose of the 1960s–1980s is examined not only in relation to the memory of the Armenian Genocide and the preservation of national identity, but also from the perspective of existential alienation and the condition of "not-belonging."

The research demonstrates that memory in Lebanese-Armenian prose functions not only as a means of preserving the past, but also as a principal way of reconstructing identity, spiritual resistance, and continuity in the post-genocide period.

Keywords: Lebanese-Armenian prose, , Diaspora, exile, cultural memory, the crisis of identity

David Maziashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Georgia, Tbilisi

The War Children – Stoppard and Ballard

The goal of the paper is to study biographical details and literary works by two remarkable figures of contemporary British literature: Tom Stoppard and James Ballard. From comparative literary standpoints, I will try to analyse Stoppard's latest play *Leopoldstadt* (2020) and Ballard's well-known novel *Empire of the Sun* (1984). Creative mixture of the historical truth – the Second World War – and writers' childhood memories artistically expressed in both authors' fictional works. Examination of these things will enable me to talk about Stoppard's and Ballard's personal experiences of World War II.

Key words: Stoppard, Ballard, Nazism, World War II

დავით მაზიაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

ომის შვილები – სტოპარდი და ბალარდი

ჩემი მოხსენება შეეხება თანამედროვე ბრიტანული ლიტერატურის ორი გამორჩეული წარმომადგენლის ტომ სტოპარდის და ჯეიმზ ბალარდის ბიოგრაფიასა და შემოქმედებაში მეორე მსოფლიო ომის კვალს. კერძოდ, მოხსენებაში განხილული იქნება სტოპარდის ბოლო პიესა „ლეოპოლდშტადტი" (*Leopoldstadt*) (2020) და ბალარდის ცნობილი რომანი „მზის იმპერია" (*Empire of the Sun*) (1984). ორი მწერლის ბიოგრაფიული შტრიხებისა და მათი ნაწარმოების კომპარატივისტული ანალიზის საფუძველზე შევეცდები ვაჩვენო თუ როგორ და რა ფორმით აისახა მწერალთა ბავშვურ ცნობიერებასა და შემოქმედებაზე მეორე მსოფლიო ომი.

საკვანძო სიტყვები: სტოპარდი, ბალარდი, ნაციზმი, მეორე მსოფლიო ომი

Nona Maziashvili
Ilia State University
Georgia, Tbilisi

Fragmented Identities and Unstable Memory: Trauma and Displacement in Ishiguro and Vardiashvili

This paper explores the effects of war and displacement on memory and identity in Kazuo Ishiguro's *A Pale View of Hills* and Leo Vardiashvili's *Hard by a Great Forest*. Drawing on the theoretical frameworks of Memory Studies and Trauma Theory, it examines how both individual and collective trauma shape perception, narrative form, and the construction of identity.

Both novels, written by authors who experienced displacement early in their lives, create narrative worlds marked by a distinct dreamlike and surreal quality, where reality and imagination intertwine. Within these spaces, identity appears unwhole: fragmented, unstable, and often divided. Memory emerges not as something reliable, but as a record of epistemological uncertainty.

In *Hard by a Great Forest*, Saba embodies a shattered identity produced by emigration – understood here as a form of displacement – and traumatic loss. Engaging with inner voices – d the surreal, where his abandoned homeland becomes both a physical and symbolic space. The novel suggests that land itself is inseparable from cultural memory, which permeates Saba's consciousness, dreams, and identity.

Similarly, in *A Pale View of Hills*, Etsuko distances herself from her traumatic past by projecting it onto the figure of Sachiko. This narrative displacement creates a complex and unreliable account that blurs the boundaries between self and other, memory and imagination, producing a reality that borders on the dreamlike.

Through comparative analysis, the paper argues that trauma manifests in disrupted memory and fragmented identity, giving rise to narratives that reconstruct reality in indirect, unstable, and ambiguous ways.

Keywords: trauma, cultural memory, displacement, Ishiguro, Vardiashvili

ნონა მაზიაშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

დანაწევრებული იდენტობა და არასტაბილური მეხსიერება – ტრავმა და კულტურული დისლოკაცია იშიგუროსა და ვარდიაშვილის რომანებში

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს ომისა და ემიგრაციის შედეგებს კაზუო იშიგუროს რომანში „მთების მკრთალი ხედი“ და ლეო ვარდიაშვილის რომანში „ერთი დიდი ტყის მახლობლად.“ მეხსიერების კვლევისა და ტრავმის თეორიული ჩარჩოს გამოყენებით ნაშრომი აანალიზებს, თუ როგორ განსაზღვრავს ინდივიდუალური და კოლექტიური ტრავმა აღქმას, ნარატიულ ფორმასა და იდენტობის კონსტრუქციას.

ორივე რომანი, რომელთა ავტორებიც ადრეულ ასაკში წავიდნენ ემიგრაციაში, ქმნის თხზულ სამყაროს, რომლებიც გამოირჩევა სიზმრისეულობითა და სიურრეალიზმით, სადაც რეალობა და წარმოსახვა ერთმანეთში გადახლართულან. ამ ორ სივრცეს შორის მოქცეული იდენტობა კი წარმოგვესახება როგორც არასრული: ფრაგმენტირებული, არასტაბილური და ხშირად დანაწევრებული.

მეხსიერება აქ წარმოდგება არა როგორც სანდო მოცემულობა, არამედ როგორც ეპისტემოლოგიური გაურკვევლობის ნიმუში.

რომანში „ერთი დიდი ტყის მახლობლად“ საბა განასახიერებს დანაწევრებულ იდენტობას, რაც გამოწვეულია ემიგრაციით – რაც დისლოკაციის საფუძველია – და ტრავმული დანაკარგით. იგი ესაუბრება საკუთარ შინაგან ხმებს, რომელთაგან ერთ-ერთი კულტურული მეხსიერების ხმად გვევლინება. ამ საუბრებში დაკარგული საბა დაეხეტება ადგილებში, სადაც რეალური და სიურ-რეალური ერთმანეთს ერწყმის და სადაც მიტოვებული სამშობლო ერთდროულად ფიზიკური სივრცეც არის და სიმბოლურიც. ტექსტი მიანიშნებს, რომ თავად მიწა ნაწილია კულტურული მემკვიდრეობისა, რომელიც აღწევს საბას ცნობიერებაში, სიზმრებსა და იდენტობაში.

რაც შეეხება რომანის „მთების მკრთალი ხედი“ პროტაგონისტს, ეცუკო საკუთარ ტრავმულ წარსულთან დისტანცირებას საჩიკოზე მისი პროეცირებით ახდენს. ეს ნარატიული გადანაცვლება ქმნის რთულ და არასანდო ისტორიას, რომელიც შლის ზღვარს „მეს“ და „სხვას“, მეხსიერებასა და წარმოსახვას შორის. შედეგად ვიღებთ რეალობას, რომელიც სიზმრისეულთან ძალიან ახლოსაა.

კომპარატივისტული ანალიზის საფუძველზე ნაშრომი ასკვნის, რომ ტრავმა შეიძლება გამოვლინდეს დეზორგანიზებულ მეხსიერებასა და დანაწევრებულ იდენტობაში, რაც თავის მხრივ ქმნის ნარატიულ სივრცეს, რომელიც მოკლებულია პირდაპირობას და სტაბილურობას და ხშირად ორაზროვანია – მრავალი ნარატიული შრით აგებული.

საკვანძო სიტყვები: ტრავმა, კულტურული მეხსიერება, დისლოკაცია, იშიგურო, ვარდიაშვილი

Tatiana Megrelishvili
Georgian Technical University
Georgia, Tbilisi

The Trauma of War and Modalities of Overcoming It in Lyudmila Ulitskaya's Novel *Daniel Stein, Interpreter*

The report examines the issue of personal and collective trauma caused by the 20th-century catastrophe, and the ways of its artistic overcoming in L. Ulitskaya's novel.

The dichotomy of "war and peace" in the novel shifts from the historical plane to the inner world of the characters. War is represented as an unhealed psychological trauma that deforms the characters' identities (Daniel, Ewa, Baruch, Ruth). Each of them carries the "echo of war": repressed memories, survivor's guilt, and a loss of rootedness. The chronotope of Israel becomes a therapeutic space where the characters attempt to find inner peace.

Daniel Stein acts not merely as a language interpreter, but as a "healer of trauma." His secular righteousness manifests as active empathy aimed at integrating the shattered consciousness of war victims. Stein translates the characters' individual pain into the register of dialogue and forgiveness. He proves that overcoming the trauma of war is possible not through oblivion, but through the recognition of the "Other" and the rejection of ideological aggression.

The polyphonic structure of the novel (a montage of letters and diaries) reflects the fragmented nature of the traumatized consciousness. The decentralized narrative allows each traumatized "I" to speak, turning the text into a space for collective psychotherapy.

Methodologically, the report relies on the following studies:

1. Alexander, J. *Cultural Trauma and Collective Identity*. Berkeley, 2004.
2. Bakhtin, M. M. *Problems of Dostoevsky's Poetics*. Minneapolis, 1984.

3. Kovtun, N. V. "New Saints" by L. Ulitskaya in the Context of Tradition. *Siberian Philological Journal*. 2014. No. 4.

4. Rybalchenko, T. L. The Plot of Memory in L. Ulitskaya's Novel *Daniel Stein, Interpreter*. *Tomsk State University Journal of Philology*. 2013. No. 2 (22).

Keywords: Daniel Stein, Oswald Rufeisen, Holocaust, religious tolerance, historical memory

Darejan Menabde
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

War Against War – Bertha von Suttner for Peace

In 1905 the Nobel Peace Prize was awarded to Austrian writer Bertha von Suttner for the novel *Die Waffen nieder!* (*Lay Down Your Arms!*). Bertha von Suttner (1843-1914) was the first female Nobel Peace Prize laureate, she was the founder of peace movements in Austria and entire Europe, struggler against militaristic state ideologies and anti-Semitism, defender of women's rights, writer, publicist, public figure, one of the initiators of the pacifist movement, she founded the Austrian Peace Society, helped e*stablish the International Peace Bureau in Berne and was its honorary Vice-President, she was the editor of the pacifist journal Die Waffen nieder!* (*Lay Down Your Arms!*), and made appeals against war at international congresses and conferences.

The novel *Die Waffen nieder!* (*Lay Down Your Arms!*), imbued with the spirit of pacifism and deheroization of war, became a best-seller upon its publication (1889) and marked the beginning of the European anti-war literature. The novel narrates the story of a young woman, who in the name of the family, spouse and mother, struggles uncompromisingly against war as such, opposes the viewpoint of supporters of war heroism. The peaceful position, expressed by the main character Martha Althaus at the beginning of the novel in an argument with her father, gradually evokes increasingly strong emotions in the reader, especially as the same reader becomes acquainted with the battle peripeteia and human tragedies, described with terrifying naturalism.

The name of Bertha von Suttner is well-known in Georgia. Together with her husband, writer Arthur Gundaccar von Suttner, she lived for nine years in Zugdidi, Kutaisi and Tbilisi, and as she wrote herself, they both developed as literary critics and writers in Georgia. It is also noteworthy that in collaboration with Iona Meunargia, the couple worked of the French translation of *Vepkhistqaosani* ("*The Man in the Panther's Skin"*) and were translating the epic into the German language.

Due to the ongoing hostilities in the modern world, Bertha von Suttner's pacifist ideas do not lose relevance, and still resound like an appeal her dying words: "Lay down your arms! Tell everyone, everyone, everyone!"

Keywords: Bertha von Suttner, *Lay Down Your Arms!*, war

დარეჯან მენაბდე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

ომი ომის წინააღმდეგ – ბერტა ფონ ზუტნერი მშვიდობისათვის

1905 წელს მშვიდობის ნობელის პრემია რომანისათვის „ძირს იარაღი!“ მიენიჭა ავსტრიელ მწერალს ბერტა ფონ ზუტნერს. ბერტა ფონ ზუტნერი (1843-1914), მშვიდობის დარგში პირველი ნობელიანტი ქალი, იყო სამშვიდობო მოძრაობების ფუძემდებელი ავსტრიასა და მთელს ევროპაში, მილიტარისტული სახელმწიფო იდეოლოგიებისა და ანტისემიტიზმის წინააღმდეგ მებრძოლი, ქალთა უფლებების დამცველი, მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, პაციფისტური მოძრაობის ერთ-ერთი წამომწყები. მან დააფუძნა „მშვიდობის ავსტრიული საზოგადოება“, იყო „ბერნის მშვიდობის ბიუროს“ დამფუძნებელი და პრეზიდენტი, დააარსა პაციფისტური ჟურნალი „ძირს იარაღი!“, ომის საწინააღმდეგო მოწოდებებით გამოდიოდა საერთაშორისო კონგრესებსა და კონფერენციებზე.

პაციფისტური და ომის დეჰეროიზაციის სულისკვეთებით გამსჭვალული რომანი „ძირს იარაღი!“ გამოცემისთანავე (1889) ბესტსელერად იქცა და სათავე დაუდო ევროპულ ანტისაომარ ლიტერატურას. რომანში გადმოცემული ისტორია

ახალგაზრდა ქალისა, რომელიც ოჯახის, მეუღლისა და დედის სახელით უკომპრომისო წინააღმდეგობას უწევს ომს, როგორც ასეთს, უპირისპირდება ომის ჰეროიზმის მომხრეთა თვალსაზრისს. სამშვიდობო პოზიცია, რომელსაც მთავარი გმირი მართა ალტჰაუსი რომანის დასაწყისში მამასთან კამათისას გამოხატავს, თანდათან სულ უფრო მძაფრ ემოციას აღძრავს მკითხველში, განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც იგივე მკითხველი შემზარავი ნატურალიზმით აღწერილ საბრძოლო პერიპეტიებსა და ადამიანურ ტრაგედიებს გაეცნობა.

ბერტა ფონ ზუტნერის სახელი კარგად არის ცნობილი საქართველოში. იგი მეუღლესთან, მწერალ არტურ გუნდაკარ ფონ ზუტნერთან, ერთად ცხრა წელი ცხოვრობდა ზუგდიდში, ქუთაისსა და თბილისში და თვითონვე წერდა: ჩვენ, ორივენი, საქართველოში ჩამოვყალიბდით ლიტერატორებად და მწერლებადო. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ისინი იონა მეუნარგიასთან ერთად მუშაობდნენ „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ თარგმანზე, აგრეთვე, თარგმნიდნენ პოემას გერმანულ ენაზე.

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე საომარი მოქმედებებიდან გამომდინარე, ბერტა ფონ ზუტნერის სამშვიდობო იდეები კვლავაც არ კარგავს აქტუალობას და დღესაც მოწოდებად ჟღერს მისი სიკვდილისწინა სიტყვები: „ძირს იარაღი! უთხარით ყველას, ყველას, ყველას!“

საკვანძო სიტყვები: ბერტა ზუტნერი, „ძირს იარაღი!“, ომის დეჰეროიზაცია

Lili Metreveli
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Caucasus International University
Georgia, Tbilisi

Tata Oboladze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

Conflict, Dialogue, and Literature: Guram Odisharia's Narrative of Peace

The narratives of war and peace constitute central themes in Guram Odisharia's literary work. This paper aims to demonstrate how the concepts of war, heroism, and peace are understood from the perspective of a writer involved in an ethnic conflict. Odisharia's work enables us to observe how conflict is perceived from both short-term and long-term temporal distances: from the perspective of home - Sokhumi before the war, during the war, and in its aftermath.

Drawing on Guram Odisharia's texts *The Pass of the Displaced*, *The Nephew*, *The President's Cat*, *Return to Sokhumi*, and *With You Without You*, we will explore the artistic forms through which the writer encourages readers to reflect on the nature of war in contemporary reality, on the possibility of preserving humanity in situations of existential threat, and on the trauma experienced by both sides involved in the conflict. His texts seek to foster empathy by allowing the opposing sides to recognize one another's suffering.

At the same time, as a cultural diplomat, Guram Odisharia has spent several decades promoting the possibility of dialogue between the opposing parties involved in the ethnic conflict. The writer emphasizes the decisive role of artists and art in conflicts: they can serve as ambassadors of peace and as bridges between divided communities.

Keywords: ethnic conflict, narrative of peace, function of art, Guram Odisharia

ლილი მეტრეველი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

თათა ობოლაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

კონფლიქტი, დიალოგი და ლიტერატურა: გურამ ოდიშარიას მშვიდობის ნარატივი

ომისა და მშვიდობის ნარატივი გურამ ოდიშარიას მხატვრული შემოქმედების ცენტრალურ თემას წარმოადგენს. მოხსენების ფარგლებში შევეცდებით ვაჩვენოთ ეთნოკონფლიქტში ჩართული მწერლის პერსპექტივიდან როგორ არის გააზრებული, ომის, გმირის, მშვიდობის ცნებები. მწერლის შემოქმედება შესაძლებლობას გვაძლევს დავაკვირდეთ, როგორ აღიქმება კონფლიქტი ხანმოკლე და ხანგრძლივი დროითი დისტანციიდან, შინ – სოხუმი – ომამდე და ომის შემდგომ.

გურამ ოდიშარიას ტექსტების – „დევნილთა უღელტეხილი“, „ძმიშვილი“, „პრეზიდენტის კატა“, „სოხუმში დაბრუნება“, „შენთან უშენოდ“ – საფუძველზე გამოვკვეთთ რა მხატვრული ფორმების გამოყენებით ახერხებს მწერალი დააფიქროს მკითხველი თანამედროვე რეალობაში ომის არსზე, ეგზისტენციალური საფრთხის დროს ჰუმანურობის შენარჩუნების შესაძლებლობაზე. კონფლიქტში მოწილე ორივე მხარეს დაანახოს ერთმანეთის ტრავმები და გააჩინოს ემპათია.

ამავე დროს, გურამ ოდიშარია, როგორც კულტურული დიპლომატი, ეთნიკური კონფლიქტის მონაწილე დაპირისპირებულ მხარეებს შორის დიალოგის შესაძლებლობის ხელშეწყობას რამდენიმე ათეული წელია ცდილობს. მწერალი ხაზს უსვამს კონფლიქტებში ხელოვანისა და ხელოვნების განმსაზღვრელ მნიშვნელობას მშვიდობის ელჩისა და მშვიდობის ხიდის ფუნქციის შესრულების თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: ეთნოკონფლიქტი, მშვიდობის ნარატივი, ხელოვნების ფუნქცია, გურამ ოდიშარია

Nino Mindiashvili
Caucasus International University
Georgia, Tbilisi

Representation of War in the Literary Texts of Georgian and Ossetian Women Writers

The paper discusses the representation of war in the works of Georgian and Ossetian women authors. The aim of the research is to reveal how the trauma of war is reflected in literary texts. Special attention is paid to women authors, since in their narratives war is presented not only as a political or historical event, but also as a human tragedy that affects family life, everyday reality, and collective memory.

The paper analyzes the texts of Georgian and Ossetian authors in which the themes of displacement, death, fear, pain, and alienation are represented. The research is based on the methodology of comparative literary studies, trauma theory, and gender studies. Attention is focused both on common motifs and on different perspectives related to national, cultural, and historical contexts.

The results of the research demonstrate that, in the texts of both sides, war is perceived as a destructive force affecting the inner world of human beings, while literature is viewed as a space for understanding trauma and fostering dialogue.

Keywords: war, women, authors, trauma, literature

ნინო მინდიაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

ომის რეპრეზენტაცია ქართველ და ოს ქალ ავტორთა მხატვრულ ტექსტებში

ნაშრომი ეხება ომის თემის რეპრეზენტაციას ქართველ და ოს ქალ ავტორთა შემოქმედებაში. კვლევის მიზანია, გამოავლინოს, როგორ აისახა ომის ტრავმა მხატვრულ ტექსტებში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქალ ავტორებს, რადგან მათ ნარატივებში ომი წარმოდგენილია არა მხოლოდ როგორც პოლიტიკური თუ ისტორიული მოვლენა, არამედ როგორც ადამიანური ტრაგედია, რომელიც გავლენას ახდენს ოჯახზე, ყოველდღიურ ცხოვრებასა და კოლექტიურ მეხსიერებაზე.

ნაშრომში გაანალიზებულია ქართველ და ოს ავტორთა ტექსტები, რომლებშიც წარმოჩენილია დევნილობის, სიკვდილის, შიშის, ტკივილისა და გაუცხოების თემები. კვლევა ეფუძნება შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის, ტრავმის თეორიისა და გენდერული კვლევების მეთოდოლოგიას. ყურადღება გამახვილებულია როგორც საერთო მოტივებზე, ისე განსხვავებულ ხედვებზე, რომლებიც ეროვნულ, კულტურულ და ისტორიულ კონტექსტებთან არის დაკავშირებული.

კვლევის შედეგად იკვეთება, რომ ორივე მხარის ტექსტებში ომი აღიქმება როგორც ადამიანის შინაგანი სამყაროს დამანგრეველი ძალა, ხოლო ლიტერატურა – როგორც ტრავმის გააზრებისა და დიალოგის სივრცე.

საკვანძო სიტყვები: ომი, ქალი, ავტორები, ტრავმა, ლიტერატურა

Mariam Miresashvili
Sokhumi State University
Georgia, Tbilisi

The Abkhazian Paradigm: Woman as a "Witness" in the Literary Discourse of the Abkhaz War

It is known that historical traumas (war, genocide, ethnic conflict, religious confrontation...) fundamentally change the structure of society in multiple ways; their impact is particularly severe on vulnerable groups (women, children, people with disabilities...). In Western literary reality, female authors (Vera Brittain, Rosita Forbes, Virginia Woolf, Toni Morrison, Sarah Helm, Alice Walker, Slavenka Drakulić, and

others) have addressed the theme of war from various aspects, and in the works of many of them, testimony/witnessing regarding traumatic events emerged as the main discursive model characterizing the traumatic or post-traumatic state of society, on the basis of which the fact of testimony/witnessing became a flexible historical narrative. It is precisely the figure of the witness, as a condition for the emergence of representation, that returns to society the opportunity to see the traces of memories expelled from memory (S. Felman, D. Laub); only the testimony of the objectification of the past, the discovery of differences between what happened and the collective identity of current events, provides the possibility of historical description (F. Ankersmit).

In light of the above theoretical considerations, we find it interesting to analyze the range of issues related to the figure of the negotiating woman as a witness in the literary discourse of the Abkhazian war. Female authors, whose works we will discuss below, are united by identical problems, an analogous conceptual vision regarding war and traumatic memory; as well as characteristic conceptual features of women's writing (non-linear narrative, stream of consciousness, open ending, subjective vision for conveying certain characteristics of one's own life experience, etc.). However, the above does not mean that stylistic characteristics of authors are leveled in women's epistles; on the contrary, female authors present problems related to the trauma of war with different styles and perspectives (which, in principle, is also logical). In their works, displacement is represented as an archive of memory - fragmentary, incomplete, but constantly active, which in turn is connected to the feeling of not being able to return home; the theme of Abkhazia often appears not as a direct narrative, but as an ethical position; the female author is presented as a keeper of memory, for whom forgetting is equivalent to historical crime; in their texts, memory is, in a way, a form of resistance, and so on. The works of female authors written on the Abkhazian paradigm confirm the positions of authoritative Western theorists that witnesses or participants in tragic events have to cope with psychological stigma throughout their lives (Jeffrey Alexander); that conveying what needs to be said in any form (writing, painting, narration, singing...) represents one of the ways of liberation from traumatic memory (Shoshana Felman, Dori Laub, and others).

Keywords: Abkhazia, women's testimony/witnessing, literary discourse of war

მარიამ მირესაშვილი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

აფხაზეთის პარადიგმა:
ქალი, როგორც „მოწმე“ აფხაზეთის ომის ლიტერატურულ დისკურსში

ცნობილია, რომ ისტორიული ტრავმები (ომი, გენოციდი, ეთნოკონფლიქტი, რელიგიური დაპირისპირება...) მრავალმხრივ ცვლის საზოგადოების სტრუქტურას; მათი გავლენა განსაკუთრებით მძიმედ აისახება მოწყვლად ჯგუფებზე (ქალებზე, ბავშვებზე, შშმ პირებზე...). დასავლურ ლიტერატურულ სინამდვილეში ქალი-ავტორები (ვერა ბრიტენი, როზიტა ფორბსი, **ვირჯინია ვულფი,** ტონი მორისონი, სარა ჰელმი, **ელის ვოქერი,** *სლავენკა დრაკულიჩი* და სხვ.) სხვადასხვა ასპექტში შეეხნენ ომის თემას და არაერთი მათგანის ნაწარმოებში სოციუმის ტრავმული თუ პოსტტრავმული მდგომარეობის დამახასიათებელ მთავარ დისკურსულ მოდელად წარმოჩინდა *ჩვენება/მოწმეობა* ტრავმულ მოვლენასთან მიმართებით, რომლის საფუძველზე, *ჩვენების/მოწმეობის ფაქტი* იქცა ფლექსიურ ისტორიულ ნარატივად. სწორედ *მოწმის ფიგურა,* როგორც რეპრეზენტაციის წარმოშობის პირობა, უბრუნებს საზოგადოებას შესაძლებლობას, დაინახოს *მეხსიერებიდან განდევნილი მოგონებების კვალი* (შ. ფელმანი, დ. ლაუბი); მხოლოდ წარსულის ობიექტი-

ვაციის მოწმეობა, განსხვავებების აღმოჩენა მომხდარსა და მიმდინარე მოვლენების კოლექტიურ იდენტობას შორის იძლევა ისტორიული აღწერის შესაძლებლობას (ფ. ანკერსმიტი).

ზემოაღნიშნული თეორიულ მოსაზრებების ჭრილში საინტერესოდ მიგვაჩნია პრობლემათა წრის გაანალიზება, რომელიც უკავშირდება *მოლაპარაკე ქალის,* როგორც *მოწმის* ფიგურას აფხაზეთის ომის ლიტერატურულ დისკურსში. ქალ-ავტორებს, რომელთა ნაწარმოებებზე ვიმსჯელებთ, აერთიანებთ იდენტური პრობლემები, ანალოგიური კონცეპტუალური ხედვა ომთან, ტრავმულ მეხსიერებასთან მიმართებით; ასევე, ქალური მწერლობისთვის დამახასიათებელი ნიშანდობლივი კონცეპტები (არალინეალური თხრობა, შემეცნების ნაკადი, ღია ფინალი, სუბიექტური ხედვა საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების გარკვეული მახასიათებლების გადმოსაცემად და სხვ.). თუმცა, ზემოაღნიშნული სულაც არ ნიშნავს, რომ ქალურ ეპისტოლეებში ნიველირებულია ავტორთა სტილური მახასიათებლები; პირიქით, ქალი-ავტორები განსხვავებული სტილითა და თვალთახედვით წარმოაჩენენ ომის ტრავმასთან დაკავშირებულ პრობლემებს (რაც, პრინციპში, ლოგიკურიცაა). მათ ნაწარმოებებში *დევნილობა* წარმოჩენილიანილია მეხსიერების არქივი – ფრაგმენტული, არასრული, მაგრამ მუდმივად მოქმედი, რომელიც თავის მხრივ უკავშირდება *სახლში ვერდაბრუნების* განცდას; აფხაზეთის თემა ხშირად ჩნდება არა როგორც პირდაპირი ნარატივი, არამედ როგორც **ეთიკური პოზიცია;** ქალი-ავტორი წარმოდგენილია, მემატიანედ, რომლისთვისაც დავიწყება – ისტორიული დანაშაულის ტოლფასია; მათ ტექსტებში *მეხსიერება,* ერთგვარად, *წინააღმდეგობის ფორმაა* და სხვ. აფხაზეთის პარადიგმაზე დაწერილი ქალი-ავტორების ნაწარმოებები დადასტურებაა ავტორიტეტული დასავლელი თეორეტიკოსების დებულებებისა, რომ *ტრაგიკული მოვლენების თვითმხილველებსა თუ მონაწილეებს მთელი სიცოცხლის განმავლობაში უხდებათ ფსიქოლოგიურ სტიგმასთან გამკლავება* (ჯეფრი ალექსანდერი); რომ ნებისმიერი სახით სათქმელის გადმოცემა (წერა, ხატვა, ნარაცია, სიმღერა...) ტრავმული მეხსიერებისგან გათავისუფლების ერთ-ერთ გზას წარმოადგენს (შოშანა ფელმანი, დორი ლაუბი და სხვ.).

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთი, ქალის ჩვენება/მოწმეობა, ომის ლიტერატურული დისკურსი

Irine Modebadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

A Lost Childhood: Features of Transmutation
(Nugzar Shataidze. "Traveling in Africa" → "*The Other Bank*")

Post-traumatic writing has an important place in contemporary world literature and culture. Writers are the fate of the civilians' population of war zones, the disruption of psychological and spiritual balance, the hardships of survival and displacement and the experience of exile and refuge. Within this context, the theme of "Lost Childhood" explores the existential condition of children deprived of home, security and familial warmth. One of the works dedicated to this subject is Nugzar Shataidze's (1944-2009) well-known story "Traveling in Africa". In this text, the writer tells the story of Tedo Bekauri, teenage boy displaced from Abkhazia. With almost photographic precision the text recreates the narrative recreates the everyday life and inner world of children left homeless by the civil war. The protagonist's emotions and struggles reflect not only the tragic fate of single family destroyed by the war, but also the experience of an entire generation.

In 2009, film director Giorgi Ovashvili released *The Other Bank*, a film whose screenplay was written by the writer himself (Nugzar Shataidze is also a famous screenwriter). The film is not a screen adaptation of a literary text; rather, it represents a classic example of transmutation.

In the process of transmutation, in accordance with the demands of the cinematic medium, the hierarchy of emotional priorities is significantly transformed. This shift is already suggested by the change of title: instead of "Africa" (a metaphor for a teenager's dream of a peaceful and untroubled space) – the film foregrounds the divided destinies of Abkhazians and Georgians living on opposite banks of the river.

The paper will for the first time analyze in detail the artistic strategies and aesthetic features of this transformation.

Keywords: transmutation, Nugzar Shataidze, "Traveling in Africa", 'The Other Bank"

ირინე მოდებაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

წართმეული ბავშვობა: ტრანსმუტაციის თავისებურებანი
(ნუგზარ შატაიძე. „მოგზაურობა აფრიკაში" → „გაღმა ნაპირი")

თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურასა და კულტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პოსტტრავმულ მწერლობას; ყურადღების ცენტრში ხვდება საომარი ტერიტორიების მშვიდობიანი მოსახლეობის ბედი, ფსიქოლოგიური და სულიერი ჰარმონიის რღვევა, გადარჩენისა და ლტოლვილობის სირთულეები და სხვა. „წართმეული ბავშვობის" თემის ფარგლებში ხდება გააზრება მშობლიური სახლისა და ოჯახური სითბოს გარეშე დარჩენილი ბავშვების ეგზისტენციალური განცდებისა. ამ თემაზე მიძღვნილ ნაწარმოებთა შორის გამოირჩევა ნუგზარ შატაიძის (1944-2009) ცნობილი მოთხრობა „მოგზაურობა აფრიკაში". მწერალი მოგვითხრობს აფხაზეთიდან დევნილი მოზარდის (თედო ბექაურის) ამბავს. ტექსტი ფოტოგრაფიული სიზუსტით აღადგენს სამოქალაქო ომის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ბავშვების ცხოვრებასა და სულიერ მდგომარეობას. მთავარი გმირის განცდებში და ცხოვრებისეულ სირთულეებში აისახა არა მხოლოდ ომით დანგრეული ერთი ოჯახის არამედ მთელი თაობის ტრაგიკული ბედი.

2009 წელს რეჟისორმა გიორგიმ ოვაშვილმა გადაიღო მხატვრული ფილმი „გაღმა ნაპირი", რომლის სცენარის ავტორად თავად მწერალი მოგვევლინა (ნუგზარ შატაიძე არა მხოლოდ მწერალი, არამედ ცნობილი სცენარისტიც გახლავთ). ფილმში გამოყენებულია მისი მოთხრობის მოტივები, შესაბამისად ჩვენს წინაშე არა იმდენად ლიტერატურული ტექსტის ეკრანიზაცია, რამდენადაც ტრანსმუტაციის (სემიოტიკური თარგმანის) კლასიკური ნიმუში.

კინემატოგრაფიული ჟანრის მოთხოვნებისამებრ ტრანსმუტაციის პროცესში შეიცვალა მოთხრობის ემოციური პრიორიტეტების იერარქია. ამაზე სათაურის ცვლილებაც მიგვითითებს: „აფრიკის" /მშვიდობიანი „უპრობლემო" სივრცის, ანუ მოზარდის ოცნების მეტაფორის/ ნაცვლად წინა პლანზე წამოიწევს და გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ხდება მდინარის სხვადასხვა ნაპირზე დარჩენილი აფხაზებისა და ქართველების ბედი.

მოხსენებაში პირველად იქნება დეტალურად გაანალიზებული ამ ტრანსფორმირების მხატვრული ხერხები და თავისებურებანი.

საკვანძო სიტყვები: ტრანსმუტაცია, ნუგზარ შატაიძე, „მოგზაურობა აფრიკაში", „გაღმა ნაპირი"

Ketevan Nadareishvili, Manana Pkhakadze, Giorgi Barnabisvili
ქეთევან ნადარეიშვილი, მანანა ფხაკაძე, გიორგი ბარნაბიშვილი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Georgia, Tbilisi

Reimagining East-West Conflict: The Modern Theatrical Receptions of Aeschylus' "Persians"

The Greco-Persian wars of the fifth century BC carried enormous significance not only for the cause of Greek freedom and the triumph of Athenian democracy. This confrontation also exerted a decisive influence on the geopolitical context and the cultural discourse of the period. The theme of the war unfolded broadly across Platonic philosophy, oratory, historiography, and the Plutarchian biographies. Yet one may confidently assert that the most important work written on the Greco-Persian wars is Aeschylus's tragedy *The Persians* (472 BC).

The aim of our paper is: (1) to examine Aeschylus' *Persians*; and (2) to consider several tendencies in the contemporary theatrical reception of *The Persians*. Our study of the Aeschylean tragedy within the framework of the Europe-Asia opposition entails an analysis of the political and ethno-cultural markers of the Greeks and the Persians as constructed by the dramatist, of those markers that would subsequently crystallize into the principal characteristics of Western and barbarian/Eastern identities.

In contemporary theatre, several noteworthy tendencies in the reception of Aeschylus' *Persians* may be discerned. The first tendency is a qualitative transformation of the play's oppositional pairs. In this paper, this direction of reception is surveyed through the production *The Persians* (1965) by the Greek director Karolos Koun, as well as through the adaptations of *The Persians* by the German writer Mattias Braun (1960) and by Heiner Müller (1991). What unites these examples is that the opposition they stage is no longer between two distinct ethnic groups, but rather between a dictatorial regime and the people within a single state.

As an example of a second tendency in the interpretation of Aeschylus' tragedy, the paper examines *Orghast* (1971), directed by Peter Brook. With respect to this production, the paper investigates: (a) the wholly innovative theatrical aesthetics of the performance; (b) what might be called its so-called plot; and (c) the essence of Brook's innovative reception. Disregarding ethnic or political confrontation, *Orghast* aspires through the invocation of myth and eternal themes-to present a kind of history of the human soul, at the center of which stand the struggle between father and son for power and the tragedy of Prometheus's sacrifice.

A distinct direction in the reception of Aeschylus's tragedy is represented by *The Persians* (1993), directed by Peter Sellars (based on the play by Robert Auletta). The pertinence of the staging was determined by one of the most significant geopolitical confrontations of the late twentieth century-that between Iraq's ruler Saddam Hussein and America, namely the First Gulf War. The following aspects of Sellars's production merit attention: (a) the performance challenges the stereotypical conception of the East; (b) the director places deliberate emphasis on the problematics surrounding America's image, indicting American militarism; and (c) it condemns the policy of Saddam Hussein as a tyrant. The indictment of both sides, in turn, lends a new understanding to the perception of the historical East–West conflict and encourages a deeper reflection on Aeschylus' *Persians* on a different plane.

Keywords: East-West opposition; Greco-Persian wars; Aeschylus; theatrical receptions; stereotypical conception of the East

ქეთევან ნადარეიშვილი, მანანა ფხაკაძე, გიორგი ბარნაბიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

აღმოსავლეთისა და დასავლეთის კონფლიქტის გადააზრება: ესქილეს „სპარსელების“ თანამედროვე თეატრალური რეცეფციები

ძვ.წ. V ს-ის ბერძენ-სპარსელთა ომებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ბერძნების თავისუფლებისა და ათენის დემოკრატიის გამარჯვების საქმეში. ამ დაპირისპირებამ გადამწყვეტი გავლენა იქონია იმ პერიოდის გეოპოლიტიკურ კონტექსტსა და კულტურულ დისკურსზეც. ომის თემა ფართოდ გაიშალა პლატონურ ფილოსოფიაში, რიტორიკაში, ისტორიოგრაფიაში, პლუტარქოსისეულ ბიოგრაფიებში. თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბერძნულ-სპარსულ ომებებზე დაწერილი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები ესქილეს ტრაგედია „სპარსელები“ (ძვ.472 წ.) გახლავთ.

ჩვენი მოხსენების მიზანია: 1. განვიხილოთ ესქილეს „სპარსელები“; 2. „სპარსელების“ თანამედროვე თეატრალური რეციპირების რამდენიმე ტენდენცია. ესქილეს ტრაგედიის ჩვენეული შესწავლა გულისხმობს ევროპა-აზიის დაპირისპირების კონტექსტში მწერლის მიერ შექმნილი ბერძენთა და სპარსელთა პოლიტიკური და ეთნო-კულტურული მარკერების ანალიზს, იმ მარკერებისა, რომლებიც შემდგომში დასავლური და ბარბაროსულ/აღმოსავლური იდენტობების უმთავრეს მახასიათებლებად ჩამოყალიბდა.

თანამედროვე თეატრში ესქილეს „სპარსელების“ რეციპირების რამდენიმე საინტერესო ტენდენცია იკვეთება. პირველი ტენდენცია ოპოზიციური წყვილების თვისობრივი ცვლილება გახლავთ. მოხსენებაში „სპარსელების“ რეციპირების ეს მიმართულება ბერძენი რეჟისორის კაროლოს კუნის სპექტაკლში „სპარსელები“ (1965), ასევე გერმანელი მწერლის მატიას ბრაუნის „სპარსელების“ (1960) და ჰაინერ მიულერის “სპარსელების“ (1991) ადაპტაციებში იქნება მიმოხილული. დასახელებულ ნიმუშებს აერთიანებთ ის, რომ აქ არა ორი სხვადასხვა ეთნოსი, არამედ ერთი სახელმწიფოს შიგნით ერთმანეთს დიქტატურული რეჟიმი და ხალხი უპირისპირდება.

ესქილეს ტრაგედიის ინტერპრეტირების მეორე ტენდენციის მაგალითად მოხსენებაში განხილულია პიტერ ბრუკის რეჟისორობით დადგმული „ორგასტი“ (1971). სპექტაკლთან მიმართებით მოხსენებაში შევისწავლით: ა) წარმოდგენის სრულიად ნოვატორულ თეატრალურ ესთეტიკას; ბ) სპექტაკლის, შეიძლება ითქვას, ე.წ. სიუჟეტს; გ) ბრუკის ნოვატორული რეციპირების არსს: უგულვებელყოფს რა ეთნიკურ თუ პოლიტიკურ დაპირისპირებას, სპექტაკლი „ორგასტი“ მითებისა და მარადიული თემების მოხმობით მისწრაფვის, წარმოგვიდგინოს ადამიანური სულის ერთგვარი ისტორია, რომელთა შორისაც ცენტრალურ ადგილს ძალაუფლებისათვის მამა-შვილის ბრძოლა და პრომეთევსის თავგანწირვის ტრაგედია იკავებს.

ესქილეს ტრაგედიის რეციპირების განსხვავებულ მიმართულებას წარმოადგენს პიტერ სელარსის მიერ (რობერტ აულეტას პიესის მიხედვით) დადგმული “სპარსელები” (1993). სპექტაკლის დადგმის აქტუალობა განსაზღვრა XX საუკუნის მიწურულის ერთ-ერთმა ყველაზე მნიშვნელოვანმა გეოპოლიტიკურმა დაპირისპირებამ ერაყის მმართველ სადამ ჰუსეინსა და ამერიკას შორის, იგულისხმება სპარსეთის ყურის პირველი ომი. სელარსის დადგმაში საყურადღებოა შემდეგი ასპექტები: ა) სპექტაკლი გამოწვევას უცხადებს აღმოსავლეთის სტერეოტიპულ გააზრებას; ბ) რეჟისორი საგანგებოდ აკეთებს აქცენტს ამერიკის იმიჯთან დაკავშირებულ პრობლემატიკაზე. იგი ადანაშაულებს ამერიკულ მილიტარიზმს; გ) გმობს სადამ ჰუსეინის, როგორც ტირანის, პოლიტიკას. ორივე მხარის დადანაშაულება კი ახლებურ გააზრებას სძენს აღმოსავლეთ-დასავლეთის ისტორიულ კონფლიქტის აღქმას და ესქილეს „სპარსელების“ სხვა სიბრტყეში სიღრმისეული რეფლექსირებისკენ განგვაწყობს.

საკვანძო სიტყვები: აღმოსავლეთ-დასავლეთის ოპოზიცია; ბერძენ-სპარსელთა ომები; ესქილე; თეატრალური რეცეფციები; აღმოსავლეთის სტერეოტიპული გააზრება

Aleksandra Naróg
Jagiellonian University in Cracow, Faculty of Polish
Poland, Krakow

Is There a Hot War in the Tap?":
A Comparative Reading of a Poem by Iya Kiva

The proposed paper aims to analyze the poetic strategy of Iya Kiva, a contemporary Ukrainian poet, translator, and journalist whose works have been translated into more than thirty languages. Born in Donetsk in 1984, Kiva's writing is deeply rooted in the specificity of this region. Following the outbreak of the Russian–Ukrainian war in 2014, she relocated to Kyiv, and later, after the large-scale Russian invasion of Ukraine in 2022, to Lviv. Her poetry constitutes a unique record of war-related experiences of migration, loss, and uprootedness, in which the biographical intertwines with the surreal and the imagined.

My main analytical framework will be affect theory, which allows us to examine how contemporary poetry transmits experiences such as anger, grief, disgust, and love. Brian Massumi's (2014) concept of affect as a form of pure bodily intensity that often eludes linguistic representation will be central for my analysis. Furthermore, particular attention will be paid to the affective strategies Kiva develops in order to articulate the experience of an Ukrainian wartime community. Her poetry not only records individual trauma but also constructs a shared emotional landscape shaped by displacement and violence. The analysis will focus on two of Kiva's poetry collections: *Black Roses of Time* (2022) and *The Wandering Bird of War* (2024). I will try to investigate how Kiva's poetic language navigates the limits of representation, while simultaneously creating an „affective archive" of contemporary war experience.

Avtandil Nikoleishvili
Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

Russia's Annexation of Georgia in 1921
and Georgian Literature of the Time

In the Georgian press of the first half of 1921, Georgian writers active at the time expressed attitudes toward the military aggression carried out by Soviet Russia in February–March of that year to conquer Georgia, as reflected in their literary and journalistic works. In particular, a significant number of Georgian writers did not respond to the new reality established in the country through publications issued during that very period, and only a few of them demonstrated notable activity in this regard. It should also be noted that several representatives of Georgian literature were positively connected to the events of the time through their practical actions as well. A markedly different attitude was held by another substantial group of Georgian writers. This is clearly evidenced not only by their literary and journalistic texts of the period but also by their active participation in anti-Russian actions. In their literary and journalistic works published in 1921, Georgian writers assessed the Russian occupation from three distinct perspectives. Specifically, those with a clearly expressed national consciousness regarded this event as a great national and state tragedy; a certain group of writers exercised caution and displayed a somewhat compromising and loyal attitude toward the existing reality; while the third group consisted of those writers who placed personal ambitions above national and state interests and actively supported the policy pursued by Soviet

Russia to conquer our country. Unfortunately, as time passed, the activity of authors supporting the new authorities grew increasingly strong, largely driven by the personal and careerist aspirations of many of them. Consequently, the number of Georgian writers producing texts glorifying the contemporary reality gradually increased. Nevertheless, there were also writers who, through their creative work, openly opposed the existing political and state order without disguise.

Keywords: literary work, journalistic work, Georgian Literature, national consciousness, Russian occupation

ავთანდილ ნიკოლეიშვილი - პროფესორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია 1921 წელს და იმდროინდელი ქართული მწერლობა

1921 წლის პირველი ნახევრის ქართულ პრესაში გამოქვეყნებული თავიანთი მხატვრული და პუბლიცისტური ტექსტებით იმხანად მოღვაწე ქართველმა მწერლებმა არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გამოავლინეს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დასაპყრობად ხსენებული წლის თებერვალ-მარტში განხორციელებული საომარი აგრესიისადმი. კერძოდ, ჩვენს ქვეყანაში იმხანად შექმნილ ახალ რეალობას ქართველ მწერალთა მნიშვნელოვანი ნაწილი უშუალოდ იმ პერიოდში გამოქვეყნებული თავისი პუბლიკაციებით არ გამოხმაურებია და განსაკუთრებულ აქტიურობას ამ მიმართულებით მხოლოდ რამდენიმე მათგანი იჩენდა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართველ მწერალთა რამდენიმე წარმომადგენელი იმდროინდელ მოვლენებთან თავისი პრაქტიკული ქმედებითაც პოზიტიურად აღმოჩნდა დაკავშირებული. მათგან რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდა იმხანად მოღვაწე ქართველი მწერლების მნიშვნელოვან ნაწილს. ამის თვალნათლივ დადასტურებას წარმოადგენს მათი არა მარტო იმდროინდელი მხატვრული და პუბლიცისტური ტექსტები, არამედ ანტირუსულ ქმედებებშიც აქტიური მონაწილეობაც. 1921 წელს გამოქვეყნებულ თავიანთ მხატვრულ და პუბლიცისტურ ტექსტებში ქართველი მწერლები რუსულ ოკუპაციას სამი განსხვავებული თვალთახედვით აფასებდნენ. კერძოდ, მკაფიოდ გამოხატული ეროვნული ცნობიერების მქონენი ამ მოვლენას ეროვნული და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით უდიდეს ტრაგედიად მიიჩნევდნენ; მწერალთა გარკვეული ნაწილი სიფრთხილეს იჩენდა და შექმნილი რეალობისადმი რამდენადმე კომპრომისულ და ლოიალურ დამოკიდებულებას ავლენდა, მესამე მიმართულებას კი ის მწერლები განეკუთვნებოდნენ, რომლებიც ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებზე მაღლა პიროვნულ მისწრაფებებს აყენებდნენ და აქტიურად უჭერდნენ მხარს საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის დასაპყრობად გატარებულ პოლიტიკას. სამწუხაროდ, რაც დრო გადიოდა, ახალი ხელისუფლებისადმი მხარდამჭერ ავტორთა აქტიურობა უფრო და უფრო ძლიერდებოდა, რასაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა მათი დიდი ნაწილის პიროვნულ-კარიერისტული მისწრაფებები. აქედან გამომდინარე, ქართველ მწერალთა შორის თანდათანობით მატულობდა იმათი რიცხვი, რომლებიც მაშინდელი რეალობის განმადიდებელი ტექსტების ავტორებად გვევლინებოდნენ. მიუხედავად ამისა, არც ის მწერლები იყვნენ საძებარნი, რომლებიც თავიანთი მხატვრული ნააზრევით შეუნიღბავად უპირისპირდებოდნენ შექმნილ პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ რეალობას.

საკვანძო საკითხები: მხატვრული ტექსტი, პუბლიცისტური ტექსტი, რუსულ ოკუპაცია, ქართული მწერლობა, ეროვნული ცნობიერება

Dr Zorica Bečanović Nikolić
Professor of Comparative Literature
Faculty of Philology, University of Belgrade, Serbia
Serbia, Belgrade

War, Media, Dystopia and Utopia in Peter Handke's Works *Journey in Dugout Canoe or a Script for Film on War* (1999) and *Crossing the Sierra de Gredos* (2002)

The contemporary Austrian Nobel laureate Peter Handke's deconstruction of war media coverage is not unlike that of Shakespeare's prologue for *Henry IV, Part Two*, delivered by Rumor, who represents 'a pipe' [...] that the blunt monster with uncounted heads / the still-discordant wav'ring multitude / can play upon'. This paper will consider the farcical and tragic elements of Handke's 1999 play *Journey in Dugout Canoe or a Script for Film on War*, as further developed in one of his most ambitious novels *Crossing the Sierra de Gredos*. Political discourse, media coverage and 'expert' analyses of conflicts often imply abusive manipulation of language and images. Handke's postmodern expression is ironic and semantically multi-layered – sometimes grotesque and surreal – in its intention to attract the readers' understanding of the complex and aporetic nature of wars. While the play focuses on opposition of characters representing media simplification, on the one hand, and artistic necessity to express disturbing controversies, on the other, the novel's narrative gives representations that are even more complex. The author's expression of dystopian caricatures and utopian glimmers of hope raise the challenge to the readers' understanding. This paper will offer a comparative analysis of the two works in order to provide a hermeneutical scrutiny of Handke's representations of war, media, dystopia and utopia.

Keywords: War, Media, Dystopia, Utopia, Handke

Tatiana Nikolskaya
«Skifia», Union of Writers of St. Petersburg
Russia, St. Petersburg

The Reflection of the Balkan War and Post-war Syndrome in the Life and Work of Dubravka Ugrešić

Dubravka Ugrešić 1949-2023 – a well-known Croatian writer, comparative philologist and translator of Russian avant-garde (D. Kharms, L. Dobychin, B. Pilnyak). She was born in an ethnically mixed family. She graduated from the University of Zagreb, where she was engaged in scientific work until 1993. At the same time, she wrote postmodern prose. During the Balkan War, Ugreshich mainly taught at an American college. When she returned to work at the University of Zagreb, relations with many colleagues became strained. Some people were unhappy with the fact that she did not share the hardships of wartime with her compatriots, while others were dissatisfied with her moderate stance in the interethnic conflict.

In 1993, Ugresic left Croatia.At the University of Amsterdam she taught a course on comparative studies. Almost all of her students were refugees from the former Yugoslavia. To help them get out of a state of stress, Ugresic invited the students to write an essay about their fate. This was not part of the course agreed with the administration and caused dissatisfaction with the authorities so Ugreshich plunged into

depression. At the last moment, one of her students found a job in another country and gave her the key to his municipal apartment in Amsterdam, where Ugrešić has settled permanently. Her students' essays were included in the novel Ministry of Pain (2004). The theme of war and the post-war syndrome explored in Ugrešić's postmodern novel «Museum of Unconditional Surrender» (1996), as in her collection «Culture of Lies» (1996).

Keywords: Dubravka Ugrešić. Croatia. post-war syndrome. Postmodern

Nataliia Nikoriak
The Department of Foreign Literature and Theory of Literature
Yuriy Fedkovych Chernivtsi National University
Ukraina, Chernivtsi

Aliona Matiychak
The Department of Foreign Languages for Humanities
Yuriy Fedkovych Chernivtsi National University
Ukraina, Chernivtsi

The Discourse of War in Contemporary Ukrainian Cinema: A Genre-Thematic Perspective

The theme of war occupies a central place in contemporary Ukrainian cinema. This tendency is primarily caused by the protracted military confrontation and its profound impact on social consciousness and cultural practice. Cinema responds to war as a defining historical factor, enabling transformations in how reality is represented while foregrounding questions of national identity, memory, and collective trauma. At the same time, the intensity of engagement with this theme is driven by the need to document and interpret the experience of the "here and now," as well as by the aspiration to integrate it into broader artistic and aesthetic contexts.

War, as an extreme experience, prompts an active rethinking of genre models: from documentary and war drama to the psychological thriller, social parable, and elements of auteur experimental cinema. Documentary filmmaking has assumed a leading position in contemporary Ukrainian cinema, becoming a key means of recording and interpreting wartime reality both after 2014 and after 2022 – "The Earth Is Blue as an Orange" (2020), the Oscar-winning film "20 Days in Mariupol" (2023), "The Long Day" (2023), "Iron Butterflies" (2023), "Photophobia' (2023), "Peaceful People" (2024), the mockumentary "We Were Recruits" (2024), "Porcelain War" (2024), "Real" (2024), "Songs of a Slowly Burning Land" (2024), "We, Our Pets and the War" (2024), "Everything Must Live" (2024), "One Summer in Ukraine" (2025), "No Right to Make a Mistake" (2025), "2000 Meters to Andriivka" (2025), and "Timestamp" (2025).

In narrative cinema, the theme of war has likewise intensified since 2014. The resulting genre polyphony is striking: action/war drama ("Cyborgs: Heroes Never Die", 2017; "Ilovaisk", 2014; "Donbas Battalion", 2019); post-apocalyptic drama ("Atlantis", 2019); socio-psychological war drama ("Bad Roads", 2020); action/war drama ("Cherkasy", 2020; "Sniper: The White Raven", 2022); war drama ("Butterfly Vision", 2022; "Myrnyi-21", 2023; "Bucha", 2024; "Grey Bees", 2024); war road drama ("Two Sisters", 2024); psychological and chamber thriller ("The Daughter", 2024; "Honeymoon", 2024); thriller/action ("Stay Online", 2023); tactical action thriller ("The Mousetrap", 2025; "Killhouse", 2026). A clear tendency toward genre hybridization is evident: documentary cinema acquires essayistic features, while narrative films

actively integrate documentary practices, producing an effect of authenticity and “presence.” Another key characteristic is thematic polyphony: alongside the frontline discourse, narratives unfold around civilian life, trauma, memory, internal exile, and gender transformations. This polyphony not only expands the boundaries of the war narrative but also contributes to the formation of a new ethics of representation, shifting the focus from heroization to reflection on human vulnerability.

Khatuna Nishnianidze
Tbilisi Theological Academy and Seminary
Georgia, Tbilisi

War, Battle, Peace, and Unity in Ancient Georgian Literature: Theological-Philological Meaning and Cultural Memory

Hagiographical monuments, as 'sites of memory' (lieux de mémoire), preserve knowledge regarding the experience of war and peace within the Georgian collective consciousness.The themes of battle, war, peace, and unity in Georgian hagiography are characterized by a multidimensional perspective. Within these monuments, the phenomenon of battle and resistance primarily carries an allegorical-metaphorical meaning representing a spiritual, invisible warfare. This study examines: a) The theological-philological aspects of the saint's spiritual and physical warfare, ataraxia (peace of mind), and theosis (deification), as well as the overarching concept of the saint as a "Soldier of Christ" (Miles Christi); b) The correlation of the concepts of war, battle, resistance, and peace-unity with national-political ideology and religious world-view, reflecting the internal and external challenges present on both state and religious levels of the period.

The work explores the terms and concepts expressing the saint's inner and physical warfare, the essence of miracles, sacred objects, and symbolic actions, as well as specific military-warfare vocabulary. In hagiographical narrative, the theological meaning always transcends and shapes the historical context. Accordingly, this study examines the symbolic and allegorical (typological) significance of facts and events alongside their biblical paradigms. Furthermore, narratives depicting state, socio-ethnic, and religious confrontations, as well as military operations, are conceptualized through the lens of defending and preserving religious and national identity.

The research also investigates the literary topoi (clichés) present in hagiographical texts. Since the Bible constitutes the ultimate ideological foundation of hagiography, the narrative models of characters’ internal or physical warfare – as well as the national-ideological and religious confrontations between states – are rooted in biblical paradigms. These passages are analyzed based on Old and New Testament scriptures and patristic interpretations.

These issues are examined within the framework of cultural memory. The study analyzes the hagiographical markers of "friend and foe," the "other" (skhvisi), and the "self" (thisi), alongside narrative models of war, battle, conflict, love, and trust. The work investigates medieval models of interaction with foreign nations (Persians, Arabs, Greeks, Armenians) and the underlying causes of ethnic, intra-religious/intra-confessional (e.g., Georgian-Byzantine relations) or inter-confessional (e.g., Georgian-Armenian relations) discord and intolerance. A core objective of the research is the analysis of the discourse of power, mapping out how this discourse functions both at the level of intercultural relations and within domestic state, ecclesiastical, and dominant social structures. Using the martyrdoms of St. Abo of Tbilisi and St. Eustathius of Mtskheta as case studies, we examine the characteristics through which a counter-discourse was formulated against the dominant discourse of power.

Keywords: "Soldier of Christ", biblical paradigms, inner warfare, discourse of power, cultural memory

ხათუნა ნიშნიანიძე
თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია
საქართველო, თბილისი

ბრძოლა, ომი, მშვიდობა და ერთობა ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში: თეოლოგიურ-ფილოლოგიური საზრისი და კულტურული მეხსიერება

ჰაგიოგრაფიული ძეგლები, როგორც „მეხსიერების ადგილები“, ქართულ კოლექტიურ ცნობიერებაში ინახავენ ცოდნას ომისა და მშვიდობის გამოცდილების შესახებ. ბრძოლის, ომის, მშვიდობისა და ერთობის თემატიკა ქართულ ჰაგიოგრაფიაში მრავალგანზომილებიანი პერსპექტივით ხასიათდება. უპირველეს ყოვლისა კი, ეს კონცეპტები სულიერი, შინაგანი და უხილავი ბრძოლის ალეგორიულ-მეტაფორული შინაარსის მატარებელია.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია: ა) წმინდანის სულიერი და ფიზიკური ბრძოლის - ასკეზის, ათარაქსიისა და საბოლოოდ მადლით განღმრთობის - ზოგადად, წმინდანის, როგორც „ქრისტეს მხედრის“, კონცეპტების თეოლოგიურ-ფილოლოგიური ასპექტები; ბ) ომის, ბრძოლის, წინააღმდეგობისა და მშვიდობა-ერთობის კონცეპტების მიმართების საკითხი ეროვნულ-პოლიტიკურ იდეოლოგიასა და სარწმუნოებრივ მსოფლმხედველობასთან, რაც ასახავს კიდეც IV-XI საუკუნეების ქართულ სახელმწიფოებრივ და რელიგიურ სიბრტყეზე არსებულ შიდა და გარე გამოწვევებს.

ნაშრომში შესწავლილია წმინდანის შინაგანი და ფიზიკური ბრძოლის გამომხატველი ცნება-ტერმინები, სასწაულის, საკრალურ საგანთა და სიმბოლურ ქმედებათა შინაარსი, სპეციფიკური სამხედრო-საომარი ლექსიკა.

ჰაგიოგრაფიულ მონათხრობში ისტორიულ კონტექსტს ყოველთვის აღემატება და განსაზღვრავს საღვთისმეტყველო საზრისი. შესაბამისად, განხილულია ფაქტებისა და მოვლენების სიმბოლური და ალეგორიული (ტიპოლოგიური) მნიშვნელობა და მათი ბიბლიური პარადიგმები.

ამასთანავე, სახელწიფოებრივი, სოციალურ-ეთნიკური, სარწმუნოებრივი დაპირისპირებებისა თუ სამხედრო ოპერაციების ამსახველი ისტორიები გააზრებულია სარწმუნოებრივი და ეროვნული იდენტობის დაცვისა და შენარჩუნების ჭრილში.

ნაშრომში შესწავლილია ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში არსებული ლიტერატურული ტოპოსები (შაბლონები). ვინაიდან ჰაგიოგრაფიის უმთავრეს იდეურ საფუძველს ბიბლია წარმოადგენს, პერსონაჟთა შინაგანი თუ ფიზიკური ბრძოლის, ისევე როგორც სახელმწიფოთა ეროვნულ-იდეოლოგიური და სარწმუნოებრივი დაპირისპირების მოდელები, ბიბლიურ პარადიგმებს ეფუძნება. აღნიშნული პასაჟები ნაშრომში ძველი და ახალი აღთქმის წიგნებისა და პატრისტიკული განმარტებების საფუძველზეა განხილული.

საკითხები შესწავლილია კულტურული მეხსიერების ჭრილში: გაანალიზებულია ჰაგიოგრაფიაში ფორმულირებული „მტრისა და მოყვრის“, „უცხოსა“ (სხვისა) და „საკუთარის“ (თვისის) მარკერები, ომის, ბრძოლის, კონფლიქტის, სიყვარულისა და ნდობის ნარატიული მოდელები. ნაშრომი იკვლევს უცხო ერებთან (სპარსელებთან, არაბებთან, ბერძნებთან, სომხებთან) ურთიერთობის შუასაუკუნეობრივ მოდელებს, იმ მიზეზებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ეთნიკურ, შიდასარწმუნოებრივ, შიდაკონფესიურ (ქართულ-ბერძნული ურთიერთობები) თუ ინტერკონფესიურ (ქართულ-სომხური ურთიერთობები) შუღლსა და შეუწყნარებლობას. კვლევის ამოცანას წარმოადგენს ძალაუფლების დისკურსის ანალიზი; იკვეთება, თუ როგორ ფუნქციონირებს ეს დისკურსი როგორც კულტურათაშორისი ურთიერთობების დონეზე, ისე შიდასახელმწიფოებრივ, საეკლესიო და დომინანტ სოციალურ სტრუქტურებში. წმ.აბო თბილელისა და წმ. ევსთატათი მცხეთელის წამებათა მაგალითებზე განვიხილავთ, რა მახასიათებლებით ხდებოდა ძალაუფლების დისკურსის საწინააღმდეგო კონტრ-დისკურსის ფორმულირება.

საკვანძო სიტყვები: „ქრისტეს მხედარი“, ბიბლიური პარადიგმები, შინაგანი ბრძოლა, ძალაუფლების დისკურსი, კულტურული მეხსიერება

Manana Nizharadze
Caucasus International University
Georgia, Tbilisi

Trauma, Transnational Memory, and Women's Voices: Interpreting Hybrid Narratives of Political Repression in Post-Soviet Literature

This paper employs a comparative approach to women's narratives of war and political repression in post-Soviet literature. Rather than focusing solely on representation, it highlights the methodological significance of interpretation and transnational analysis. It examines how contemporary literary studies can approach hybrid texts situated between artistic discourse and documentary narrative.

The analysis offers contextual and intercultural perspectives on Svetlana Alexievich's "The Unwomanly Face of War", Oksana Zabuzhko's "Fieldwork in Ukrainian Sex", and the Georgian memoir collection "Lost History: Memory about the Repressed Women, prepared by the Laboratory for the study of the Soviet Past. These texts are examined as hybrid narrative formations functioning simultaneously as literary constructions and archives of historical and cultural memory. The hybridity challenges conventional distinctions between fiction and documentary, as well as between aesthetics and testimony, enabling multifaceted interpretive inquiry.

The theoretical framework draws on trauma and memory studies, feminist literary criticism, and contemporary hermeneutic approaches. Within this perspective, the text is understood not as a closed system of meanings but as a dynamic space in which trauma, memory, and women's voices emerge through multiple perspectives.

Ultimately, the paper argues for a shift from representational approaches toward deeper interpretive and comparative analysis of such narratives, emphasizing the importance of ethical reflection and critical awareness. Reading becomes an interpretive act that shapes the understanding, transmission, and integration of traumatic experiences into cultural memory, particularly within post-Soviet feminist epistemological and historiographical contexts, transnational memory discourses, and critical paradigms.

Keywords: Transnational memory; Post-Soviet literature; Feminist literary criticism; Intercultural analysis; Comparative approach

მანანა ნიჟარაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

ტრავმა, ტრანსნაციონალური მეხსიერება და ქალთა ხმები: ომისა და პოლიტიკური რეპრესიების ჰიბრიდული ნარატივების ინტერპრეტაცია პოსტსაბჭოთა ლიტერატურაში

მოცემული ნაშრომი, პოსტსაბჭოთა ლიტერატურის ფარგლებში ასახული ომისა და პოლიტიკური რეპრესიების წარმომჩენი ქალთა ნარატივების წაკითხვის მიზნით, კომპარატივისტულ მიდგომას იყენებს. ამასთანავე, მხოლოდ რეპრეზენტაციაზე ფოკუსირების ნაცვლად, იგი წამოჭრის ინტერპრეტაციისა და ტრანსნაციონალური ანალიზის მეთოდოლოგიური მნიშვნელობის საკითხს. ნაშრომი განიხილავს, თუ როგორ შეგვიძლია, თანამედროვე ლიტერატურული კვლევების ფონზე, წავიკითხოთ მხატვრული დისკურსისა და დოკუმენტური ნარატივის მიჯნაზე აგებული ჰიბრიდული ტექსტები.

კვლევის ანალიზი მოიცავს სვეტლანა ალექსიევიჩისა („ომს არა აქვს ქალის სახე“) და ოქსანა ზაბუჟკოს („უკრაინული სექსის საველე კვლევები“) ნაწარმოებებისა და საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის მიერ მომზადებული რეპრესირებული საქართველოს მემუარული ლიტერატურის კრებულის („დაკარგული ისტორია: მეხსიერება რეპრესირებული ქალების შესახებ“) კონტექსტუალურ და ინტერკულტურულ საზრისებს. აღნიშნული ტექსტები განიხილება როგორც ჰიბრიდული ნარატივის წარმონაქმნები, რომლებიც ერთდროულად ფუნქციონირებენ როგორც ლიტერატურული კონსტრუქციები და ისტორიულ-კულტურული მეხსიერების არქივები. მათი ჰიბრიდულობა ეჭვქვეშ აყენებს ტრადიციულ საზღვრებს მხატვრულ ლიტერატურასა და დოკუმენტურ თხრობას, ასევე ესთეტიკასა და დოკუმენტალისტიკას შორის და გვთავაზობს მრავალმხრივი ინტერპრეტაციული კვლევისა და ანალიზის შესაძლებლობებს.

თეორიული ჩარჩო ეფუძნება ტრავმისა და მეხსიერების კვლევებს, ფემინისტურ ლიტერატურულ კრიტიკასა და თანამედროვე ჰერმენევტიკულ მიდგომებს. ცენტრალური აქცენტი კეთდება ინტერპრეტაციულ ეთიკასა და მრავალმხრივი კითხვის, ტრანსნაციონალური ანალიზის პრაქტიკაზე. ამ თვალსაზრისით ტექსტი არ განიხილება როგორც მნიშვნელობათა მკაცრად განსაზღვრული და დახურული სისტემა, არამედ აღიქმება როგორც პროცესუალური სივრცე, რომელშიც ტრავმა, მეხსიერება და ქალთა ხმები სხვადასხვა რაკურსით წარმოჩნდება.

საბოლოოდ, ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომი ხაზს უსვამს ასეთ ნარატივებთან ურთიერთობის პროცესში რეპრეზენტაციული მსჯელობიდან სიღრმისეული კითხვისა და მრავალმხრივი ანალიზის პრაქტიკაზე გადასვლის მნიშვნელობას, რაც რეფლექსიისა და ეთიკის პასუხისმგებლობის გაცნობიერების საჭიროებას აღიარებს. ასეთ შემთხვევაში, ნაწარმოების კითხვა გარდაიქმნება ინტერპრეტაციულ აქტად, რომელიც აყალიბებს ტრავმული გამოცდილების გააზრების, გადაცემისა და კულტურულ მეხსიერებაში ინტეგრირების პროცესს, განსაკუთრებით კი პოსტსაბჭოთა ფემინისტური ეპისტემოლოგიური და ისტორიოგრაფიული კონტექსტების, ტრანსნაციონალური მეხსიერების დისკურსებისა და კრიტიკული პარადიგმების გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: ტრანსნაციონალური მეხსიერება; პოსტსაბჭოთა ლიტერატურა; ფემინისტური ლიტერატურული კრიტიკა; ინტერკულტურული ანალიზი; კომპარატივისტული მიდგომა

Ilze Olehnovica
Daugavpils University
Latvia, Daugavpils

War in the Prose of Friedrich Gorenstein

The report is devoted to the exploration of the theme of war in the creative works of Friedrich Gorenstein. In defining the theme, three biographical aspects are important: the author's Jewish origin (Jewish text and the theme of the Holocaust), his connection to Ukraine (the Ukrainian perspective on the events of the war), and the Russian language of his writing (Gorenstein's non-recognition in Russian literature, anti-Soviet ideas, and his unconventional view of World War II). Relying on the structural-semiotic approach, the definition of the "topos of war" is proposed as a cultural model that encompasses both the historically real context and the ontological aspect. The article examines the principles of modelling the topos of war in Gorenstein's creative work. In order to achieve this aim, three main aspects are highlighted: the depiction of the actual events of the war, presented from two perspectives (evacuation and life under occupation, including the Ukrainian viewpoint); recollection of wartime events, narratives of lived and witnessed experiences; the consequences of the war, the postwar period.

Keywords: War, Jewish; Holocaust; literature; military

Gül Mükerrem Öztürk
Receipt Tayyip Erdogan University
Turkey, Rize

The Experience of Meskhetian Turks in Georgian Literary Discourse: Exile, Cultural Memory and Identity

This paper examines how the experience of the Ahiska (Meskhetian) Turks is represented, remembered, and sometimes silenced within Georgian literary discourse through the lenses of exile, cultural memory, and identity. Native to the Meskheti–Javakheti region of southern Georgia, the Ahiska Turks were deported to Central Asia in 1944 by Soviet authorities and have since experienced multiple forms of displacement, making them a significant subject for the study of literary memory.

Drawing on memory studies and exile theory – particularly the works of Halbwachs, Hirsch, Said, and Boym – the study employs close textual analysis of selected Georgian literary texts dealing with exile and displacement. It explores how the lost homeland (vatan) is represented both as a physical place and as an inherited longing transmitted across generations. Particular attention is paid to recurring motifs such as separation from ancestral lands, tensions between belonging and exclusion, and the ambiguous position of the Ahiska Turks within Georgian narratives of nation and homeland.

The paper argues that literary representation not only reflects historical trauma but also shapes competing claims to memory, identity, and place. By examining both voices and silences in Georgian literary texts, the study contributes to broader discussions of minority memory, forced migration, and cultural belonging in the post-Soviet Caucasus. It concludes by reflecting on reconciliation, identity, and the ethics of return in the context of displaced communities.

Keywords: Ahiska Turks, exile, cultural memory, identity, Georgian literature

გიულ მუქერრემ ოზთურქი
რეჯეფ თაიფ ერდოღანის უნივერსიტეტი
თურქეთი, რიზე

მესხი თურქების გამოცდილება ქართულ ლიტერატურულ დისკურსში: გადასახლება, კულტურული მეხსიერება და იდენტობა

ნაშრომი იკვლევს, თუ როგორ არის მესხი თურქების გამოცდილება წარმოდგენილი, დამახსოვრებული ან ზოგჯერ მიჩქმალული ქართულ ლიტერატურულ დისკურსში გადასახლების, კულტურული მეხსიერებისა და იდენტობის პერსპექტივებიდან. სამხრეთ საქართველოს ისტორიულ მესხეთ-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრები მესხი თურქები 1944 წელს საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებით იძულებით გადაასახლეს ცენტრალურ აზიაში. მრავალჯერადი იძულებითი გადაადგილებისა და დაკარგული სამშობლოს გამოცდილება მათ მნიშვნელოვან საკვლევ ობიექტად აქცევს ლიტერატურული მეხსიერების კვლევებისათვის.

მეხსიერების კვლევებისა და გადასახლების თეორიის საფუძველზე, განსაკუთრებით მორის ჰალბვაქსის, მარიან ჰირშის, ედვარდ საიდისა და სვეტლანა ბოიმის ნაშრომებზე დაყრდნობით, კვლევა იყენებს ტექსტის მჭიდრო ანალიზის მეთოდს და განიხილავს გადასახლებასა და იძულებით მიგრაციასთან დაკავშირებულ შერჩეულ ქართულ ლიტერატურულ ტექსტებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმას, თუ როგორ წარმოჩნდება დაკარგული სამშობლო (ვატანი) როგორც კონკრეტული გეოგრაფიული სივრცე და ამავე დროს თაობიდან თაობას გადაცემული

ნოსტალგიური მისწრაფება. კვლევა აანალიზებს ისეთ განმეორებად მოტივებს, როგორებიცაა წინაპართა მიწებთან გაწყვეტილი კავშირი, კუთვნილებისა და გარიყულობის დაძაბულობა, აგრეთვე მესხი თურქების არაერთგვაროვანი ადგილი ქართულ ეროვნულ და კულტურულ ნარატივებში.

ნაშრომი ამტკიცებს, რომ ლიტერატურული რეპრეზენტაცია მხოლოდ ისტორიული ტრავმის ასახვა არ არის; იგი აქტიურად მონაწილეობს მეხსიერების, იდენტობისა და ადგილის შესახებ კონკურენტული წარმოდგენების ფორმირებაში. ამგვარად, კვლევა წვლილს შეიტანს პოსტსაბჭოთა კავკასიაში უმცირესობათა მეხსიერების, იძულებითი მიგრაციისა და კულტურული კუთვნილების შესახებ მიმდინარე აკადემიურ დისკუსიებში და დაასრულებს მსჯელობას შერიგების, იდენტობისა და დაბრუნების ეთიკის საკითხებზე.

საკვანძო სიტყვები: მესხი თურქები; გადასახლება; კულტურული მეხსიერება; იდენტობა; ქართული ლიტერატურა

Salome Pataridze, Tea Talakvadze
Ilia State University
Georgia, Tbilisi

Gendered Signs of Silence in Georgian Literature of the 1990s

Although silence is similar to concealment, it has a social character and enables group members to live together and treat each other with respect. If silence is formed on the basis of conventions such as taboo and trauma, then it may unconsciously become an uncontrolled form of preservation and transmission. Social norms are often so deeply embedded in everyday life that they are not perceived as explicit prohibitions. This silence is so strongly rooted in social conformity that resisting it requires civic courage, as public protest can result in a person losing face or becoming a victim of social persecution. This is how rape cases are covered up within families, for example, while institutions do not pay attention to vulnerable members of society.

In such cases, forgetting takes three forms of silence:

1. The defensive silence of the perpetrator
2. The symptomatic silence of the traumatised victim.
3. The complex silence of society (Aleida Assmann).

If these three forms come together at the same time, the perpetrator will remain hidden until the victim is ready to break their silence. This research focuses on the gender and semantic meaning of forms of silence in Georgian literature from the 1990s. Since 1990s literature in Georgia reveals signs of literature of silence, such as forms of silence between generations (defensive and subversive), silence caused by gender conventions and silence arising from violence and power, this research will reveal the functions and characteristics of silence in 1990s Georgian literature. It will also examine the features and markers of silence revealed by male and female characters of different generations in the selected texts and how their bodies and language reflect signs of silence. The research focuses on the following works: Otar Chiladze's *Avelum*, Archil Kikodze's *Southern Elephant,* Ekaterine Togonidze's *Shin-Shen,* Mariam Gurgenishvili's *Pearls* and Iva Pezuashvili's *Bunker*. The following theoretical frameworks were chosen for the research: Aleida Assmann's 'Forms of Silence', Elaine Showalter's 'Two-Voice Discourse' and Cathy Caruth's 'Performativity of Trauma'.

Keywords: silence, 1990s, gender markers of silence, body, language

სალომე პატარიძე, თეა თალაკვაძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

დუმილის გენდერული ნიშნები 90-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში

დუმილი დაფარვის მსგავსია, მაგრამ მას სოციალური ხასიათი აქვს და ემსახურება იმას, რომ ჯგუფის წევრებს შეაძლებინოს, კვლავ ერთად იცხოვრონ და პატივისცემით მოეპყრონ ერთმანეთს. თუ დუმილი კონვენციების – ტაბუსა და ტრავმის – საფუძველზე წარმოიქმნება, მაშინ შესაძლებელია, იგი არაცნობიერად, კონსერვაციისა და გადაცემის უკონტროლო ფორმად იქცეს. ხშირად სოციალური ნორმები იმდენად ღრმად არის გათავისებული ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომ ექსპლიციტურ აკრძალვად არ აღიქმება. მეტწილად ეს დუმილი ისე ძლიერაა საზოგადოებაში კონფორმიზის სახით ფეხმოკიდებული, რომ წინააღმდეგობის გაწევას სამოქალაქო გამბედაობა სჭირდება, რადგან საჯარო პროტესტმა შეიძლება სახე დააკარგვინოს მოქალაქეს ან სოციალური დევნის მსხვერპლად აქციოს იგი. ასე იფარება ოჯახებში, მაგალითად, გაუპატიურების შემთხვევები, ინსტიტუციებში კი არ უსწორებენ თვალს საზოგადოების სუსტ წევრებს და ა.შ.

დავიწყება ასეთ შემთხვევაში დუმილის სამი ფორმით წარიმართება:

1. დამნაშავის თავდაცვითი დუმილი
2. ტრავმირებული მსხვერპლის სიმპტომატური დუმილი
3. საზოგადოების კომპლექსური დუმილი (Aleida Assmann)

თუ დასახელებული სამი ფორმა ერთდროულად იყრის თავს, დანაშაული ხანგრძლივად და ეფექტურად იჩქმალება, ვიდრე მსხვერპლი არ იქნება მზად იმისთვის, რომ დუმილი დაარღვიოს. წინამდებარე საკვლევ საკითხს წარმოადგენს დუმილის ფორმების გენდერული და სემანტიკური მნიშვნელობა 90-იანი წლების გარდამავლობის ქართულ ლიტერატურაში. ვინაიდან 90-იანი წლების რეფლექსია ქართულ ლიტერატურაში ავლენს დუმილის ლიტერატურის ნიშნებს, კერძოდ, თაობებს შორის გამოვლენილი დუმილის ფორმები (თავდაცვითი, სუბვერსიული), გენდერული კონვენციებით გამოწვეული დუმილი, ძალადობითა და ძალაუფლებით აღმოცენებული დუმილი და სხვა, კვლევის საფუძველზე წარმოჩნდება დუმილის ფუნქციები და მახასიათებლები 90-იანების ქართულ ლიტერატურაში; დუმილის რა თავისებურებებსა და მარკერებს ავლენს შერჩეული საკვლევი ტექსტების სხვადასხვა თაობის მამაკაცი და ქალი პერსონაჟები, როგორ აირეკლავს დუმილის ნიშნებს პერსონაჟთა სხეულები და ენა. კვლევის ობიექტებად შეირჩა ოთარ ჭილაძის *აველუმი,* არჩილ ქიქოძის *სამხრეთული სპილო,* ეკატერინე ტოგონიძის *შინ-შენ,* მარიამ გურგენიშვილის *მარგალიტები* და ივა ფეზუაშვილის *გუნკერი.* კვლევის თეორიულ ჩარჩოდ შეირჩა: ალეიდა ასმანის დუმილის ფორმები, ალედა ასმანის დავიწყების ფორმები, ელეინ შოუვოლთერის ორხმიანი დისკურსი და ქეთი ქარუთის ტრავმის პერფორმაციულობა.

საკვანძო სიტყვები: დუმილი, 90-იანი წლები, დუმილის გენდერული მარკერები, სხეული, ენა

Nino Popiashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Georgia, Tbilisi

The Deheroization of War and Women's Memory: Representations of Human War Experience in Literature and Oral Histories

For centuries, war occupied a central place in literature and culture as a sphere of heroism, patriotism, military glory, and national self-affirmation. In historical chronicles, epic narratives, and literary texts, representations of war were predominantly associated with victory, heroism, and the idealization of military power. However, from the late nineteenth century and especially after the traumatic experience of the First World War, literature, culture, and public thought began to reassess the traditional heroic model of war. The experiences of the Second World War, the Holocaust, mass repressions, and subsequent armed conflicts further intensified the tendency toward the deheroization of war, giving rise to new literary and cultural discourses that emphasize its human, ethical, and psychological dimensions.

The deheroization of war is closely connected to peace literature and anti-war literature, in which war is no longer represented as a romanticized arena of heroism. Instead, such texts reveal the realities of violence, death, trauma, forced displacement, moral crisis, and the erosion of human values. They shift attention from military achievements and political narratives to the experiences of individuals whose lives are profoundly transformed by conflict.

What does war mean for human beings? How is it experienced in everyday life, personal relationships, and emotional memory? How is war preserved in individual and collective remembrance? These questions have become increasingly significant in the contemporary world, where armed conflicts and wars remain an ongoing global reality. Within this context, particular attention has been devoted to women's memory, as women often serve as distinctive witnesses and narrators of war. Their narratives are generally less concerned with military operations and more focused on human experience, family life, loss, survival, care, and the disruption of everyday existence. In women's memory, war is frequently preserved through concrete personal details, emotional experiences, and traumatic recollections, thereby complementing – and at times challenging – official historical narratives.

This paper analyzes the Nobel Prize-winning writer Svetlana Alexievich's book *War's Unwomanly Face* and the volume *War in Women's Memory (Oral Histories of Georgian and Ossetian Women)*, edited by the author. Through a comparative approach, the study examines war from the perspective of women's memory, exploring war as a form of violence, the mechanisms of its deheroization, and the humanistic discourse that foregrounds individual voices, trauma, suffering, and lived experience beyond the framework of official history.

Keywords: deheroization of war, women's memory, war literature, anti-war literature, peace literature, oral history, trauma, humanistic discourse

ნინო პოპიაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

ომის დეჰეროიზაცია და ქალთა მეხსიერება: ომის ადამიანური გამოცდილების რეპრეზენტაცია ლიტერატურასა და ზეპირ ისტორიებში

ომი მხატვრულ ლიტერატურასა და კულტურაში მრავალი საუკუნის განმავლობაში წარმოადგენდა გმირობის, პატრიოტიზმის, სამხედრო დიდებისა და ეროვნული თვითდამკვიდრების სივრცეს. ისტორიულ ქრონიკებში, ეპიკურ და მხატვრულ ტექსტებში ომის ნარატივი, უმეტესწილად, გამარჯვების, ჰეროიზმისა და სამხედრო ძალის გაიდეალებას უკავშირდებოდა. XIX საუკუნის ბოლოდან და, განსაკუთრებით, XX საუკუნის დასაწყისიდან, პირველი მსოფლიო ომის ტრაგიკული გამოცდილების ფონზე, ლიტერატურაში, კულტურასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში იწყება ომის ტრადიციული, ჰეროიკული მოდელის გადაფასება. მეორე მსოფლიო ომის, ჰოლოკოსტის, მასობრივი რეპრესიებისა და შემდგომი შეიარაღებული კონფლიქტების გამოცდილებამ კიდევ უფრო გააძლიერა ომის დეჰეროიზაციის ტენდენცია და წარმოშვა ახალი ლიტერატურული და კულტურული დისკურსი, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ომის ადამიანურ, ეთიკურ და ფსიქოლოგიურ განზომილებებზე.

ომის დეჰეროიზაცია მჭიდროდ უკავშირდება მშვიდობისა და ანტიომის ლიტერატურას, სადაც ომი აღარ აღიქმება როგორც რომანტიზებული გმირობის ასპარეზი. პირიქით, ამგვარი ტექსტები წარმოაჩენს ძალადობის, სიკვდილის, ტრავმის, იძულებითი გადაადგილების, კრიზისისა და ჰუმანური ღირებულებების რღვევის პროცესებს.

რა არის ომი ადამიანისათვის? როგორია მისი ყოველდღიური, პირადი და ემოციური გამოცდილება? როგორ აისახება ომი ინდივიდუალურ და კოლექტიურ მეხსიერებაში? აღნიშნული კითხვები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე სამყაროში, სადაც შეიარაღებული კონფლიქტები და ომები კვლავაც რჩება გლობალურ რეალობად. ამ კონტექსტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქალთა მეხსიერებას, რადგან ქალები ხშირად წარმოადგენენ ომის გამოცდილების განსხვავებულ მოწმეებსა და მთხრობელებს. მათი ნარატივები ნაკლებად არის დაკავშირებული სამხედრო მოქმედებებთან და უფრო მეტად ფოკუსირდება ადამიანის, ოჯახის, ყოველდღიური ცხოვრების, დანაკარგის, გადარჩენისა და ზრუნვის გამოცდილებაზე. ქალთა მეხსიერებაში ომი ხშირად ინახება კონკრეტული ადამიანური დეტალების, ემოციური გამოცდილებისა და ტრავმული მოგონებების სახით, რაც მნიშვნელოვნად ავსებს და ზოგჯერ უპირისპირდება კიდეც ოფიციალურ ისტორიულ ნარატივებს.

მოხსენებაში გავაანალიზებთ ნობელიანტი მწერლის, სვეტლანა ალექსევიჩის წიგნს „ომს არა აქვს ქალის სახე“ და ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნს „ომი ქალის მეხსიერებაში (ქართველი და ოსი ქალების ზეპირი ისტორიები)“. შედარებითი ანალიზის საფუძველზე განვიხილავთ ომის გამოცდილებას ქალთა მეხსიერების პერსპექტივიდან, ომს, როგორც ძალადობას, ომის დეჰეროიზაციის მექანიზმებს, ჰუმანისტურ დისკურსს, რომელიც ომის ოფიციალური ისტორიის მიღმა ადამიანის ხმას, ტრავმას, ტკივილსა და გამოცდილებას წარმოაჩენს.

საკვანძო სიტყვები: ომის დეჰეროიზაცია, ქალთა მეხსიერება, ომის ლიტერატურა, ანტიომის ლიტერატურა, მშვიდობის ლიტერატურა, ზეპირი ისტორია, ტრავმა, ჰუმანისტური დისკურსი

Ana Rakovec
Faculty of Arts
University of Ljubljana
Slovenia, Ljubljana

Hidden Aspects of War in Selected Contemporary Slavic Narratives by Maruša Krese and Slavenka Drakulić

This paper examines the representation of the Balkan wars of the 1990s in four selected Slavic narratives: in the short narrative *All My Wars* (*Vse moje vojne*, 2006) and the novel *Am I Afraid?* (*Da me je strah?*, 2013) by the Slovenian writer Maruša Krese, as well as the novel *As If I Am Not There* (*Kao da me nema*, 1999) and the narrative-essay collection *Balkan Express* (1992) by the Croatian writer Slavenka Drakulić. Drawing on a philosophical and sociological framework informed by theories of the female body as both a symbol and an embodiment of the colonization of culture and the theory of "Balkan otherness," the analysis focuses on the ways in which wartime violence against women – most often inscribed upon their bodies – reflects the structural role of patriarchal domination (MacKinnon 1993, 67). It also considers how the Balkan wars functioned, according to philosopher Slavoj Žižek (1994, 212), as a laboratory where what the West wanted to conceal became visible. The paper further investigates the narrative techniques and storytelling strategies employed by both authors and the purposes these strategies serve. In all four literary works, the depth of human existence is articulated through personal experiences of war, which the authors combine with political engagement and with the incorporation of lyricization and essayization. In doing so, they avoid reductive representations of war and wartime violence. Their narratives begin where official reports end, occupying the space between established facts, critical analysis, and personal testimony.

***Keywords**:* Slovenian literature, Croatian literature, autobiographical narrative, Balkan wars, female body

Shorana Shamanadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

The Reception of War and Exile in the New 'Weltliteratur' "The Book of Exodus" by Irakli Kakabadze and "City of Jasmine Gott ist nicht schüchtern" by Olga Gryaznova

War and exile, often associated with trauma, are among the central themes of the new 'Weltliteratur'. They comprise eyewitness reports, family and community stories, and are connected to flight, loss of homeland, and forced migration.

Both "war and exile" and "escape and expulsion" can be understood as ideas for individual and social behaviors that are expressed in the literature, reflecting the larger framework of discourses regarding communication and cultural memories of war and the post-war era. In order to uncover common patterns of displacement and alienation, the experience of escape and expulsion is frequently connected to ongoing migration experiences.

Two writers of the new Weltliteratur, Olga Gryaznova, a German-speaking writer living in Germany, and Irakli Kakabadze, a Georgian writer living in Turkey, will serve as the basis for our discussion of these topics. "The Book of Exodus," Irakli Kakabadze's latest novel, attempts to view the Russian-Georgian war in Abkhazia from an entirely new angle. An eleven-year-old boy who lives with his grandparents in

the tiny town of Gantiadi serves as the book's narrator. He is the one who tells us a never-ending string of tragic and dramatic tales, yet he is merely an observer and a voice for what others say throughout the book.

Olga Gryaznova, who is married to Syrian actor Ayham Mejid Agha, is originally from Azerbaijan. Olga Gryaznova explores the Syrian civil conflict that has been going on since 2011. Through made-up tales, Gryaznova's novel realistically depicts how violence has become a part of everyday life in Syria. The key characters' personal experiences of humiliation and torture are portrayed in great detail. The author depicts the conflict from the viewpoint of refugees.

The authors' experiences with migration and displacement are similar. Their narratives focus on the impacted individuals and arouse empathy.

Keywords: exile, migration, discourse, reception, new „Weltliteratur“

შორენა შამანაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

ომისა და დევნილობის რეცეფცია ახალ „Weltliteratur“-ში
ირაკლი კაკაბაძის „გამოსვლის წიგნი“ და ოლგა გრიაზნოვას „ღმერთი არაა ხათრიანი“

ომი და დევნილობა ახალ Weltliteratur-ის ერთ-ერთი ცენტრალური თემაა, რომელიც ხშირად ტრავმასთან ასოცირდება. ის უკავშირდება გაქცევას, სამშობლოს დაკარგვას, იძულებით მიგრაციას და მოიცავს თვითმხილველთა ანგარიშებს, საოჯახო და საზოგადოებრივ ისტორიებს.

„ომი და დევნილობა“, ისევე როგორც „გაქცევა და გაძევება“, შეიძლება განიხილებოდეს, როგორც როგორც ცნებები სოციალური და ინდივიდუალური ქცევებისთვის, რომლებიც გადმოცემულია ლიტერატურაში და ასახავს ომისა და ომისშემდგომი პერიოდის კომუნიკაციური და კულტურული მეხსიერებების შესახებ დისკურსების ფართო კონტექსტს. გაქცევისა და გაძევების გამოცდილება ხშირად უკავშირდება მიმდინარე მიგრაციულ გამოცდილებას, რათა გამოვლინდეს ადგილმონაცვლეობისა და გაუცხოების უნივერსალური ნიმუშები.

აღნიშნულ საკითხებს განვიხილავთ ახალი Weltliteratur-ის ორ ავტორის, თურქეთში მოღვაწე ქართველი ავტორის ირაკლი კაკაბაძისა და გერმანიაში მოღვაწე გერმანულენოვანი ავტორის ოლგა გრიაზნოვას ნაწარმოებების მიხედვით. ირაკლი კაკაბაძის „გამოსვლის წიგნი“ აფხაზეთში რუსეთ-საქართველოს ომის სრულიად განსხვავებული მხრიდან დანახვის მცდელობაა. წიგნის მთხრობელი თერთმეტი წლის მოზარდია, რომელიც ბებია-ბაბუასთან დაბა განთიადში იზრდება. დრამატული და ტრაგიკული ამბებს სწორედ ის გვიყვება, მაგრამ რომანში არც ერთგან არ ისმის მისი ხმა – იგი მხოლოდ დამკვირვებელი და სხვათა ნათქვამის გამხმოვანებელია.

ოლგა გრიაზნოვა წარმოშობით აზერბაიჯანიდანაა, დაქორწინებულია სირიელ მსახიობ აიჰამ მეჯიდ აგაზე. ოლგა გრიაზნოვა თავის რომანში განიხილავს სირიაში 2011 წლიდან მიმდინარე სამოქალაქო ომს. გრიაზნოვას რომანი, გამოგონილი ისტორიების მეშვეობით, ასახავს რეალისტურ სურათს იმის შესახებ, თუ როგორ გახდა ძალადობა სირიაში ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი. დამცირება და წამება, რომელსაც მთავარი გმირებიც პირადად განიცდიან, დეტალურად არის აღწერილი. ავტორი ომს ლტოლვილების პერსპექტივიდან ასახავს.

ორივე ავტორს აერთიანებს დევნილობისა და მიგრაციის გამოცდილება. მათი ისტორიები თანაგრძნობას იწვევს და ყურადღებას ამახვილებს დაზარალებულ ადამიანებზე.

საკვანძო სიტყვები: დევნილობა, მიგრაცია, დისკურსი, რეცეფცია, ახალი „Weltliteratur“

Tamar Sharabidze, Tamar Tsitsishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

The Theme of War in 19th Century Georgian Drama

It is difficult to portray the theme of war in drama, especially if this theme includes battle scenes. Nevertheless, the theme of war is quite relevant in 19th century Georgian drama, especially in historical dramas. The reason for this is primarily reflected in the purpose of the theater at that time. The word spoken from the stage should arouse a sense of partisanship in the audience.

In the 19th century, Alexander Orbeliani creates the first historical plays. These are: "David the Builder or the Last Time of Georgia" and "Batonishvili Irakli's First Time or the Dedication of the Georgians". Due to the mass scenes and many actors, they were never staged. The author believed that the plays were intended for reading. Nevertheless, Orbeliani, taking into account the specifics of the genre, depicts mass scenes, conveys them in a third-person narrative. "David the Builder" conveys the idea of a united Caucasus fighting against a common enemy.

The same idea was reflected in Ilia Chavchavadze's dramatic poem "The Mother of Georgia," adapted for the stage, which conveys the inner feelings of a mother for sending her only son to war. The reason for her son's sacrifice for the fatherland is revealed in the son's words: "The entire Caucasus, raging with anger at the enemy, was moved by one opinion, by one feeling." These words are a concrete example of Ilia's national program.

The theme of war is depicted with all its power in Akaki Tsereteli's play "Little Kakhi." Akaki's mastery of stagecraft was also evident in the fact that he did not directly depict the battle, but described it through the mouths of the king and the messengers. King Teimuraz looks at the battlefield through binoculars and tells retinue what he saw with his own eyes; then the messengers inform him of the situation in the war; We learn about the end of the battle from Erekle himself. In this historical play, Akaki unites himself with the painful problems of his contemporaries.

The most popular dramaturgy of the 19th century was Davit Eristavi's "Homeland". Eristavi gave a national character to the liberation struggle against the enemy described in Sardu's "Patrie" and enriched the text with images depicting Georgian public life. The war in the play unfolds with partisan battles described in the dialogues of the actors.

Another play created on the theme of war is Alexander Kazbegi's historical drama "Queen Ketevan". The writer based the work on the drama of the royal court of Kakheti (early 17th century). Kazbegi turns his back on historical facts. His goal is to show the spiritual drama of Konstantin Batonishvili, which could not have been realized in reality. He takes into account all the details of the battle scenes.

თამარ შარაბიძე, თამარ ციციშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

ომის თემატიკა XIX საუკუნის ქართულ დრამატურგიაში

დრამატურგიაში რთულია ომის თემატიკის ასახვა, მით უმეტეს, თუ ეს თემატიკა მოიცავს ბრძოლის სცენებს. მიუხედავად ამისა, XIX საუკუნის ქართულ დრამატურგიაში ომის თემატიკა საკმაოდ აქტუალურია, განსაკუთრებით – ისტორიულ დრამებში. ამის მიზეზი უპირველესად მა-

შინდელი თეატრის დანიშნულებაში ვლინდება. სცენიდან ნათქვამმა სიტყვამ პარტიოტული გრძნობა უნდა გააღვიოს მაყურებელში.

XIX საუკუნეში პირველ ისტორიულ პიესებს ალექსანდრე ორბელიანი ქმნის. ესენია: **„დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ჟამი საქართველოსი“** და **„ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება ქართველებისა“.** მასობრივი სცენებისა და მრავალი მომქმედი პირის გამო ისინი არასდროს დადგმულა. ავტორს მიაჩნდა, რომ პიესები განკუთვნილია წასაკითხად. მიუხედავად ამისა, ორბელიანი ჟანრის სპეციფიკის გათვალისწინებით ასახავს მასობრივ სცენებს, გადმოსცემს მესამე პირის მონათხრობით. „დავით აღმაშენებელში“ გატარებულია ერთიანი კავკასიის ბრძოლის იდეა საერთო მტრის წინააღმდეგ.

იგივე იდეა აისახა ილია ჭავჭავაძის სასცენოდ გადაკეთებულ დრამატულ პოემაში „ქართველის დედა“, რომელშიც გადმოცემული დედის შინაგანი განცდები დედისერთა ვაჟის ომში გაშვების გამო. მამულისათვის შვილის მსხვერპლად გამეტების მიზეზი შვილის სიტყვებში ამოიცნობა: *„მთელი კავკასი, მტერზედ რისხვით აღმომქშინავი, ერთისა აზრით, ერთის გრძნობით აღელვებულა“.* ეს სიტყვები ილიას ეროვნული პროგრამის კონკრეტული გზის ჩვენებაა.

ომის თემატიკა მთელი სიმძფრით იხატება აკაკი წერეთლის პიესაში **„პატარა კახი“.** აკაკის მიერ სასცენო ხელოვნების ფლობა იმაშიც გამოჩნდა, რომ ბრძოლა პირდაპირ კი არ წარმოაჩინა, არამედ აღწერა მეფისა და შიკრიკთა პირით. მეფე თეიმურაზი დურბინდით უყურებს ბრძოლის ველს და ამალასა უამბობს თავისი თვალით დანახულს; შემდეგ შიკრები აცნობენ მას ომის ვითარებას; ბრძოლის დასასრულს კი თავად ერეკლეს მონათხობიდან ვიგებთ. ამ ისტორიულ პიესაში აკაკიმ ერთად მოუყარა თავი თანამედროვეთა მტკივნეულ პრობლემებს.

XIX საუკუნის დრამატურგიაში ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა **დავით ერისთავის „სამშობლო“**. სარდუს „Patrie“-ში აღწერილ მომხდური მტრის წინააღმდეგ გამათავისუფლებელ ბრძოლას ერისთავმა ეროვნული ხასიათი შესძინა და ტექსტი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი სურათებით გაამდიდრა. ომი პიესაში იშლება მოქმედ პირთა დიალოგებში აღწერილი პარტიზანული ბრძოლებით.

კიდევ ერთი ომის თემატიკაზე შექმნილი პიესაა ალექსანდრე ყაზბეგის ისტორიული დრამა **„ქეთევან დედოფალი“**. მწერალმა ნაწარმოები ააგო კახეთის სამეფო კარის დრამაზე (XVII ს. დასაწყისი). ყაზბეგი გვერდს უხვევს ისტორიულ ფაქტებს. მისი მიზანია კონსტანტინე ბატონიშვილის სულიერი დრამის ჩვენება, რაც რეალობაში ვერ განხორციელდებოდა. მას ბრძოლის სცენების ყველა დეტალი აქვს გათვალისწინებული.

Alla Sazhyna
Department of World Literature and Theory of Literature
Yuriy Fedkovych Chernivtsi National University
Ukraine, Chernivtsi

The Theme of War in Media Texts: Case Studies of Micro-poetry and Video Advertisements

Media texts respond swiftly to the challenges of war, combining the powerful resource of the artistic word with visual and emotional content. They become a complex tool for artistic reflection and the visualisation of the war experience.

One of the most vivid and dynamic forms of digital literary creativity is online micro-poetry ('pyrizhky' poetry), which operates on Facebook and Telegram. This genre is characterised by conciseness, a clear formal canon and an entertaining nature. However, the transformation of the genre lies in the shift in

tone from ironic to patriotic and philosophical. Whereas micro-poems were previously seen as a form of entertainment, they have now become a tool for morally condemning the enemy, glorifying defenders, and coming to terms with tragic realities.

Advertising copy has also undergone certain changes, evolving from commercial pragmatism to patriotic video poetry and social documentary. Contemporary Ukrainian video advertising (case studies of DTEK, McDonald's, 'Vodnyi Svit' and 'Darnitsa') appeals to the spiritual needs of the audience, utilising the tools of literary fiction. Intermediality (the synthesis of poetic language, visuals and musical accompaniment) transforms advertising into a form of patriotic video poetry.

Online micro-poetry and patriotic video advertising perform functions in digital media that were previously atypical for them: collective psychotherapy, social consolidation, and the preservation of historical memory. Such texts become a 'mirror of the present', which not only reflects historical shifts but also helps the nation to make sense of them, transforming pain into resilience, and an entertaining or pragmatic message into artistic expression.

Keywords: war, media text, micro-poetry, advertising, Intermediality

Dr Ben Screech
University of Gloucestershire
UK

Of Butterflies and Bombs: Children's Literature and the Ukraine War

This paper examines how contemporary Ukrainian children's literature and illustration respond to the ongoing war, reframing conflict through the lens of childhood, memory, and visual storytelling. In contrast to classical narratives of heroism and sacrifice, recent works for young readers foreground vulnerability, displacement, and the fragmentation of everyday life. They offer not only age-appropriate narratives of war but also complex ethical and emotional frameworks through which children can process trauma.

Focusing on key texts such as *The Yellow Butterfly* by Oleksandr Shatokhin, alongside works by authors and illustrators including Romana Romanyshyn and Andriy Lesiv, this paper argues that Ukrainian children's literature constructs war not as spectacle but as rupture – of home, language, and psychological continuity. Through minimalist text, symbolic imagery, and the strategic use of absence and silence, these works articulate experiences of fear, loss, and resilience while resisting graphic representation.

Drawing on trauma theory, area and childhood studies, the paper explores how these texts negotiate the tension between protection and exposure: how much of war can – or should – be told to children? It also considers the role of illustration as a transnational language that enables these stories to circulate globally, positioning Ukrainian children's literature as a crucial site of cultural memory and soft resistance.

Ultimately, this paper suggests that contemporary Ukrainian children's books redefine war and peace as lived, intimate conditions rather than abstract geopolitical concepts. By centering children's perspectives, they contribute to broader cultural efforts to document trauma, foster empathy, and imagine futures beyond violence – aligning closely with the conference's concern for the ethical and existential dimensions of conflict in contemporary culture.

Ketevan Sikharulidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

The War of the Gods as a Necessary Stage in the Establishment of Cosmic Order

This paper examines narratives of divine conflict in the mythologies of the peoples of the Caucasus within the broader context of world mythology. It aims to identify typological parallels and explore war as a mythological mechanism for establishing cosmic and social order.

The study employs comparative-historical, structural-typological, and mytho-religious approaches. Its theoretical framework is based on the works of M. Eliade, G. Dumézil, and B. Lincoln, who interpret divine warfare as a model legitimizing both cosmic and social order.

Particular attention is paid to the succession of divine generations, struggles for power among deities, the relationship between war and cosmogony, the punishment and binding of defeated gods, and the role of battles between divine beings and demonic forces in the Caucasian mythological system. Special emphasis is placed on the participation of humans in divine warfare, a distinctive feature of Caucasian traditions.

The mythologies of the Caucasus preserve archaic patterns of divine confrontation that are functionally comparable to the mythological data of other peoples worldwide. In these narratives, war is not merely a conflict between opposing forces but a necessary condition for the renewal of the world and the establishment of a new sacred order.

The study argues that myths of divine warfare represent a universal mythological model reflecting the transition from chaos to cosmos and from an old order to a new one. Comparative analysis demonstrates that Caucasian traditions form an integral part of this broader mythological heritage while preserving the unique motif of human participation in divine conflict.

ქეთევან სიხარულიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

ღვთაებათა ომი როგორც კოსმოგონიური წესრიგის დამყარების აუცილებელი ეტაპი

ნაშრომის მიზანია კავკასიის ხალხთა მითოლოგიაში ღვთაებათა დაპირისპირების სიუჟეტების შესწავლა მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიის კონტექსტში, მათი ტიპოლოგიური პარალელების გამოვლენა და ომის, როგორც კოსმოსური და სოციალური წესრიგის დამყარების მექანიზმის, გააზრება.

კვლევა ეფუძნება შედარებით-ისტორიულ, სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ და მითორელიგიურ ანალიზს, ხოლო თეორიულ საფუძველს წარმოადგენს მ. ელიადეს, ჟ. დიუმეზილის, ბ. ლინკოლნის ნაშრომები, რომელთა მიხედვით, ღვთაებათა ომი წარმოადგენს სოციალური წესრიგისა და კოსმოსის ლეგიტიმაციის მითოლოგიურ მოდელს. ამ კონტექსტშია განხილული კავკასიური მითოლოგიის საკითხები, კერძოდ, ღვთაებათა თაობების ცვლა და ძალაუფლებისათვის ბრძოლა, ომის კავშირი კოსმოგონიასთან და ახალი წესრიგის დამყარებასთან, დამარცხებული ღვთაებების დასჯისა და მიჯაჭვის მოტივი, ღვთისშვილებისა და დევ-კერპების ბრძოლის ადგილი კავკასიურ

მითოლოგიურ სისტემაში, ადამიანების მონაწილეობა ღვთაებრივ ომში, როგორც კავკასიური ტრადიციის თავისებურება.

კავკასიის ხალხთა მითოლოგიაში დაცულია ღვთაებათა დაპირისპირების არქაული მოდელები, რომლებიც ფუნქციურად ახლოს დგას ბერძნულ ტიტანომახიასთან, ბაბილონურ კოსმოგონიურ ბრძოლებთან და სკანდინავიურ ღვთაებრივ ომებთან. ამ სიუჟეტებში ომი წარმოადგენს არა მხოლოდ ძალთა შეჯახებას, არამედ სამყაროს განახლებისა და ახალი საკრალური წესრიგის დამყარების აუცილებელ პირობას.

ღვთაებათა ომის შესახებ მითები უნივერსალური მითოლოგიური მოდელის გამოხატულებაა, რომელიც ასახავს ქაოსიდან კოსმოსისკენ, ძველი წესრიგიდან ახალი წესრიგისკენ გადასვლის პროცესს. კავკასიური გადმოცემები ამ ტრადიციის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და ინახავს უძველეს წარმოდგენებს ღვთაებრივი ძალაუფლების, კოსმოსური ბრძოლისა და რელიგიური ტრანსფორმაციის შესახებ. მათი შედარებითი ანალიზი ადასტურებს, რომ კავკასიური მასალა ორგანულად ერთვება მსოფლიო მითოლოგიის საერთო სისტემაში და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ღვთაებრივ ომში ადამიანთა მონაწილეობის უნიკალური მოტივის გამო.

Natia Sikharulidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

The Ttheme of War and Peace in Galaktion Tabidze's Poetic Reception

In Galaktion Tabidze's works, the theme of war and peace emerges as a complex and multilayered artistic and historical experience. The First World War pushed his poetic vision toward an apocalyptic sense of tragedy, where war is perceived as the collapse of civilization and a global catastrophe; the struggle to preserve Georgia's independence and the tragedy of the 1924 uprising added a dimension of national resistance and historical memory to this perception; while in the "pacifism" of the 1930s, the issue of war and peace was interpreted within an ideological framework, understood as a particular direction of the historical process. Across these stages, the poet's worldview gradually takes shape, according to which war and peace are no longer merely political events, but a profound conflict within human existence and history.

When examining the theme of war and peace, Galaktion's 1941–1945 lyrical works are of particular importance, where the subject develops within the Soviet ideological framework yet fundamentally transcends the typical propagandistic model, acquiring multilayered artistic and philosophical depth. War is presented as both a historical and existential catastrophe that disrupts the natural, human, and cultural order; its onset is conveyed through everyday and emotional tragedy, marked by the disappearance of natural harmony and an inner sense of rupture.

Unlike ideologically driven Soviet texts, which are largely based on the ideas of collective victory and abstract patriotism, Galaktion connects war to Georgia's historical memory – the figures of King Erekle II, Giorgi Saakadze, and the 300 Aragvians — thereby transforming struggle into a national experience. At the same time, cultural heritage, Rustaveli's word, and national symbols become a spiritual foundation in his poetry, transcending ideological constraints. Thus, his perception of war differs from typical Soviet propaganda and constructs a national and universal artistic vision.

The theme of war and peace further enriches Galaktion Tabidze's unique poetic world, adding historical, ethical, and emotional nuances to his multidimensional artistic creation and enhancing its universal humanistic significance, depth, and scope.

Keywords: Galaktion Tabidze, war, theme of peace, Georgian poetry, independence

ნათია სიხარულიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

ომისა და მშვიდობის თემა გალაკტიონ ტაბიძის პოეტურ რეცეფციაში

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში ომისა და მშვიდობის თემა რთულ და მრავალწახნაგოვან მხატვრულ-ისტორიულ გამოცდილებად წარმოჩინდება. პირველმა მსოფლიო ომმა მისი პოეტური ხედვა აპოკალიფსურ ტრაგიზმამდე მიიყვანა, სადაც ომი აღიქმება როგორც ცივილიზაციის რღვევა და სამყაროული კატასტროფა; საქართველოს დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად ბრძოლამ და 1924 წლის აჯანყების ტრაგედიამ ამ განცდას ეროვნული წინააღმდეგობისა და ისტორიული მეხსიერების ელფერი შესძინა; ხოლო 1930-იანი წლების „პაციფიზმში" ომისა და მშვიდობის საკითხი იდეოლოგიურ ჭრილში აღმოჩნდა გააზრებული, როგორც ისტორიული პროცესის გარკვეული მიმართულება. ამ ეტაპებზე პარალელურად, ყალიბდება პოეტის ხედვა, რომლის მიხედვითაც, ომი და მშვიდობა აღარ არის მხოლოდ პოლიტიკური მოვლენები, არამედ – ადამიანის არსებობისა და ისტორიის ღრმა კონფლიქტი.

ომისა და მშვიდობის თემაზე დასაკვირვებლად, ბუნებრივია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გალაკტიონის 1941-1945 წლების ლირიკა, სადაც ეს თემები საბჭოთა იდეოლოგიური ჩარჩოს ფარგლებში ვითარდება, თუმცა სცდება ტიპურ პროპაგანდისტულ მოდელს და იძენს მრავალშრიან მხატვრულ-ფილოსოფიურ სიღრმეს. ომი წარმოჩნდება როგორც ისტორიული და ეგზისტენციალური კატასტროფა, რომელიც არღვევს ბუნებრივ და ადამიანურ წესრიგს; მისი დასაწყისი კი გადმოცემულია ყოფითი და ემოციური ტრაგიზმით, ბუნების სიმშვიდის გაქრობისა და შინაგანი რღვევის ფონზე.

განსხვავებით იდეოლოგიზებულ ავტორთა საბჭოთა ტექსტებისგან, რომლებიც, ძირითადად, ეფუძნება კოლექტიური გამარჯვებისა და აბსტრაქტული პატრიოტიზმის იდეას, გალაკტიონი ომს უკავშირებს საქართველოს ისტორიულ მეხსიერებას – მეფე ერეკლეს, გიორგი საakაძისა და 300 არაგველის სახეებს – რითაც ბრძოლას ეროვნულ გამოცდილებად აქცევს. ამასთან, კულტურული მემკვიდრეობა, რუსთაველის სიტყვა და ეროვნული სიმბოლიკა, მის პოეზიაში იქცევა სულიერ საყრდენად, რომელიც სცდება იდეოლოგიურ ჩარჩოებს. ომის რეცეფცია გალაკტიონ ტაბიძესთან განსხვავდება ტიპური საბჭოთა პროპაგანდისგან და ქმნის ეროვნულ და უნივერსალურ მხატვრულ ხედვას.

ომისა და მშვიდობის თემა კიდევ უფრო ამრავალფეროვნებს გალაკტიონ ტაბიძის უნიკალურ პოეტურ სამყაროს, ისტორიულ, ეთიკურ და ემოციურ შტრიხებს ჰმატებს მრავალგანზომილებიანობიან მხატვრულ შემოქმედებას და აძლიერებს მის უნივერსალურ ჰუმანისტურ მნიშვნელობას, სიღრმესა და მასშტაბს.

საკვანძო სიტყვები: გალაკტიონ ტაბიძე, ომი, მშვიდობის თემა, ქართული პოეზია, დამოუკიდებლობა

Mari Simonishvili
School-Lyceum "Mtsignobartukhutsesi"
Georgia, Tbilisi

Biographical Context as the Basis of the Story – Givi Margvelashvili's "Captain Vakushi"

According to Marcus Aurelius' "Thoughts", the essence of a person is created not by external factors, but by the values to which he subjects himself. This is clearly confirmed by the life and work of Givi Margvelashvili. He creates a hierarchy of values, the basis of which is the character of Kantian maxims, his heroes act according to the maxim that they would like to be universal; the writer's artistic imagination creates a cult of infinity, and in his prose each of us becomes a participant in stories different from everyone else.

In this work, we want to focus on his autobiographical text, "Captain Vakush." Let's see it from an ontological prism and talk about its metaphorical-semantic features.

"Captain Vakush" is a text written in the early period of Givi Margvelashvili's work. It is autobiographical in nature and represents the genre of a historical novel. The writer tells us about the period when Western culture, with a number of peculiarities, penetrated the Nazi life and what the reality of that time was like seen through the eyes of an emigrant. Obviously, Margvelashvili's style of play is preserved in this text as well, and the author often conveys his message grotesquely, with a kind of cynicism and allegory, and with metaphorical caricatures. The excursion of the novel is led by a teenager Givi Margvelashvili, the principle of historicism is preserved, a real basis is found for the facts, what actually happened is conveyed ironically, and the face of totalitarian regimes is identified with metaphorical subtexts.

Keywords: Givi Margvelashvili, "Captain Vakush," totalitarianism, historical novel

მარი სიმონიშვილი
სკოლა-ლიცეუმი „მწიგნობართუხუცესი“
საქართველო, თბილისი

ბიოგრაფიული კონტექსტი, როგორც სიუჟეტის საფუძველი – გივი მარგველაშვილის „კაპიტანი ვაკუში“

მარკუს ავრელიუსის „ფიქრების“ მიხედვით, ადამიანის არსს ქმნის არა გარეგანი ფაქტორები, არამედ ის ღირებულებები, რომლებსაც იგი უქვემდებარებს საკუთარ თავს. აღნიშნული კი გივი მარგველაშვილის ცხოვრებითა და შემოქმედებით ცხადად დასტურდება. ის ქმნის ღირებულებათა იმგვარ იერარქიას, რომელსაც კანტისეული მაქსიმების ხასიათი უდევს საფუძვლად, მისი გმირები იქცევიან იმ მაქსიმის მიხედვით, რომელსაც ისურვებდნენ, რომ ყოფილიყო საყოველთაო ხასიათის; მწერლის მხატვრული წარმოსახვა უსაზღვროების კულტს ქმნის და მის პროზაში ყველასგან განსხვავებული ამბების თანამონაწილე ხდება თითოეული ჩვენგანი.

წინამდებარე ნაშრომში ყურადღება გვინდა გავამახვილოთ მის ავტობიოგრაფიულ ტექსტზე, „კაპიტან ვაკუშზე“. დავინახოთ ის ონტოლოგიური პრიზმიდან და ვისაუბროთ მის მეტაფორულ-სემანტიკურ თავისებურებებზე.

„კაპიტანი ვაკუში“ გივი მარგველაშვილის შემოქმედების ადრეულ პერიოდში შემქნილი ტექსტია, იგი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა და ისტორიული რომანის ჟანრს წარმოადგენს. მწერალი გვიყვება იმ პერიოდზე, თუ როგორ იჭრება დასავლური კულტურა რიგი თავისებურებებით

ნაცისტურ ყოფაში და როგორია ემიგრანტის თვალით დანახული იმჟამინდელი რეალობა. ცხადია, მარგველაშვილისეული თამაშის სტილი ამ ტექსტშიც დაცულია და ავტორი ხშირად გროტესკულად, ერთგვარი ცინიზმითა და ალეგორიით, მეტაფორული შარჟებით გადმოგვცემს სათქმელს. რომანის ექსკურსს მოზარდი გივი მარგველაშვილი უძღვება, ისტორიზმის პრინციპი დაცულია, ფაქტებს რეალური სარჩული მოეძებნება, რეალურად მომხდარი ირონიულად გადმოიცემა და ტოტალიტარული რეჟიმების სახე მეტაფორული ქვეტექსტებით ამოიცნობა.

საკვანძო სიტყვები: გივი მარგველაშვილი, „კაპიტანი ვაკუში“, ტოტალიტარიზმი, ისტორიული რომანი

Marine Sioridze
Batumi Shota Rustaveli State University
Georgia, Batumi

Narrative Construction of the Post-War Existential Crisis in European and Georgian Literature: Representations of Trauma, Memory and Identity

For a long time, war in literature was perceived as a historical event and a means of portraying heroism, sacrifice and national ideals. However, the world wars of the twentieth century and the military conflicts of the twenty-first century brought about a significant transformation of this perspective. In contemporary literary discourse, the focus has shifted from war itself to its aftermath-traumatic memory, the internal disintegration of the individual, the crisis of values and the loss of identity.

The aim of this study is to examine how the post-war existential crisis is constructed in European and Georgian literature and to identify the narrative strategies through which trauma, memory and identity are represented.

The European section of the research analyzes the works of Marguerite Duras, Albert Camus, Günter Grass, Kurt Vonnegut and others, whose texts portray the post-war individual as a victim of historical violence, no longer able to maintain a stable connection either with the past or with social reality. In these works, trauma is often manifested through fragmented narration, discontinuities of memory, silence and repetitive narrative patterns. The characters exist in conditions of alienation, guilt and moral emptiness, which emerge as defining existential characteristics of the post-war era.

The Georgian section focuses on the works of Nodar Dumbadze, Otar Chiladze, Guram Dochanashvili, Goderdzi Chokheli as well as contemporary Georgian authors. The analysis demonstrates that in Georgian literature the post-war crisis is not represented solely as an individual trauma, rather, it is closely connected to issues of national memory, historical identity and cultural self-awareness. Particularly significant are the narratives that emerged after the conflicts in Abkhazia and the Russo-Georgian War, where themes of homeland loss, forced displacement and traumatic memory occupy a central position.

It can be argued that post-war literature functions as a repository of cultural memory and as a mechanism for understanding trauma. Is not only reflects existential crisis but also creates narrative forms through which trauma can be processed, identity reconstructed and new social and cultural realities envisioned. Thus, post-war narratives constitute not merely aesthetic representations of historical experience but also profound reflections on human existence, memory and selfhood.

Keywords: war, crisis, trauma, memory, identity, reintegration, representation

მარინე სიორიძე
შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ბათუმი

ომის შემდგომი ეგზისტენციალური კრიზისის ნარატიული კონსტრუქცია ევროპულ და ქართულ ლიტერატურაში: ტრავმის, მეხსიერებისა და იდენტობის რეპრეზენტაცია

ომი ლიტერატურაში დიდი ხნის განმავლობაში აღიქმებოდა როგორც ისტორიული მოვლენა, გმირობის, მსხვერპლისა და ეროვნული იდეალების წარმოჩენის საშუალება, თუმცა XX საუკუნის მსოფლიო ომებმა და XXI საუკუნის სამხედრო კონფლიქტებმა ამ ხედვის არსებითი ტრანსფორმაცია გამოიწვია. თანამედროვე ლიტერატურულ დისკურსში ყურადღების ცენტრში მოექცა არა თავად ომი, არამედ მისი შემდგომი შედეგები – ტრავმული მეხსიერება, ადამიანის შინაგანი დეზინტეგრაცია, ღირებულებათა კრიზისი და იდენტობის დაკარგვის განცდა.

წინამდებარე კვლევის მიზანია, გამოავლინოს, როგორ კონსტრუირდება ომის შემდგომი ეგზისტენციალური კრიზისი ევროპულ და ქართულ ლიტერატურაში და რა ნარატიული სტრატეგიებით ხდება ტრავმის, მეხსიერებისა და იდენტობის რეპრეზენტაცია.

ევროპული ლიტერატურის ნაწილში გაანალიზებულია მარგერიტ დიურასის, ალბერ კამიუს, გიუნტერ გრასის, კურტ ვონეგუტის და სხვათა ტექსტები, რომლებშიც ომისშემდგომი ადამიანი წარმოდგენილია როგორც ისტორიული ძალადობის მსხვერპლი, რომელსაც აღარ აქვს სტაბილური კავშირი არც საკუთარ წარსულთან და არც სოციალურ რეალობასთან. აღნიშნულ ნაწარმოებებში ტრავმა ხშირად ვლინდება ფრაგმენტული თხრობის, მეხსიერების წყვეტილობის, დუმილისა და განმეორებითი ნარატიული მოდელების მეშვეობით. პერსონაჟები არსებობენ გაუცხოების, დანაშაულის განცდისა და ღირებულებითი სიცარიელის პირობებში, რაც ომისშემდგომი ეპოქის ერთ-ერთ მთავარ ეგზისტენციალურ მახასიათებლად წარმოჩნდება.

ქართული ლიტერატურის ნაწილში კვლევის ობიექტს წარმოადგენს ნოდარ დუმაძის, ოთარ ჭილაძის, გურამ დოჩანაშვილის, გოდერძი ჩოხელის, ასევე სხვა ავტორთა ტექსტები. მათი შემოქმედების ანალიზი ცხადყოფს, რომ ქართულ ლიტერატურაში ომის შემდგომი კრიზისი მხოლოდ ინდივიდუალური ტრავმის სახით არ ვლინდება; იგი მჭიდროდ უკავშირდება ეროვნული მეხსიერების, ისტორიული იდენტობისა და კულტურული თვითშეგნების პრობლემებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აფხაზეთისა და აგვისტოს ომების შემდგომი ნარატივები, სადაც სამშობლოს დაკარგვის, იძულებითი გადაადგილებისა და მეხსიერების ტრავმული გამოცდილების თემები ცენტრალურ ადგილს იკავებს.

შეიძლება ითქვას, რომ ომის შემდგომი ლიტერატურა ფუნქციონირებს როგორც კულტურული მეხსიერების მატარებელი და ტრავმის გააზრების მექანიზმი. იგი არა მხოლოდ ასახავს ეგზისტენციალურ კრიზისს, არამედ ქმნის იმ ნარატიულ ფორმებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება ტრავმის გადამუშავება, იდენტობის რეკონსტრუქცია და ახალი სოციალური თუ კულტურული რეალობის კონსტრუირება. ამგვარად, ომის შემდგომი ნარატივები წარმოადგენენ არა მხოლოდ ისტორიული გამოცდილების ესთეტიკურ რეპრეზენტაციას, არამედ ადამიანის არსებობის, მეხსიერებისა და თვითიდენტობის შესახებ ფუნდამენტურ რეფლექსიას.

საკვანძო სიტყვები: ომი, კრიზისი, ტრავმა, მეხსიერება, იდენტობა, რეინტეგრაცია, რეპრეზენტაცია

Hayate Sotome
University of Tsukuba
Japan, Tsukuba

The Theme of the Road in Aleksandre Qazbegi's *Elguja*

Aleksandre Qazbegi's works depict tragic heroes, who fall victim to Russian imperial rule, which distinguishes his works significantly from that of his contemporary, the mountain poet Vazha-Pshavela. This contrast raises a question: what conditions produced the different between these two writers? This paper examines a hypothesis that the very existence – or absence – of the *road* shaped the difference between them.

In Khevi region, where Aleksandre Qazbegi was born and raised and which later became the main setting of his works, the so-called *Georgian Military Road* runs. The road has served an important function connecting Russia and the South Caucasus, up to the present. It constituted the infrastructural and material foundation of Russian imperial rule. The inhabitants of the villages and regions through which the road passed were compelled to participate in its construction and maintenance under harsh and sometimes fatal conditions. Qazbegi's novel *Elguja* explicitly mentions that local Mokhevians became victims of the road construction.

At the same time, Georgian Military Highway is imagined as a literary topos. As Mikhail Bakhtin argues, the road functions as a chronotope of encounter in the 19th-century novel – a space where people of different ethnicities, religions, ages, and social classes meet and where plots of novels unfold. 19th-century Russian and Geogian writers, including Alexander Pushkin, Mikhail Lermontov, Grigol Orbeliani, and Ilia Chavchavadze, traveled between the center of the Russian Empire and its peripheries, e.g. the South Caucasus, and later used their experiences as their literary sources. In Qazbegi's works, however, the road is represented not as a the chronotope of encounter described by Bakhtin, but rather as a space occupied and controlled by the Russian imperial order and Cossacks and Georgians who collaborate with it. This is exactly why Qazbegi's protagonists, who resist Russian imperial rule, cannot freely move through the road. From this perspective, it can be said that the road in Qazbegis's novels emerges both esthetically and materially as the space of imperial experiences.

Keywords: Aleksandre Qazbegi, Elguna, Chronotope, Road, Georgian Military Road

Vladislav Surkov
A. M. Gorky Institute of World Literature of the Russian Academy of Sciences
Russian Federation, Moscow

War and Violence in Göran Sonnevi's Poetics of Light and Darkness: *Sequences Against Omega*

In the poetry of the Swedish poet Göran Sonnevi (born 1939), the motifs of war and violence are combined with associative logic and philosophical depth. Both his early and contemporary works represent the destructiveness of war by contrasting it with depictions of peace. In his 2017 collection *Sequences against Omega*, Sonnevi adopts a stream-of-consciousness approach. In the book, war and violence exist alongside opposing images of everyday life and the natural world. This opposition is a key feature of Sonnevi's poetics, and it belong to his broader antithesis of light and darkness. For Sonnevi, neither light nor

darkness has positive or negative connotations; indeed, he frequently presents war using the imagery of light. For example, light can be associated with the image of fire. In terms of structure, the collection contains both long and detailed poetry referencing historical events, and short poems containing philosophical generalizations. Only the long poems reference wars and violence, with their complicated structure reflecting the emotional weight of Sonnevi's thoughts on suffering caused by military conflicts. Thus, different oppositions of light and darkness constitute a unique artistic world that combines mythology, cosmology, mathematical logic and the author's personal experience, while the motifs of violence and references to wars contribute to an atmosphere of disharmony and existential dissonance.

Key words: Swedish literature, Sonnevi, lyrical poetry, war, poetics

Nino Surmava
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Georgia, Tbilisi

Narratives of Peace Between Two Worlds: The Literary Legacy of Ameen Rihani

In a contemporary world marked by growing cultural polarization and geopolitical conflicts, finding effective pathways to global peace remains a critical challenge. While traditional approaches to peacebuilding rely primarily on political and military treaties, the purpose of this paper is to demonstrate that literature serves as a powerful and enduring tool for intercultural reconciliation. At the center of this study is Ameen Rihani (1876–1940), the founding father of Arab-American Mahjar (emigrant) Literature, whose life and work became a living bridge between disparate civilizations. Emigrating from Lebanon to New York at the age of twelve, Rihani experienced firsthand the challenges of living between two worlds, a personal journey that deeply shaped his profound philosophical vision.

This paper examines how Rihani utilized his literary corpus—including his monumental English novel *The Book of Khalid* (1911) and his celebrated Arabic essay collection *The Rihaniyyat*—to dismantle the harmful stereotype of a "Clash of Civilizations." Instead of viewing the East and the West as natural enemies, Rihani advocated for a harmonious synthesis, suggesting that true global progress requires the unification of Western scientific rationalism and Eastern spiritual depth. The study explores his critique of both societies, highlighting his condemnation of Western material greed and Eastern religious fanaticism.

Furthermore, it reflects on Rihani's practical peace diplomacy, showing that his poetic call for tolerance was mirrored in his historical efforts to mediate conflicts and engage with global leaders. Rihani viewed his era (the early twentieth century and the period of the First World War) as a form of global dystopia, whereas the formula for global peace he proposed was, in essence, a positive utopia. Rihani's ideal world is a space where Western science, technology, and democracy merge with Eastern spirituality, mysticism, and humanism. This represents a utopian model wherein civilizations do not destroy one another, but rather compensate for each other's deficiencies. Ultimately, the paper concludes that Rihani's cultural legacy offers a timeless methodology for modern peace studies, demonstrating that lasting security is built not through division, but through cultural empathy and mutual understanding.

Keywords: Ameen Rihani, Literature and Peace, Intercultural Reconciliation, East-West Dialogue, Cultural Empathy

ნინო სურმავა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

მშვიდობის ნარატივები ორ სამყაროს შორის: ამინ არ-რეიჰანის ლიტერატურული მემკვიდრეობა

თანამედროვე სამყაროში, რომელიც მზარდი კულტურული პოლარიზაციითა და გეოპოლიტიკური კონფლიქტებით ხასიათდება, გლობალური მშვიდობისკენ მიმავალი ეფექტური გზების ძიება უმთავრეს გამოწვევად რჩება. მაშინ როდესაც მშვიდობისმყოფელობის ტრადიციული მიდგომები ძირითადად პოლიტიკურ და სამხედრო ხელშეკრულებებს ეყრდნობა, წინამდებარე ნაშრომის მიზანია აჩვენოს, რომ ლიტერატურა წარმოადგენს მძლავრ და გრძელვადიან იარაღს კულტურათაშორისი შერიგებისთვის. ამ კვლევის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს ამინ არ-რეიჰანი (1876-1940) – არაბულ-ამერიკული მაჰჯარის (საემიგრაციო) ლიტერატურის მამამთავარი, რომლის ცხოვრებაც და შემოქმედებაც იქცა ცოცხალ ხიდად რადიკალურად განსხვავებულ ცივილიზაციებს შორის. თორმეტი წლის ასაკში ლიბანიდან ნიუ-იორკში ემიგრირებულმა რეიჰანმა საკუთარ თავზე გამოსცადა ორ სამყაროს შორის ცხოვრების სირთულეები, რამაც ჩამოაყალიბა მისი ღრმა ფილოსოფიური ხედვა.

ნაშრომი იკვლევს, თუ როგორ იყენებდა რეიჰანი თავის ლიტერატურულ მემკვიდრეობას – მათ შორის მის მონუმენტურ ინგლისურენოვან რომანს „ხალიდის წიგნი“ (*The Book of Khalid*, 1911) და ცნობილი არაბული ესეების კრებულს „რეიჰანიათი“ (*The Rihaniyyat*) – „ცივილიზაციათა შეჯახების“ დამაზიანებელი სტერეოტიპის დასამსხვრევად. ნაცვლად იმისა, რომ აღმოსავლეთი და დასავლეთი ბუნებრივ მტრებად განეხილა, რეიჰანი მხარს უჭერდა მათ ჰარმონიულ სინთეზს; იგი მიიჩნევდა, რომ ნამდვილი გლობალური პროგრესი მოითხოვს დასავლური მეცნიერული რაციონალიზმისა და აღმოსავლური სულიერი სიღრმის გაერთიანებას. კვლევაში გაანალიზებულია მისი კრიტიკული ხედვა ორივე საზოგადოების მიმართ, სადაც იგი გმობს დასავლურ მატერიალურ სიხარბესა და აღმოსავლურ რელიგიურ ფანატიზმს.

გარდა ამისა, ნაშრომი ეხება რეიჰანის პრაქტიკულ სამშვიდობო დიპლომატიას და აჩვენებს, რომ ტოლერანტობისკენ მისი პოეტური მოწოდება პირდაპირ აისახებოდა მის ისტორიულ მცდელობებში – ყოფილიყო შუამავალი კონფლიქტებში და ეწარმოებინა დიალოგი მსოფლიო ლიდერებთან. რეიჰანი თავის ეპოქას (მეოცე საუკუნის დასაწყისს, პირველი მსოფლიო ომის პერიოდს) ხედავდა როგორც ერთგვარ მსოფლიო დისტოპიას, ხოლო მის მიერ შემოთავაზებული გლობალური მშვიდობის ფორმულა თავისი არსით პოზიტიური უტოპიაა. რეიჰანის იდეალური სამყარო არის სივრცე, სადაც დასავლური მეცნიერება, ტექნოლოგია და დემოკრატია ერწყმის აღმოსავლურ სულიერებას, მისტიციზმსა და ჰუმანიზმს. ეს არის უტოპიური მოდელი, სადაც ცივილიზაციები ერთმანეთს კი არ ანადგურებენ, არამედ აკომპენსირებენ ერთმანეთის ნაკლოვანებებს. საბოლოოდ, ნაშრომი ასკვნის, რომ რეიჰანის კულტურული მემკვიდრეობა მშვიდობის თანამედროვე კვლევებისთვის გვთავაზობს მარადიულ მეთოდოლოგიას, რომელიც ადასტურებს, რომ მყარი უსაფრთხოება შენდება არა დაპირისპირებით, არამედ კულტურული ემპათიითა და ურთიერთგაგებით.

საკვანძო სიტყვები: ამინ არ-რეიჰანი, ლიტერატურა და მშვიდობა, კულტურათაშორისი შერიგება, აღმოსავლეთ-დასავლეთის დიალოგი, კულტურული ემპათია.

Maka Susareishvili
Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

Traumatic Memory and the Erosion of Moral Identity in Hakan Günday's Novel "Daha" (More)

Hakan Günday's novel Daha (More) stands as one of the most prominent works of contemporary Turkish prose. Within it, one of the most acute social dilemmas of the twenty-first century—migration and human trafficking – is transformed into a large-scale analysis of a universal moral crisis. The central axis of the work rests upon a fundamental existential question: to what extent is it possible to preserve one's moral identity when violence assumes a systemic and hereditary character? The destiny of the protagonist, Gaza, is shaped at the intersection of the ancestral burden of inherited sins, domestic violence, and a dehumanized social environment. Traumatic memory does not function within the novel merely as a reflection on the past; rather, it serves as an active mechanism for the reproduction of violence, stripping the character of autonomous moral choice. Individual trauma does not remain confined to the level of personal pain; instead, it gradually permeates all strata of society, acquiring the symbolic weight of a collective social collapse.

The borderland space of violence and smuggling emerges in the novel as a hermetic environment of ethical disintegration, wherein the preservation of human dignity is practically impossible. Moral erosion in the narrative is not limited to the individual or familial sphere; it expands to encompass state institutions, the political system, and the media. The media, which ought to serve as the expression of the public conscience, appears in the novel as a complicit agent of corruption. Rather than seeking the truth, it is oriented solely toward sensationalism, thereby reducing "human drama" to a commercial product and transforming human tragedy into an object of consumption.

In Daha, Hakan Günday chooses dystopia over utopia, and an antihero over a hero. The author portrays evil, ugliness, and moral degradation through a neutral, non-judgmental artistic lens, which lends the text a distinct gravity and cogency. Ultimately, the novel reads as a literary diagnosis of the existential helplessness of contemporary humanity, the crisis of humanistic values, and a collective moral collapse – a work that, by virtue of its artistic intensity and topicality, constitutes a significant contribution to global literary discourse.

Keywords: Traumatic memory, moral identity, migration, media, collective trauma.

მაკა სუსარეიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

ტრავმული მეხსიერება და მორალური იდენტობის რღვევა ჰაკან გუნდაის რომანში „მეტი“

ჰაკან გუნდაის რომანი „მეტი“ თანამედროვე თურქული პროზის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ტექსტია. მასში XXI საუკუნის უმწვავესი სოციალური პრობლემა – მიგრაცია და ადამიანთა კონტრაბანდა – უნივერსალური მორალური კრიზისის მასშტაბურ ანალიზად გარდაიქმნება. ნაწარმოების ცენტრალურ ღერძს წარმოადგენს ფუნდამენტური ეგზისტენციალური კითხვა: რამდენად არის შესაძლებელი მორალური იდენტობის შენარჩუნება მაშინ, როდესაც ძალადობა სისტემურ და მემკვიდრეობით ხასიათს ატარებს?

მთავარი გმირის, გაზას, ბედი წინაპართა ჩადენილი ცოდვების მემკვიდრეობითი ტვირთის, ოჯახური ძალადობისა და დეჰუმანიზებული სოციალური გარემოს გადაკვეთაზე ყალიბდება. ტრავმული მეხსიერება აქ მხოლოდ წარსულის რეფლექსია როდია; იგი ძალადობის რეპროდუქციის აქტიური მექანიზმია, რომელიც პერსონაჟს ავტონომიური მორალური არჩევანის შესაძლებლობას ართმევს. ინდივიდუალური ტრავმა ნაწარმოებში პირადი ტკივილის დონეზე არ რჩება, არამედ თანდათან მოიცავს საზოგადოების ყველა ფენას და საერთო სოციალური კრახის სიმბოლურ დატვირთვას იძენს.

საზღვრისპირა სივრცე, თავისი ძალადობითა და კონტრაბანდით, რომანში წარმოჩნდება ეთიკური რღვევის ჰერმეტულ გარემოდ, სადაც ადამიანური ღირსების შენარჩუნება პრაქტიკულად შეუძლებელია. მორალური ეროზია ნაწარმოებში არ შემოიფარგლება მხოლოდ ინდივიდუალური თუ ოჯახური წრით, არამედ მოიცავს სახელმწიფო ინსტიტუტებს, პოლიტიკურ სისტემასა და მედიას. ეს უკანასკნელი, რომელიც საზოგადოებრივი სინდისის გამომხატველი უნდა იყოს, გახრწნის თანამონაწილედ გვევლინება; იგი არ ეძებს სინამდვილეს, ორიენტირებულია მხოლოდ სენსაციაზე, რის გამოც „კაცობრიობის დრამას“ სარეკლამო პროდუქტად აქცევს და ადამიანურ ტრაგედიას მოხმარების ობიექტად გარდაქმნის.

ჰაკან გუნდაი რომანში „მეტი“ უტოპიის ნაცვლად დისტოპიას, ხოლო გმირის ნაცვლად ანტიგმირს ირჩევს. მწერალი ბოროტებას, სიმახინჯესა და მორალურ დეგრადაციას ნეიტრალური, განსჯისგან დაცლილი მხატვრული პერსპექტივით წარმოაჩენს, რაც ტექსტს განსაკუთრებულ სიმძიმესა და დამაჯერებლობას სძენს. რომანი „მეტი“ საბოლოოდ იკითხება როგორც თანამედროვე ადამიანის ეგზისტენციალური უმწეობის, ჰუმანისტური ღირებულებების კრიზისისა და კოლექტიური მორალური კოლაფსის ლიტერატურული დიაგნოზი, რაც მას, მხატვრული სიმძაფრისა და აქტუალურობის გამო, თანამედროვე გლობალური ლიტერატურული დისკურსის მნიშვნელოვან ნაწილად აქცევს.

საკვანძო სიტყვები: ტრავმული მეხსიერება, მორალური იდენტობა, მიგრაცია, მედია, კოლექტიური ტრავმა

Solomon Tabutsadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

The Narrative Transformation of War:
From Lived Experience to the Construction of Memory and Myth

(Based on Beka Kurkhuli's texts Ukrainian Days and Notes of the Sightless Kipchak, or Desht-i Kipchak)

1. War as Lived Experience and War as Narrative Construction;

2. War and the Fragmentation of Identity: From Eyewitness Testimony to the Artistic Representation of Historical and Cultural Layers;

3. War and Memory: The Diary as a Form of Resistance and a Strategy of Survival;

4. The Symbolic and Mythological Dimensions of War: From Individual Experience to Cultural Memory;

5. The Intersection of Documentary and Literary Modes: The Transformation of Fact into Artistic Narrative.

სოლომონ ტაბუცაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

ომის ნარატიული ტრანსფორმაცია – გამოცდილებიდან მეხსიერებისა და მითის კონსტრუირებამდე

(*ბექა ქურხულის ტექსტების – „უკრაინული დღეებისა“ და „თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანაწერები ანუ დეშთი-ყიფჩაღის“ მიხედვით*)

1. ომი როგორც უშუალო გამოცდილება და ომი როგორც ნარატიული კონსტრუქცია;
2. ომი და იდენტობის ფრაგმენტაცია – მოწმეობიდან ისტორიულ-კულტურული შრეების მხატვრულ ასახვამდე;
3. ომი და მეხსიერება, – დღიური როგორც წინააღმდეგობის ფორმა და გადარჩენის სტრატეგია;
4. ომის სიმბოლური და მითოლოგიური განზომილებები, – ინდივიდუალური გამოცდილებიდან კულტურულ მეხსიერებამდე;
5. დოკუმენტურობისა და ლიტერატურულობის გადაკვეთა – ფაქტის ტრანსფორმაცია მხატვრულ ნარატივად.

Miranda Tkeshelashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

The Literary Representation of the Experience of War in 21st-Century Georgian Short Fiction

In the post-Soviet period, the ethnic conflicts and military aggression provoked by Russia had a profound impact on the collective memory of Georgian society and on the psychology of successive generations. The experience of war has become one of the central themes of 21st-century Georgian literature, giving rise to a number of literary-documentary texts in which traumatic memory is explored through the lens of both individual and collective experience. These texts serve not only to artistically reconstruct historical events but also to reflect upon the psychological, ethical, and cultural consequences of war.

As part of Palitra L Publishing House's project **"On Wars and People"**, two collections of short stories – „***The Hour of Fear*** " and „***They Killed Me, Mom...***" – were published. They represent significant anthologies of contemporary Georgian war literature. Both books, edited and compiled by **Shota Iatashvili**, bring together short stories written over the past three decades, addressing such major conflicts as the Georgian Civil War of the 1990s, the wars in Abkhazia and South Ossetia, and the August 2008 Russo-Georgian War.

In this context, literature performs the function of preserving memory. The authors create texts that preserve and transmit the experiences of war victims. Literature thus becomes an integral part of historical memory and compels society to confront and reflect upon the tragedies of the past.

Keywords: Contemporary Georgian War Prose

მირანდა ტყეშელაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

ომის გამოცდილების მხატვრული რეპრეზენტაცია 21-ე საუკუნის ქართულ მოთხრობაში

პოსტსაბჭოთა პერიოდში რუსეთის მიერ პროვოცირებულმა ეთნოკონფლიქტებმა და სამხედრო აგრესიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქართული საზოგადოების კოლექტიურ მეხსიერებასა და თაობათა ფსიქოლოგიაზე. ომის გამოცდილება XXI საუკუნის ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ ცენტრალურ თემად იქცა და წარმოშვა არაერთი მხატვრულ-დოკუმენტური ტექსტი, რომლებშიც ტრავმული მეხსიერება ინდივიდუალური და კოლექტიური გამოცდილების ჭრილშია გააზრებული. აღნიშნული ტექსტები არა მხოლოდ ისტორიული მოვლენების მხატვრულ რეკონსტრუქციას, არამედ ომის ფსიქოლოგიური, ეთიკური და კულტურული შედეგების გააზრებასაც ემსახურება.

გამომცემლობა „პალიტრა L-ის“ პროექტის – „ომებსა და ადამიანებზე“ ფარგლებში გამოიცა მოთხრობების ორი კრებული – **„შიშის საათი“** და **„მე მომკლეს დე...“**, რომლებიც თანამედროვე ქართული ომის პროზის უმნიშვნელოვანეს ანთოლოგიას წარმოადგენს. ორივე წიგნი (რედაქტორ-შემდგენელი შოთა იათაშვილი) აერთიანებს ბოლო 30 წლის განმავლობაში (90-იანების სამოქალაქო ომი, აფხაზეთი, სამაჩაბლო, 2008 წლის აგვისტოს ომი) დაწერილ მოთხრობებს.

მწერლობა ამ შემთხვევაში ასრულებს მეხსიერების შემნახველ ფუნქციას. ავტორები ქმნიან ტექსტებს, რომლებიც ინახავენ ომის მსხვერპლთა გამოცდილებას. ამდენად, ლიტერატურა ხდება ისტორიული მეხსიერების ნაწილი და საზოგადოებას აიძულებს, გაიაზროს წარსულის ტრაგედიები.

საკვანძო სიტყვები: ქართული თანამედროვე ომის პროზა

Nana Tonia
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Georgia, Tbilisi

Between War and Human Dignity

(The Ancient Myth in Heiner Müller's Play "Philoctetes")

Heiner Müller is recognized as one of the most important tragic playwrights of the twentieth century anti-totalitarian literature. His oeuvre radically transformed the understanding of modern drama and political theatre. While staging his plays, Müller frequently turned to ancient plots (such as *Oresteia*, *Medea*, and *Philoctetes*), transforming the myth into a model of power, war, and psychological trauma.

Müller's *Philoctetes* is not a mere remake of the ancient myth; rather, it is an anatomy of the postwar state, where heroism is replaced by betrayal and moral degradation.

In the play, Müller appears to deliberately draw on Sophocles' eponymous tragedy. However, he deconstructs the ancient myth by altering the ending and consequently intensifying the horrors of war. The action of the play that develops with a strong emphasis on the theme of war makes it clear that war is no longer merely a historical reality; it has become a systemic logic that determines human as well as social morality in general.

The play has only three key characters. The author focuses on Philoctetes, a creature abandoned by war and rendered "useless," and yet, paradoxically, remaining a necessary resource to be used for military purposes. This Odyssean character is conceived as the embodiment of strategic rationalism whose morality is subordinated to purpose. As for Neoptolemus, once drawn into a moral crisis, he loses his ethical purity and submits to the ideological apparatus of war.

In Müller's play, war does not end with the cessation of fighting. It continues to exist as a process of dehumanization individuals and transforming human beings into carriers of base instincts, thereby destroying the foundations of classical heroism and tragic ethics.

Keywords: tragic, theatre, Sophocles, Odysseus, ethics

ნანა ტონია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

ომსა და ადამიანურ ღირსებას შორის
(ანტიკური მითი ჰაინერ მიულერის პიესაში „ფილოქტეტესი")

ჰაინერ მიულერი XX საუკუნის ანტიტოტალისტური ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს ტრაგიკოსად არის აღიარებული. მისმა შემოქმედებამ რადიკალურად შეცვალა თანამედროვე დრამისა და პოლიტიკური თეატრის გაგება. მიულერი ხშირად მიმართავდა ანტიკურ სიუჟეტებს („ორესტეა", „მედეა", „ფილოქტეტესი") და ამ შემთხვევაში მითი მისი თეატრის სცენაზე ძალაუფლების, ომისა და ფსიქოლოგიური ტრამვის მოდელად გარდაისახებოდა.

ჰაინერ მიულერის „ფილოქტეტესი" ანტიკური მითის უბრალო გადამუშავება კი არ არის, არამედ ომის შემდგომი მდგომარეობის ანატომიაა, სადაც გმირობის ნაცვლად ღალატი და მორალური სიმდაბლე რჩება.

პიესაში მიულერი, როგორც ჩანს, შეგნებულად ეყრდნობა სოფოკლეს ამავე სახელწოდების ტრაგედიას, თუმცა ფინალის შეცვლით ახდენს ანტიკური მითის დეკონსტრუქციას, რითაც ამძაფრებს ომის საშინელებას. მოქმედება პიესაში, რომელიც ვითარდება ომის თემატიკის აქცენტით, ცხადს ხდის, რომ ომი აღარ არის მხოლოდ ისტორიული რეალობა, ის სისტემური ლოგიკაა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანურ და ზოგადად საზოგადოებრივ მორალს.

პიესაში მხოლოდ სამი მთავარი გმირია. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ფილოქტეტესის ფიგურაზე, როგორც ომის მიერ მიტოვებულ და „უსარგებლო" არსებაზე, რომელიც პარადოქსულად კვლავ აუცილებელი რესურსია სამხედრო მიზნებისათვის. ოდისევსის პერსონაჟი გააზრებულია როგორც სტრატეგიული რაციონალიზმის განმასახიერებელი ფიგურა, რომლის ზნეობა ექვემდებარება მიზანს. რაც შეეხება ნეოპტოლემოსს, ექცევა რა მორალური კრიზისის სივრცეში, იგი კარგავს ეთიკურ სიწმინდეს და ემორჩილება ომის იდეოლოგიურ მექანიზმს.

მიულერის პიესაში ომი არ სრულდება ბრძოლის დასრულებით. ის აგრძელებს არსებობას როგორც პიროვნების დეჰუმანიზაციის პროცესი, რომელიც გარდაქმნის ადამიანს უღირსი ინსტიქტების მატარებელ არსებად და ამით ანგრევს კლასიკური ჰეროიზმისა და ტრაგიკული ეთიკის საფუძვლებს.

საკვანძო სიტყვები: ტრაგიკოსი, თეატრი, სოფოკლე, ოდისევსი, ეთიკა

Lia Tsereteli
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

The Construction of the Enemy and the Teleology of War in The Knight in the Panther's Skin and the Historiography of the Georgian Chronicles (Kartlis Tskhovreba)

Rustavelian depictions of warfare and the figuration of the enemy are fundamentally structured upon medieval epistemological models. Within this framework, a providential teleology is determinative; the enemy is not conceptualised as an external, self-engendered malignancy, but rather emerges as an existential condition inherent to both the nation and the state. This adversary gradually crystallises as a consequence of human transgression, spiritual fallenness, and a collective disregard for the divine will. Strictly speaking, the abstract concept of an 'enemy' does not exist within this theological matrix; there is only the 'adversary'– a force righteously endured by the monarch, the individual, and the state alike. This adversary is conceived, nurtured, and ultimately manifested from within humanity itself, serving as a form of divine retribution. This specific ethos deeply permeates medieval Georgian hagiography, hymnography, and historiography. Rustaveli's paradigm of war and his construction of the enemy are rooted in this very model, aligning seamlessly with Biblical and evangelical exegesis. Consequently, the heroic ideal is actualised through this metaphysical lens, rendering any purely aesthetic or literary-functional analysis of the protagonist reductive. Simultaneously, this providential structure is synthesised with mytho-poetic and folkloric imagery, alongside a proto-Renaissance humanism, which collectively animate the Rustavelian narrative of conflict. Thus, warfare in The Knight in the Panther's Skin is teleologically predetermined, demanding not merely physical combat, but a profound discernment of the adversary's nature and, crucially, the eradication of that adversary within the self. It is this internal, moral victory that ultimately underpins and legitimises the somatic triumph of the hero across the epic.

Keywords: war, enemy, world, king, nation state

ლია წერეთელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

ომის საზრისი და მტრის ხატი „ვეფხისტყაოსანსა“ და „ქართლის ცხოვრების“ მემატიანეთა თხრობაში

რუსთველური ომები და მტრის ხატი ეფუძნება შუასაუკუნეობრივ სააზროვნო სისტემას, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ მემატიანეთა თხრობაშია განსახოვნებული. სამყაროს სურათი, რომელიც წარმოადგენს უმთავრეს მოდელს, გულისხმობს დაპირისპირებულთა მთლიანობას, საღ-ვთო კანონის წარმმართველ ძალას. რეალურ-კონკრეტული სახელმწიფოები, იერარქიულობა, ხი-ლული სამყარო ასახავს და შექმნილია ღვთაებრივი სამყაროსა და იერარქიულობის შესაფერისად, ამრიგად, ადამიანის, კონკრეტული მეფისა და ერი-სახელმწიფოების ნება არ არის განმსაზღვრელი, რეალობა წინასწარგანსაზღვრულია. ამ მრწამსს გულისხმობს ომებისა და მოწინააღმდეგის ხატის

აღქმა. ამ მოდელზეა აგებული, აგიოგრაფიის, ჰიმნოგრაფიისა და საისტორიო მწერლობის მემატიანეთა თხრობა. მტერი არ წარმოადგენს გარედან მოსულ და თავისთავად არსებულ ბოროტებას. იგი მეფის, ერისა და სახელმწიფოს ცოდვათაგან თანდათან ყალიბდება და ფორმდება მოწინააღმდეგე ძალად. მისი დამარცხება გულისხმობს უმთავრესად წინააღმდეგობის, ცოდვისა და ღვთისმბრძოლობის გააზრებასა და თავისთავში დამარცხებას. რაც გარეშე ძალთა დამარცხების უმთავრესი წინაპირობაა.

„ვეფხისტყაოსნის“ ომები და მტრის ხატი გულისხმობს სამყაროს წესრიგის, მთლიანობის დარღვევას ადამიანის ნების არასწორად წარმართვის გამო. ხატაეთი ინდოეთის ვასალი სახელმწიფოა და მის განგებულებას ემორჩილება. დაუშვებელია ხატაეთის ომის გააზრება ეროვნული დამოუკიდებლობის საზრისით. რუსთველის მიერ ხატაეთის მეფისადმი დამოკიდებულება- შენდობა, დასაჩუქრება, ნდობა ამ ურთიერთობის მამაშვილურ არსს“ („ვითა შვილი სააკვანე“), სიყვარულზე აგებულ ბიბლიურ მოდელს, მამის არქეტიპს გულისხმობს.ასეთივე სურათია ფრიდონის სამეფოში ბიძაშვილებთან წარმოქმნილი კონფლიქტი.

ამრიგად, რუსთველური მტრის ხატისა და ომების გააზრება მხოლოდ მხატვრული ფუნქციით შეყმლებელია, მას პროვიდენციული საზრისი აქვს,

საკვანძო სიტყვები: ომი, მტერი, სამყარო, მეფე, სახელმწიფო

Maia Tsertsvadze
Georgian Technical University
Georgia, Tbilisi

Wars and Warriors in the Works of Nikoloz Baratashvili

As is well known, the historical context of the European era in which Romanticism emerged and developed was shaped by revolutions, wars of conquest, and national liberation movements. Similar historically and politically significant processes – rebellions against the Russian Empire, the 1832 conspiracy, and imperial military campaigns – were also present in Georgia in the first half of the 19th century, when one of the greatest representatives of Georgian Romanticism, Nikoloz Baratashvili, appeared on the literary scene.

Like some of his contemporary Romantic poets (Byron, Lermontov, and Petőfi), whose work was to varying degrees nourished by martial and revolutionary experience, N. Baratashvili, despite a strong aspiration toward a military career, which was prevented by his lameness, did not directly participate in wars or military expeditions (including the Caucasian wars of the Russian Empire). Nevertheless, his poetry artistically reflects battle episodes, heroes, and participants of these and other historical wars ("The Fate of Kartli," "Tomb of King Irakli," "War of Georgian Nobles and Peasants against the Dagestanis and Chechens, 1844..."). The same may be said of the content, addressees, and figures of his epistolary legacy.

It is important to note that in Baratashvili's poetry, war is not only a historical event or a violent conflict, but also an existential category that determines the fate of the individual and the nation. It is transformed into a metaphor of spiritual experience, inner struggle, and historical destiny. The poet's lyrical hero (especially in "Merani" (symbolic horse)) is often presented as a solitary warrior who struggles not only against external enemies, but also against his own doubts, despair, and the constraints of historical reality.

The present paper will examine this aspect of Baratashvili's oeuvre, demonstrating that the poet creates a unique interpretation of war in Georgian literature, where historical reality is transformed into a

philosophical and lyrical vision. Attention will also be given to the identification of the historical warrior figures mentioned in Baratashvili's texts, who in some cases are the addressees and characters of his poems, and in others serve as real-life prototypes of his lyrical heroes, with reference to their clarified biographical data based on recent scholarship.

Keywords: N. Baratashvili; Georgian Romanticism; Baratashvili's poetry; war imagery in Baratashvili's works; 19th-century Georgian literature

მაია ცერცვაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

ომები და მეომრები ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში

როგორც ცნობილია, იმ ევროპული ეპოქის ისტორიულ კონტექსტს, რომელშიც წარმოიშვა და განვითარდა რომანტიზმი, ქმნიდა რევოლუციები, დაპყრობითი ომები და ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობები.

ეპოქისათვის ნიშნეული მსგავსი ისტორიულ-პოლიტიკური პროცესები – რუსეთის წინააღმდეგ მიმართული აჯანყებები, 1832 წლის შეთქმულება, იმპერიული სამხედრო ლაშქრობები – შეინიშნებოდა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოშიც, როცა ასპარეზზე გამოვიდა ქართული რომანტიზმის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ზოგიერთი მისი თანამედროვე რომანტიკოსის (ბაირონის, ლერმონტოვისა და პეტეფის) მსგავსად, რომელთა შემოქმედებას სხვადასხვა ხარისხით ასაზრდოებდა მეომრული და რევოლუციური გამოცდილება, ნ. ბარათაშვილს, მიუხედავად სამხედრო კარიერისადმი ძლიერი მისწრაფებისა, რაშიც ხელი შეუშალა კოჭლობამ, უშუალო მონაწილეობა არ მიუღია ომებსა და სამხედრო ექსპედიციებში (რუსეთის იმპერიის კავკასიური ომებში). მიუხედავად ამისა, მის პოეზიაში მხატვრული ასახვა ჰპოვა ამ და სხვა ისტორიული ომების საბრძოლო ეპიზოდებმა, გმირებმა და მონაწილეებმა („ბედი ქართლისა“, „საფლავი მეფის ირაკლისა“, „*ომი საქართველოს თავად-აზნაურ გლეხთა პირისპირ* დაღისტნისა *და ჩეჩნელთა, წელსა 1844*-ს...“). იგივე შეიძლება ითქვას პოეტის ეპისტოლური მემკვიდრეობის ტექსტების შინაარსს, ადრესატებსა და ფიგურანტებზეც.

აუცილებლად აღსანიშნავია ის, რომ ბარათაშვილის პოეზიაში ომი არა მხოლოდ ისტორიული მოვლენა ან ძალადობრივი კონფლიქტია, არამედ ეგზისტენციალური კატეგორიაც, რომელიც განსაზღვრავს პიროვნებისა და ერის ბედს. იგი გარდაიქმნება სულიერი გამოცდილების, შინაგანი ბრძოლისა და ისტორიული ბედისწერის მეტაფორად. პოეტის ლირიკული გმირი (განსაკუთრებით „მერანში“) ხშირად წარმოდგენილია როგორც მარტოსული მეომარი, რომელიც ებრძვის არა მხოლოდ გარე მტერს, არამედ საკუთარ ეჭვებს, სასოწარკვეთასა და ისტორიული რეალობის შეზღუდვებს.

მოხსენებაში წარმოვადგენთ ბარათაშვილის შემოქმედების ამ თემატიკის კვლევას, რომელიც გვიჩვენებს, რომ პოეტი ქმნის ომის უნიკალურ ინტერპრეტაციას ქართულ ლიტერატურაში, სადაც ისტორიული რეალობა გარდაისახება ფილოსოფიურ-ლირიკულ ხედვად. შევეხებით აგრეთვე ბარათაშვილის ტექსტებში წარმოდგენილ იმ მეომარ ისტორიულ პირთა იდენტიფიკაციის საკითხებს, რომლებიც ზოგ შემთხვევაში მისი ლექსების ადრესატები და ფიგურანტები, ზოგ შემთხვევაში კი ლირიკული გმირების რეალური პროტოტიპები არიან. მოვიყვანთ მათ შესახებ დაზუსტებულ ბიოგრაფიულ ცნობებსაც უახლესი კვლევების საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: ნ. ბარათაშვილი; ქართული რომანტიზმი; ბარათაშვილის პოეზია; ომის სახისმეტყველება ბარათაშვილის შემოქმედებაში; მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა

Tengiz Tsimnaridze
Batumi Shota Rustaveli State University
Georgia, Batumi

Georges Bataille's *The Accursed Share*: General Economy and War

This conference paper focuses on the analysis of the work *The Accursed Share* by the French writer and thinker Georges Bataille. Specifically, it examines Bataille's concept of general economy and its connection to the phenomenon of war. In this work, which belongs to Bataille's later period and is considered by some scholars to be his *opus magnum*, he formulates the concept of general economy that stands in opposition to restricted economy. While the latter is oriented toward accumulation and the rational management of resources, general economy, conversely, demands the purposeless expenditure and destruction of these resources (through sacrifice, play, art, and eroticism).

To explain his concept, the French thinker relies on the view that the cosmos and any biological organism - be it an individual human being or a collective human society - produces more energy than is necessary for its survival. This abundance, *the excess* that generates waste- or "the accursed share", as Bataille calls it -must be squandered and spent aimlessly. Otherwise, if this does not happen, the accumulated energy manifests itself in the form of conflicts and war.

Accordingly, Bataille begins the analysis of his concept of general economy first at the cosmological level, stating that the sun gives more energy than is necessary for the universe. At the human biological level, this is manifested in non-reproductive eroticism, which is realized through *transgression* and constitutes the moment of *sovereignty* for Bataille. Furthermore, to substantiate his concept and to explain how *expenditure* occurs at the societal level, Bataille cites examples from archaic societies: 1) Aztec rituals, the purpose of which was not to use captured people for practical purposes as slaves, but to "wrench" them from their utilitarian function and sacrifice them in a sacred, ritual act, which, in turn, was a practice directed toward complete uselessness. 2) *The potlatch* of the North American Indians, which involved tribal chiefs destroying and giving away their wealth. Here too, just as in the Aztec ritual, a non-utilitarian practice takes place. 3) Islamic society and Lamaist Tibet. Medieval Islamic society, Bataille argues, directed its accumulated energy toward external expansion, known as Jihad, which helped maintain peace within Islamic society itself. We see a different situation, Bataille notes, in medieval Tibet. Here, the expenditure of accumulated energy occurred not outside society, but within it: for the construction of monasteries and the maintenance of monastic life, which, from an economic point of view, was an absolutely unprofitable practice. It is noteworthy that in his work, Bataille transitions from the analysis of archaic societies to the analysis of the European Reformation and capitalism. Relying on Max Weber's ideas regarding the connection between Protestantism and capitalism, Bataille believes that it was precisely Protestantism, with its strict worldly asceticism (which was foreign to the Catholic Church), that created capitalism through its drive toward accumulation, rationality, and the reinvestment of resources. In addition to the above, Bataille also touches upon his contemporary era, post-World War II Europe, specifically, the Marshall Plan, which he considers to be a modern version of the potlatch.

Thus, this conference paper will discuss Bataille's concept of general economy- which encompasses three levels -and its connection to war. Furthermore, the concept of general economy developed in this work will be compared with concepts formulated in his writings from other periods, which are closely interrelated and form the entire architectural structure of the post-surrealist period of his thought.

Keywords: Bataille; the accursed share; general economy; war; expenditure

თენგიზ ციმნარიძე
შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ბათუმი

ჟორჟ ბათაის „წყეული წილი“: ზოგადი ეკონომიკა და ომი

წინამდებარე საკონფერენციო მოხსენება ეხება ფრანგი მწელისა და მოაზროვნის ჟორჟ ბათაის ნაშრომის „წყეული წილის“ ანალიზს, საკუთრივ, ის ეხება ბათაისეულ ზოგადი ეკონომიკის კონცეფციის ანალიზსა და მის კავშირს ომის ფენომენთან. ამ ნაშრომში, რომელიც ბათაის გვიანდელ პერიოდს მიეკუთვნება და ზოგიერთი მკლევრის აზრით, მის opus magnum- ს წარმოადგენს, იგი აყალიბებს ზოგადი ეკონომიკის კონცეფციას, რომელიც შეზღუდული ეკონომიკის საპირისპიროა. თუ ეს უკანასკნელი მიმართულია დაგროვებისკენ და რესურსების რაციონალურად მართვისკენ, ზოგადი ეკომოკა, პირიქით, მოითხოს ამ რესურსთა უმიზნო გაცემასა და განადგურებას (მსხვერლპშეწირვის, თამაშის, ხელოვნებისა და ეროტიზმის გზით). საკუთარი კონცეფციის ასახსნელად ფრანგი მოაზროვნე ემყარება იმ შეხედულე-ბას, რომ კოსმოსი და ნებისმიერი ბილოგიური ორგანიზმი, იქნება ეს ცალკეული ადამიანი, თუ ადამიანთა ერთობა საზოგადოების სახით, აწარმოებს იმაზე მეტ ენერგიას, ვიდრე მისი არსებობისთვის არის აუცილებელი, ეს სიჭარბე, *ექცესი*, რომელიც წარმოშობს ნარჩენს, წყეულ წილს, როგორც მას ბათაი უწოდებს, უნდა უმიზნოდ გაიფლანგოს და დაიხარჯოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ეს არ მოხდა - დაგროვილი ენერგია კომფლიქტებისა და ომის სახით გამოვლინდება.

ამდენად, ბათაი იწყებს თავისი ზოგადი ეკონომიკის კონცეფციის ანალიზს ჯერ კოსმოლოგიურ დონეზე, იგი ამბობს, რომ მზე იძლევა იმაზე მეტ ენერგიას, ვიდრე ეს არის საჭირო უნივერსუმისთვის. ადამიანის ბიოლოგიურ დონეზე კი ეს ვლინდება არარეპროდუქციულ ეროტიზმში, რომელიც *ტრანსგრესიის* გზით ხორციელდება და ბათაისთვის *სუბერენულობის* მომენტს შეადგენს. გარდა ამისა, თავისი კონცეფციის დასასაბუთებლად და იმის ასახსნელად, თუ როგორ ხდება *ფლანგვა* საზოგადოების დონეზე, ბათაი იმოწმებს მაგალითებს არქაული საზოგადოებებიდან: 1) აცკეტების რიტუალები, რომელთა მიზანი იყო დატყვევებულ ადამიანთა არა პრაქტიკული მიზნებისთვის გამოყენება, როგორც მონების, არამედ მათი უტილიტარული დანიშნულებიდან „ამოგლეჯა“ და წმინდა, რიტუალურ აქტში მათი მსხვერპლშეწირვა, რაც, თავის მხრივ, სრულ არასარგებლობაზე მიმართული პრაქტიკა იყო. 2) ჩრდილოეთ ამერიკელი ინდიელების *პოლტაჩი,* რომელიც გულუსხმობდა ტომთა ბელადების მხრიდან თავიანთი სიმდიდრის განადგურებასა და გაჩუქებას. აქაც, ისევე როგორც აცკეტური რიტუალის დროს, ადგილი აქვს არაუტილიტარულ პრაქტიკას. 3) ისლამური საზოგადოება და ლამაისტური ტიბეტი. შუა საუკუნეების ისლამურმა საზოგადოებამ, ამბობს ბათაი, მიმართა თავისი დაგროვილი ენერგია გარე ექსპანსიაზე, რომელიც ჯიხადის სახელით არის ცნობილი, რამაც თავად ისლამური საზოგადოების შეგნით მშვიდობის შენარჩუნებას შეუწყო ხელი. განსხავებულ ვითარებას ვხედავთ, აღნიშნავს ბათაი, შუა საუკენეების ტიბეტში. აქ, დაგროვილი ენერგიის ხარჯვა ხდებოდა, არა საზოგადოების გარეთ, არამედ მის შიგნით: მონასტრების მშენებლობისთვის და მონაზვნური ცხივრების შესანარჩუნებლად, რაც, ეკონომიკური თვალსაზრისით, სრულიად არასარგებლიანი პრაქტიკა იყო. საგულისხმოა, რომ თავის ნაშრომში, ბათაი არქაული საზოგადოებების ანალიზიდან გადადის ევრიპული რეფორმაციისა და კაპიტალიზმის ანალიზზე. ეყრდნობა რა მაქს ვებერის იდეებს პროტესტანტიზმსა და კაპიტალიზმს შორის კავშირის შესახებ, ბათაი მიიჩნევს, რომ სწორედ პროტესტატიზმა, მკაცრი საერო ასკეტიზნით, რაც უცხო იყო კათოლიკური ეკლესიისთვის, შექმნა კაპიტალიზმი: თავისი სწრაფვით დაგროვებისკენ, რაციონალურობისკენ და რესურსების რეინვესტირებისკენ. ზემოთქმულის გარდა, ბათაი ეხება მის თანამედრივე ეპოქასაც, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ევროპას, კერძოდ, მარშალის გეგმას, რომელიც მისი აზრით, არის *პოლტაჩის* თანამედროვე ვერსია.

ამგვარად, საკომფერენციო მოხსენებაში განხილული იქნება ბათაისეული ზოგადი ეკონომიკის კინცეფცია – რომელიც სამ დონეს მოიცავს – და მისი კავშირი ომთან. აგრეთვე, ბათაის ამ ნაშრომში შემუშავებული ზოგადი ეკონომიკის კონცეფცია შედარებული იქნება მის სხვა პერიოდში დაწერილ ნაშრიმებში შემუშავებულ კონცეფციებთან, რიმლებიც მჭიდროდ დაკავშირებულია ერთმანეთთან და მისი აზროვნების, პოსტსიურრეალისტური პერიოდის, მთლიან არქიტექტურულ კონსტრუქციას ქმნიან.

საკვანძო სიტყვები: ბათაი; წყეული წილი; ზოგადი ეკონომიკა; ომი; ფლანგვა

Zoia Tskhadaia
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

Concepts of War and Peace in the Poetic Narratives of Georgian War Poets
(I. Noneshvili, M. Lebanidze, L. Sulaberidze)

The Second World War consumed the lives of more than 300,000 Georgians, including a new generation of gifted poets who were expected to shape the future of Georgian poetry. Upon returning home, these battle-tested poets expressed the full spectrum of their wartime experiences. In this context, the works of Ioseb Noneshvili, Murman Lebanidze, and Lado Sulaberidze are distinguished by thematic depth and diversity of their poetic narratives.

It is noteworthy that all Soviet poetry, including Georgian, was subject to rigorous ideological pressure during that period. This is precisely why Georgian lyrics of those years could not go beyond declarativeness and a repetitive, monotonous style. Even in Galaktion's poems written on the theme of the war, a declarative pathos frequently prevails over his genuine poetic inspiration.

The theme of war and peace in Ioseb Noneshvili's works is specially reflected in two lyrical cycles: *A Card from the Front* (1941-1945) and *After the Storm* (1946-1950). These poems represent a typical self-expression of a war poet's attitude, who during the brutal war years, wrote about the homeland, historical ancestors and the heroism of preceding generations in order to strengthen the fighting spirit of solders. In the aftermath, Noneshvili again returns to his cherished romantic themes, portraying peace not merely as the cessation of hostilities, but as a catalyst for the renewval of life.

Murman Lebanidze admitted that he did not include any of the wartime poetry in his published books , as he believed them to be forced works. His treatment of the theme of war and peace differs from that of other writers, since memories of the past continued to resurface throughout his life, producing vivid and captivating works rooted in his wartime experience. These poems reflect the author's thoughts on the hardships he endured, gaining significant psychological depth over the decades. Even in his later works, the memory of war emerges not as a glorious triumph, but as "the Achilles' heel of humanity." However, it should also be noted that the poet managed to express his ideas in the post-Stalinist era, named "the Thaw".

Lado Sulaberidze's early poems on war and peace were written in the same spirit like many of his contemporary poets: militant, heroic verses devoted to "Great Motherland", etc. He survived the harsh years of wartime captivity and, after returning to his homeland, was exiled to Kolyma for 20 years. It was during these years that he wrote poems filled with sincere human emotions, most of which were published in the post-Soviet years. Through these works, the poet reminds us that for a Soviet soldier, the end of the war did not necessarily guarantee freedom and peace.

Keywords: war poets, different reflections, Noneshvili, Lebanidze, Sulaberidze

ზოია ცხადაია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

ომისა და მშვიდობის კონცეპტები ომგადახდილთა პოეტურ ნარატივში (ი. ნონეშვილი, მ. ლებანიძე, ლ. სულაბერიძე)

მორე მსოფლიო ომმა 300 ათასზე მეტი ქართველი შეიწირა, მათ შორის, ნიჭიერი პოეტების ახალი თაობა, რომელთაც ქართული პოეზიის მომავალი უნდა შეექმნათ. ამავე თაობის ომგადახდილმა, შინ დაბრუნებულმა პოეტებმა უფრო სრული სპექტრით წარმოაჩინეს თავსგადახდენილი. ამ მხრივ ფართო და ერთმანეთისგან განსხვავებული ნარატივით გამოირჩევიან იოსებ ნონეშვილი, მურმან ლებანიძე და ლადო სულაბერიძე.

აღსანიშნავია, რომ ამ დროს იდეოლოგიურ ზეწოლას განიცდიდა მთელი საბჭოთა და, მათ შორის, ქართული პოეზიაც. ამიტომაც ვერ გასცდა იმ წლების ქართული ლირიკაც დეკლარაციულობას, ერთსახოვან, ერთფეროვან სტილს. თვით გალაკტიონის ომის თემაზე შექმნილ ლექსებშიც დეკლარაციული პათეტიკა სჭარბობს პოეტურ იმპულსს.

იოსებ ნონეშვილის ომისა და მშვიდობის თემატიკა საგანგებოდაა წარმოდგენილი ლირიკული ციკლების სახით: „ბარათი ფრონტიდან“ (1941-1945) და „ქარიშხლის შემდეგ“ (1946-1950). ეს ლექსები ტიპური თვითგამოხატვაა პოეტი-მეომრის განწყობისა, რომელიც იმ მძიმე წლებში წერდა ომის გარდა, ისტორიულ წინაპრებზე, მამა-პაპათა გმირობაზე, რასაც საბრძოლო სულისკვეთება უნდა გაეღრმავებინა მეომრებში. ამ წლებში იოსებ ნონეშვილი კვლავ უბრუნდება მისთვის გამორჩეულ სატრფიალო თემატიკას და, რაც განსაკუთრებით იკვეთება, ესაა მშვიდობა, როგორც უმთავრესი ომისშემდგომი ცხოვრების განახლებისათვის.

მურმან ლებანიძე აღიარებს, რომ ომში დაწერილი არცერთი ლექსი არ შეუტანია წიგნებში, რადგან მათ ნაძალადევ ნაწარმოებებად მიიჩნევს. მისი პოეტური დამოკიდებულება ომისა და მშვიდობის მოტივებზე გამორჩეულია სხვებისაგან იმით, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე თავს შეახსენებს განვლილი და ქმნის ახალ-ახალ საინტერესო ტექსტებს. ეს ლექსები ავტორისეული რეფლექსიაა წარსულში გადატანილ მძიმე წლებზე. წლებთან ერთად, მის ფრონტულ ლექსებს ემატებათ ფსიქოლოგიური სიღრმე. ათეული წლების დისტანციიდანაც თავს ახსენებს გამოვლილი ომი, არა როგორც დიდების ტრიუმფი, არამედ „როგორც კაცობრიობის აქილევსის ქუსლი“. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყოველივე პოეტმა შეძლო პოსტსტალინურ, ე.წ. „დათბობის“ ხანაში.

ლადო სულაბერიძის პირველი ლექსები ომსა და მშვიდობაზე ისეთივე განწყობით იქმნება, როგორითაც მისი თანამოკალმეებისა: საომარი, გმირული სულისკვეთებით, „დიადი სამშობლოსათვის“ და ა.შ. მან ტყვეობის უმძიმესი წლები გამოიარა და, სამშობლოში დაბრუნებულ, 20 წლით გადაასახლეს კალიმაში. მას სწორედ ამ წლებში აქვს შექმნილი გულწრფელი ადამიანური განცდებით სავსე ლექსები, რომელთა უმრავლესობა პოსტსაბჭოთა წლებში გამოაქვეყნა. ამ ლექსებით პოეტი შეგვახსენებს, რომ საბჭოთა მეომრისთვის შინ დაბრუნება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა თავისუფლებასა და მშვიდობას.

საკვანძო სიტყვები: ომგადახდილი პოეტები, განსხვავებული რეფლექსი, ნონეშვილი, ლებანიძე, სულაბერიძე

Koba Tsurtsumia
Sokhumi State University
Iakob Gogebashvili Telavi State University
Georgia, Tbilisi

The Reception of War in Anthony Doerr's Novel "All the Light We Cannot See"

Anthony Doerr is a contemporary American writer. In 2015, Anthony Doerr was awarded the Pulitzer Prize for the novel "The Light We Cannot See". With this novel, Doerr, like the writers of the "Lost Generation", tells us about the war and the post-war period. He speaks to us from the epicenter of the war. The writer describes the episodes of the war with naturalistic accuracy.

The reception of war in literary texts involves understanding the events of war in a global context. In the novel, war is shown as a universal symbol of evil, a spiritual and cultural catastrophe. The writer uses a realistic narrative to understand war in order to show us what harm war can cause to the world. In parallel with the chronicles of the war, the writer tries to unfold events on the metaphorical-mythological scheme of a red diamond. In mythology and biblical books, a diamond has mysterious and sacred properties. At the same time, diamond, as a stone of light, is associated with fire and solar energy. The text is accompanied by the biblical concept of light – a metaphor for the Lord.

Deconstruction of the text, a method of critical analysis, allows us to deeply consider a historical era from a cultural, social, religious or political point of view. Deconstruction is the best way to understand, explain, and interpret a text (the introduction of the term is associated with the name of the French philosopher Jacques Derrida). Obviously, the text contains a lot of information, symbols, metaphors and allusions. In essence, this is a postmodern novel with its composition, structure, psychological and existential layers, archetypal icons and symbols. The writer exposes Germany, which has lost faith and its consciousness has been disturbed, the ideology of fascism, the anti-humanism and anti-religion of a conformist society. The character of the era is clearly expressed in the novel. At the same time, the novel clearly shows the doom of Nazi Germany. Issues of moral decline and ethics, demoralized society and political environment, deheroized characters, human inner feelings and tragedy. Against the backdrop of occupied France, the writer shows the destructive power of war and totalitarianism.

Keywords: Anthony Doerr, world literature, artistic reception, totalitarianism, occupation

კობა წურწუმია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

ომის რეცეფცია ენტონი დოერის რომანში „ნათელი, რომელსაც ვერ ვხედავთ"

ენტონი დოერი თანამედროვე ამერიკელი მწერალია. 2015 წელს ენტონი დოერს პულიცერის პრემია გადაეცა რომანისათვის „ნათელი, რომელსაც ვერ ვხედავთ". ამ რომანით დოერი „დაკარგული თაობის" მწერლების მსგავსად ომისა და ომის შემდგომ პერიოდზე გვიყვება, ომის ეპიცენტრიდან გვესაუბრება. მწერალი ომის ეპოზოდებს ნატურალისტური სიზუსტით აღწერს.

ომის რეცეფცია მხატვრულ ტექსტებში გულისხმობს ომის მოვლენების გააზრებას გლობალურ კონტექსტში. რომანში ომი ნაჩვენებია როგორც ბოროტების უნივერსალური სიმბოლო, სულიერი და კულტურული კატასტროფა. მწერალი ომის გასააზრებლად მიმართავს რეალისტურმე თხრობას, რათა დაგვანახოს, თუ რა ზიანის მომტანი შეიძლება იყოს ომი სამყაროსათვის. ომის ქრონიკების პარალელურად მწერალი წითელი ალმასის მეტაფორულ-მითოლოგიურ სქემაზე ცდილობს მოვლენების გაშლას. მითოლოგიასა და ბიბლიურ წიგნებში ალმასს იდუმალი და საკრალური თვისები გააჩნია. ამავე დროს ალმასი, როგორც სინათლის ქვა, უკავშირდება ცეცხლისა და მზის ენერგიას. ტექსტს გასდევს ბიბლიური კონცეპტი, ნათელი – უფლის მეტაფორა.

ტექსტის დეკონსტრუქცია, კრიტიკული ანალიზის მეთოდი, საშუალებას გვეძლევს სიღრმისეულად განვიხილოთ ისტორიული ეპოქა კულტურული, სოციალური, რელიგიური თუ პოლიტიკური თვალსაზრისით. დეკონსტრუქცია ტექსტის გაგების, განმარტების, ინტერპრეტაციის საუკეთესო საშუალებაა (ტერმინის შემოტანა უკავშირდება ფრანგი ფილოსოფოსის ჟაკ დერიდას სახელს). ცხადია, ტექსტი შეიცავს ბევრ ინფორმაციას, სიმბოლოებს, მეტაფორებსა და მინიშნებებს. არსებითად, ესაა პოსტმოდერნისტული რომანი თავისი კომპოზიციით, სტრუქტურით, ფსიქოლოგიური და ეგზისტენციალური შრეებით, არქეტიპული ხატ-სიმბოლოებით. მწერალი ამხილს ომში მყოფი რწმენადაკარგულ და ცნობიერება დარღვეულ გერმანიას, ფაშიზმის იდეოლოგიას, კომფორმისტული საზოგადოების ანტიჰუმანიზმსა და ანტირელიგიურობას. რომანში ეპოქის ხასიათი გამოკვეთილია. ამავე დროს, რომანში ცხადადაა ნაჩვენები ნაცისტური გერმანიის განწირულობა. ზნეობრივი დაცემისა და ეთიკის საკითხები, დემორალიზირებული საზოგადოება და პოლიტიკური გარემო, დეჰეროიზირებული პერსონაჟები, ადამიანის შინაგანი განცდები და ტრაგიზმი. ოკუპირებული საფრანგეთის ფონზე მწერალი გვიჩვენებს ომისა და ტოტალიტარიზმის დამანგრეველ ძალას.

საკვანძო სიტყვები: ენტონი დოერი, მსოფლიო ლიტერატურა, მხატვრული რეცეფცია, ტოტალიტარიზმი, ოკუპაცია

Marina Turashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

The Abkhazian War from the Perspective of Internally Displaced Women
(Based on Oral Histories)

A number of events in Georgia's recent history have yet to be properly studied and evaluated. The conflicts of the 1990s are particularly noteworthy. The study of oral histories is important in this regard, because the narrator, through his or her life story, represents the greatest memory of a specific period with all the subjective and social experiences that occurred in the past and what his or her expectations may be in the future.

The aim of the study is to present the stories of the Abkhazian war from the perspective of internally displaced women. Accordingly, the work is based on the latest materials, namely oral histories recorded in 2001-2015. The narrators are Abkhazian war survivors of almost all age groups (from 30 to 75 years old), living both in the regions and in the capital. They are not only eyewitnesses and survivors of the difficult days that unfolded three decades ago, but also evaluate the events that occurred two decades ago from a modern perspective.

The work uses qualitative research methods. Oral histories – audio/video materials – were recorded using an in-depth interview approach, and appropriate conclusions were processed and formed based on observation and case analysis. Oral histories also turned out to be important in that, along with life stories, they devote significant space to assessments of events, namely: the basis for the outbreak of the war, the mistakes of state policy, women's problems, etc.

Thus, conflicts have a special impact on women, which was clearly demonstrated in the example of the internally displaced persons from Abkhazia. Years later, the repetition of history through narration becomes a form of self-interpretation. People not only remember their past, but also try to understand it and strive for rationalization in order to better live with the past in the present.

Keywords: Abkhazia, War, Women,ORral Histories

მარინე ტურაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

აფხაზეთის ომი იძულებით გადაადგილებული ქალების პერსპექტივიდან
(ზეპირი ისტორიების მიხედვით)

საქართველოს უახლესი ისტორიის არაერთი მოვლენა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესასწავლილი და შეფასებული. განსაკუთრებით გასული საუკუნის 90-იანი წლების კონფლიქტებია გასააზრებელი. ზეპირი ისტორიების კვლევა ამ კუთხით მნიშვნელოვანია, რადგან მთხრობელი, რომელიც ჰყვება, თავისი ცხოვრებისეული ისტორიით წარმოადგენს უდიდეს მოგონებას კონკრეტული პერიოდისას ყველა იმ სუბიექტური და სოციალური გამოცდილებებით, რომლებიც მოხდა წარსულში და რა შეიძლება იყოს მისი მოლოდინი მომავალში.

კვლევის მიზანია აფხაზეთის ომის ამბების წარმოჩენა იძულებით გადაადგილებული ქალების პერსპექტივიდან. შესაბამისად, ნაშრომი ეყრდნობა უახლეს მასალებს, კერძოდ, 2001-2015 წლებში ჩაწერილ ზეპირ ისტორიებს. მთხრობელები არიან თითქმის ყველა ასაკის აფხაზეთის ომგამოვლილი ქალები (30-დან 75 წლამდე), რომლებიც ცხოვრობენ როგორც რეგიონებში, ისე – დედაქალაქში. ისინი არა მარტო თვითმხილველნი და განმცდელნი არიან ორი ათეული წლის წინ დატრიალებული მძიმე დღეებისა, არამედ თანამედროვე პერსპექტივიდან აფასებენ კიდეც სამიათეული წლის წინ მომხდარ მოვლენებს.

ნაშრომში გამოყენებულია თვისობრივი კვლევის მეთოდები. ჩაღმავებული ინტერვიუს მეთოდით ჩაწერილია ზეპირი ისტორიები – აუდიო/ვიდეო მასალები, დაკვირვებისა და შემთხვევების ანალიზის საფუძველზე კი დამუშავდა და ჩამოყალიბდა სათანადო დასკვნები. ზეპირი ისტორიები მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმ მხრივაც, რომ ცხოვრებისეულ ამბებთან ერთად მნიშვნელოვან ადგილს უთმობენ მოვლენების შეფასებებს, კერძოდ: ომის დაწყების საფუძველს, სახელმწიფო პოლიტიკის შეცდომებს, ქალთა პრობლემებს და ა. შ.

ამრიგად, კონფლიქტები განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ქალებზე, რაც ნათლად გამოჩნდა აფხზეთიდან იძულებით გადაადგილებულების მაგალითზე. წლების შემდეგ ისტორიის თხრობით გამეორება თვითინტერპრეტაციის ფორმად იქცა. მათ არა მხოლოდ საკუთარი წარსული ახსოვთ, არამედ მის გაცნობიერებასაც ცდილობენ და რაციონალიზაციისკენ მიისწრაფიან, რათა წარსულთან ერთად აწმყოში უკეთ შეძლონ ცხოვრება.

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთი, ომი, ქალები, ზეპირი ისტორიები

Marina Turava
Sokhumi State University
Georgia, Tbilisi

Contemporary Woman Writers about War

It has always been written about war, but a century ago in the 1920s "Lost Generation" literature gave this theme a systematical disposition. After the first world war numerous writers were inspired by Gertrude Stein's famous phrase and they dedicated their books to the war. A novel "A Farewell to Arms" written by Ernest Hemingway became a classical text of "Lost Generation" literature and one of the manifests for peace. In contrast with that Hemingway's brilliant short story "The Butterfly and the tank" seems to present the war from a different perspective.

The butterfly can't defeat the tank, but it fights to the end, doesn't retreat and resisting injustice makes it stronger. On the other hand it is precisely "The Butterfly" and it is the victim of violence.

Recently it has become actual cruelty depiction from a woman's point of view and has become relevant the gate from a male perspective and has shifted to "The Butterfly" highlighting previously unknown details and nuances.

"War has no woman's face" is the tittle of the first book by the Belarusian author and a novel prize laurate Svetlans Alexievich. It is a work of literary non-fiction and a blend of the real and the fiction. A reader is introduced to the male perspective, unembellished soviet patriotic-free pictures of a war seen through a woman's eye and experienced in the worst delicate details.

Through a work by each of three Georgian women writers we will attempt to present approaches to war that distance themselves from the masculine perception in Georgian literature of the 20th and 21st centuries.

Shorena lebanidze's novel "Manana Anua, Fifty-two days of captivity" depicts the tragedy that took place in Komani, as well as the death of father Andria. Ilona akobidze's trilogy "Three novels" is based on the author's personal experience and have been inspired by autobiographical elements. The author doesn't observe the stories of Abkhazion war form the outside but from the inside. It is not someone else's war but her own.

Tamar Bartayia's novel "Ashes" is not a book written directly about war. It is one of the truest books in modern Georgia to be inspired by the trauma of war.

If those two texts depict Abkhazian war tragic events, in Tamar Bartayia's novel we can face trauma memory and yokophobia problems.

Key Words: War Paradigm, Trauma Memory, Feminine Narrative

მარინა ტურავა
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

თანამედროვე ქალი ავტორები ომზე

ომზე ყოველთვის წერდნენ, მაგრამ ერთი საუკუნის წინ, მე-20 საუკუნის 20-იან წლებში „დაკარგული თაობის" ლიტერატურამ ამ თემას სისტემური ხასიათი მისცა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჰერტრუდა სტაინის ცნობილი გამონათქვამით ინსპირირებულმა არაერთმა მწერალმა მიუძღვნა ომს წიგნი. ერნესტ ჰემინგუეის რომანი „მშვიდობით, იარაღო" „დაკარგული თაობის"

ლიტერატურის კლასიკურ ტექსტად და მშვიდობის ერთ-ერთ მანიფესტად იქცა. მისგან განსხვავებით, ჰემინგუეის გენიალური მოთხრობა „პეპელა და ტანკი“ ომს თითქოს სხვა რაკურსით წარმოაჩენს. პეპელა ვერ დაამარცხებს ტანკს, მაგრამ ბოლომდე ებრძვის, უკან არ იხევს, უსამართლობასთან შეწინააღმდეგება აძლიერებს. მეორე მხრივ, სწორედ „პეპელა“ (რაფინირებულობისა და მოწყვლადობის ენიგმა) ეწირება ყველაზე მეტად ძალადობას. ბოლო დროს აქტუალური გახდა ქალის თვალით დანახული სისასტიკე, მამაკაცური რაკურსიდან მზერა „პეპელაზე“ გადმოვიდა და აქამდე უცნობ დეტალებზე, ნიუანსებზე გამახვილდა ყურადღება.

„ომს არ აქვს ქალი სახე“ სათაურია ბელორუსი ავტორის, ნობელის პრემიის ლაურეატის, სვეტლანა ალექსიევიჩის პირველი წიგნისა. ეს არის მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ნიმუში, რეალურისა და გამოგონილის ნაზავი. მკითხველი ეცნობა მამაკაცთა ხედვისაგან, საბჭოური პათოსისაგან თავისუფალ, შეულამაზებელ სურათებს ქალის თვალით დანახული და უფაქიზეს დეტალებში განცდილი ომისა.

სამი ქართველი მწერალი ქალის თითო ნაწარმოებით შევეცდებით, წარმოვაჩინოთ ომის მასკულინური აღქმისგან დისტანცირებული მიდგომები XX-XXI საუკუნეების მიჯნის ქართულ ლიტერატურაში. შორენა ლებანიძის რომანი „მანანა ანუა, ტყვეობის ორმოცდათორმეტი დღე“ კომანში დატრიალებულ ტრაგედიასა და მამა ანდრიას აღსასრულს ასახავს.

ნანა აკობიძის ტრილოგია „სამი რომანი“ ავტორის პირად გამოცდილებას ემყარება და ავტობიოგრაფიული მომენტებით არის ინსპირირებული. აფხაზეთის ომის ამბებს გარედან კი არ აკვირდება ავტორი, შიგნიდან ხედავს, ეს მისთვის სხვისი ომი არ არის, საკუთარია.

თამარ ბართაიას რომანი „ფერფლი“ უშუალოდ ომის თემაზე არ შექმნილა, იგი ომის ტრავმით გამოწვეული ერთ-ერთი მართალი წიგნია თანამედროვე საქართველოში.

თუ პირველი ორი ტექსტი უშუალოდ აფხაზეთის ომის ტრაგიკულ ამბებს გადმოგვცემს, თამარ ბართაიასთან ომის შედეგებით გამოწვეული ტრავმული მეხსიერება და ოიკოფობიის პრობლემები აქტიურდება!

საკვანძო სიტყვები: ომის პარადიგმა, ტრავმული მეხსიერება, ქალთა ნარატივი

Manana Turiashvili
Theatrical Fund
Georgia, Tbilisi

The Reasons Behind Mikheil Tumanishvili's Staging of *Amphitryon 38*

During and after the years of civil conflict and fraternal strife that erupted in Tbilisi at the end of the last century (1991-1994), director Mikheil Tumanishvili turned away from the theme of war, although he himself had participated in the Second World War. In the final years of his creative career, he rejected the depiction of war on stage. Through two productions – William Shakespeare's *A Midsummer Night's Dream* and Jean Giraudoux's *Amphitryon 38* – he redirected the entire focus of the Film Actors Theatre company toward exploring different forms of love. Jean Giraudoux's thirty-eighth version of the ancient myth, interpreted by Mikheil Tumanishvili, became the last production he staged at the Film Actors Theatre.

In the 1990s, the post-Soviet era brought open and candid discussions about love, marriage, and love triangles. Georgia, divided into two and engulfed in civil war, was the visible source of suffering for every citizen. For this reason, the director chose not to "go out into the street" and to engage with the fratricidal conflict directly; but instead, he decided to address the theme of human spiritual integrity on the stage.

Drawing upon rehearsal materials, the play itself, its stage adaptation, and the final production, my article examines the reasons behind the staging of *Amphitryon 38*, which was closely connected to the conceptual construction of the dialogue and the principles by which it was carried forward and performed by highly accomplished actors. The large bed, placed symbolically at the centre of the stage, represented the principal battlefield of human passions and desires.

Through the production, Mikheil Tumanishvili "explored" various forms of love while elevating marital fidelity and devotion between spouses to the status of a fundamental value. As in the French author's original text, Amphitryon's sole victory – the killing of a single soldier – and the broader theme of war were treated with irony and humour.

In the performance, Alcmena's boundless love stood in contrast to Leda's frivolous character and behaviour, while Jupiter's supreme masculinity and omnipotence opposed Amphitryon's naïve heroic exploits. Mikheil Tumanishvili was also interested in demonstrating the mature results of the acting techniques and realisation of artistic principles he had taught throughout his career. The textual and inner psychological duels between Jupiter and Alcmena, as well as between Leda and Alcmena, were remarkable spectacles both during rehearsals and in the final performance.

Keywords: Tumanishvili, theatre, Giraudoux, director, actor

მანანა ტურიაშვილი
თეატრალის ფონდი
საქართველო, თბილისი

მიხეილ თუმანიშვილის სპექტაკლის „ამფიტრიონ 38“ დადგმის მიზეზები

გასულ საუკუნეში თბილისში გაღვივებული ძმათა შორის შუღლის, სამოქალაქო ომისა და მის შემდგომ წლებში (1991-1994), რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი „განუდგა“ ომის თემას და თვით მეორე მსოფლიო ომის მონაწილემ, ბოლო წლების შემოქმედებაში, სცენაზე ომის „ასახვა“ უარყო. მან ორი ნაწარმოების საფუძველზე (უილიამ შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარი“ და ჟან ჟიროდუს „ამფიტრიონ 38“) კინომსახიობთა თეატრის დასის მთელი ყურადღება გადაიტანა სიყვარულის სხვადასხვა ფორმების ჩამოყალიბებაზე. ჟან ჟიროდუს ანტიკური მითის 38-ე ვერსია, მიხეილ თუმანიშვილის ინტერპრეტაციით, კინომსახიობთა თეატრში მისი ბოლო სპექტაკლი აღმოჩნდა.

90-იან წლებში პოსტ-საბჭოთა ეპოქამ ღიად და გახნილად დაიწყო საუბარი სიყვარულზე, ცოლ-ქმრულ ურთიერთობებზე და სასიყვარულო სამკუთხედებზე. სამოქალაქო ომში ჩაბმული და ორად გაყოფილი საქართველო, თითოეული ქართველის ხილული წუხილი იყო. სწორედ ამიტომ რეჟისორი „ქუჩაში არ გასულა“ და ძმათა ხელჩართულ ომში, სცენაზე ადამიანის სულიერი მთლიანობის თემაზე საუბარი გადაწყვიტა.

სარეპეტიციო მასალებზე, თვით პიესაზე, მის სცენურ ვერსიაზე და სპექტაკლზე დაყრდნობით, განვიხილავ „ამფიტრიონ 38“-ის დადგმის მიზეზს, რომელიც დაკავშირებული იყო დაოსტატებული მსახიობების ხანგრძლივი დიალოგის აზრობრივი აწყობისა და მისი წაყვანის პრინციპთან. ფიცარნაგზე სიმბოლურად მდგარი დიდი საწოლი ადამიანთა ვნებებისა და ლტოლვების მთავარ ბრძოლის ველს წარმოადგენდა.

მიხეილ თუმანიშვილი „განიხილავდა“ სიყვარულის ფორმებს და ამასთან ცოლ-ქმრული ურთიერთობის მოტრფიალე, მეუღლეთა ერთგულებას მთავარ ღირებულებად აკანონებდა. ისევე როგორც ფრანგ ავტორთან, ირონიითა და იუმორით აღიქმებოდა ამფიტრიონის ერთადერთი გამარჯვება, მის მიერ მოკლული ერთადერთი ჯარისკაცი და ომის თემა.

სპექტაკლში ალკმენეს უსაზღვრო სიყვარული უპირისპირდებოდა ლედას ქარაფშუტა ხასიათს და ქცევებს, ხოლო იუპიტერის ზემამაკაცური ღირსება და ყოვლისშემძლეობა ამფიტრიონის გულუბრყვილო საგმირო საქმეებს. მიხეილ თუმანიშვილს „ამფიტრიონ 38“-ში მის მიერ ნასწავლი სამსახიობო ოსტატობის სიმწიფის შედეგიც აინტერესებდა. იუპიტერისა და ალკმენეს, ლედასა და ალკმენეს ტექსტური და შინაგანი დუელი, საკვირველი სანახაობა იყო, როგორც რეპეტიციებზე, ასევე სპექტაკლში.

საკვანძო სიტყვები: თუმანიშვილი, თეატრი, ჟიროდუ, რეჟისორი, მსახიობი

Rusudan Turnava
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

Georgian Translations of the Works by Hervé Bazin and Emmanuel Roblès on the Theme of War and Violence

(“A Fire Devours Another Fire”, "On the Heights of the City")

In the second half of the twentieth century, the echo of World War II is clearly heard in the work of European writers, including the French: the severity of the physical and spiritual traumas received and the responsibility for the future do not allow for silence. At the same time, the focus is on the limitation of individual autonomy against the background of colonialism, racism and the proliferation of military regimes. Novels by Hervé Bazin, Emmanuel Roblès, Bernard Clavel, Patrick Modiano and others have been devoted to this topic.

Hervé Bazin’s novel “A Fire Devours Another Fire” (Un Feu Devore Un Autre Feu, 1978), uses impressive and moving images to depict how civil strife and the brutality of the military regime intrude into the daily lives of citizens, shattering and destroying everything that creates human dignity and joy. The tragic ending of the love of a politically opposed woman and man, echoing Shakespeare's Romeo and Juliet, which is read in the title, shows that people in the modern era are just as cruel to each other as they were centuries ago.

In Emmanuel Robles' novel "On the Heights of the City" (Les Hauteurs de la Ville, 1948), the conflict unfolds in Algeria during World War II: the exploitation and abuse of labor, their use in favor of the German fascists, provokes the main character's protest, and he joins the members of the French Resistance movement. But by showing different forms of violence and racism against Algerians, by creating tragic images of the repression of independence fighters, the author increases the disgust and protest against war and injustice, and the sense of public responsibility for peace and freedom.

The paper provides an analysis of Davit Kakhaberis' translations of the named novels, which allows us to say that Georgian literature has been filled with artistically perfect, realistic works directed against war and violence.

Key words: fascist coup, modern Romeo and Juliet, the tragic love of a man and a woman politically opposed to each other, how the army conquered its own country, World War II and the Algerian struggle for independence, the responsibility of the artist in terms of exposing war, colonialism and racism

რუსუდან თურნავა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

ერვე ბაზენისა და ემანუელ რობლესის ომისა და ძალადობის თემაზე შექმნილი ნაწარმოებები ქართულად
(„ერთ ცეცხლს გაანელებს მეორე ცეცხლი“, „ქალაქის აღმართებზე“)

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ევროპელი მწერლების, მათ შორის ფრანგების შემოქმედებაში მკაფიოდ ისმის მეორე მსოფლიო ომის გამოძახილი: მიღებული ფიზიკური და სულიერ ტრამვმების სიმწვავე და მომავლის წინაშე პასუხისმგებლობა არ აძლევთ დუმილის უფლებას. ამასთანავე ყურადღების ცენტრშია პიროვნების თავისულების შეზღუდვა კოლონიალიზმის, რასიზმისა და მომრავლებული სამხედრო რეჟიმების ფონზე. ამ თემას მიუძღვნეს რომანები ერვე ბაზენმა, ემანუელ რობლესმა, ბერნარ კლაველმა, პატრიკ მოდიანომ და სხვებმა.

ერვე ბაზენის რომანი „ერთ ცეცხლს გაანელებს მეორე ცეცხლი“(Un Feu Devore Un Autre Feu, 1978) შთამბეჭდავი და მღელვარე სურათებით ხატავს თუ როგორ იჭრება სამოქალაქო დაპირისპირება და სამხედრო რეჟიმის სისასტიკე მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებაში, ამსხვრევს და ანადგურებს ყველაფერს, რაც ქმნის ადამიანის ღირსებას და სიხარულს. პოლიტიკურად დაპირისპირებული ქალ-ვაჟის სიყვარულის ტრაგიკული დასასრული, გადაძახილი შექსპირის „რომეოსთან და ჯულიეტასთან”, რაც სათაურში იკითხება, ცხადყოფს, რომ ადამიანები თანამედროვე ეპოქაშიც ისე სასტიკად უსწორდებიან ერთმანეთს, როგორც საუკუნეების წინათ.

ემანუელ რობლესის რომანში „ ქალაქის აღმართებზე“(les Hauteurs de la Ville, 1948) კოლიზია ვითარდება მეორე მსოფლიო ომის დროს ალჟირში: მუშა ხელის ექსპლოატაცია დ შეურაცხყოფა, მათი გამოყენება გერმანელი ფაშისტების სასარგებლოდ მთავარი გმირის პროტესტს იწვევს და ის უერთდება ფრანგული წინააღმდეგობის მოძრაობის წევრებს. მაგრამ ალჟირელების მიმართ ძალადობის და რასიზმის სხვადასხხვა ფორმის ჩვენებით, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლების რეპრესიების ტრაგიკული სურათების შექმნით ავტორი ზრდის ომისა და უსამართლობისადმი ზიზღსა და პროტესტს, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის საზოგადოების პასუხისმგებლობის გრძნობას.

ნაშრომში მოცემულია დასახელებული რომანების დავით კახაბერისული თარგმანების ანალიზი, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ქართული ლიტერატურა შეივსო მხატვრულად სრულყოფილი, ომისა და ძალადობის წინააღმდეგ მიმართული რეალისტური ნაწარმოებებით.

საკვანძო სიტყვები: ფაშისტური გადატრიალება, თანამედროვე რომეო და ჯულიეტა, პოლიტიკურად დაპირისპირებული ქალ-ვაჟის ტრაგიკული სიყვარული, როგორ დაიპყრო არმიამ საკუთარი ქვეყანა, მეორე მსოფლიო ომი და ალჟირის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, ხელოვანის პასუხისმგებლობა ომის, კოლონიალიზმისა და რასიზმის მხილების თვალსაზრისით

Alyona Tychinina
Department of Foreign Literature and Literary Theory
Deputy Dean for Research
Yuriy Fedkovych Chernivtsi National University
Ukraina, Chernivtsi

The Therapeutic Potential of Prayer in the Postwar Narratives of Ernest Hemingway's Short Fiction

The article analyzes the therapeutic potential of prayer and the hierophanic imagery matrix employed in the narrative structure of Ernest Hemingway's short prose (1899–1961). The relevance of the study is stipulated by the focus of contemporary literary studies on crisis states and post-traumatic forms of literary activities (testimony) resulting from a radical shift in the episteme caused by war. The analysis covers the texts with a pronounced religious component, in particular those that contain a transitive plot, a sacred imagological matrix, elements of biblical personospheres, or even implied fragments of confession, life, or prayer, since such texts are capable of facilitating a cathartic effect and enabling the recipient to rediscover a transcendent center. This has determined the choice of an appropriate analytical perspective – namely, the application of Mircea Eliade's methodology of the "camouflage of the sacred", which relies on describing the ways in which transcendent reality is implicitly embedded in the profane and presupposes that the recipient possesses experience in symbolic interpretation necessary for identifying hierophanies in a desacralized world. In this respect, the spiritual (religious) experience of artists who were participants in combat acquires particular significance. We conclude that prayer appears as: an act of living faith and a form of inner salvation; a means of self-soothing and controlling traumatic experience; an opportunity to experience the transcendent in a liminal situation; a "glimmer" that models a space of safety and stable support; and a mechanism capable of neutralizing war trauma. However, the effectiveness of prayer as healing is determined primarily by the individual's inner demand – while in a state of existential crisis – for dialogue with God.

Keywords: prayer; therapeutic function of art; trauma; war

Nino Vakhania
Sokhumi State University
Georgia, Tbilisi

The Deheroization of War in Bertha von Suttner's Novel "Down with the Guns!"

The war is seen from a woman's perspective. The horrors of war are described with terrifying clarity and naturalism. The inhumane nature of war is clearly visible. The personal experiences conveyed by the narrator with special emotion - the loss of loved ones, family members, constant internal trauma - create the psychological basis of anti-war sentiment. Times have changed, weapons of war and the rules of war have changed, but the spiritual world of man has remained the same, as have the consequences of war, which have a severe impact not only on the material, but also on the spiritual life of man.

Bertha von Suttner's famous novel has been translated into many languages around the world. "Down with the Guns!" is not only a highly artistic literary work, but also a kind of peace manifesto. The

author will also make the reader a like-minded person. As is characteristic of writing, it has a strong influence on public consciousness, slowly transforming it and contributing to the universal establishment of the idea of peace. The author calls on the reader to take moral responsibility in the fight against all forms of violence.

Keywords: deheroization, pain, woman, psychology, responsibility

ნინო ვახაია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

ომის დეჰეროიზაცია ბერტა ფონ ზუტნერის რომანში „ძირს იარაღი!“

ბერტა ფონ ზუტნერი ნობელის პრემიის ლაურეატია მშვიდობის დარგში. მწერალი თავისი ბიოგრაფიით მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოსთან. ავსტრიელი შემოქმედის ბესტსელერად ქცეული თხზულება „ძირს იარაღი!“ გერმანულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ და გამოსცა „არტანუჯმა“. რომანში მკაფიოდაა ნაჩვენები, რომ ომს გამარჯვებულთათვისაც და დამარცხებულთათვისაც მოქვს სიკვდილი, ტკივილი, შიში, ტრაგედია. თხრობას სწორედ პერსონაჟის პირადი გრძნობები წარმართავს. ქალი ავტორი უპირისპირდება ომის რომანტიკულად წარმოდგენას. რომანი მთლიანად პაციფისტურია.

ომი დანახულია ქალის პერსპექტივიდან. შემზარავი სიცხადით, ნატურალისტურადაა აღწერილი ომის მთელი საშინელება. ხელშესახებად ჩანს ომის ანტიჰუმანური ხასიათი. ნარატორის მიერ განსაკუთრებული ემოციით გადმოცემული პირადი გამოცდილება – საყვარელი ადამიანების, ოჯახის წევრების დაღუპვა, მუდმივი შინაგანი ტრავმა – ქმნის ანტისაომარი განწყობის ფსიქოლოგიურ საფუძველს. შეიცვალა დრო, შეიცვალა საომარი იარაღი და ომის წესები, თუმცა იგივე დარჩა ადამიანის სულიერი სამყარო, ომის შედეგები, რომელიც მძიმედ აისახება არამარტო მატერიალურ, არამედ ადამიანის სულიერ ცხოვრებაზე.

ბერტა ფონ ზუტნერის გახმაურებული რომანი მსოფლიოს მრავალ ენაზეა ნათარგმნი. „ძირს იარაღი!“ გარდა იმისა, რომ მაღალმხატვრული ლიტერატურული ნაწარმოებია, ამავე დროს ერთგვარი სამშვიდობო მანიფესტიცაა. ავტორი მკითხველსაც თანამოაზრედ გაიხდის. როგორც მწერლობისთვისაა დამახასიათებელი, ძლიერ გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცნობიერებაზე, ნელ-ნელა გარდაქმნის მას და ხელს უწყობს მშვიდობის იდეის საყოველთაოდ დამკვიდრებას. ავტორი მკითხველს მორალური პასუხისმგებლობისკენ მოუწოდებს ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საკვანძო სიტყვები: დეჰეროიზაცია, ტკივილი, ქალი, ფსიქოლოგია, პასუხისმგებლობა

Mariam Vahsakmadze
Batumi Shota Rustaveli State University
Georgia, Batumi

Negative Peace as a Collective Psychosis: The Suppression of Moral Conflict in George Saunders's "The Semplica Girl Diaries"

The manifestation of negative peace is vividly illustrated in George Saunders' short story, "The Semplica Girl Diaries." While classical literary narratives are built upon conflict, Saunders centers on a society devoid of both armed and moral confrontation.

Grounded in Johan Galtung's (1969) peace theory, this study explores how the text's capitalist, consumerist society exhibits negative peace – the mere absence of overt violence – utterly depleted of positive, ethical substance. Here, utilizing human beings as living lawn decorations is normalized as a mundane vehicle for domestic harmony and social status.

The research examines the socio-psychological mechanisms through which consumer culture maintains an illusory tranquility by repressing moral dissonance. The preservation of this collective psychosis relies entirely on suppressing moral conflict. However, this conflict erupts within the consciousness of a young girl yet uncorrupted by conformism. Her protest and the facilitation of the Semplica girls' escape shatter this artificial peace, plunging her family into a total crisis of survival, both material and psychological.

In the era of late capitalism, the narrative of external stability is an imaginary tranquility achieved through the repudiation of empathy. Individual psychological eruption exposes the psychotic nature of collective existence, revealing the spiritual catastrophe concealed beneath the veneer of negative peace. Methodologically, this paper employs immanent literary analysis and a structural-semantic approach integrated with postcolonial criticism.

Keywords: Literature, Negative Peace, Moral Conflict, Collective Psychosis, Saunders

მარიამ ვაშაყმაძე
შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ბათუმი

ნეგატიური მშვიდობა, როგორც კოლექტიური ფსიქოზი: მორალური კონფლიქტის ჩახშობა ჯორჯ სონდერსის მოთხრობაში „დღიურის ჩანაწერები სემპლიკა გოგონებზე“

ნეგატიური მშვიდობის განსაზღვრებას თვალსაჩინოდ ვხედავთ ამერიკელი პოსტ-მოდერნისტი მწერლის ჯორჯ სონდერსის მოთხრობაში „დღიურის ჩანაწერები სემპლიკა გოგონებზე“. ლიტერატურულ ტექსტებში კლასიკური ნარატივი კონფლიქტზე იგება, მაგრამ სონდერსის ტექსტის ცენტრად გვევლინება საზოგადოება, რომელშიც არ არსებობს არც შეიარაღებული და უფრო მეტიც – არც მორალური კონფლიქტი.

ნაშრომის თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს იოჰან გალტუნგის (Galtung, 1969) მშვიდობის კონცეფცია, რომლის მიხედვითაც „ნეგატიური მშვიდობა“ მხოლოდ ფიზიკური ძალადობისა და ღია ომის არარსებობაა, ხოლო „პოზიტიური მშვიდობა“ სოციალურ სამართლიანობასა და სტრუქტურული ძალადობის აღმოფხვრას გულისხმობს. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ სონდერსის მიერ

აღწერილ კაპიტალისტურ და კონსუმერულ საზოგადოებაში მშვიდობა სწორედ მისი ნეგატიური გაგებით გვხვდება და სრულიად დაცლილია პოზიტიური, ეთიკური შინაარსისგან. აქ ადამიანების ცოცხალ დეკორაციებად გამოყენება აღქმულია არა გაუმართლებელ ქმედებად, არამედ როგორც ოჯახური ჰარმონიისა და საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრების ერთ-ერთ რიგით საშუალებად.

კვლევის მიზანია იმ სოციალური და ფსიქოლოგიური მექანიზმების შესწავლა, რომელთა საშუალებითაც მომხმარებლური საზოგადოება მორალური კონფლიქტის რეპრესიის ხარჯზე ინარჩუნებს ილუზორულ, ნეგატიურ მშვიდობას. კოლექტიური ფსიქოზის შენარჩუნება პირდაპირ არის დამოკიდებული მორალური კონფლიქტის ჩახშობაზე. მორალური კონფლიქტი ხელახლა იბადება და ფეთქდება პატარა გოგონას ცნობიერებაში, რომელიც ჯერ კიდევ არ მოქცეულა კონფორმიზმის მარწუხებში. მისი პროტესტი და სემპლიკა გოგონების გაპარება ამსხვრევს ხელოვნურ მშვიდობას და ოჯახს სრულ კრიზისში აგდებს, როგორც მატერიალური, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით.

გვიანი კაპიტალიზმის ეპოქაში გარეგნული სტაბილურობის ნარატივი არის წარმოსახვითი სიმშვიდე, რომელიც ემპათიის უარყოფის ხარჯზე მიიღწევა. კონფლიქტის ინდივიდუალურ დონეზე აფეთქება ავლენს კოლექტიური ყოფის ფსიქოზურ ბუნებას, სადაც ნეგატიური მშვიდობის მიღმა სულიერი კატასტროფა იმალება.

კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ლიტერატურული ტექსტის იმანენტური ანალიზი და სტრუქტურულ-სემანტიკური მეთოდი, რომელიც შერწყმულია პოსტკოლონიურ კრიტიკასთან.

საკვანძო სიტყვები: ლიტერატურა, ნეგატიური მშვიდობა, მორალური კონფლიქტი, კოლექტიური ფსიქოზი, სონდერსი

Elina Vasiljeva
Daugavpils University
Latvia, Daugavpils

The Holocaust and World War II in Contemporary Latvian Literature: Māris Bērziņš' Novel "Taste of Lead"

The report is devoted to a landmark work in contemporary Latvian literature – the novel *"Taste of Lead"* (2015) by Māris Bērziņš. The novel is not only the author's model for interpreting the events of World War II, but also a rethinking of the collective trauma associated with the events of the Holocaust in Latvia. The perception of war in the novel is built on the intersection of contradictions: the intertwining of the collective and the personal, the national and the universal, the historical and the individual, the personal and the mythological. On the one hand, the plot is filled with documented historical events: the departure of Germans from Latvia, the Soviet occupation of Latvia in 1940, the Nazi occupation of Latvia, the creation of ghettos, and the Rumbula massacre. On the other hand, the author chooses a peculiar model of narrative: the main character, whose perspective is in the focus of the narrative, is unwillingly drawn into a stream of tragic events; he is physically unable to speak, yet is constantly forced to make decisions. The narrative model and the semiotic system of the novel raise the question: what is the role of art, literature, and the word in the balance between war and peace. Bērziņš's novel is an innovative work on the theme of the Holocaust in contemporary literature, as it seeks to dismantle the opposition of "our own vs. the other", presenting the tragedy of the Jewish people as an integral part of Latvia's collective "us".

Keywords: War, Jewish; Holocaust; Anti-Semitism; religion

Lali Zakaradze
Batumi Shota Rustaveli State University
Georgia, Batumi

The Metaphysics of War and the Crisis of Culture: The Origins of the Philosophy of War in Early 20th-Century Georgian Thought (Grigol Robakidze and Dimitri Uznadze)

For Georgia, researching the phenomena of war and peace is not a merely theoretical issue, but an existential one. In a region where peace remains a source of constant tension, polemological studies are vital for analyzing historical and contemporary events.

This paper explores the origins of the philosophy of war in early 20th-century Georgian thought. The primary sources are Dimitri Uznadze's *Philosophy of War* (1914) and Grigol Robakidze's *War and Culture* (1915). The study incorporates the social philosophy of Nico Nikoladze whose ideas were developed within Robakidze's cultural-philosophical and Uznadze's psychological-philosophical frameworks.

The paper analyzes two distinct yet complementary perspectives emerging from the cultural crisis and the re-evaluation of human existence. Robakidze views war through a cultural-philosophical and mytho-poetic lens—as a cosmic manifestation, an existential trial, and potentially "the triumph of the idea of the Motherland". Conversely, Uznadze investigates its anthropological origins and socio-psychological aspects, which reveal the foundations of human psychological disposition.

Both thinkers transcend narrow political assessments to delineate war's metaphysical and cultural functions. A modern re-examination of these texts is crucial for analyzing global crises and critiquing the irrational logic of war driven by mass psychology or the manipulation of cultural values.

Keywords: Metaphysics of war, crisis of culture, prospect of peace.

ლალი ზაქარაძე
შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ბათუმი

ომის მეტაფიზიკა და კულტურის კრიზისი: ომის ფილოსოფიის საწყისები XX საუკუნის დასაწყისის ქართულ აზროვნებაში

ომისა და მშვიდობის ფენომენის კვლევა საქართველოსთვის არა მხოლოდ თეორიულ, არამედ ეგზისტენციალურ საკითხსაც წარმოადგენს. რეგიონში, სადაც მშვიდობის პერსპექტივა მუდმივი დაძაბულობის და ფიქრის საფუძველია, პოლემოლოგიური კვლევები მოვლენების გაანალიზებისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია.

წინამდებარე მოხსენება ეძღვნება ომის ფილოსოფიის საწყისებს XX საუკუნის დასაწყისის ქართულ აზროვნებაში. კვლევის პირველად წყაროს წარმოადგენს დიმიტრი უზნაძის „ომის ფილოსოფია“ (1914 წ.) და გრიგოლ რობაქიძის „ომი და კულტურა“ (1915 წ.). მოხსენებაში გათვალისწინებულია ქართულ აზროვნებაში ომისა და მშვიდობს ერთ-ერთი პირველი თეორეტიკოსის, ნიკო ნიკოლაძის, სოციალური ფილოსოფიის მთავარი საკითხები (ომი და განიარაღება), რომლებმაც რობაქიძის კულტურულ-ფილოსოფიურ და უზნაძის ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიურ კონცეფციებში ჰპოვა განვითარება.

მოხსენებაში გაანალიზებულია ომის თეორიის ორი განსხვავებული, თუმცკი, ურთიერთ-შემავსებელი ხედვა, რომელიც უპირველესად, პირველი მსოფლიო ომის შემდგომი კულტურის კრიზისისა და ადამიანის არსებობის გადაფასების პრობლემიდან ამოიზარდა, და, ამასთან, ჰეგელიანური ლიბერალიზმის, ფრ. ნიცშეს და ვლ. სოლოვიოვის ომის იდეების რეაქტუალიზაციას წარმოადგენს XX საუკუნის ქართულ ფილოსოფიაში.

გრიგოლ რობაქიძე ომს განიხილავს კულტურულ-ფილოსოფიური და მითოსურ-პოეტური პერსპექტივიდან – ომი არა მხოლოდ პოლიტიკური აქტი, არამედ კოსმიური ძალების მანიფესტაციაა, ეგზისტენციალური გამოცდას და ძველი სამყაროს ტრანსფორმაციის წინაპირობა, შესაძლოა, „სამშობლოს იდეის ზეიმიც“. დიმიტრი უზნაძე კი ომის ანთროპოლოგიურ საწყისებს იკვლევს. მის ფოკუსშია ომი, როგორც მსოფლიო ისტორიის მთავარი ფენიმენი, სოციალურ-ფსიქოლოგიური რეალობა, სადაც ვლინდება ადამიანის განწყობის ფუნდამენტალური საფუძვლები.

ორივე მოაზროვნე სცილდება ომის ვიწრო პოლიტიკურ შეფასებას და მისი მეტაფიზიკური და კულტურული ფუნქციის გამოკვეთას ცდილობს. ამ ტექსტების ახალებური ანალიზი მნიშვნელოვანია გლობალური კრიზისების ანალიზისთვის, მასობრივი ფსიქოლოგიითა თუ კულტურული ღირებულებების მანიპულირებით ომის ირაციონალური ლოგიკის კრიტიკისათვის.

საკვანძო სიტყვები: ომის მეტაფიზიკა, კულტურის კრიზისი, მშვიდობის პერსპექტივა

Elizabed Zardiashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi

The Unpublished Writings of Akaki Tsereteli and Aleksandre Kazbegi as a Sharp Weapon Against the Enemy

In the period of despair that followed Russia's annexation of Georgia in 1801 and the subsequent bloodshed, a new generation emerged who chose not armed rebellion but the pen as a weapon against Tsarist rule.

"For forty years, I have always believed that Georgia's connection with the Russian Empire would signify the death of the Georgian nation itself," declared Ilia Chavchavadze in one of his speeches. Despite holding such a categorical view, Ilia and other national figures still managed to publish their writings. The same cannot be said of Akaki Tsereteli and Aleksandre Kazbegi, whose writings often took a more radical and confrontational literary approach. Consequently, it is rare to find writers whose literary legacies contain as many censored, altered, and unpublished works as those of Akaki Tsereteli and Aleksandre Kazbegi.

Archival records in the journal *Saistorio Moambe* contain numerous directives warning the censorship committee to impose rigorous supervision over their writings. This censorship resulted in the destruction of Akaki Tsereteli's *Vorontsov,* the unpublished newspaper *Gza*, the closed *Patara Gazeti*, *Khumara* and *Akaki Locked in Prison*; the burning of Kazbegi's *Elguja*, and his 1891-92 four-volume work cut in half by censors, etc.

This raises a question: what threatened both the "powerful" Russian Empire and later the Soviet regime?

The unpublished materials contain numerous radical appeals: for example, in Akaki's poem *The Voice*: "Hey, let strive for a general uprising!". Similar calls to resistance appear in many newly discovered poems by Aleksandre Kazbegi, for instance, in *Mountain and Mountaineer ,* he calls: "Strike with the

sword, ../ put on a shroud"; "go, strike, show, / what Georgia is worth". Besides Russian officials, the poet did not spare George XII either for leading „Russian horde troops forward" and mocked the Tsarist army's defeat in the 1905 Russo-Japanese War. He assessed the outcome as follows: "Russians like trembling puppies / beaten, miserable /returned to their homeland".

Modern scholarship has uncovered these previously unknown materials in the archives of both writers, the themes and conclusions of which remain relevant today, making their publication an invaluable contribution to Georgian historical and literary studies.

Keywords: Akaki Tsereteli, Alekssandre Kazbegi, censorship, Russo-Japanese War

ელისაბედ ზარდიაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

აკაკი წერეთლისა და ალექსანდრე ყაზბეგის გამოუქვეყნებელი თხზულებები – მტერთან ბრძოლის ბასრი იარაღი

1801 წელს საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და სისხლში ჩახრჩობის შემდეგ დასადგურებული უიმედობის პერიოდში მოვიდა თაობა, რომელმაც ამბოხის ნაცვლად კალამი აქცია მტერთან ბრძოლის ბასრ იარაღად.

„40 წლის განმავლობაში მე სულ იმ აზრის ვიყავ, საქართველოს რუსეთის იმპერიასთან დაკავშირება იყო თვით ქართველი ერის სიკვდილი", – ეს ილიას სიტყვებია მისი ერთ-ერთი გამოსვლიდან. ასეთი კატეგორიული შეხედულების მიუხედავად, ილია ჭავჭავაძე და სხვა ეროვნული მოღვაწეები მაინც ახერხებდნენ საკუთარი თხზულებების დასტამბვას, რასაც ვერ ვიტყვით აკაკი წერეთლისა და ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ. შემოქმედებაში მათ უფრო შემტევი გზა აირჩიეს. ამიტომ იშვიათია მწერალი, რომელსაც ცენზურის გამოისობით იმდენი გამოუქვეყნებელი და დამახინჯებული თხზულება დარჩენოდეს, რამდენიც ამ ორ მწერალს.

„საისტორიო მოამბე" სავსეა დოკუმენტებით, რომლებითაც ხელისუფლება საცენზურო კომიტეტს აფრთხილებს, განსაკუთრებული მეთვალყურეობა დააწესოს მათ შემოქმედებაზე.

განადგურებული აკაკის „ვორონცოვი", გამოუცემელი გაზეთი „გზა", დახურული „პატარა გაზეთი", „ხუმარა" და „ციხეში გამოკეტილი აკაკი"; დამწვარი ყაზბეგის „ელგუჯა", ცენზურისგან განახევრებული 1891-92 წლების მისივე ოთხტომეული და ა.შ.

მაინც რა აფრთხობდა ასე „ძლევამოსილი" რუსული იმპერიის ხელისუფლებას და შემდეგ საბჭოთა კონიუნქტურას?

გამოუქვეყნებელ მასალებში ბევრია რადიკალური მოწოდებები: მაგ., აკაკის ლექსში „ხმა": „აჰა, ეძიოს იმანაც საერთო ამბოხებითა!". ასევე აჯანყებისკენ მოწოდებაა ალ. ყაზბეგის ბევრ ახალ გამოვლენილ ლექსში, მაგ., „მთა და მთიელში" იგი წერს: „ხმალი ჰკარ,შუა გააპე, / ჩაცმევინე სუდარა"; „წადით, დაჰკარით, უჩვენეთ, / რადაც ღირს ქართველთ ქონება".

რუსი მოხელეების გარდა, პოეტმა არც გიორგი XII დაინდო: „წინ მოუძღვის ამაყად / რუსეთის ურდო ჯარებს", – წერდა ის. ასევე მკაცრად დასცინა 1905 წლის რუსეთ-იაპონიის ომში დამარცხებულ რუსეთის არმიას, ომის შედეგები კი ასე შეაფასა: „ამოიძუა რუსებმა / და როგორც მხდალი გოშია, / ნაცემი, ნათათხანები / დაბრუნდა სამშობლოშია".

თანამედროვე კვლევების შედეგად მსგავსი მასალები ორივე მწერლის არქივში უხვად გამოვლინდა, რომელთა თემატიკა და დასკვნები დღემდე აქტუალურია და მათ გამოქვეყნებას ყველა დროში ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს.

საკვანძო სიტყვები: აკაკი, ყაზბეგი, ცენზურა, რუსეთ-იაპონიის ომი, ურდო ჯარი

Natia Zoidze, Bocho Shurgaia
Tbilisi Ivane Javakhishvili State University

War as an Enabler of Societal Deconstruction, Reconstruction and the Threat of Ultimate Decay in the Creations of Contemporary Georgian Artists

Ever since the ancient times, the topic of war is regarded as one of the important building blocks for Art. The theme of war holds a significant position in the contemporary and emerging creations of Georgian artists. It is interesting that the topic is equally attractive for all forms and genres of art and expresses itself in various forms and means. In light of the traumas arising from wars from new and modern history of Georgia, it is interesting to see what was the manner and the means of expression in the creations of Georgian artists. For the scope of this research three artworks were selected of three Georgian artists, who represent various spheres of art. The artworks reflect post-war detachment and presents humane origins of the post-war reconstruction. Moreover, research delves into the topic from the general humanistic perspective and ponders upon the theme of war that is viewed as the offspring of the idea of progress, willing to produce better and more sophisticated arms, observing the dynamics of the destruction-oriented means. For aforementioned purposes, research examines ,,Ramona" by Rezo Gabriadze, the painting called ,,Iveria" by Tedo Rekhviashvili and ballet performance ,,Pandora", staged and performed by Giorgi Aleksidze Tbilisi Contemporary Ballet. It is interesting that, all three artists (in the latter's case the group of artists), are nurtured from Georgian social and historical landscape. If selected works of R.Gabriadze and T. Rekhviashvili is viewed more as the ultimate products and reflection of certain historic events, ,,Pandora"is free from concrete cultural ,,restrictions" and views the application of the nuclear weapon - the summit of progress in weaponry-as the possible beginning of the end. Although artists are separated from each other in terms of space, genre and time, the emergence of the theme of war in their creations underlines the importance of the topic. In fact, the theme of war, under the guise of art, is turned into generalized reality (detached from history and from concrete references) and into the true form of art. Moreover, the works underline the dilemmas that emerge as a result of war in the post war surroundings. They suggest visual and abstract forms of these dilemmas.

Keywords: post war society, detachment, reconstruction, a threat of nuclear war

ნათია ზოიძე, ბოჩო შურღაია
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი

ომი როგორც საზოგადოების დეკონსტრუქცია, რეკონსტრუქცია და საბოლოო დაცემის საფრთხე თანამედროვე ქართველი ხელოვანების შემოქმედებაში

ომისა და მშვიდობის თემა ანტიკურობის ხანიდან მოყოლებული ხელოვანებისთვის ერთ-ერთ მსუყე „საკვებ“ მასალას წარმოადგენდა, იგი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ახალი და უახ-ლესი პერიოდის ქართველი ხელოვანების შემოქმედებაშიც. საინტერესოა, რომ ომის თემატიკა ხელოვნების ყველა ჟანრისთვის მიმზიდველია და სხვადასხვა ფორმების საშუალებით გამოხატავს თავს. საქართველოს უახლეს ისტორიაში ომის შემდგომი საზოგადოების ტრავმების ფონზე, საინ-ტერესოა, თუ როგორი გამოხატვის ფორმები ჰპოვა აღნიშნულმა თემამ ქართველი ხელოვანების ნამუშევრებში. კვლევისათვის შეირჩა სამი განსხვავებული სახელოვნებო სფეროს წარმომადგენ-

ლის თითო ნამუშევარი, რომელიც ქართულ საზოგადოებაში ომის შემდგომი პერიოდის გათიშულობას ასახავს, წარმოადგენს ომის შემდგომ საზოგადოებაში რეკონსტრუქციის ჰუმანურ საწყისებს. ამასთან, ზოგადსაკაცობრიო პერსპექტივიდან განიხილავს საუკუნეების განმავლობაში პროგრესის იდეის ფარგლებში ომის იდეის-როგორც განადგურების საშუალების კულტივაციის დინამიკას. ნაშრომში აღნიშნული მიზნებით გამოკვლეულია რეზო გაბრიაძის ,,რამონა", თედო რეხვიაშვილის ტილო „ივერია" და გიორგი ალექსიძის ,,სახელობის თბილისის თანამედროვე ბალეტის" წარმოდგენა „პანდორა". საინტერესოა, რომ სამივე ხელოვანი (ხელოვანთა ჯგუფი), ქართული სოციალურ-ისტორიული ლანდშაფტიდან ამოიზარდა და რ.გაბრიაძისა და თ.რეხვიაშვილის შემთხვევაში უშუალოდ ისტორიული მოვლენების შედეგად წარმოშობილ ხელოვნებად შეიძლება განვიხილოთ, მაშინ როდესაც „პანდორა" რომელიმე კონკრეტული კულტურის წიაღის „შეზღუდულობისგან" თავისუფალია და ზოგადად კაცობრიობის ჭრილში განიხილავს პროგრესის უკიდურეს პირმშოს-ბირთვული იარაღის და ბირთვული ომის, როგორც დასაწყისის დასასრულის შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ ხელოვანები ჟანრობრივად და დროითი სივრცით დაშორებულები არიან ერთმანეთთან, მათ მიერ ხელოვნებაში ომის თემატიკის გამოსახვა ნათლად წარმოაჩენს საკითხის აქტუალურობას. ომის თემატიკა თითოეულ ნამუშევარში ხელოვნების საფარ ქვეშ იქცევა განსხვავებული კონტექსტებისა და ისტორიული ფაქტორებისაგან განყენებულ, განზოგადებულ რეალობად-ანუ ხელოვნებად. ნამუშევრები წარმოაჩენს ომის ან ომის შემდგომი რეალობისთვის დამახასიათებელ დილემებს და აღნიშნული დილემების ვიზუალურ-აბსტრაგირებულ ფორმებს.

საკვანძო სიტყვები: ომის შემდგომი საზოგადოება, გათიშულობა, რეკონსტრუქცია, ბირთვული ომის საფრთხე.